114
1944/2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

9-10

თბილისი
1944

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

წელიწადი მეოცდაერთე

9-10

19 სექტემბერი—ოქტომბერი 44
სახელგამი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია:

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გამსახურდია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე გალაქტიონ
ქიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-44 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10.5.
შეკვ. № 2088. უე 10183. ტირაჟი 5350.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ეორესის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13, მწერალთა კავშირი. ტელეფ. 3 — 04 — 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი მადლობა [1]

თითქო მოწაფე ვდგავარ დაფასთან,
გულს მღელვარების ალი ედება.
როგორ ამაღლდა, როგორ დაფასდა
დღეს ჩემი მცირე შემოქმედება!

მე ვადიდებდი ჩვენს უკვდავებას,
ვაქაცის ხმალთან ლექსით მივედი,
მაგრამ რაც შევქმენ, — მეცოტავება,
გულს დარჩენია ხვალის იმედი.

შემომეშველოს დღე ხვალინდელი,
შევსძლო სიმღერით გულის ავსება,
იქნებ მოვასწრო კიდევ იმდენი,
რომ ვავამართლო ეს დაფასება.

მე ჩემი ქვეყნის ვალი მედება,
ამიტომაც ვარ აღელვებული.
მღელვარე გულში ადარ მეტევა
მადლობის გრძნობა მოჭარბებული.

სხივი და ჩრდილი გარდასულ დღეთა
ნე ჩემს ლექსებში დავაბინავე,
ახლა მომავალ დღეებსაც ვხედავ,
არწივებივით რომ მოფრინავენ.

მოაქვთ უცნობი სიტყვა ახალი,
შთაგონებათა ახალი წყება,
ასე მგონია, უფრო მაღალი
შემოქმედება ახლა იწყება.

---

[1]) ეს ლექსი ალ. აბაშელმა წაიკითხა მის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრში 1944 წ. 23 ოქტომბერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესმის მებრძოლი დღის მოწოდება:
სჭრიდეს კალამი როგორც ხანჯალი!
კიდევ მიწყვია გულში ზოდებად
ლექსების ოქრო დაუხარჯავი.

მინდა ამოვსწვა მე ეს მადანი,
ამოვალაგო ოქრო რაც არის,
რომ აღარ დარჩეს ამოსატანი
ანთებულ სიტყვის ერთი მარცვალიც.

შემდეგ უსაზღვრო მყუდროებაში
გადავისროლო დაცლილი გული,
ოღონდ პოეტთა მშობლიურ ბაღში
მეც დამრჩეს სიტყვა აყვავებული.

ჰქროდეს ნიავი, ბაღი მღეროდეს,
ჩემიც ისმოდეს მწყობრში ძახილი,
ჩვენს წმინდა კერას მზე დასცქეროდეს,
სამარადისოდ ნისლ გადაყრილი.

და შემოსილი მზიური ალით,
თოვლიან მთებით ცამდე ასული,
ბრწყინავდეს ქართლი, — ფირუზის თვალი, —
კავკასიონის ბროლში ჩასმული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

აბაშელს

მე ხუთ ათეულ წელიწადს გავსცდი,
შენ დაეუფლე, წელიწადს სამოცს, —
ჩვენ კიდევ ვუმღერთ ახალის განცდით
დიად სამშობლოს — ტკბილსა და ამოს!

ჩვენ გავიარეთ გზა უძნელესი,
ჩვენს გულშიც იდო მტრის მჭრელი ტყვია,
ვიბრძოდით კალმით, ვიბრძოდით ლექსით, —
სიტყვა ხურჯინში არ ჩაგვიწყვია.

და როცა მტერი ურცხვად ლამობდა
გადმოელახა ჩვენი მთა-ბარი,
შენი ნაწერი ამას ამბობდა:
„არ შემოუშვა, დასცხე, დაჭარი!“

მწამხარ, მიყვარხარ, რომ მშობელ არეს
ასე გულწრფელად უვლი, ჰგუშაგობ,
ჩვენო პოეტო, უნარნარესო,
ნამუსიანი ხალხის მუშაკო.

მე მაგონდება განვლილი წლები,
ორივეს გვქონდა ტუჩზე ხავერდი,
ეხლა გამშვენებს თოვლის ეკლები,
შემომაბერდი... შემოგაბერდი!

მაგრამ ლექსებში ხომ ვართ ყმაწვილი?
წინაპართ მცნებას მივდიოთ მტკიცეთ,
ერთი გული გვაქვს და ეს ნაწილიც
ხალხის სამსახურს ერთგულად მივსცეთ!

1944 წ. 23/X.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

დასავლეთის ფრონტზე

მეზობელი

ტაშკენტში ლეიტენანტი ვანო გაბიტაშვილი გავიცანი. ისიც უფაში წოლილიყო ჭრილობების მოსარჩენად. ეხლა ერთად ვბრუნდებოდით საქართველოში. ერთ დროს თურმე ფრონტზეც მეზობლად ვიყავით: მე რომ სუხინიჩთან ვიმყოფებოდი, ვანო იმ დროს კალუგასთან იბრძოდა. ისედაც ხომ ერთი მიწა-წყლისანი ვიყავით: ვანო კაჭრეთელი იყო, ხოლო ჩვენს სოფლიდან კაჭრეთამდე უფრო პატარა მანძილია, ვიდრე კალუგიდან სუხინიჩამდე.

ომამდე ვანო სატყეო ინჟინრად ყოფილა. ძალზე ხალისიანი ცხოვრება ჰქონია ამ ქვეყნად. არაერთხელ გაუშლია სუფრა ალაზნის ჭალაშიც კი.

აქაც არ მოისვენა. ბაზარში სასმელი იშოვნა. სასურსათო პუნქტში მთელი კვირის ულუფა მივიღეთ. ახლა მატარებლის მოლოდინში ბაღში, ცაცხვის ჩრდილში ვსხედვართ და პატარა ქეიფს ვეწევით.

— კაცო, რა ერთად გვივლია ჩხუბშიცა და მშვიდობაშიც — იძახის ის — ნეტავ იქ მაინც შევხვედროდით ერთმანეთს.

— ნეტავ მართლა იქ მენახე — ვუდასტურებ მეც — და მინდა რაღაც კარგი ვუთხრა, ძმობა შევფიცო, — ისე მიხარიან მასთან ყოფნა, ამ მხიარულ და თამამ ვაჟკაცთან, რომელსაც ხუთი ტყვია მოჰხვედრია, მაგრამ რომლის სულს ამ ომმა იოტის ოდენა დაღიც ვერ დააჩნია. ათასჯერ ნიშანში ამოიღეს და ხუთჯერ დასჭრეს, კონტუზია დაემართა, ვინ იცის რამდენჯერ გაცივდა მირქმისა და ნათლისღების ყინვებში, რამდენჯერ წააყარა მიწა ყუმბარამ და მაინც ცოცხალია, მაინც ჯანმრთელი და მხიარულია.

ყველას როდი შეუძლია ეს. ასეთები მხოლოდ ძლიერი სულის ადამიანები არიან.

იმავე საღამოს გამოვწიეთ კასპიისკენ. ამ გრძელ გზაზე ვანომ ფრონტზე ყოფნის უკანასკნელი დღის ამბავი მითხრა. საინტერესოდ მომეჩვენა და ჩავიწერე.

*
* *

— იმ დილით ტყეში მოვდიოდი — დაიწყო ვანომ — მთელი ღამის უძილო ვიყავი და ფეხი მეშლებოდა. ტანში მაჟრიალებდა. აპრილის პირველი რიცხვები იყო, თოვლმა ის-იყო დნობა დაიწყო. ღამეობით, მართალია, ისევ ჰყინავდა, მაგრამ დღიხით მზეს ძალა მოჰმატებოდა, გაზაფხულის წყლიანობის სუნი იდგა ჰაერში, თუმცა ენძელა მყუდროზეც კი არ ამომძვრალიყო. მოთელილი თექის ჩექმები,—რუსები ვალენკებს რომ ეძახიან,—

ერთიანად გაქცევებულიყვნენ, პირდაპირ გასაწურები გამხდარიყვნენ, თხემით ტერფამდე სველი ვიყავ. ვალენკები, მართალია, კარგი მ[illegible] ცალ[illegible]ერული, ტყავის ლანჩებით, მაგრამ უჩექმოდ მაინც აღარ შეძ[illegible]ბ[illegible]ა[illegible]ა[illegible]ა

მთელი ასეული სასწრაფოდ გამოვაწყეთ ახალ ჩექმებში და თხუთმეტი წუთის შემდეგ გზაში ვიყავით.

ძალიან პატარა სიხარულია საჭირო, რომ სალდათმა, პირდაპირ, რომ იტყვიან, ფრთები გამოისხას. ხალისით მიდიოდნენ ბიჭები, ადლიანი ნაბიჯებით. ვიცი, ეს ბევრისათვის გაუგებარი იქნება: შენ მწერალი კაცი ხარ და თანაც ჩვენი ღვიძლი ძმა, ამ ომის სალდათი ხარ. თუ როდისმე ეს ამბავი დასწერო — ნუ მოგერიდება ამის გახსენება, ის ლექსი არ გაგიგონია: ცხენ-კარგის დედას დავნატრი: ომში წინდაწინ წადგება, მერე ცოლ-კარგის დედასა: ქმრის სწორთ ხელგაშლით დაჰხვდება, მერე თოფ-კარგის დედასა: ერთის ნასროლით დარჩება.

კარგი ჩექმა ის არი ქვეითში, რაც კარგი ცხენი კავალერიაში, კარგი თვითმფრინავი ჰაერში და თუ გინდა, იმ მელექსისა არ იყოს, კარგი ცოლი სახლში, — როცა სანატრელი სტუმრები ჭიშკარს შემოაღებენ და ეზოში შემოვლენ. მახსოვს, ერთხელ დივიზიის შტაბში ვიყავ, დაზვერვაზე გვგზავნიდნენ და კომისარი რომ გვეუბნებოდა — მტრის სალდათის სულში ჩაიხედეთ და იმათი განწყობილება გამიგეთო, მეთაური გვაბარებდა: ეშმაკსაც წაუღია ფრიცების სული, იმათ სულში ჩახედვას ხვადი ძაღლის ხახაში ჩახედვა სჯობია, თქვენ ის შეიტყვეთ, როგორი ჩექმები აცვიათო.

მაგრამ ისევ ჩვენს ამბავს დავუბრუნდეთ: უხაროდათ იმ დღეს ბიჭებს, მარშის პირველი კილომეტრები ამაზე საუბარში გავიარეთ.

ლუშნიკოვმა დაჰხედა ჩემს ჩექმებს და ღიმილით მითხრა:

— ლეიტენანტ! აი მაგნაირი ჩექმები პაპაჩემა სამოც წელს ვერ გაცვითა. მართალია, წელიწადში მარტო ერთხელ იცვამდა...

ირგვლივ გაიცინეს. „სულ ორ თვესა სცმიაო", — წამოიძახა ვიღაცამ. ლუშნიკოვი განაგრძობდა:

— მე მგონია კიევამდე ჩაიყვანენ ისინი კაცს!

— რატომ ვარშავამდე არა? — შეეპასუხა ერთი ჯარისკაცი.

— ბერლინამდე ამ ჩექმებით ვივლი-მეთქი, — ვუთხარი მეც ღიმილით, — თუ კი პაპაშენს სამოც წელს ეყო ასეთი ჩექმები, მე ერთი წელიწადი, ძალიან გაჭირდეს, ორი, არ მეყოფა?! დავბრუნდები და ალაზნის ჭალამიც ამ ჩექმით ვივლი!!

ამ ლაპარაკში შევედით სოფელ პრეობრაჟენსკში. ეტყობოდა, ადრე, მშვიდობის დროს, დიდი და მდიდარი სოფელი ყოფილა. ახლა კაცის ჭაჭანება არ იყო. რაღაც კოხტა სახლს ჩავუარეთ, წითელი აგურით იყო ნაშენები, აივანზე შუახნის კაცი გადმომდგარიყო; როცა შემატყო, რომ მე მეთაური უნდა ვყოფილიყავ, ხელის დაქნევით მანიშნა, — მოდი აქეთაო. მივუახლოვდი.

— თქვენ რომელ ბატალიონიდან ხართ? საით მიდიხართ? — მკითხა მან.

ბეკხედე. სახე უცნობი იყო. ხალათი არ ეცვა, ბამბის თბილი პერანგით გამოსულიყო აივანზე. ის იყო, პირის დაბანა დაემთავრებინა და ტილოთი სახეს იმშრალებდა. მოდი და მიუხვდი, ვინ არი, ამიტომ მეც ასე ვუპასუხე:

— მამიდა ჩემი გავათხოვეთ და ესენი მაყრები არიან, ქორწილში მიდიან-მეთქი.

უცებ წამოწითლდა სახეზე და თოფისწამალივით იფეთქა: მე შენ გაჩვენებ ქორწილსა, შე ლაწირაკო, მე შენ გასწავლი უფროსებთან ლაპარაკსაო.

მეც აღარ დავუთმე:

— თქვენ ფორმაში არა ხართ და რომ ფორმაშიც იყოთ, მაინც ასეთ-ბასუხს მიიღებდით, ვიდრე თქვენს დოკუმენტებს არა ვნახავდი, ჩვენ ხომ მტრის ზურგში ვართ-მეთქი — ვუთხარი.

— თქვენ მოვალე ხართ სახით იცნობდეთ უფროსებს, მაგრამ ახლა ამისი დრო არ არის, გასწით სასწრაფოდ ჟუკოვკაში, მალე მეც იქ ვიქნები და ბრძოლის შემდეგ განანებ ამასო.

იმ სახლში თურმე არა ჩვენი, არამედ მეზობელი ბრიგადის შტაბი იყო მოთავსებული, ხორემ ჩვენს უფროსებს ყველას სახითაც ვიცნობდი.

ერთი საათის შემდეგ ჟუკოვკას ვუახლოვდებოდით, იქიდან ხამუშ-ხამუშად სროლის ხმა ისმოდა, ხან მინელდებოდა, ხანაც ისევ გაძლიერდებოდა.

*

* *

მართალი გითხრა, ჯერ გამილიმა ბედმა იმ დღეს და მერე ძალიან დამჩაგრა. ულრანში ბნელოდა და სოფლის მისადგომთან, ტყე რომ გათხელდა,— სინათლემაც იმატა. ბატალიონში, რომელსაც უნდა მივშველებოდით, არავის არ ვიცნობდი. სოფლის გასადევარზე ჯარისკაცები ირეოდნენ.

— სად არის ბატალიონის მეთაური? — შევეკითხე ერთ მათგანს.

— აი იქ, წინ, — თითით გვიჩვენა სოფელზე ჯარისკაცმა.

გავიხედე იქით და, მართალი გითხრათ, გავოცდი: წინ გერმანელების ტანკები იდგნენ. ბატალიონის პოზიციები გაერღვიათ, შუაზე გაეჭრათ. თქმა არ უნდოდა, ცუდათ იყო საქმე. დროზე უნდა მივშველებოდით ალყაში მოქცეულ ბატალიონს. ბრძოლისათვის მზადება დავიწყეთ.

წინ, ხეებში უკვე მოსჩანდა სოფელი, ჩვეულებრივი რუსული სოფელი, ერთნაირი სახლებით, ფიჩხის ღობეებით, მაგრამ მის ჩვეულებრივობაში იყო რაღაც უცნობი, მრისხანე, იდუმალი. სოფელს გაღმა ისევ ფიჭვის დაუსრულებელი ტყეები იწყებოდა.

მტერმაც თითქოს დაუნოსა ჩვენი იქ ყოფნა და აიძაგრა. დაუცხრომელი ცეცხლი დაგვიშინეს. განუწყვეტელმა, ყურისწამღებმა გრუხუნმა აავსო ჰაერი. შევატყვე — იერიშზე გადმოდიოდნენ. მერე ტყვიამფრქვევები გადმოსწიეს წინ, და აი სულ ახლოს, ფოლადის მუზარადებიც აელვარდნენ, მართლაც შეტევა იწყებოდა. მარჯვნივაც და მარცხნივაც ტყვიამფრქვევები სადღაც ახლოს დადგეს და ცეცხლი გახსნეს. მართალი გითხრა, წასული საქმეა. და ახლა რაღა დასამალია, პირველ წუთებში იმ ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა, ხანჯალივით რომ გვცემდა სახეში, რაღაცნაირად დამჩაგრა. ახალბედა მეომარი როდი ვიყავი, მაგრამ რატომღაც იმ დღეს შეკრთი, ჭირის ოფლმა დამასხა. წავუწექი მიწას და ველარ ავიხედე ზევით, და უცებ, — ის წუთი არასოდეს არ დამავიწყდება, — თითქოს ყურში ჩამძახა ვიღაცამ: მაშინ ხომ კარგი ვაჟკაცი იყავ, გაშლილ სუფრასთან რომ იჯექ და საფერავით სავსე ჩაის ჭიქა გეჭირა ხელში? აი თურმე რა ძაბუნი, რა უმაქნისი ჰყოფილხარ! მაშინ ხომ კარგი იყო, როცა გალაღებდნენ, როცა ლხინი იყო, ახლა კი როცა ჭირია — შენი კაცობაც გათავებულა! არ ვიცი რა იყო ეს, იქნება სინდისის ხმაც იყო. თითქოს სილა გამაწნესო, ისე ამწვა ამ ფიქრმა. და მაშინ ისეთი გული მომეცა, ძმობას გეფიცები, მზად ვიყავ კბილით ყელში ვცემოდი მტერსა და გამომეღადრა, ხელით მიმეხრჩო. ახლა უკვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრცხვენოდა ჩემი შეკრთომისა, თითქო მტრის ტყვიამაც ძალა დაკარგაო, რაღაცა ქარი ჩამიდგა მუხლებში, წამოვხტი და დავიძახე:

— წინ ბიჭებო, სამშობლოსათვის, სტალინისათვის-მეთქი.

— ვაშაო — დაიძახეს ბიჭებმა და წამოცვივდნენ, ალბათ იმათ გულშიც ეს ბოლმა და დარდი იყო ჩაგუბებული.. პირველივე წუთში ხელბომბი დავკარი ტყვიამფრქვევს: რკინისა და კაცის ნაფლეთები-და გადაცვივდა აქეთ-იქით, მერე ხიშტზე მიდგა საქმე. თითო მოქნევას თითო სიკვდილი მოსდევდა. ვიღაც ხელითაც კი ახრჩობდა ვეება გერმანელს. ამ ჯოჯოხეთურ ხმაურში საკვირველი ის იყო, თითქოს ისმოდაო როგორ ხრაშუნით ამტვრევდა ხიშტი კაცის ძვალ-რბილს, თითქოს ტილოს ნაჭერს ხევენო. მეჩვენებოდა ალბათ. გერმანელი ოფიცრისათვის ისე მაგრად დაეკრა კონდახი ვიღაცას, რომ მხარი ჩაელეწა. ცალი პაგონი ჩამოჰგლეჯოდა. ისეთი გაშმაგებულნი ვიყავით, რომ მტერი ათ წუთში გავტეხეთ. მიბრუნდა, მივყევით, ისე მჭიდროდ მივდიეთ, რომ იტყვიან, — მხრებზე ვასხედით: ჩვენცა და გერმანელებიც სოფელში ერთდროულად შევცვივდით. ცხრა კაცი მარტო ჩემი ხელით გავათავე; მეათე სწრაფად გადახტა განზე, დამიმიზნა, მესროლა. ჯერ ხელში მომხვდა ტყვია, მერე მხარში. წავბარბაცდი, დავეცი. თურმე სწორედ ამ დროს რომელიღაც მეავტომატემ დამიმიზნა, და რომ რაღაც ინსტინქტს ფეხზე არ წამოვეგდე, მთელი ჯერი თავში მომხვდებოდა, ახლა კი ტყვიები ფეხებში მომხვდა: თავბრუ დამეხვა, სახლები, ხეები, ადამიანები თითქო მსუბუქ ნისლში გაეხვივნენ და ჰაერში გაცურდნენ, მერე თვალებზე ბნელი ძაძა ჩამომეფარა და მოცელილივით დავეცი.

*
* *

თვალები ქოხში გავახილე, ღამე იყო. საოპერაციო მაგიდაზე ვიწექ. კედელთან ტანსაწინააღმდეგო ქვემეხის გასროლილი გილზი იდგა, ზედა-კიდეები შეეჭყლიტათ, ბენზინი ჩაესხათ და ფიტილი დაემაგრებინათ, ის ანათებდა ოთახს. არ ვიცი სინათლე იყო მკრთალი, თუ მე დამკარგოდა თვალისჩინი, მაინც წამოვწიე თავი და შევხედე: რაღაც ნაფლეთები-და დავინახე ჩექმებისა და ფეხსაცმელების თუ ხორცისა და ძვლების, — ველარც კი გავარჩიე. მერე ექიმმა ვეება მაკრატელი აიღო ხელში, დასწვდა ჩემი ტყვიისაგან დაცხრილული ჩექმის ყელებს, ჯერ ერთი გასჭრა ქუსლამდე, დაჰხედა, თავი გადაიქნია და გარედ გადაისროლა, შემდეგ მეორე.

ჩექმებს ვინ ჩიოდა, თურმე ტერფის ძვლები მქონდა დამტვრეული. მაგრამ ტკივილები გვიან მოდის, და მეც ახლა, რატომღაც, უეცრად დილანდელი საუბარი მომაგონდა, როცა ლუშნიკოვი შეჰნატროდა ჩემს ჩექმებს. ნეტავი ახლა აჩვენა-მეთქი, გავიფიქრე და იმავ წუთს გამიწყდა ფიქრი: თითქოს სისხლმა შეწყვიტა მოძრაობაო, ისეთმა გარინდებამ მომიცვა.

თავს ვიღაც პოლკოვნიკი დამტრიალებდა, მშობელ მამასავით სწუხდა. შევხედე სახეში — ის იყო, დილანდელი უცნობი. ტკბილად გამიღიმა: „დიდხანს არ ინებივრო ახლა საწოლზეო“, მითხრა. მერე ადიუტანტს უბრძანა: ჩაიწერე ამისი გვარი და ჯილდოზე წარადგინეო. ის იყო, კიდევაც ეთერის მძაფრმა სუნმა დამკრა, თვალები დავხუმე, მაგრამ ძილი ვერ მომერია. როგორც კი ხელი ახლეს ჭრილობას, ტკივილმა ამაბორგა, ნორმა-

ლური დოზა ეთერისა არ მეყო, დამიმატეს, კიდევ არ დამეძინა. ხელები დამიჭირეს, პირზე ხელი დამაფარეს და ის იყო აირია თვალებში წინ წითელი. და იისფერი წრეები და უკანასკნელი სიტყვები, რაც გავიგონე, ეს იყო:

— ეს უეჭველად გადარჩება. ასეთი დოზა ეთერისა კაცს კი არა, ცხენს წააქცევდა...

მერე აღარაფერი მახსოვს, როცა გონზე მოვედი ბინტებით ისე ვიყავ შეკრული, როგორც არტახებით ბავშვობისას.

ასე დაამთავრა ვანომ თავისი ამბავი და მატარებელიც შეჩერდა. ფანჯარაში სჩანდა სადგურის უზარმაზარი წარწერა: კრასნოვოდსკი.

* * *

ამ დღეებში გაბიტაშვილი შემხვდა, რაღაც საქმეზე სოფლიდან ჩამოსულიყო თბილისში, დამინახა თუ არა, აღტაცებულმა მახარა:

— ჩემი ასეული პრუსიაში შეეკრილა. ლუშნიკოვის წერილი მივიღე. ის ახლა ზემდეგი კი არ არის, მაიორია...

და მერე თითქოს სინანულით დაუმატა:

— ახ, ნეტავ ახლა მეც იქ მამყოფა!!

ბ ა ვ შ ვ ი

. ვიაზმიდან დოროგობუჟში მიმავალ გზაზე, პატარა სოფელ პოლნიშევოში შუადამისას შევედით. სოფელში შესასვლელი ბოგირი აფეთქებული იყო. ჩვენც მოვუარეთ, ქვემეხები ხევში ჩავათრიეთ და შემდეგ ამოვიტანეთ სოფელში. მტრის მფრინავების თვალის ასახვევად მათ თეთრი ზეწრები გადავაფარეთ, მერე ცხენებიც დავაბინავეთ. ღამე ამ სოფელში უნდა გაგვეთია.

დავაკაკუნე და ქოხში კარი შევაღე. ზღურბლზევე შეეჩერდი გაოცებული, თუმცა არაფერი უცნაური ოთახში არ დამინახავს: თოვლივით თეთრი სუფრა ეფარა მაგიდას, ჩაის ჭიქებს ცხელი ორთქლი ასდიოდა. ფანჯრებს იისფერი ფარდები ეფარა, თაროებზე უამრავი წიგნები ჩაჯარულიყვნენ — ყალამქარის მდიდრული ყდებით. თბილოდა. თითქო სადღაც, შორეულ, მაგრამ ნაცნობ ქვეყანაში მოვხვდი, რაღაც ტკბილად მეტკინა გული; ყველაფერმა ამან თითქოს შორს სადღაც გადასწია ომი, და დაქანცულ, გატალახიანებულ სალდათებს გვიჭირდა ნაბიჯის გადადგმა. დარცხვენილნი ვიდექით.

პატარა, ალბად შვიდი-რვა წლის ბიჭი, გაბრწყინებული თვალებით შემოგვცქეროდა, თვალებითა სჭამდა ჩვენს ავტომატებს, სერჟანტის ქამარზე დაკიდებულ გრანატებს, ხოლო დედამ, ახალგაზრდა ლამაზმა რუსის ქალმა, როცა ჩვენი დარცხვენა შეიცნო, ნიავივით ნელი ხმით წარმოსთქვა:

— მობრძანდით!

ჩაიზე მიგვიპატიჟა. მთელი დღე სტეპზე ყინვაში და ქარბუქში მყოფებს, ცხელმა სასმელმა დამათრობლად დაგვირბინა სხეულში. იმ ღამეს მკვდრებივით გვეძინა.

დილით, ძილ-ბურანში უფრო ვიგრძენი, ვიდრე დავინახე, როგორი დაფეთებული წამოხტა სერჟანტი ირაკლი კონწლიაშვილი. მეც სასწრაფოდ გამომაფხიზლა ხმამაღლა წარმოთქმულმა საბრძოლო ბრძანებამ.

— ესკადრონო, მომ-ყე-ე-ე! ხმლები საბრძოლ-ლა-აა-დ! მარშ-მარშ!!

მასპინძელი ქალი ჩვენს შეკრთომაზე თითქოს დარცხვენით იღიმებოდა, თან ამბობდა:

— ეს ჩემი ბიჭია! ასე იომებს მთელ დღეს... ბავშვებს ახლა მეტი აღარაფერი არ აინტერესებთ...

სერჟანტმა ეს რომ მოისმინა, გულმოსულმა რაღაც წაიბურტყუნა ქართულად იმ მეომრის დედის მისამართით. ისევ მიწვა დასაძინებლად. მე კი წამოვდექი. პატარა მეომარი ახლა ოთახში შემოჭრილიყო.

წარბები საოცრად შეჭმუხნული ჰქონდა. ის ახლა შტურმით იღებდა ბერლინს, რომელიც რუსული ღუმელის კუთხეში იყო. მთელი ოთახი, დერეფანი, ეზო ფრონტებად იყო გადაქცეული. ერთ კუთხეში სევასტოპოლი იყო, რომელსაც მტრის ჯარი ეხვეოდა, მეორე კუთხეში ოდესა. სივრცის გარდა დროც არეული იყო იმ ბრძოლის ველზე: მარცხენა ფრთაზე რომ ახლანდელი არმიის გენერალი იბრძოდა, მარჯვენაზე — ბაგრატიონი იდგა, აგეთ კარლოს მეთორმეტე პოლტავიდან დაჭრილი მორბოდა და უკან ავტომატების ესროდნენ.

ალბათ იმიტომ, რომ ძალიან არ გაუკვირდეთო ბავშვის ეს უცნაური თამაში, დედამ, რომელიც თურმე იმ სოფლის მკვიდრი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში სმოლენსკში ეცხოვრა, საერთოდ ბავშვის ფსიქოლოგიაზე, წიგნების გავლენაზე დაგვიწყო საუბარი. ის უფრო გახალისდა, როცა მას ჩეხოვის „ბონტიგომო — ქრის ბრჭყალი“ გავახსენე. გვიამბო, როგორ ანსახიერებდა ბისი ბიჭი ყველაფერს, რასაც თითონ, დედა წიგნებში უკითხავდა: პირველად, ამ ომამდე, ოთახში თურმე ყოველდღე ჩრდილოეთის პოლუსი იყო მოწყობილი, მერე ომიც დახწყო. დანარჩენი ნათელი იყო. ჩვენ თითონ ვხედავდით.

ეცრად ბავშვი დაწყნარდა... მტრის თვითმფრინავების ღმუილი მოისმა. მათ გადაუფრინეს სოფელს თავზე, სახლებს ტყვიამფრქვევის რამდენიმე ჯერი ესროლეს და გაფრინდნენ. მეზობლად ვიღაც დასჭრეს და მხოლოდ მაწინ ატირდნენ ქოხში, როცა ჰაერში მოტორების გუგუნი შესწყდა.

ომის ცეცხლმა ერთხელ უკვე გადაიარა ამ სოფელზე, ის ახალი განთავისუფლებული იყო. როგორც კი გაფრინდნენ მტრის თვითმფრინავები, — ბავშვმა სევ განაგრძო თამაში.

მას ახლა ფანქარი ეჭირა ხელში და წერილსა სწერდა დედას. მთელი ფურცელი აავსო მსხვილი, ბავშვური ხელით დაწერილი ასოებით, ქაღალდი სამკუთხედად დაკეცა, ზედ საველე ფოსტის ნომერი დააწერა და ქაღალდი დედას გადასცა.

წერილში სწერდა:

„ჩემო საყვარელო დედავ! მე კარგად ვარ. ფაშისტებს ვუტევთ და გამარჯვებულები ვართ! წერილი ჯერამდე ვერ მოგწერე, რადგან ფაშისტებმა თოფი მესროლეს და ხელში მსუბუქად დაჭრილი ვიყავი. როდისმე მოიცალე და მომწერე წერილი“.

პატარა ბიჭმა, ვითომ დაჭრილი ვარო, რაღაც თეთრი ნაჭრით შეიხვია ხე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი და ქამრით კისერზე ჩამოიკიდა. დედამ ბინტები გაუხსნა, გადაუყარა და უთხრა:

— კარგი ახლა, გეყოფა...

ისევ დილა იყო, როცა სოფელში გავედი, გამოირკვა, რომ დღესაც აქ უნდა დავრჩენილიყავით და სოფლიდან მხოლოდ ღამის ორ საათზე გავიდოდით.

დაღამებამ ჩქარა მოატანა, ჩვენ ოთახის კუთხეში იატაკზე დავიძინეთ. ღამით პატარა ბიჭის ტირილმა გამოგვაღვიძა. ხმაზე ეტყობოდა, რომ ის საშინლად თრთოდა, კანკალებდა და ძილისაგან გამოურკვეველი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძახდა:

— დედა, ხელები დამიმალე, დედა... ხელები... მოდიან... ფაშისტები თოფებს მიმიზნებენ ხელებში...

დედა აწყნარებდა.

ოთახში ბნელოდა. ფარდები აწეული იყო და სადღაც ახლოს მაშხალებს რომ ისროდნენ, — იმისი შუქი შემოანათებდა ხოლმე ფანჯრებში,—რაღაც შიშის მომგვრელი სინათლე, მზის შუქზე უფრო თეთრი, — დაჰხედავდა ძიდამოს. მაშინ ფანჯარაში ჩანდა, რომ გარედ ხშირი თოვა იყო, ნელნელა ეშვებოდნენ ფანტელები ციდან — როგორც ფარვანები, ისე ეხვეოდნენ იმ სინათლეს და როცა შუქი ჩაქრებოდა, ბნელოდა ისე, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდა ადამიანი.

ბავშვი დაწყნარებულიყო, შემდეგ ისევ გაისმა მისი ხმა:

— დედა, ილაპარაკე... როცა შენ ლაპარაკობ, ოთახში აღარა ბნელა.

გარეთ უკვე ისმოდა, როგორ აბამდნენ ცხენებს საბარგულებში, ქვემეხებიც გამოჰქონდათ. წასვლის დრო იყო, მასპინძელს გამოვეთხოვენით.

ბავშვის შეძრწუნებული, აკანკალებული ხმა და შფოთვა მიგვაცილებდა.

მალე ისევ თოვლიან სტეპზე გავედით. მივდიოდი, ისევ იმ საოცარ ბიჭზე ვფიქრობდი — დღისით რომ ასე თამამი იყო და ღამით რომ ასე ბორგავდა.

. . . . . .

სოფელი რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში.

როცა კვლავ პოლნიშევოში შევედით, იმ სახლისაკენ გავეშურე. კარგად მახსოვდა, — პირველი იყო ღელის პირად. მინდოდა ჩვენი მასპინძელი მენახა.

მაგრამ აღარავინ აღარ იყო. სახლს ცეცხლი ეკიდებოდა. იატაკზე გადმოფანტული ყალამქარის ყდაში ჩასმული წიგნები იწვოდნენ.

კაცის ჭაჭანება არ იყო სოფელში, რომ იმ დედა-შვილის ამბავი გამომეკითხა.

ეზოში, თოვლზე შიშველი ფეხის პატარა, ძალზე პატარა ნაფეხურები სჩანდა. ეტყობოდა, ვიღაცის ბავშვს დიდხანს ფეხშიშველს თოვლზე ერბინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე საჯაია

უკანასკნელი ლექსები

ცაცხვი

სახლის წინ დავრგე ცაცხვი მორჩილი,
მას ალბად ტყეში ყოფნა ერჩია,
ჩემთან იზრდება და აქოჩრილი
ჩემს მყუდროებას შემოეჩვია.

ჩურჩულებს, მიმზერს, — იქნებ რას მკითხავს,
იქნებ მაწონებს თავს სიმწვანეთი,
მარტოობის ჟამს მეც ვუმზერ დიდხანს
და თითქმის გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი.

ის მუდამ კენტად, უცალოდ მდგარი
ნიავში თვლემს და მზეზე ღონდება.
ღამით ფრთას დაჰკრავს ეშმაკი ქარი,
შეაშრიალებს და მოშორდება.

ის ეტმასნება ჩემს მყუდრო ბინას
და დილის ცვარი ვიდრე აშრება, —
ვიწრო სარკმელის გაყინულ მინას
მწვანე თითებით ეთამაშება.

შემდეგ მთელი დღე, ლოდინით დაღლილს,
ვატყობ, უქაროდ დგომა წყინდება.
ხან მხრებზე ჩრდილი ეცემა სახლის,
ხან მზეზე კენტად გამობრწყინდება.

დგას, იშმუშნება ყველა ტოტებით,
იქნებ წასვლას და დაკარგვას ნატრობს,
სად არის ქარი? მეც დავღონდები,
მეც მომწყინდება ოცნება მარტო.

ციცინათელის ნაზი ციალით
წამით იელვებს და იმალება,
ძველი ხანძარის, ძველი ტრფიალის,
ძველი ფიქრების ფერისცვალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან შემაჟრჟოლებს, ვით ცაცხვის რტოებს
არხევდა ქარი ზღვით მოვარდნილი,
მაგრამ ისევე მარტოკა მტოვებს,
და მე მწყურია ტრფობა ნამდვილი.

ტრფობა ძლიერი და გაბედული,
რომ ქვეყნად მეტი არარა მსურდეს,
ტროოლასავით აფრინდეს გული
და სამუდამოდ დასტოვოს ბუდე.

რომ აღარ დარჩეს გოჯიც კი ცამდე,
შევიძლო მზესთან თვალის სწორება,
რომ მთიდან მომსკდარ ლილეოს გავდეს
ადუღებული ჩემი ცხოვრება.

მიყურებს ცაცხვი ჩუმი, მორჩილი,
მას ჩემთან ქარში ფრენა ერჩია,
ჩემთან იზრდება და აქოჩრილი
ჩემს უბედობას შემოეჩვია.

ღამით მე მისი ჩურჩული მართობს,
დღისით ორივე ვწუხთ და ვლონდებით,
ცაცხვი ახალ ქარს მოელის მარტო,
და ახალ ტრფობას დაველოდები.

—

ღრუბელი

დღიურ სიკაშკაშეს მოწყენით ვუცქერი,
დაინგრა კოშკები, ოცნებით ნაგები,
მე ვხედავ, ლაჟვარდის ნათელი ფურცლები
შავდება მწუხარე ფიქრების ქარგებით.

ზეიმობს დილის მზე და ნისლი მშიშარი
ნიავმა თამაშით ხევდახევ ატარა,
მხოლოდ შორს, მიწიერ წუხილის ნიშანი —
ზეცას ემუქრება ღრუბელი პატარა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ მომესმა გულის ხმაური

ისევ მომესმა გულის ხმაური,—
სულის საყდარში პატარა ზარმა
ჩამოჰკრა... თითქოს დამქრილა ქარმა.
სულის სილრმეში დღეს უცნაური
ვიხილე განძი არ-აქაური,
როგორც ლაჟვარდში მბრწყინავი ქარვა.
ვხედავ, ვმაღლდები, როგორც ტაძარი
და სიყვარულის წკრიალებს ზარი.
გუშინდელი დღე უდაბნოს ჰგავდა,
დღეს შევძელ მზესთან თვალის სწორება.
არარა იყო ჩემი ცხოვრება
დუმილისა და წუხილის გარდა,
დღეს სხვა საუნჯეს ავხადე ფარდა,
კმარა სიმშვიდე და მყუდროება.
ვხედავ, ვმაღლდები, როგორც ტაძარი
და სიყვარულის წკრიალებს ზარი.
გულმა გახია სათუთი ბადე,
ეს დღეც ბავშვობის დღეს უბრუნდება,
დღეს წეროების თეთრმა გუნდებმა
ვერცხლის სვეტები ამართეს ცამდე,
ქალწულის მკერდად აკოკრილ ვარდებს
შუქი აცვივა იაგუნდებად.
განათლდა სული, როგორც ტაძარი
და სიყვარულის წკრიალებს ზარი.
გასაოცარი მესმის სიმღერა,
მზე და სინათლე ამოცისკარდა,
მხრებზე დამაჯდა ოქროსნისკარტა
ჩიტი და ყელი გადმოიღერა,
რა საოცარი მესმის სიმღერა,
ეს რა სინათლე ამოცისკარდა!
დღეს სიყვარულის წკრიალებს ზარი,
განათლდა სული, როგორც ტაძარი.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმიანი დღე

(ლონგფელოდან)

ცივი დღეა, ბნელი დღეა, დღეა შესაზარი,
მუდამ წვიმს და არასოდეს არ ისვენებს ქარი,
ვაზი ისევ მოეხვევა დაშლილ კედლის კიდეს,
დაუბერავს კიდევ ქარი და ფოთლები სცვივა კიდევ
და დღეები არის ცივი, ბნელი, შესაზარი.

სიცოცხლეა ჩემი ცივი, ბნელი, შესაზარი,
მუდამ წვიმს და არასოდეს არ ისვენებს ქარი,
ჩემი ფიქრი მოეხვევა ისევ წარსულს დაშლილს
მაგრამ ყრმობის იმედები ისევ წყდება ქარში
და დღეები არის ცივი, ბნელი, შესაზარი.

მაგრამ კმარა, გულო, დაგმე მწუხარება შენი,
ღრუბელთ უკან ისევ ბრწყინავს მზე, სინათლის მფენი,
შენი ბედიც საერთოა და ასეა მუდამ,
თითეულის სიცოცხლეში ერთხელ წვიმდეს უნდა
და ზოგი დღე იყოს თუნდა ბნელი, შესაზარი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰონორე ბალზაკი

პოლკოვნიკი შაბერი

— შეხედეთ? ისევ ჩვენი ძველი ინგლისური სერთუკი!—წამოიძახა ერთმა გადამწერმა.

ვექილის კანცელარიის ასეთ მოსამსახურეს უფრო ხშირად შიკრიკს ეძახიან. ეს პურის ნაჭერს მადიანად შეექცეოდა. პურს პატარა ნატეხი მოჭგლიჯა ბურთულის გასაკეთებლად და ფანჯრის ფიტონზე დაყრდნობილმა ცელქად სარკმლიდან ისროლა. ბურთულა ვივიანის ქუჩაზე მდებარე სახლის ეზოში მიმავალი უცნობის ქუდს დაეცა და ფანჯრის სიმაღლემდე ახტა. ამ სახლში ვექილი დერვილი ცხოვრობდა.

— აბა, აბა, სიმონენ, ადამიანებს მასხარად ნუ იგდებ, თორემ გარედ გაგაგდებ. კლიენტი, რაგინდ ღარიბიც არ უნდა იყოს, მაინც ადამიანია. ეშმაკმა წაგიღოს! — ხარჯების ანგარიშის შედგენა შესწყვიტა და უთხრა სიმონენს უფროსმა საქმისმწარმოებელმა.

შიკრიკი, ჩვეულებრივად, სიმონენივით, ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭია. იგი ვექილის ყველა კანცელარიაში უფროსი საქმისმწარმოებლის განსაკუთრებულ მორჩილებაშია. შიკრიკს მოცლა არა აქვს უფროსი საქმისმწარმოებლის დავალებებისა და სატრფიალო ბარათების ტარებისაგან. იმავე დროს მას მიაქვს სასამართლოს ბოქაულთან ქონების დაყადაღების აქტები და სასამართლოში არზები. შიკრიკი თავისი ზნე-ჩვეულებით პარიზის ქუჩის ბავშვს უახლოვდება. ბედს-კი იგი ხრიკიან ხალხში ჩაუგდია. ეს ბავშვი თითქმის ყოველთვის შეუბრალებელია, თავშეუკავებელი, უდისციპლინო, შაირების მთხზველი, მქირდავი, ხარბი და ზარმაცი. მიუხედავად ამისა, თითქმის ყველა შიკრიკს ჰყავს მეხუთე სართულზე მცხოვრები მოხუცი დედა, რომელსაც უნაწილებს ოცდაათს თუ ორმოც ფრანკს, თავის ყოველთვიურ ხელფასს.

— თუ ეს ადამიანია, რატომ ეძახით მას ძველ სერთუკს? — სთქვა სიმონენმა იმ მოწაფის სახის გამომეტყველებით, რომელმაც მასწავლებელი შეცდომაში დაიჭირა.

და განაგრძო პურისა და ყველის ჭამა. ფანჯრის ჩარჩოს მიეყრდნო. რადგან იგი ფეხზე დამდგარი ისვენებდა, ეტლის ცხენივით ერთი ფეხი მეორე ფეხის წვერზე დაებჯინა.

— რა ოინი ვუყოთ ამ საფრთხობელას? — სთქვა ხმადაბლა მესამე გადამწერმა, გოდეშალმა. მან შესწყვიტა წინადადება, რომელსაც თხოვნის თეთრად გადაწერაში გართულ მეოთხე გადამწერს უკარნახებდა.

ამ თხოვნის პირებს პროვინციიდან ჩამოსული ორი ახალბედა სწერდა.

მერე გოდეშალმა თავისი იმპროვიზაცია განაგრძო:

„მაგრამ თავისი დიდებული და მწყალობელი სიბრძნით, მისი უდიდებულესობა ლუი მეთვრამეტე (დასწერეთ სიტყვით, სწავლულო კაცო ფერეტ, ვინც თეთრად სწერს!) გამგებლობის სადავის ხელში აღებისას ჩასწვდა... (რას ჩასწვდა ეს დიდი მასხარა?) იმ მაღალ მიზანს, რომელიც ღვთაებრივმა განგებამ დაუსახა!..... (გაკვირვების ნიშანი ექვსი წერტილით: სასამართლოში ისეთი მორწმუნე ხალხია, რომ ეს შეგვრჩება) და პირველი მისი განზრახვა იყო, რასაც მოწმობს ზემოაღნიშნული ბრძანებულების თარიღი, ის ტკივილები შეემსუბუქებინა, რომლებიც ჩვენი რევოლუციური დროის საშინელმა და სამწუხარო უბედურებამ გამოიწვია, დაუბრუნა რა თავის მრავალსა და ერთგულ ქვეშევრდომებს (მრავალს! ასეთი პირფერობა სასამართლოს უნდა მოეწონოს). ყველა თავიანთი ქონება, გაუყიდავი, იმისდა მიუხედავად, იყო ეს ქონება სახელმწიფო მფლობელობაში თუ ჩვეულებრივ ან არაჩვეულებრივ სამთავრობო მფლობელობაში, თუ, ბოლოს, იგი ითვლებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში შეტანილ შეწირულებად, ვინაიდან ჩვენ ვამტკიცებთ და უფლებამოსილად ვცნობთ თავს ვამტკიცოთ, რომ სწორედ ასეთია სული და აზრი შესანიშნავი და სამართლიანი ბრძანებულებისა, რომელიც გამოცემულია...“

— შესდექით! — შესძახა გოდეშალმა სამ გადამწერს, — ამ წყეულმა პერიოდმა გვერდი უკვე გამივსო. აი რა, — განაგრძო მან, თან რვეულს ენა გაუსვა, ღერბიანი ქაღალდის სქელი გვერდი რომ ადვილად გადაეფურცლა, — აი რა, თუ გსურთ ოინი ვუყოთ, ვუთხრათ, რომ პატრონს მხოლოდ ღამის ორსა და სამ საათს შორის შეუძლიან კლიენტებთან საუბარი: ვნახოთ, თუ მოვა ის ავაზაკი!

და გოდეშალმა დაწყებული ფრაზა განაგრძო:

— „რომელიც გამოცემულია“...

— დასწერეთ? — იკითხა მან.

— ჰო, — წამოიძახა სამმა გადამწერმა.

ყველაფერი ერთ დროს ხდებოდა: თხოვნის შედგენა, მასლაათი და შეთქმულება.

„რომელიც გამოცემულია“...

— როგორ, ძია ბუკარ, როდის არის გამოცემული ბრძანებულება? უნდა დავსწეროთ, რა აბდა-უბდაც მოგვადგება ენაზე. ეს გვერდებს ამრავლებს.

— აბდა-უბდა! — გაიმეორა ერთმა გადამწერთაგანმა, სანამ უფროსი საქმისმწარმოებელი უპასუხებდა.

— როგორ, განა „აბდა-უბდა“ დასწერეთ? — წამოიძახა გოდეშალმა, თან ერთ ახალმოლებულთაგანს გადახედა ერთსა და იმავე დროს სახის მკაცრი და დამცინავი გამომეტყველებით.

მეოთხე გადამწერი დეროში მეზობლის ნაწერისკენ დაიხარა და სთქვა:

— დაუწერია: „უნდა დავწეროთ, რა აბდა-უბდაც მოგვადგება ენაზე“.

ყველა გადამწერმა გადაიხარხარა.

— როგორ, ბატონო იურე, თქვენ „აბდა-უბდას“ სამართლის ტერმინად სთვლით და ამბობთ, რომ თქვენ მორტანელი ხართ? — წამოიძახა სიმონენმა.

— წაშალეთ ეგ! — სთქვა უფროსმა საქმისმწარმოებელმა. — ასეთი რამ აქტების დამბეგრავ მოსამართლეს რომ ენახა, იგი იტყოდა, ჩემს კანცელარიას დასცინიანო. უსიამოვნებას აყენებთ ჩვენს პატრონს. გესმით, ასეთი

სისულელე, ბატონო იურე, აღარ ჩაიდინოთ. ნორმანდიელმა არზა დაუდევრად არ უნდა შეადგინოს. ეს მთავარი შემოსავალია სასამართლოს მუშაკებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— „გამოცემული... გამოცემული?“ — იკითხა გოდეშალმა.—ბუკარ, მითხარით ერთი, როდის იყო გამოცემული.

— 1814 წლის ივნისს, — უპასუხა პირველმა გადამწერმა მუშაობის შეუწყვეტლად.

არზის ეს გაჭიანურებული წინადადება შესწყვიტა კანცელარიის კარის კაკუნმა. ენაკვიმატმა, დამცინავმა და ცოცხალთვალება, ხუჭუჭთმიანმა ხუთმა გადამწერმა, ყველამ ერთად, სიმღერით დაიძახა:

— შემოდით! — და თვალი კარს მიაპყრო.

ქაღალდების გროვაში თავჩარგული ბუკარი განაგრძობდა თავის სამუშაოს, ხარჯების ანგარიშის შედგენას.

კანცელარია წარმოადგენდა დიდ ოთახს, შემკულს კლასიკური ღუმელით, რომელიც ყველა სადავაქრო ბუნაგს ამშვენებს. მილები ირიბად სჭრიდნენ ოთახს და უერთდებოდნენ პირამოშენებულ ბუხარს, რომლის მარმარილოზედაც ელაგა სხვადასხვა ზომის რამდენიმე ნაჭერი სამკუთხედი ყველი „ბრი“, ღორის ხორცის კატლეტი, ჭიქები, ბოთლები და უფროსი საქმისმწარმოებლის ჭიქა შოკოლადით. ამ საჭმლის სურნელება ისე უერთდებოდა გავარვარებული ღუმელის წვის სუნს, კანცელარიისა და ძველი ქაღალდების თავისებურ სუნს, რომ აქ მელიას სიმყრალესაც ვერ იგრძნობდა კაცი. იატაკი გადამწერების მიერ შემოტანილი ტალახითა და თოვლით იყო დაფარული. ფანჯარასთან უფროსი საქმისმწარმოებლის მბრუნავი მაგიდა იდგა. იქვე იდგა პატარა მაგიდა მისი თანაშემწისათვის. თანაშემწე ამ დროს ქაღალდებს ამზადებდა სასამართლოში გასაგზავნად. დილის რვაცხრა საათი იქნებოდა. კანცელარიის მთელ მორთულობაა შეადგენდნენ დიდი ყვითელი აფიშები, რომლებიც იუწყებოდნენ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, ქონების საჯაროდ გაყიდვას, აუქციონს მემკვიდრეობის გასანაწილებლად, სასამართლოს საბოლოო ან წინასწარ გადაწყვეტილებებს, კანცელარიების გამარჯვებას. უფროსი საქმისმწარმოებლის უკან იყო უზარმაზარი თაროები კედლის მთელ სიმაღლეზე. ყოველი თარო ქაღალდების დასტებით იყო გამოტენილი, უამრავი ეტიკეტებითა და წითელი ზონარებით, რაც სასამართლოს საქმეებს თავისებურ ელფერს აძლევდა. ქვედა თაროები აევსოთ ხმარებისაგან გაყვითლებული ყდებით, რომლებზედაც მსხვილი კლიენტების გვარები ეწერა. მათი სქელი საქმეები ვექილის სამზარეულოში ახლა მზადდებოდა. ფანჯრის ბინძური მინები მცირე სინათლეს უშვებდნენ. სხვათა შორის, ცოტაა ისეთი კანტორა პარიზში, სადაც თებერვალში დილის ათ საათამდე ულამპოდ წერა შეიძლებოდეს, რადგან ეს კანტორები უყურადღებოდ არიან მიტოვებული. თუ რატომ, ადვილად გასაგებია: ყველა იქ მიდის, მაგრამ იქ არავინ რჩება, არავის არავითარი პირადი ინტერესი არ აკავშირებს ამ უგვანო ადგილთან. არც ვექილს, არც მოდავეებს, არც გადამწერებს გული არ შესტკივათ იმ ადგილის სიკოხტავისათვის, რომელიც ზოგისთვის სკოლაა, ზოგისთვის—გასავლელი ადგილი, პატრონისათვის-კი — ლაბორატორია. ბინძური ავეჯი ერთი ვექილის ხელიდან მეორე ვექილის ხელში გადადის სარწმუნოებრივი კეთილსინდისიერებით. ამის გამო ზოგიერთ კანცელარიაში შემონახულა სა-

ნაგვე კალათები და ტომრები, რომლებიც ოდესღაც ეკუთვნოდნენ ...ლებს „შლეს“. ეს სიტყვა „შატელეს“ შემოკლებაა. „შატელე“ ... მართლო ძველი წესწყობილების დროს. იგი ახლანდელი პირველი საფეხურის სასამართლოს მაგიერებას სწევდა.

ეს ბნელი კანცელარია, როგორც ყველა სხვა, გაქონილი და მტვრიანი, მოდავეებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი პარიზის ერთ უსაზიზღრეს სიმახინჯეს წარმოადგენდა. ასეთი ორი პოეტური კლოაკა რომ არ ყოფილიყო, როგორიცაა ეკლესიის ნესტიანი სალაროები, სადაც ლოცვა თაფლის პურივით იწონება და იყიდება, და ძველმანების გადამყიდველთა მაღაზიები, სადაც ცხოვრების ილუზიების გამქარწყლებელი, ჩვენი ზეიმების დასასრულის მაჩვენებელი ძონძები ფრიალებენ, მაშინ უეჭველად ვექილის კანცელარია საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის ყველაზე უსაშინელესი რამ იქნებოდა. მაგრამ ასეთსავე სანახაობას წარმოადგენს სამორინო, სასამართლო, სალატარიო ბიურო და ყაჩაღთა ბუნაგი. რატომ? შეიძლება იმიტომ, რომ ის ადამიანი, რომლის გულშიც დრამა ტრიალებს, ამ ადგილების მოწყობილების მიმართ გულგრილობას იჩენს. ამითვე არის გამოწვეული დიდ მოაზროვნეთა და დიდ პატივმოყვარეთა უბრალოება.

— სადაა ჩემი ჯიბის დანა?

— მე ვსაუზმობ.

— დაიკარგე აქედან! აი მელნის წვეთი დაეცა თხოვნას.

— სუ, ბატონებო!

სხვადასხვანაირი წამოძახილები გაისმა ერთბაშად, როდესაც მოხუცმა მოსარჩელემ კარი მიიხურა თავის ისეთი დამცირებით, რომელიც უბედური ადამიანის მოძრაობას გადააგვარებს ხოლმე. უცნობმა გაღიმება სცადა, მაგრამ სახის კუნთები მოეშვა, როდესაც ამ ექვსი გადამწერის გასაოცრად უდარდელ სახეებზე გულითადობის ვერავითარი ნიშანი ვერ დაინახა. ადამიანთა ცნობაში უეჭველად დახელოვნებულმა მეტად ზრდილობიანად შიკრიკს მიმართა იმ იმედით, რომ იგი მაინც უპასუხებდა თავაზიანად:

— ბატონო, თქვენი პატრონის ნახვა შეიძლება?

ცბიერმა შიკრიკმა საწყალ ადამიანს არაფერი უპასუხა, მხოლოდ მარცხენა ხელის თითები ორჯერ მსუბუქად ყურზე მიირტყა, თითქოს იმის სათქმელად: ყრუ ვარო.

— რა ენებავთ, ბატონო? — ჰკითხა გოდეშალმა და პირში პურის უზარმაზარი ლუკმა ჩაიტენა, თან დანას იქნევდა. ფეხი ფეხზე ისე გადაედო, რომ ჰაერში აშვერილი ფეხების წვერები მის თვალს უსწორდებოდნენ.

— მე აქ, ბატონო, მეხუთეჯერ მოვდივარ. — უპასუხა საბრალომ, — მე ბატონ ღერვილთან საუბარი მსურს.

— საქმის გამო?

— დიაღ, მაგრამ ეს მე შემიძლიან მოვახსენო მხოლოდ ბატონ...

— პატრონს სძინავს. თუ ენებავთ მას რჩევა ჰკითხოთ რაიმე რთული საქმის გამო, იგი სერიოზულად მხოლოდ შუადამეს მუშაობს. მაგრამ თუ ინებებდით, ჩვენთვის გაგეცნოთ საქმე, ჩვენც შეგვეძლო მასავით კარგად, თქვენ...

უცნობი მშვიდად, გულგრილად იდგა. გარშემო მიმოიხედა უცხო სამზარეულოში შემძვრალი ძაღლივით, რომელსაც გალახვის ეშინიან. თავიანთი

მდგომარეობის გამო კანცელარიის მუშაკებს ქურდებისა არ ეშინიათ. სერთუკიანი მოხუცი მათში არავითარ ეჭვებს არ იწვევდა და მას ლოგინის დათვალიერების საშუალება მისცეს. კლიენტი, ეტყობოდა, დაღლილი იყო და დასასვენებლად დასაჯდომ ადგილს ეძებდა. მაგრამ ამაოდ. ვექილებს წესად აქვთ, კანცელარიაში ცოტა სკამი იქონიონ. უბრალო მოსარჩელე მოლოდინში ფეხზე დგომით იღლება და მიდის ლანძღვით, მაგრამ იგი ვექილს დროს არ ართმევს, რაც, ერთი პროკურორის თქმისა არ იყოს, სასამართლოს ხარჯების დანიხვრაში არ შედის.

— ბატონო, — უპასუხა მან, — მე უკვე მქონდა პატივი თქვენთვის მომეხსენებინა, რომ ჩემი საქმე მე მხოლოდ ბატონ დერვილს შემიძლიან მოვახსენო. დავუცდი მის ადგომას.

ბუკარმა ხარჯების შეჯამება დაასრულა. თავისი შოკოლადის სურნელება იგრძნო. ლერწმის სკამიდან წამოდგა, ბუხარს მიუახლოვდა, მოხუც ადამიანს ახედ-დახედა, მის სერთუკს მიაჩერდა და აუწერლად დაიმიჭა. ალბათ, გაიფიქრა, როგორადაც უნდა მისდგომოდა ამ მოსარჩელეს, მას ვერაფერს დასცინცლავდა. ამიტომ სიტყვა მოკლედ მოუჭრა, რომ ეს უსარგებლო ადამიანი თავიდან მოეშორებინა:

— ბატონო, ესენი მართალს გეუბნებიან. პატრონი მხოლოდ ღამით მუშაობს. თუ მნიშვნელოვანი საქმე გაქვთ, გირჩევთ ღამის პირველ საათზე მობრძანდეთ.

მოსარჩელემ უფროს საქმისმწარმოებელს უაზროდ შეხედა, ერთხანს უძრავად დარჩა. გადამწერები ისე ხშირად ხედავენ დავაქართათვის დამახასიათებელ ცვლილებებს, მათ გადაუწყვეტლებას ან ფიქრებში გართვით გამოწვეულ თავისებურ საქციელს, რომ ისინი მოხუცს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, განაგრძობდნენ ჭამას და თავიანთი ყბებით ისე ხმაურობდნენ, თითქოს ბაგაზე მიბმული ცხენებიაო.

— ბატონო, საღამოს მოვალ, — სთქვა ბოლოს მოხუცმა, რომელსაც უბედურ ადამიანებისათვის ჩვეულებრივი სიჯიუტით სურდა არაადამიანური მოპყრობის გამომჟღავნება.

უბედურებს მხოლოდ დაცინვა-და შერჩენიათ იმისათვის, რომ მართლმსაჯულებასა და ქველმოქმედებას მათი მოპყრობის უსამართლობა დაუმტკიცონ. როდესაც უბედური ადამიანები საზოგადოებას ამხილებენ, ისინი ღვთისაკენ მეტის მხურვალებით მიისწრაფიან.

— ჭკუის კოლოფი არ არის? — სთქვა სიმონენმა, არც კი დაუცადა, რომ მოხუცს კარი მიეხურა.

— საიქიოდან მოსულსა ჰგავს, — სთქვა მეორე გადამწერმა.

— ეს, ალბათ, ვინმე პოლკოვნიკია, მიუღებელი ხელფასის მაძიებელი.

— არა, ყოფილი მეკარეა, — სთქვა გოდეშალმა.

— სანაძლეო დავდოთ, ის ვინმე კეთილშობილია, — წამოიძახა ბუკარმა.

— მე სანაძლეოს ვდებ, რომ იგი მეკარე იყო, — უპასუხა გოდეშალმა.— მხოლოდ მეკარეები არიან ბუნებით დაჯილდოვებული გახუნებული, გაქონილი, დახეული სერთუკებით, ისეთით, როგორიც აქვს ამ მოხუცს. ვერ დაუნახეთ, როგორი დახეული, წყლით გაჟღენთილი ჩექმები ეცვა და პერანგის მაგიერ ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული? მან ღამე ხიდქვეშ გაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ის შეიძლება კეთილშობილიც და მეკარეც ყოფილიყო, — წამოიძახა დეროშმა, — ასეთი შემთხვევები ყოფილა!

— არა, — დაიწყო ბუკარმა საერთო ხარხარში, — მე ვამტკიცებ, რომ 1789 წელს ის ლუდისმხდელი იყო, ხოლო რესპუბლიკის დროს—პოლკოვნიკი.

— ეჰ, მე სანაძლეოს ვდებ ყველას წასაყვანად წარმოდგენაზე, რომ იგი ჯარისკაცად არ ყოფილა, — სთქვა გოდეშალმა.

— თანახმა ვარ, — მიუგო ბუკარმა.

— ბატონო, ბატონო! — ფანჯარა გააღო და დაიძახა პატარა გადამწერმა.

— რას შვრები, სიმონენ? — ჰკითხა ბუკარმა.

— ვუძახი, რომ ვკითხო, პოლკოვნიკი იყო თუ მეკარე. ალბათ, ეცოდინება.

ყველას სიცილი აუტყდა. მოხუცი კი უკვე კიბეზე ამოდიოდა.

— რა ვუთხრათ? — წამოიძახა გოდეშალმა.

— მე მაცალეთ, — უპასუხა ბუკარმა.

საწყალი ადამიანი მორცხვად თვალდახრილი შევიდა, შეიძლება იმიტომ, რომ თავისი შიმშილი არ გამოემეღავნებინა, საჭმლისთვის მეტის-მეტი სიხარბით ცქერა არ დაეწყო.

— ბატონო, — მიმართა ბუკარმა, — თქვენი გვარის თქმას ხომ არ ინებებთ, რათა პატრონმა იცოდეს, თუ...

— შაბერი.

— ის ეილაუში მოკლული პოლკოვნიკი ხომ არ არის? — ჰკითხა იურემ, რომელსაც ჯერ ხმა არ ამოუღია და ვერ მოითმინა, რომ მასაც სხვებთან ერთად არ ეოხუნჯნა.

— სწორედ ის გახლავართ, ბატონო, — უპასუხა მოხუცმა ანტიკური სიმშვიდით და გავიდა.

— ეგეც შენ!

— დაგვხოცა!

— პა-პა-პა!

— ოჰ!

— აჰ!

— ვახ-ვახ!

— ეჰ, სასაცილო მოხუცი!

— ტრალა ლა, ტრალა ლა!

— ჩავარდი!

— ბატონო დეროშ, წარმოდგენას მუქთად დაესწრებით,—უთხრა იურემ მეოთხე გადამწერს და მხარზე ხელი ისე მაგრა დაჰკრა, რომ ასეთი დაკვრა მარტორქასაც წააქცევდა.

ეს იყო ყვირილის, სიცილის და წამოძახილების ნიაღვარი, რომლის გამოსახატავადაც ენის ყველა ხმაბაძვითი სიტყვის დახარჯვა დაგვჭირდებოდა.

— რომელ თეატრში წავიდეთ?

— ოპერაში! — წამოიძახა უფროსმა საქმისმწარმოებელმა.

— უწინარეს ყოვლისა, — სთქვა გოდეშალმა, — თეატრი არ განგვისაზ-

ღვრავს. თუ მოვისურვებ, შემიძლიან ქალბატონ საკის[1]) ცეკვის საბახავად წაგიყვანოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქალბატონი საკი წარმოდგენა არ არის.

— რა არის წარმოდგენა? — სთქვა გოდეშალმა. — უწინარეს ყოვლისა საქმის ფაქტიური მხარე დავადგინოთ, რაზე დავნაძლევდით? წარმოდგენაზე. რა არის წარმოდგენა? ეს არის რაღაც, რასაც უცქერენ...

— მაგრამ ასეთი მსჯელობით სანაძლეოს გადახდილად ჩასთვლით, თუ ახალი ხიდის ქვეშ წყლის დენის სამზერად წაგვიყვანთ? — ლაპარაკი შეაწყვეტინა სიმონენმა.

— რის ცქერაშიც ფულს იხდიან, — განაგრძო გოდეშალმა.

— ფულს იხდიან ისეთ რამის ცქერაშიც, რაც წარმოდგენა არ არის. განსაზღვრა ზუსტი არ არის, — სთქვა დეროშმა.

— ერთი გამიგონეთ!

— აბდა-უბდას ედებით, ჩემო კარგო, — უთხრა ბუკარმა.

— კურტიუსი სპექტაკლია? — იკითხა გოდეშალმა.

— არა, — უპასუხა უფროსმა საქმისმწარმოებელმა, — ფიგურათა მუზეუმია.

— მე სანაძლეოს ვდებ ას ფრანკს ერთი სუს წინააღმდეგ, — განაგრძო გოდეშალმა, — რომ კურტიუსის მუზეუმი წარმოადგენს ნივთთა ერთობლიობას, რომელსაც სპექტაკლის სახელი აქვს მიკუთვნებული. ის გვაჩვენებს ერთ სანახაობას სხვადასხვა ფასად იმისდა მიხედვით, თუ დაჯდომას სად მოისურვებ.

— სუსტია, — სთქვა სიმონენმა.

— მიფრთხილდი, თორემ სილას გაგაწნავ, — უთხრა გოდეშალმა.

გადამწერებმა მხრები აიჩეჩეს.

— ამასთან ჯერ დამტკიცებული არ არის, რომ ამ ბებერმა მაიმუნმა ჩვენ მასხარად არ აგვიგდო, — სთქვა მან და შესწყვიტა თავისი დასაბუთება, რადგან გადამწერების ხარხარში არაფერი ესმოდა. — სინდბსს ქვეშ რომ ვთქვათ, პოლკოვნიკი შაბერი დიდი ხანია გარდაიცვალა, მისი ცოლი მეორედ გათხოვდა, მეფის მრჩეველს გრაფ ფეროდს გაჰყვა. ქალბატონი ფეროდი ჩვენი ერთი საუკეთესო კლიენტთაგანია!

— საქმის გარჩევა ხვალისათვის გადაიდება, — სთქვა ბუკარმა. — ბატონებო, საქმეს შევუდგეთ. რა ჯანდაბაა! არაფერს არ აკეთებთ. დაასრულეთ თნოვნის შედგენა, მეოთხე დარბაზში სხდომის დაწყებამდე უნდა გადავცეთ. საქმე დღეს ირჩევა, აბა, ყოჩაღად შევუდგეთ!

— ის რომ პოლკოვნიკი შაბერი ყოფილიყო, განა ამ მასხარა სიმონენს, რომელმაც თავი მოიყრუა, პანღურს არ ამოჰკრავდა? — სთქვა დეროშმა, რომელიც ამ საბუთს უფრო დამაჯერებლად სთვლიდა, ვიდრე გოდეშალისას.

— რადგან ვერაფერი გადავწყვიტეთ, — განაგრძო ბუკარმა, — ასე მოვრიგდეთ: წავიდეთ მეორე იარუსზე „ნერონში“ დრამა „ტალმის“ საყურებლად. სიმონენი ბარტერში დაჯდეს.

სთქვა ესა და უფროსი საქმისმწარმოებელი ისევ თავის მაგიდას მიუჯდა, სხვებმაც მას მიბაძეს.

---

[1]) საკი — თავის დროზე ცნობილი მოცეკვავე.

„ათას რვაას თოთხმეტი წლის ივნისში გამოცემული“, — დასწერეთ სიტყვებით, — სთქვა გოდეშალმა. — მორჩით?

— დიაღ, — უპასუხა სამმა გადამწერმა, რომელთა კალმებმა ღერბიან ქაღალდზე ისეთი პრიწინი ასტეხეს, როგორსაც მოწაფეების მიერ ქაღალდის პარკებში ჩამწყვდეული აი ცოფის ჭია ვერ ასტეხდა.

„ჩვენ იმედი გვაქვს, ბატონნი მოსამართლენი...“ — სთქვა იმპროვიზატორმა. — შესდექით! წინადადება უნდა გადავიკითხო, თორემ მე თვითონ არაფერი გამეგება.

— ორმოცდაექვსი... (ეს ხშირად ხდება!..) და სამჯერ ორმოცდაცხრა...— სთქვა ბუკარმა.

„ჩვენ ვიმედოვნებთ“, — ფრაზის მთლიანად გადაკითხვის შემდეგ განაგრძო გოდეშალმა, — „რომ სასამართლოს შემადგენლობაში შემავალი ბატონები იქნებიან ამ ბრძანებულების უავგუსტოეს ავტორზე არანაკლებად ღრმად გამსჭვრეტნი, განმარტავენ რა კანონს ფართო მნიშვნელობით, რაც ჩვენ მიერ აქვეა დადგენილი“...

— ბატონო გოდეშალ, ჭიქა წყალს ხომ არ მიირთმევთ? — ჰკითხა პატარა შიკრიკმა.

— რა ხუმარაა ეს სიმონენი! — სთქვა ბუკარმა. — გესმის, შეჰკაზმე შენი ლანჩებიანი ცხენები და ეს პაკეტი ინვალიდების სახლში ცეკვა-ცეკვით წაიღე.

„რაც ჩვენ მიერ აქვეა დადგენილი“, — განაგრძო გოდეშალმა.

— დაუმატეთ:

„ქალბატონ (დასწერეთ შეუმოკლებლად) ვიკონტეს დე გრანდიეს სასარგებლოდ“...

— როგორ! — წამოიძახა უფროსმა საქმისმწარმოებელმა: — თქვენ განგიზრახავთ ვიკონტეს დე გრანდიეს საქმის გამო საპატიო ლეგიონის ორდენის წინააღმდეგ თხოვნის მიცემა? ეს საქმე დაგვავალეს და ჩვენი კანცელარიის ხარჯზე უნდა ვაწარმოოთ. ეჰ! ყოყოჩა სულელი ხართ! კეთილი ინებეთ, გადასდეთ ეს პირები და შავად ნაწერი, ყველაფერი ეს შემინახეთ ნავარენის საქმისათვის სამადლო დაწესებულებათა წინააღმდეგ. გვიანაა, ერთ პატარა თხოვნას შევადგენ, აი ასეთს: „მივიღე რა მხედველობაში“ და მე თვითონ გავსწევ სასამართლოსკენ...

ეს სურათია ერთ-ერთი იმ უამრავი გართობისა, რომელიც ჩვენი ახალგაზრდობის მოგონებისას გვათქმევინებს: რა კარგი დრო იყო.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც პოლკოვნიკ შაბერის სახელის მატარებელმა სენის დეპარტამენტის პირველი ინსტანციის სასამართლოს ნაფიცი ვექილის ბატონ დერვილის კარი დააკაკუნა. მეკარემ უპასუხა, ბატონი დერვილი ჯერ არ დაბრუნებულაო. მოხუცმა განაცხადა, დაბარებული ვარო და ავიდა ცნობილ სამართლის მცოდნესთან, რომელიც თუმცა ახალგაზრდა იყო, მაგრამ სასამართლოში ერთ-ერთ უნიჭიერეს პირად ითვლებოდა. ზარის დარეკის შემდეგ მიუნდობელი მთხოვნელი ძალიან გაკვირვებული დარჩა, როდესაც დაინახა, რომ უფროსი საქმისმწარმოებელი ვექილის სასადილო ოთახის მაგიდაზე საქმეთა აუარებელ ყდებს აწესრიგებდა ხვალისათვის. არანაკლებ გაკვირვებული საქმისმწარმოებელი პოლკოვნიკს მიესალმა და სთხოვა, დაბრძანდითო. იგი დაჯდა.

— უნდა მოგახსენოთ, მეგონა, ხუმრობდით, მიღების დრო ასე გვიან რომ დამინიშნეთ, — სთქვა მოხუცმა გაკოტრებული კაცის ნაძალადევი ღიმილით.

— გადამწერნი ხუმრობდნენ და სიმართლესაც ამბობდნენ, — უპასუხა უფროსმა საქმისმწარმოებელმა და მუშაობა განაგრძო, — ბატონ დერვილს ეს დრო აქვს ამორჩეული საქმეების გასაცნობად, მათ წარსამართავად, საშუალებების დასადგენად და დაცვის გასანაწილებლად. მისი გასაოცარი გონება ამ დროს თავისუფალია. ასეთ ჟამს ჰპოებს იგი სიწყნარესა და სიმშვიდეს, რაც საღ აზროვნებას ხელს უწყობს. რაც ის ნაფიც ვექილად არის, თქვენ მესამე ხართ, რომელიც ღამით ღებულობს კონსულტაციას. ბატონი დერვილი რომ დაბრუნდება, ყოველ საქმეს განიხილავს, ყველას წაიკითხავს. მუშაობას შეიძლება ოთხი ან ხუთი საათი მოანდომოს. მერე მე დამირეკს და დავალებებს მომცემს. დილით, ათი საათიდან ორ საათამდე, იგი თავის კლიენტებს უსმენს, მერე დანარჩენ დროს სხვადასხვა პირთან შესახვედრად იყენებს. საღამოს საზოგადოებაში ტრიალებს, მას რომ არ მოსწყდეს. მაშასადამე, მხოლოდ ღამე რჩება საქმეების შესასწავლად, კოდექსის საჩხრეკად და ბრძოლის გეგმების შესადგენად. მას არც ერთი პროცესის წაგება არა სურს, თავისი ხელოვნება უყვარს. იგი თავისი ამხანაგებივით ყოველგვარ საქმეს ხელს არ ჰკიდებს. აი მისი ცხოვრება, რომელიც არაჩვეულებრივად აქტიურია. ამიტომ ის ბევრ ფულს შოულობს.

მოხუცი ამ ახსნის მოსმენისას ისე სდუმდა და მის უცნაურ სახეს ისეთი უაზრო გამომეტყველება ჰქონდა, რომ საქმისმწარმოებელმა, როგორც კი შენიშნა ეს, მყისვე თავი მიანება. ცოტა ხნის შემდეგ დერვილი მოვიდა, საბალო კოსტუმში გამოწყობილი. უფროსმა საქმისმწარმოებელმა კარი გაუღო და საქმეების დალაგება განაგრძო. ახალგაზრდა ვექილი ერთ წამს გაოცდა, ბინდ-ბუნდში მისი მომლოდინე იშვიათი კლიენტი რომ დაინახა. პოლკოვნიკი შაბერი ისე უძრავად იჯდა, როგორიც შეიძლება ყოფილიყო სანთლის სხეული კურტიუსის მუზეუმში, სადაც გოდეშალს თავისი ამხანაგების წაყვანა სურდა. ეს გაშეშება შეიძლება, გაკვირვების საგნად არ ეამხდარიყო, რომ იგი ამ პიროვნების ზებუნებრივ სანახაობას არ გაეძლიერებინა.

მოხუცი ჯარისკაცი გამხდარი და ხმელი იყო. გლუვი პარიკის თმით განზრახ დაფარული შუბლი მას რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევდა. თვალები თითქოს გამსჭვირვალე ლიბრით ჰქონდა დაფარული: იტყოდით, ბინძური სადაფიაო, რომლის მოლურჯო ანარეკლი სანთლების შუქზე ფერს იცვლიდა. მისი ფერმკრთალი, გალურჯებული და გაბრტყელებული სახე მკვდრისას ჰგავდა. ყელზე შავი აბრეშუმის უვარგისი ყელსახვევი ჰქონდა შემოხვეული. ამ ჩვრით გავლებულ მუქ ხაზს ქვემოთ ჩრდილი მთელ ტანს ისე უფარავდა, რომ ფანტაზიის მქონე კაცი ამ მოხუცებულის თავს რაღაც შემთხვევითს სილუეტად ან რემბრანდტის უჩარჩო სურათად მიიღებდა. ქუდი შუბლს უფარავდა. ქუდის ფარფლებს სახის ზედა ნაწილზე შავი კვალი გაევლოთ. ფერთა ეს უცნაური, თუმცა ბუნებრივი განლაგება კონტრასტობით უფრო მკაფიოდ აჩენდა თეთრ ნაოჭებს, ცივ ღარებს, ამ მკვდრული სახის უფერულ გამომეტყველებას. ბოლოს, ყოველგვარ მოძრაობას მოკლებული სხეული და ცეცხლჩამქრალი თვალები შეეხამებოდნენ სევდიანობის სიგიჟის რაღაც გამომეტყველებას, დამამცირებელ სიმპტომებს, რომლებიც იდიოტიზმის დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ. და ყვე-

ლაფერი ეს მის გარეგნობას ისეთ დაღვრემილ შესახედაობას ანიჭებდა, რომ მისი გამოხატვა ადამიანის სიტყვას არ შეუძლიან, მაგრამ დაღვრემილი თვალი, განსაკუთრებით ნაფიცი ვექილისა, ამ განადგურებულ ადამიანში იპოვნიდა ღრმა ტანჯვის ნიშნებს, იმ უბედურების დაღს, რომელსაც მისი სახე ისე დაუზიანებია, როგორც წვიმის წვეთების ხანგრძლივ ვარდნას მშვენიერი მარმარილოს დაზიანება შეუძლიან. ამ უდიდესი საშინელების ნახვით ექიმი, მწერალი, მსაჯული მთელ დრამას იგრძნობდა. ამ საშინელების ოდნავი დამსახურება ის იყო, რომ იგი ჰგავდა ფანტასტიკურ სურათებს, რომლებსაც მხატვრები მეგობრებთან საუბრის დროს თავის გასართობად ლითოგრაფიულ ქვაზე ხატავენ.

ნაფიცი ვექილის დანახვაზე უცნობი კრუნჩხვისებური მოძრაობის გამო ათრთოლდა. ასე მოსდით ღრმა ოცნებაში ჩაფლულ პოეტებს, როდესაც ღამის სიჩუმეში მოულოდნელი ხმაურობა გამოარკვევს მათ. მოხუცმა სწრაფად მოიხადა ქუდი და წამოდგა, ახალგაზრდა კაცს რომ მისალმებოდა. ტყავი, რომელიც მის ქუდს შიგნიდან ჰქონდა გამოფენილი, ალბათ, ძალიან გაქონილი იყო, რადგან შაბერის პარიკი ზედ მიკრული დარჩა. მოხუცს ეს არც-კი შეუნიშნავს, და მას გარდი-გარდმო ჭრილობით საშინლად დასახიჩრებული გატიტვლებული თავის ქალა გამოუჩნდა. ჭრილობა კეფიდან დაწყებული მარჯვენა თვალამდე აღწევდა და მთელს სიგრძეზე მსხვილ ამოზნექილ ნაწიბურად ედებოდა. ამ გაჩეხილი თავის ქალის დანახვა იმდენად საშინელი იყო, რომ კანონის მცოდნეებს გაცინების სურვილიც-კი არ აღძვრიათ, როდესაც მოხუცს თავისი ჭრილობის დასამალავად გათვალისწინებული ეს ბინძური პარიკი უეცრად თავიდან ასძვრა. ჭკუა აქედან გაჰპარვიათ, ასეთი აზრი გაუელვებდა ადამიანს ამ ჭრილობის დანახვაზე.

„თუ პოლკოვნიკი შაბერი არ არის, ეს ვაჟკაცი მხედარი უნდა იყოს“, — გაიფიქრა ბუკარმა.

— ბატონო, — ჰკითხა დერვილმა, — ვინა ბრძანდებით?

— პოლკოვნიკი შაბერი.

— რომელი?

— ის, ვინც ეილაუში მოჰკლეს, — უპასუხა მოხუცმა.

ამ უცნაური პასუხის გაგონებაზე საქმისმწარმოებელმა და ნაფიცმა ვექილმა გაკვირვებით შეხედეს, გიჟი ხომ არ არისო.

— ბატონო, — განაგრძო პოლკოვნიკმა, — მე ვისურვებდი, მხოლოდ თქვენთვის გამენდო საიდუმლოდ ჩემი მდგომარეობა.

აქ აღსანიშნავია ნაფიცი ვექილებისთვის ბუნებრივი თვისება — უშიშროება, რაც იმ ჩვეულების შედეგია, რომ ვექილები აუარებელ ხალხს იღებენ, ან იმისა, რომ ღრმად გრძნობენ კანონით მათთვის მინიჭებულ მფარველობას, ან კიდევ იმისა, რომ თავიანთ თანამდებობას პატივით ეპყრობიან. ნაფიცი ვექილები ყველგან უშიშრად შედიან, როგორც მღვდლები და ექიმები. დერვილმა ბუკარს ანიშნა, და იგი გავიდა.

— ბატონო, — სთქვა ნაფიცმა ვექილმა, — დღის განმავლობაში ჩემი დროის მიმართ სიძუნწეს არ ვიჩენ, ღამით-კი ყოველი წუთი ჩემთვის ძვირფასია, ამიტომ ამბავი მომიყევით მოკლედ და გაუზვიადებლად. საქმეს არ გადაუხვიოთ. შეკითხვებს განმარტებისათვის მე თვითონ მოგცემთ, თუ საჭიროდ დავინახავ. დაიწყეთ.

ახალგაზრდა კაცმა თავისი უცნაური კლიენტი დასვა და თვითონაც მაგიდას მიუჯდა. განსვენებული პოლკოვნიკის ლაპარაკს იგი ყურადღებით ისმენდა, თან საქმეებს ფურცლავდა.

— ბატონო, — სთქვა მიცვალებულმა, — თქვენ იქნებ იცით, რომ მე ეილაუში კავალერიის პოლკს ვმეთაურობდი. მიურატის იმ შესანიშნავ იერიშში, რომელმაც ჩვენ გამარჯვება მოგვიტანა, მეც მცირე დამსახურება არ მიმიძღვის. ჩემდა საუბედუროდ, ჩემი სიკვდილი ისტორიული ფაქტია, რომელიც გამოცხადებულია „გამარჯვებასა და დაპყრობაში". ეს ამბავი დაწვრილებით არის აღწერილი. ჩვენ, რუსების სამი ხაზი გავარღვიეთ. მათ მაშინვე შეჰკრეს ხაზები და გვაიძულეს უკანვე დავხეულიყავით. იმ წუთში, როდესაც იმპერატორისკენ ვბრუნდებოდით, გარშემო რუსებს ვკაფავდით, მტრის კავალერიის რაზმს შევეჩეხე. მე ამ ჯიუტებისაკენ გავექანე. ორმა რუსმა ოფიცერმა, ნამდვილმა გოლიათმა, ერთსა და იმავე დროს მოიტანა ჩემზე იერიში. ერთმა მათგანმა თავში ისე მაგრა დამკრა ხმალი, რომ გაუპრელი არაფერი დამიტოვა, აბრეშუმის ჩაჩიც-კი, და თავის ქალა ღრმად გამიპო. ცხენიდან ჩამოვვარდი, ჩემს მოსაშველებლად მიურატი გამოეშურა. მისმა ცხენმა და მთელმა კავალერიამ გადამთელეს. ათასხუთასმა კაცმა, არც მეტმა არც ნაკლებმა. ჩემი სიკვდილი იმპერატორს აცნობეს, მან სიფრთხილე გამოიჩინა და მოისურვა გაგება (მე ჩემს პატრონს ოდნავ ვუყვარდი), როგორმე ხომ არ შეიძლება იმ ადამიანის გადარჩენა, რომელმაც მტერზე ასეთი ძლიერი იერიში მიიტანაო. ჩემს მოსანახავად და ჰოსპიტალში გადასაყვანად ორი ჭირურგი გამოეგზავნათ. და შეიძლება მეტად დაუდევრად, რადგან არ ეცალა, უთხრა დოსტაქრებს; წადით, ნახეთ, ჩვენს საწყალ შაბერს იქნებ შემთხვევით სული შერჩაო. იმ წყეულმა ექიმბაშებმა, რომლებმაც დაინახეს, როგორ გადამთელეს ორი პოლკის ცხენებმა, თავი აღარ შეიწუხეს ჩემი მაჯის გასასინჯად და სთქვეს, ალბათ, მკვდარიაო. ამნაირად, აქტი ჩემი სიკვდილის შესახებ შედგენილ იქნა, ალბათ, სამხედრო კანონებით დადგენილი წესების შესაბამისად.

ნაფიცი ვექილი უსმენდა, როგორ ნათლად გამოსთქვამდა კლიენტი აზრებს და როგორ ჰყვებოდა ღასაჯერებელ, თუმცა უცნაურ ფაქტებს. მან საქმეებს თავი მიანება, მარცხენა იდაყვი მაგიდაზე ჩამოსდო, თავი ხელს დააყრდნო და პოლკოვნიკს თვალები მიაპყრო.

— ბატონო, იცით თუ არა, — შეაწყვეტინა მან სიტყვა, — რომ მე პოლკოვნიკ შაბერის ქვრივის გრაფ ფეროდის მეუღლის ვექილი გახლავართ?

— ჩემძ ცოლისა. დიაღ, ბატონო, ვიცი. მართმსაჯულების ხალხს ასჯერ მაინც რომ მივმართე და მათ გიჟად ჩამთვალეს, მაშინ მე თქვენი ნახვა გადავწყვიტე. მერე გიამბობთ, რაც გადამხდა, ეხლა-კი ნება მომეცით ფაქტები დავადგინო. გადმოგცემთ არა იმას, რაც ნამდვილად მოხდა, არამედ იმას, რაც შეიძლება მომხდარიყო. ზოგიერთი გარემოება, რომელიც მხოლოდ მამა ზეციერმა უწყის, მაიძულებს ბევრი რამ წარმოვიდგინო, როგორც ჰიპოტეზა. ასე, ბატონო, ჩემ მიერ მიღებულმა ჭრილობებმა გამოიწვიეს, ალბათ, გაშეშება, ან ჩამაყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომელიც ჰგავს კატალეპსიად წოდებულ ავადმყოფობას. სხვანაირად აბა როგორ უნდა ავხსნა, რომ მე მესაფლავეებმა ომის ჩვეულების მიხედვით ტანთგახდილი ჩამაგდეს ძმათა სასაფლაოში? აქ ნება მომეცით, ერთი შემთხვევა გავიხსენო, რის გაგებაც იმ ამბის შემდეგ შევძელი, რომელსაც ჩემი გარ-

ᲪᲐᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲬᲝᲓᲝᲡ. 1814 ᲬᲔᲚᲡ ᲨᲢᲣᲢᲰᲐᲠᲢᲨᲘ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲝᲚᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲣᲜᲢᲔᲠ-ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲡ. ᲐᲛ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲛᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲗᲚᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲪ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲑᲘᲗ, ᲐᲛᲘᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲔ ᲓᲐᲕᲒᲠᲘᲚᲕᲐᲠ, ᲩᲔᲛ ᲪᲮᲔᲜᲡ ᲤᲔᲠᲓᲛᲘ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲐ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ, ᲪᲮᲔᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲘ ᲩᲐᲕᲙᲔᲪᲘᲚᲕᲐᲠᲗ. ᲠᲝᲪᲐ ᲓᲐᲕᲪᲔᲛᲣᲚᲕᲐᲠ, ᲐᲠ ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲐ ᲗᲣ ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲢᲐᲜᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲐᲕᲐᲠ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲠᲩᲔᲜᲘᲚᲕᲐᲠ. ᲐᲠᲪ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲣᲭᲚᲔᲢᲘᲕᲐᲠ, ᲐᲠᲪ ᲧᲣᲛᲑᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲮᲕᲔᲓᲠᲘᲐ. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲒᲝᲜᲡ ᲛᲝᲕᲔᲓᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲩᲔᲛᲝ, ᲛᲔ ᲘᲡᲔᲗ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲔᲜᲗ, ᲮᲕᲐᲚᲐᲛᲓᲔᲪ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲐᲛᲑᲝᲗ. ᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲰᲐᲔᲠᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲕᲘᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲓᲘ, ᲛᲧᲠᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲒᲐᲜᲫᲠᲔᲕᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲥᲐᲜ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲐᲞᲝᲣᲚᲝᲑᲓᲘ.

ᲗᲕᲐᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲐᲮᲘᲚᲔ, ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ, ᲰᲐᲔᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲝᲑᲐ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲡ ᲛᲘᲛᲖᲐᲓᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲘᲜᲐ. ᲛᲘᲕᲮᲕᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲰᲐᲔᲠᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔ ᲛᲝᲕᲙᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲒᲜᲔᲑᲐᲛ ᲓᲐᲛᲐᲕᲘᲬᲧᲐ ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲚᲕᲘᲫᲐ. ᲧᲣᲠᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲐᲓ ᲛᲘᲬᲘᲕᲝᲓᲜᲔᲜ. ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔ ᲐᲜ ᲛᲝᲛᲔᲩᲕᲔᲜᲐ, — ᲐᲠ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲕᲐᲛᲢᲙᲘᲪᲝ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔ, — ᲛᲙᲕᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲕᲜᲔᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡᲐᲪ ᲛᲔ ᲕᲘᲬᲔᲥᲘ. ᲗᲣᲛᲪᲐ ᲘᲡ ᲬᲣᲗᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲣᲜᲓᲝᲕᲐᲜᲐᲓ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, — ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲛᲐᲝᲓ ᲨᲔᲛᲔᲚᲐᲮᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲣᲤᲠᲝᲓ ᲦᲠᲛᲐ ᲓᲐ ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲠᲔᲕᲘ ᲢᲐᲜᲯᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲢᲐᲜᲐ ᲛᲝᲛᲘᲮᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲦᲐᲛᲔᲔᲑᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲒᲝᲜᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲓᲐᲮᲣᲚᲘ ᲙᲕᲜᲔᲡᲐ ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲧᲝ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲐᲛ ᲙᲕᲜᲔᲡᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲐᲨᲘᲜᲚᲔᲚᲘ, — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲡᲐᲪ ᲐᲠᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲕᲐᲠ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘ ᲡᲘᲩᲣᲛᲔ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲛᲝᲕᲬᲘᲔ, ᲛᲙᲕᲓᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲡᲘᲜᲯᲔ, ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔ ᲩᲔᲛ ᲗᲐᲕᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ ᲤᲔᲜᲐᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ. ᲐᲛᲜᲐᲘᲠᲐᲓ, ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲔᲖᲝᲛᲐ ᲘᲡ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲘᲢᲝᲕᲔᲑᲘᲜᲐᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲝᲑᲓᲐ, ᲓᲐᲣᲓᲔᲕᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲜ ᲡᲘᲩᲥᲐᲠᲘᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲠᲔᲣᲚ-ᲓᲐᲠᲔᲣᲚᲐᲓ ᲩᲐᲕᲣᲧᲠᲘᲕᲐᲠᲗ. ᲝᲠᲘ ᲒᲕᲐᲛᲘ ᲩᲔᲛ ᲖᲔᲛᲝᲗ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲘᲑᲯᲔᲜᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲙᲣᲗᲮᲔ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲝᲗ ᲘᲛ ᲝᲠᲘ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝ ᲭᲐᲚᲐᲚᲓᲘᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲖᲔ ᲛᲘᲧᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲑᲐᲯᲕᲨᲘ ᲮᲣᲮᲣᲚᲐᲡ ᲡᲐᲫᲘᲠᲙᲕᲔᲚᲡ ᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ. ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲗᲣᲠᲘ ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲕᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲝᲓᲐ. ᲩᲔᲛᲓᲐ ᲡᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲔᲠᲗ ᲬᲔᲚᲡ ᲬᲐᲕᲐᲬᲧᲓᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲭᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ, ᲰᲔᲠᲙᲣᲚᲔᲡᲘᲡ ᲮᲔᲚᲡ, ᲖᲝᲠᲑᲐ ᲫᲕᲐᲚᲡ. ᲩᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲛᲐᲡ ᲕᲣᲛᲐᲓᲚᲘ. ᲐᲛ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲓᲐᲕᲘᲚᲣᲞᲔᲑᲝᲓᲘ. ᲪᲝᲤᲘᲐᲜᲘᲕᲘᲗ ᲨᲔᲕᲣᲓᲔᲥᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲛᲝᲛᲫᲕᲠᲐᲚᲘᲧᲐᲕ ᲘᲛ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲓᲐᲧᲠᲘᲚ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲔᲜᲐᲡ ᲒᲕᲐᲨᲝᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲕᲗᲥᲕᲘ — „ᲩᲕᲔᲜ“-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲘᲥ ᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲜ. ᲨᲔᲣᲞᲝᲕᲠᲐᲓ ᲕᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲘ, ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲓᲐ ᲐᲘ ᲔᲮᲚᲐ ᲐᲥᲐ ᲕᲐᲠ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲕᲫᲔᲚᲘ ᲒᲕᲐᲛᲗᲐ ᲘᲛ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲣᲐ ᲯᲔᲑᲘᲠᲐᲓ ᲐᲦᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘᲧᲝ. ᲗᲥᲕᲔᲜ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲡᲐᲛᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ. ᲔᲡ ᲑᲔᲠᲙᲔᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲐᲠᲓᲐᲓ ᲕᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲘ, ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲐᲬᲕᲓᲘᲓᲐ ᲘᲛ ᲪᲝᲢᲐᲝᲓᲔᲜ ᲰᲐᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲔᲛ ᲛᲘᲔᲠ ᲫᲘᲛᲝᲬᲔᲣᲚ ᲒᲕᲐᲛᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲘᲠᲗᲕᲔᲑᲝᲓᲐ. ᲩᲔᲛ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲐᲡ ᲐᲡᲔ ᲕᲐᲬᲔᲡᲠᲘᲒᲔᲑᲓᲘ. ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲩᲔᲛᲝ ᲑᲐᲢᲝᲜᲝ, ᲓᲐᲕᲘᲜᲐᲮᲔ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ ᲗᲝᲕᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲛᲝᲥᲪᲔᲣᲚᲛᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲐ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲚᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ, ᲡᲐᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲝᲓ, ᲩᲔᲛᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ

ჩემი ცხენის უსიცოცხლო კანი, — აბა რა ვიცი! — შედედებული, ალბათ, ბუნებრივ სალბუნად დამედო. თუმცა ჩემ ჭრილობას ქერქი ეფარა, [illegible] ბაგეებმ, როდესაც თავი თოვლს შეეხო, გული წამივიდა. იმ მცირე [illegible] ლიც შემრჩენოდა, ჩემ გარშემო თოვლი გაადნო. გონს რომ მოვედი, პატარა ხვრეტილის შუა გულში ვიყავი, საიდანაც იმდენი ვიყვირე, რამდენიც შემეძლო. თენდებოდა, და საეჭვო იყო, რომ ვინმეს ხმას ძივაწვდენდი. ჯერ ხალხი მინდორში გამოსული არ იქნებოდა. რესორებივით ფეხებით წელმაგარ მიცვალებულებს დავებჯინე და წამოვიწიე. თქვენთვის გასაგებია, რომ ბაშინ შესაფერი დრო არა მქონდა მეთქვა მათთვის: „პატივი დასდეთ უბედურთა გულადობასო“. მოკლედ, ბატონო, დიდი ტანჯვა განვიცადე, თუ ამ სიტყვას შეუძლიან გამოხატოს ჩემი გაშმაგება, გამოწვეული იმით, რომ დიდხანს ვხედავდი, — ოჰ, დიაღ, დიდხანს! — იმ წყეულ გერმანელებს, რომლებიც გარბოდნენ იმის გამო, რომ ხმა ისეთი ადგილიდან ესმოდათ, სადაც ადამიანს ვერა ხედავდნენ.

ბოლოს ქალმა მომაგნო. იგი იმდენად გაბედული ან იმდენად ცნობისმოყვარე გამოდგა, რომ ბიწიდან სოკოსავით ამოსულ ჩემ თავთან მოვიდა. მან თავის ქმარს დაუძახა და ცოლ-ქმარმა თავის ღარიბ ბინაზე გადამიყვანა. მე, ალბათ, ისევ კატალეპსია დამემართა. ნება მიბოძეთ, ეს სიტყვა ვიხმარო, რათა დაგისატოთ ის მდგომარეობა, რომლის შესახებაც არაფერი ვიცი, გარდა იმისა, რაც მასპინძლებმა გადმომცეს. მათი ნათქვამის მიხედვითკი ეს ავადმყოფობა უნდა ყოფილიყო. ექვსი თვის განმავლობაში სიკვდილს ვებრძოდი. ვერ ვლაპარაკობდი, თუ რამეს ვიტყოდი, ბოდვა იყო. ბოლოს, ჩემმა მასპინძლებმა ჰეილსბერგის ჰოსპიტალში მომათავსეს. წარმოიდგინეთ, ბატონო, რომ ორმოს მუცლიდან დედაშობილად გამოვედი. ასე რომ ექვსი თვის შემდეგ, როდესაც ერთ მშვენიერ დილას გავიხსენე, რომ მე პოლკოვნიკი შაბერი ვიყავი, და გონს მოსულმა მოვისურვე, რომ ჩემს მიმართ მეტი პატივისცემა გამოეხატათ, ვიდრე ჩემისთანა ოხერტიალის მიმართ ჩენდნენ, პალატის ყველა ამხანაგმა სიცილი დამაყარა. ჩემდა საბედნიეროდ, დოსტაქარი, რომლისთვისაც ჩემი განკურნება თავმოყვარეობის საკითხი იყო, ცხადია, დაინტერესდა თავისი ავადმყოფით. როდესაც მას დაწვრილებით მოვუყევი ჩემი ძველი ცხოვრების შესახებ, ამ შესანიშნავმა ადამიანმა, გვარად შბარხმანმა, თავისი ქვეყნის კანონის იურიდიული წესების დაცვით დაადგინა ის სასწაულებრივი ამბავი: როგორ ამოვძვერი მკვდრების ორმოდან, ის დღე და საათი, რომელიც ჩემმა კეთილისმყოფელმა ქალმა და მისმა ქმარმა მიბოძეს, ჭრილობების ხასიათი და ზუსტი განლაგება. ამ ოქმებს თან დაურთო ჩემი პიროვნების აღწერა. და აი, ბატონო, ჩემ ხელთ არ არის არც ეს მნიშვნელოვანი საბუთები, არც ის განცხადება, რომელიც ჰეილსბერგის ნოტარიუს მივეცი ჩემი იგივეობის დასადგენად.

იმ დღიდან, რაც მე ომის ამბებმა ამ ქალაქიდან გამიყვანეს, განუწყვეტლად დავეხეტებოდი, როგორც მაწანწალა, თავს მათხოვრობით ვირჩენდი. მე გიჟად მთვლიდნენ, როდესაც ჩემ თავგადასავალს ვყვებოდი. და ვერც მუშაობით, ვერც სესხად ვერ ვიშოვნე ცოტაოდენი ფული, რომ ხელთ მეგდო ის საბუთები, რომლებიც ჩემ ნათქვამს დაადასტურებდნენ და მე საზოგადოებაში საცხოვრებლად დამაბრუნებდნენ. ხშირად ჩემი ავადმყოფობის გამო ნახევარწლობით პატარა ქალაქებში ვრჩებოდი, სადაც ავადმყო-

ფი ფრანგისათვის ზრუნავდნენ, მაგრამ სადაც მას პირში დასცინოდნენ, როგორც კი იგი პოლკოვნიკ შაბერობას დაიჩემებდა. დიდხანს [illegible], ეს უნდობლობა მაცოფებდა, ვნებასაც მაყენებდა, შტუტგარტში [illegible] შიც ჩამკეტეს. მართლაც, ჩემი ამბის შემდეგ შეგიძლიანთ დაასკვნათ, რომ ჩემ დასაპატიმრებლად საკმაო საბუთი ჰქონდათ.

იმის შემდეგ, რაც ძალაუნებურად საპატიმროში ორ წელიწადს ვიჯექი და მცველებისაგან მრავალჯერ მოვისმინე ასეთი სიტყვები „აი საწყალი კაცი, რომელსაც ეგონია, პოლკოვნიკი შაბერი ვარო", რაზედაც უპასუხებდნენ: მართლაც, საწყალია, მე თვითონ დავრწმუნდი, რომ ჩემი თავგადასავალი სიმართლეს არ შეეფერებოდა. მოვიწყინე, ბედს შევურიგდი, დავმშვიდდი და ალარ ვამბობდი, პოლკოვნიკი შაბერი ვარ-მეთქი, რათა ციხისთვის თავი დამელწია და საფრანგეთი კვლავ მენახა. დიაღ, ბატონო, კვლავ მენახა პარიზი! ეს იყო გაშმაგებული აღტაცება, რომელსაც მე ვერ...

ფრაზა ვერ დაამთავრა. პოლკოვნიკი შაბერი ღრმად ჩაფიქრდა. დერვილმა შაბერის მიმართ პატივისცემა იგრძნო.

— ბატონო,—განაგრძო კლიენტმა, — ერთ მშვენიერ დღეს, გაზაფხულის დღეს, გამანთავისუფლეს და ათი ტალერი მომცეს იმიტომ, რომ მე ყველაფერს ძალიან ჭკვიანურად ვლაპარაკობდი და პოლკოვნიკ შაბერობას არ ვიჩემებდი. ვფიცავ, ძაშინ ჩემი გვარის გახსენება უსიამოვნებას მგვრიდა და ზოგჯერ ახლაც მგვრის. მე ვისურვებდი, სხვა ვინმე ვყოფილიყავ. ჩემი უფლებების შეგნება მკლავს. ბედნიერი ვიქნებოდი, რომ ავადმყოფობას ჩემი მეხსიერებიდან ამოეგდო ის, რაც წინათ ვიყავი. სამსახურს ხელახლა დავიწყებდი და, ვინ იცის, ავსტრიასა ან რუსეთში იქნებ ფელდმარშალი გავმხდარიყავი.

— ბატონო, — უთხრა ვექილმა, — გონება სულ ამირიეთ. თქვენს ლაბარაკს რომ ვუსმენ, ასე მგონია, ზმანებაო. მოიღეთ წყალობა, ცოტა ხანს შევისვენოთ.

— თქვენ, — მიუგო პოლკოვნიკმა მოწყენილი სახით: — ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით, რომელიც ასე ყურადღებით მისმენს. არც ერთმა იურისტმა არ მოისურვა ჩემთვის ათი ოქროს მოცემა, რომ გერმანიიდან საჭირო საბუთები გამომეთხოვა...

— რა საბუთები? — სთქვა ვექილმა, რომელსაც თავისი კლიენტის წარსული გაჭირვების მოსმენაში ვისი უმწეო მდგომარეობა გადაავიწყდა.

— მაგრამ, ბატონო, გრაფი ფეროდის ცოლი განა ჩემი მეუღლე არ არის? მას აქვს ოცდათი ათასი ლივრი ჩემი საკუთარი რენტისა და ჩემთვის რაღაც ორი ლიარის მოცემაც-კი არა სურს. როდესაც ასეთ რამეს ვეუბნები ვექილებს, კეთილგონიერ ადამიანებს, როდესაც წინადადებას ვიძლევი მე, მათხოვარი, ძიება აღძრან გრაფისა ან გრაფის მეუღლის წინააღმდეგ, როდესაც აღვსდგები მე, მკვდარი, გარდაცვალების, ქორწინების, დაბადების აქტების წინააღმდეგ, ისინი მაძევებენ იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხასიათი აქვთ, ზოგი ცივი, თავაზიანი გამომეტყველებით, როგორსაც მიიღებენ ხოლმე უბედური ადამიანის თავიდან მოსაშორებლად, ზოგი უხეშად, იმ ადამიანებივით, რომლებსაც ჰგონიათ, ინტრიგანს ან სულელს გადავეყარეთო. მე შკვდრებქვეშ ვიყავი დამარხული, ახლა-კი დამარხული ვარ ცოცხლებქვეშ, საბუთების, ფაქტების ქვეშ, მთელი საზოგადოების ქვეშ, რომელთაც სურთ ისევ მიწაში დამაბრუნონ.

— ინებეთ, ბატონო, და განაგრძეთ, — მიმართა ვექილმა.

— „ინებეთ“, — წამოიძახა უბედურმა მოხუცმა, თან ახალგაზრდა კაცს ხელზე ხელი მოჰკიდა, — აი პირველი თავაზიანი სიტყვა, რომელიც მესმის ბას შემდეგ...

პოლკოვნიკი ატირდა. მადლობის გრძნობამ ხმა ჩაუწყვიტა. ამ გულის სიღრმეში ჩამწვდომმა და გამოუთქმელმა მჭერმეტყველებამ, რომელიც გამოიხატება, გამოხედვაში, ქცევაში, თვით დუმილში, დერვილი სავსებით მოინადირა და გული ძალზე აუჩვილა.

— მომისმინეთ ბატონო, — უთხრა მან თავის კლიენტს, — ამ საღამოს ბანქოს თამაშში სამასი ფრანკი მოვიგე. ამ თანხის ნახევარი შემიძლიან გამოვიყენო ადამიანისთვის ბედნიერების მისანიჭებლად. მე ავდგრავ ძიებას და მივიღებ ზომებს, რომ გიშოვოთ ის საბუთები, რომლებზედაც მელაპარაკეთ. საბუთების მიღებამდე-კი მოგცემთ ყოველდღიურად ას სუს. თუ პოლკოვნიკი შაბერი ბრძანდებით, თქვენ სესხის სიმცირეს აპატიებთ ახალგაზრდა კაცს, რომელიც გზას ახლა იკაფავს. განაგრძეთ.

ეგრეთწოდებული პოლკოვნიკი ერთ წამს გარინდდა. უკიდურესმა მწუხარებამ მას უეჭველად რწმენა გაუქარწყლა. თავის მხედრულ ღირსებას, ჭონებას, თავის თავს რომ დაეძებდა, ეს შეიძლება იმიტომ ხდებოდა, რომ იგი ემორჩილებოდა იმ აუხსნელ გრძნობას, რომლის ჩანასახიც ყოველი ადამიანის გულშია და რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ალქიმიკოსების ძიებას, სახელის მოხვეჭის წყურვილს, ასტრონომიის, ფიზიკის აღმოჩენებს, ყოველივე იმას, რაც ადამიანს ბიძგს აძლევს სრულყოფისათვის დაკვირვებათა და იდეათა გამრავლების გზით... „მე“-ს მის ფიქრებში მხოლოდ მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, ისე, როგორც სანაძლეოს დამდებისათვის გამარჯვება ან მოგების სიხარული უფრო ძვირფასია, ვიდრე თვით სანაძლეო საგანი. ახალგაზრდა ვექილის სიტყვები სასწაულად მიიღო იმ ადამიანმა, რომელსაც ათი წლის განმავლობაში უარჰყოფდა ცოლი, მართლმსაჯულება, მთელი საზოგადოებრივი წყობილება. ვიღაც ვექილთან შოვნა იმ ათი ოქროსი, რაზედაც ამდენი ხნის განმავლობაში მრავალი პიროვნება სხვადასხვანაირად ეუბნებოდა უარს! პოლკოვნიკი ჰგავდა იმ ქალს, რომელსაც თხუთმეტი წლის მანძილზე აციებდა, ხოლო იმ დღეს, როდესაც განიკურნა, ეგონა, სხვა სენით გავხდი ავადო. არის ბედნიერება, რომელიც არა გჯერა, რომელიც მეხივით დაგეცემა და გაგანადგურებს. აი ამიტომ მისი მადლობა იმდენად ძლიერი იყო, რომ გამოთქმა ვერ მოახერხა. დაუკვირვებელი ადამიანი პოლკოვნიკს გულცივ კაცად ჩასთვლიდა, მაგრამ დერვილმა ამ გაშეშებაში შეუბღალავი პატიოსნება ამოიკითხა. თაღლითს ხმის ამოღება არ გაუბედავს.

— რაზე გავჩერდი? — სთქვა პოლკოვნიკმა ბავშვისა ან ჯარისკაცის გულუბრყვილობით, რადგან ნამდვილ ჯარისკაცში ხშირად არის რაღაც ბავშვური, ხოლო ბავშვში თითქმის ყოველთვის არის რაღაც ჯარისკაცური, განსაკუთრებით საფრანგეთში.

— შტუტგარტზე. საპატიმროდან გამოხვედით, — უპასუხა ვექილმა.

— თქვენ იცნობთ ჩემს ცოლს? — ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— დიაღ, ვიცნობ, — უპასუხა დერვილმა თავის დახრით.

— როგორ არის?

— მარად მომხიბლავია.

მოხუცმა ხელი ისე ჩაიქნია, თითქოს რაღაც იდუმალი მწუხარება ჩაიხშო მკაცრი და ზეიმური სიმტკიცით, რომელიც ბრძოლის ველზე [illegible] ცეცხლში გაკაჟებულ ადამიანებს სჩვევიათ.

ბიბლიოთეკა

— ბატონო, — სთქვა მან, თითქოს გ[illegible]ულებულმა, რადგან იგი კვლავ ისუნთქავდა ჰაერს. ეს საწყალი პოლ[illegible]ოვნიკი საფლავს ხელმეორედ აღწევდა თავს. ის-ის იყო გაალხო თოვლი, [illegible] თოვლზე უფრო ძნელად გასადნობი, რომელმაც ოდესღაც მას თავი გაუყინა, და იგი ისუნთქავდა ჰაერს, როგორც საპატიმროდან გამოსული. — ბატონო, — სთქვა მან, — მე რომ ლამაზი ვყოფილიყავი, არც ერთი ჩემი უბედურება თავს არ დამატყდებოდა. ქალები იმ ადამიანებს უყურებენ, რომლებიც თავიანთ ფრაზებს სიტყვა „სიყვარულით“ ავსებენ. მაშინ ქალები დარბიან, ფუსფუსობენ, თავს არ იზოგავენ, ინტრიგანობენ, ფაქტებს ადასტურებენ, ეშმაკსაც გაუამხანაგდებიან იმისათვის, ვინც უყვართ. როგორ შემეძლო ქალის ყურადღება მიმეპყრო? მიცვალებულის სახე მქონდა. მაწანწალასავით ვიყავი ჩაცმული, უფრო ესკიმოსს ვგავდი, ვიდრე ფრანგს, მე, რომელიც ულამაზეს ვაკაცად ვითვლებოდი 1799 წელს, მე, შაბერი, საფრანგეთის იმპერიის გრაფი და ბოლოს, სწორედ იმ დღეს, როდესაც მე ძაღლივით ქვაფენილზე გამომაგდეს, უნტერ-ოფიცერს გადავეყარე, რომელზედაც უკვე გელაპარაკეთ. მისი გვარი ბუტენი იყო. ის საწყალი და მე უმშვენიერეს წყვილ ჯაგლაგს წარმოვადგენდით, როგორიც კი ოდესმე მინახავს. სეირნობის დროს დავინახე და ვიცანი, მან-კი ვერ მიცნო. ერთად წავედით პატარა სამიკიტნოში. როდესაც იქ ჩემი ვინაობა ვუთხარი, ბუტენს ისეთი ხარხარი აღმოხდა, თითქოს ზარბაზანი გასკდაო. მისმა გამხიარულებამ ერთი მრავალთაგანი ჩემი უმძაფრესი მწუხარება გამოიწვია. ამით ჩემთვის გაუზვიადებლად ნათელი გახდა ყველა ის ცვლილება, რაც ჩემში მომხდარიყო. ვერ მიცნო იმანაც-კი, ვინც ყველაზე უფრო თავმდაბალი და ამხანაგებს შორის ყველაზე უფრო ჩემი მადლიერი იყო. ოდესღაც ბუტენი სიკვდილს გადავარჩინე, მაგრამ მანაც სამაგიერო ჯადამიხადა. ვერ გეტყვიან, როგორ გამიწია ეს სამსახური. იტალიაში მოხდა ეს ამბავი, რავენაში. სახლი, სადაც ბუტენმა ხანჯლით განგმირვას გადამარჩინა, მაინცადამაინც წესიერი არ იყო. იმ ხანებში მე ვიყავი არა პოლკოვნიკი, არამედ ბუტენივით უბრალო კავალერისტი. საბედნიეროდ, ეს ამბავი ისეთ წვრილმანებს შეიცავდა, რომლის ცოდნა ჩვენს გარდა არავის შეეძლო. როდესაც ბუტენს ეს ამბავი მოვაგონე, მისი უნდობლობა შემცირდა. მერე მოვუყევი ჩემი უცნაური ცხოვრების შემთხვევები. თუმცა თვალები, ხმა, მისი თქმით, არაჩვეულებრივად შემცვლოდა, თუმცა მე არც თმა, არც კბილები, არც წარბები არა მქონდა, თუმცა ალბინოსივით თეთრი ვიყავი, ბოლოს მრავალი გამოკითხვის შემდეგ, რომლებზედაც გამარჯვებულად ვუპასუხებდი, ბუტენმა მაინთვარში მაინც იცნო თავისი პოლკოვნიკი.

იგი თავის ამბავს მომიყვა, რომელიც ჩემ თავგადასავალზე არანაკლებად უცნაური იყო: ბუტენი ჩინეთის საზღვრებიდან ბრუნდებოდა, რომლის გადალახვაც მოესურვებინა ციმბირიდან გაქცევის შემდეგ. მისგან გავიგე რუსეთის კამპანიის საშინელი მარცხისა და ნაპოლეონის პირველი გადადგომის შესახებ. ამ ახალმა ამბავმა ყველაზე უფრო დიდი ტკივილი მომაყენა. ჩვენ საინტერესო ნამსხვრევები ვიყავით; ჩვენ, რომლებმაც დედამიწის ზურგზე ხანგრძლივად ვიგორავეთ ისე, როგორც აბობოქრებულ ოკეანეში

ნაპირიდან ნაპირამდე ზღვის კენჭები დაგორავენ. ჩვენ ერთად ვიმახულეთ ეგვიპტე, სირია, ესპანეთი, რუსეთი, ჰოლანდია, გერმანია, იტალია, ხალმაცია, ინგლისი, ჩინეთი, თურქესტანი, ციმბირი. ჩვენ მხოლოდ ინდოეთსა და ამერიკაში არა ვყოფილ-ართ. ბოლოს, ჩემზე უფრო მოხერხებულმა ბუტენმა იკისრა, რაც შეიძლება სასწრაფოდ გამგზავრებულიყო პარიზს, რომ ჩემი ცოლისთვის ეცნობებინა, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი. ქალბატონ შაბერს ძალიან ვრცელი წერილი მივწერე. ეს მეოთხე წერილი იყო, ბატონო ჩემო. მშობლები რომ მყოლოდა, ყველაფერი ეს არ შემემთხვევოდა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე მიგდებული ბავშვი ვარ, ჯარისკაცი, რომელსაც მამის მემკვიდრეობად ჰქონდა გულადობა, ოჯახად— მთელი კაცობრიობა, სამშობლოდ — საფრანგეთი და ერთად-ერთ მფარველად მოწყალე ღმერთი. მაგრამ მე ვცდები: ჩემი მამა იმპერატორი იყო. ეჰ, ის რომ აქ იყოს, ძვირფასი ადამიანი, და მას ამ ყოფაში რომ დაენახა „თავისი შაბერი“, როგორც ის მეძახდა, განრისხდებოდა. რას იზამ: ჩვენი მზე ჩაესვენა და ყველანი სიცივემ მოგვიცვა. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება პოლიტიკურ ამბებს გაემართლებინა ჩემი ცოლის დუმილი. ბუტენი გაემგზავრა. თვითონ იგი ბედნიერი იყო. მას შესანიშნავად გაწრთვნილი ორი თეთრი დათვი ჰყავდა, რომლებიც მას არჩენდნენ. ბუტენს ვერ წავყევი. ჩემი ავადმყოფობის გამო ხანგრძლივი მგზავრობის ატანა არ შემეძლო. ბუტენთან და დათვებთან ერთად იმდენ ხანს ვიარე, რამდენ ხანსაც ჩემმა ჯანმრთელობამ შემაძლებინა. როდესაც ერთმანეთს დავშორდით, ბატონო ჩემო, ვიტირე. კარლსრუეში ტვინის ნევრალგიამ მომიარა და ექვსი კვირა თივაზე დაწოლილმა გავატარე ბაკებში. ამბავს ვერ დავასრულებდი, თქვენთვის ჩემი მათხოვრული ცხოვრების ყველა უბედურება რომ მეამბნა. ზნეობრივი ტანჯვა, რომელთანაც ფიზიკური ტანჯვა ბკრთალ მოსჩანს, ნაკლებ სიბრალულს იწვევს, რადგან მას ვერ ხედავენ. ძაგონდება, როგორ ავტირდი სტრასბურგის სასტუმროს წინ, სადაც ოდესღაც ლხინი გამიმართავს და სადაც ვერაფერი, ერთი ნაჭერი პურიც-კი, ვერ მივიღე. ბუტენთან შეთანხმებული გზით მივდიოდი და ფოსტის ყოველ სადგურში ჩემ სახელზე გამოგზავნილ წერილსა და ფულს ვკითხულობდი. პარიზს ისე მივაღწიე, რომ ვერაფერი მივიღე. როგორ სასოწარკვეთილებას უნდა მივცემოდი! ბუტენი, ალბათ, მოკვდა-მეთქი, ვეუბნებოდი თავს. მართლაც, ის საწყალი კაცი ვატერლოოში დაიღუბა. მისი სიკვდილი შემთხვევით გავიგე, გავიგე გვიან. მისი მოლაპარაკება ჩემ ცოლთან, ალბათ, უნაყოფოდ დამთავრდა.

ბოლოს, პარიზში კაზაკებთან ერთად შევედი, რამაც მწუხარება გამიორკეცა. როდესაც საფრანგეთში რუსებს ვხედავდი, უფულობასა და ჩაუცმელობაზე აღარ ვფიქრობდი. დიაღ, ბატონო ჩემო, ძონძები-ღა მეცვა. ჩასვლის წინა დღეს ტყეში მომიხდა დაბანაკება. ღამის სიგრილემ, არ ვიცი, რაღაც ავადმყოფობა შემყარა. როდესაც სენ-მარტენის გარეუბანს გავდიოდი, თითქმის გულწასული რკინის სავაჭროს კართან დავეცი. როდესაც გონს მოვედი, ოტელ-დიეს ჰოსპიტალში ვიწექი. იქ ერთ თვეს დავრჩი და თავს საკმაოდ ბედნიერად ვგრძნობდი. იქიდან მალე გამომწერეს. თუმცა ფული არა მქონდა, მაგრამ ჯანმრთელი ვიყავი და პარიზის კარგ ქვაფენილებზე დავდიოდი. რა სიხარულით გავეშურე მონბლანის ქუჩისაკენ, სადაც ჩემ სახლში ცოლი უნდა დამხვედროდა. ეჰ, მონბლანის ქუჩა შოსე დ'ანტენის ქუჩად გადაქცეულიყო. ჩემ სახლს ვერ მივაგენი. იგი გაეყიდათ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაენგრიათ. სპეკულიანტებს ჩემ ბაღებში ბევრი სახლი აეშენებინათ, მაშინ არ ვიცოდი, რომ ჩემი ცოლი ბატონ ფეროდს მისთხოვდა, ხოლო მის შესახებ ვერაფერი გავიგე. ბოლოს, ერთ მოხუც ვექილთან წავედი, ოდესღაც ჩემს საქმეებს რომ ვავალებდი. მოხუცს თავისი კლიენტები ერთა ახალგაზრდა კაცისათვის გადაეცა, თვითონ-კი გარდაცვლილიყო. იქ გავიგე ჩემი მემკვიდრეობის ამბავი. მემკვიდრეობის ლიკვიდაცია მოეხდინათ, ჩემი ცოლი-კი გათხოვილიყო, ორი ბავშვი შესძენოდა. ამ ამბავმა ძალიან გამაკვირვა. როდესაც ვუთხარი ვექილს, პოლკოვნიკი შაბერი ვარ-მეთქი, მან ისე გულწრფელად გადაიხარხარა, რომ მაშინვე უსიტყვოდ განვშორდი. შტუტჰარდში დაპატიმრებამ საგიჟეთი მომაგონა და გადავწყვიტე უფრო ფრთხილად მემოქმედნა. რაკი, ბატონო ჩემო, ვიცოდი, სადა ცხოვრობდა ჩემი მეუღლე, იმედიანად გავეშურე მისი სახლისკენ. და აი, — სთქვა პოლკოვნიკმა დაოკებული სიშმაგით, — არ მიმიღეს, როდესაც სხვა გვარით მივედი. იმ დღეს კი, როდესაც ჩემს სახელით გამოვცხადდი, ეზოდან გამაგდეს. გრაფის მეუღლე რომ მენახა, ბალიდან ან სპექტაკლიდან დილით დაბრუნებული, მთელ ღამეებს ჰიშკრის ბოძზე მიკრული ვატარებდი. თვალებს მივაპყრობდი იმ ეტლს, რომელიც ჩემ წინ ელვის სისწრაფით ჩაიქროლებდა და ძლივს ვარჩევდი შიგ იმ ქალს, ჩემ ცოლს, რომელიც მე აღარ მეკუთვნოდა. ოჰ! იმ დღიდან შურისსაძიებლად ვცხოვრობდი, — წამოიძახა მოხუცმა ყრუ ხმით და ფეხზე წამოდგა დერვილის წინ. — ჩემმა ცოლმა იცის, რომ მე ვარსებობ. ჩემი დაბრუნების შემდეგ მან ჩემი საკუთარი ხელით დაწერილი ორი წერილი მიიღო. მას აღარ ვუყვარვარ! მე კი არ ვიცი, მიყვარს იგი თუ მეზიზღება. ხან მინდა იგი, ხან-კი ვწყევლი. ჩემი წყალობით არის იგი მდიდარი და ბედნიერი. მე კი მცირე დახმარებასაც არ მიწევს. ზოგჯერ არ ვიცი, რა ვუყო თავს.

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ მოხუცი სკამზე დაეშვა და გაშეშდა. დერვილი სდუმდა და კლიენტს შესცქეროდა.

— ძალიან მძიმე საქმეა, — სთქვა მან ანგარიშმიუცემლად, — თუგინდ დაუშვათ იმ საბუთების უდავობა, რომლებიც ჰეილსბერგში უნდა მოინახოს. დარწმუნებული არა ვარ, რომ ჩვენ თავიდანვე შევძლებთ გამარჯვებას. პროცესი თანმიმდევრობით სამ სამსჯავროში განიხილება. დასვენებული გონებით უნდა ჩავუფიქრდეთ ამ იშვიათ საქმეს.

— ოჰ! — უპასუხა ცივად პოლკოვნიკმა, თან ამაყად თავი ასწია. — თუ დავმარცხდები, სიკვდილისა არ მეშინიან, მაგრამ სხვასაც გავიყოლებ.

აქ მოხუცი თითქოს გაჰქრა, ენერგიული ადამიანის თვალები სურვილისა და შურისძიების ცეცხლით აენთო.

— შეიძლება საქმის მორიგებით გათავება მოგვიხდეს, — სთქვა ვექილმა.

— მორიგება იმაზე, — იკითხა პოლკოვნიკმა შაბერმა: — ცოცხალი ვარ თუ მკვდარი?

— ბატონო, — განაგრძო ვექილმა, — იმედი მაქვს ჩემს დარიგებას ყურს ათხოვებთ. თქვენი საქმე ჩემი საქმე იქნება. მალე იგრძნობთ, თქვენი მდგომარეობის მიმართ რა ყურადღებას გამოვიჩენ. ეს უმაგალითო შემთხვევაა ჩვენს იურიდიულ მატიანეში. მანამდე ბარათს მოგცემთ ჩემ ნოტარიუსთან, რომელიც ხელწერილქვეშ ყოველ ათ დღეში ორმოცდაათ ფრანკს მოგცემთ. უხერხული იქნება, რომ თქვენ დახმარება ითხოვოთ. თქვენ თუ პოლკოვნიკი შაბერი ბრძანდებით, არავისგან დავალებული არ

უნდა დარჩეთ. მე ავანსს მოგცემთ. სესხის სახით. ქონება უნდა დაგიბრუნდეთ, თქვენ მდიდარი ხართ. — ამ უკანასკნელმა თავაზიანობა ... ცრემლები მოჰგვარა. დერვილი უეცრად წამოდგა, რადგან ... ეშინია, რომ ვექილს აღელვება დასტყობოდა. იგი თავის კაბინეტში გავიდა, საიდანაც დაუბეჭდავი წერილი გამოიტანა და გრაფ შაბერს გადასცა. როდესაც საწყალმა ადამიანმა წერილი გამოართვა, ქაღალდის ქვეშ თითებით ორი ოქროს ფული იგრძნო.

— არ ინებებთ დამისახელოთ საბუთები, ქალაქი და სახელმწიფო? — ჰკითხა ვექილმა.

პოლკოვნიკმა ცნობები მისცა, თან გეოგრაფიული ადგილების ორთოგრაფია შეამოწმა. მერე ერთი ხელით ქუდი აიღო, დერვილს შეხედა, მეორე დაკოჟრებული მას გაუწოდა და უბრალოდ უთხრა:

— ვფიცავ, ბატონო, იმპერატორის შემდეგ თქვენ პირველი ხართ, რომლისგანაც მეტის-მეტად ვარ დავალებული. თქვენ კარგი კაცი ბრძანდებით.

ვექილმა პოლკოვნიკს ხელი მაგრა ჩამოართვა, კიბემდე მიაცილა და გზა გაუნათა.

— ბუკარ, — უთხრა დერვილმა თავის საქმისმწარმოებელს, — აი ახლა მოვისმინე ამბავი, რომელიც შეიძლება ოცდახუთი ლუი დამიჯდეს. მაგრამ თუ გაცურებული დავრჩი, ჩემი ფული მაინც არ დამენანება, რადგან ჩვენი ეპოქის უნიკიერესი მსახიობი მეყოლება ნახული.

როდესაც პოლკოვნიკი ქუჩაში გავიდა, ფარნის სინათლეზე წერილიდან ამოიღო ვექილის მიერ მიცემული ორი ოცდახუთ ფრანკიანი ფული და ერთ ხანს დასცქეროდა. ცხრა წლის შემდეგ ოქროს ფულს პირველად ხედავდა.

— მაშ მე სიგარის გაბოლება შემიძლიან! — სთქვა მან.

დაახლოებით სამმა თვემ განვლო იმ რჩევა-დარიგების შემდეგ, რომელიც პოლკოვნიკმა შაბერმა ღამით დერვილისაგან მიიღო. ნოტარიუსი, რომელსაც ვექილმა თავისი არაჩვეულებრივი კლიენტისათვის თანხის გაცემა დაავალა, დერვილთან ერთ მნიშვნელოვან საქმეზე მოსალაპარაკებლად მივიდა და შეხვედრისთანავე მოხუცი მხედრისთვის მიცემული ექვსასი ფრანკი მოსთხოვა.

— მაშ შენ იმით ერთობი, რომ ძველ არმიას ინახავ? — სიცილით უთხრა დერვილს ნოტარიუსმა, გვარად კროტამ, ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ის კანტორა, სადაც უფროს საქმისმწარმოებლად მსახურებდა, ახალნაყიდი ჰქონდა. მისი პატრონი საშინელი გაკოტრების შემდეგ გაიქცა.

— მადლობელი ვარ შენი, ჩემო ძვირფასო, — უპასუხა დერვილმა, — ეს საქმე რომ მომაგონე. ჩემი ქველმოქმედება ოცდახუთ ლუის არ გადასცილდება, უკვე ვშიშობ, რომ ჩემი პატრიოტიზმის მსხვერპლი გავხდი.

წინადადება დასრულებული არა ჰქონდა, რომ დერვილმა თავის საწერ მაგიდაზე უფროსი საქმისმწარმოებლის მიერ დადებული წერილები შენიშნა. დერვილის თვალები მიიზიდეს მოგრძო, კვადრატულმა, სამკუთხიანმა, წითელმა და ლურჯმა მარკებმა, რომლებიც წერილზე დაეკრათ პრუსიის, ავსტრიის, ბავარიის და საფრანგეთის საფოსტო კანტორებს.

— აჰ! — სთქვა დერვილმა სიცილით, — აი კომედიის კვანძის გახსნა. ახლავე ვნახავთ, გაცურებული ვარ თუ არა.

წერილი აიღო და გახსნა, მაგრამ წაკითხვა ვერ მოახერხა, იგი გერმანულად იყო დაწერილი.

— ბუკარ, ეს წერილი თქვენ თვითონ წაიღეთ გადასათარგმნად და მალე დაბრუნდით, — თავისი კაბინეტის კარი გააღო და უთხრა უფროსმა, — ბიბლიოთეკა
მწარმოებელს, თან წერილი გადასცა.

ბერლინელი ნოტარიუსი, რომელსაც ვექილმა მიმართა, აცნობებდა, რომ რამდენიმე დღეში ამ ცნობების მიღების შემდეგ გამოთხოვილი საბუთები მოგივათო. საბუთები, — იწერებოდა ის, — უნაკლოდ არის შემოწმებული კანონების შესაბამისად და იურიდიული ძალა აქვთო. ამას გარდა, — იტყობინებოდა იგი, — თითქმის ყველა მოწმე, ოქმებში დასახელებული, პრეისიშ-ეილაუში იმყოფება, ხოლო ის ქალი, რომელმაც ბატონი გრაფი სიკვდილს გადაარჩინა, კვლავ ჰეილსბერგის ერთ-ერთ გარეუბანში ცხოვრობსო.

— საქმე სერიოზულ ხასიათს ღებულობს, — წამოიძახა დერვილმა, როდესაც ბუკარმა დაასრულა წერილის შინაარსის გადაცემა, — მაგრამ, ჩემო კარგო, — მიმართა ნოტარიუსს, — მე დამჭირდება ცნობები, რომლებიც შენს კანტორაში უნდა იყოს. იმ თაღლით მოხუც როგენს...

— ჩვენ ვამბობთ: უბედური, ბედშავი როგენი, — შეაწყვეტინა სიცილით სიტყვა ნოტარიუსმა, ალექსანდრე კროტამ.

— იმ უბედურმა, რომელმაც ახლახან თავისი კლიენტების რვაასი ათასი ფრანკი გაიტაცა და მრავალი ოჯახი გააუბედურა, ნუთ მოახდინა შაბერის მემკვიდრეობის ლიკვიდაცია? მე მგონია, ვნახე ეს ჩვენს საბუთებში ფეროლის საქმის გამო.

— დიაღ, — უპასუხა კროტამ, — მაშინ მე მესამე გადამწერად ვიყავი. ლიკვიდაციის აქტი მე გადავწერე და კარგად შევბსწავლე. როზ შაპოტელი, საფრანგეთის იმპერიის გრაფის, საპატიო ლეგიონის დიდი ოფიცრის ანასენტ შაბერის ცოლი და ქვრივი. ისინი უკონტრაქტოდ დაქორწინდნენ. მაშასადამე, ქონება საერთო ჰქონდათ. რამდენადაც მახსოვს, აქტივი [illegible]ასას ათას ფრანკს აღწევდა. დაქორწინებამდე გრაფმა შაბერმა პარიზის საბალო დაწესებულებებს უანდერძა იმ ქონების მეოთხედი, რომელიც გარდაცვალების დღეს ექნებოდა. სახელმწიფო მეორე მეოთხედს მიიღებდა. მოაწყეს აუქციონები, გაყიდვა და გაყოფა, რადგან ვექილებმა საქმეს ხელი საფუძვლიანად მოჰკიდეს. ლიკვიდაციის დროს ურჩხულმა, რომელიც მაშინ საფრანგეთს მართავდა, დეკრეტით პოლკოვნიკის ქვრივს ხაზინის წილიც მიაკუთვნა.

— მაშასადამე, გრაფ შაბერის პირადი ქონება მხოლოდ სამასი ათას ფრანკს აღწევს?

— სწორია, ჩემო მეგობარო, — უპასუხა კროტამ. — ზოგჯერ სწორად აზროვნებთ, თუმცა ზოგიერთი ვექილი ბრალსა გდებთ, რომ შეცდომას ჩადიხართ მაშინ, როდესაც ერთნაირი წარმატებით იცავთ მოწინააღმდეგე ხარეებს.

გრაფი შაბერი (მისი მისამართი მიწერილი იყო იმ პირველი ხელწერილის ქვეშ, რომელიც მან ნოტარიუსს გადასცა) ცხოვრობდა სენ-მარსოს გარეუბანში, პტი-ბანკიეს ქუჩაზე, იმპერატორის გვარდიის ყოფილ უნტერ-ოფიცერ ვერნიოსთან, რომელიც მერძევე გამხდარიყო. იქ რომ მივიდა, დერვილი იძულებული შეიქნა ფეხით წასულიყო თავისი კლიენტის მოსანახად, რადგან მისმა მეეტლემ უარი სთქვა გაევლო მოუკირწყლავ ქუჩაზე,

რომლის ორმოებშიც კაბრიოლეტის თვლები მთლად ჩაიფლეთებოდნენ. ვერ-ცლმა გარეშემო მიმოიხედა და ბოლოს იმ ქუჩის ნაწილში, [illegible] ბულვარის მახლობლად არის, ძელებითა და მიწით აშენებული — [illegible] ქვეს შუა დაინახა ღორღით ნაგები ორი შელახული ბოძი. თუმცა ბოძებს ხის ორი კუნძი იცავდა, მაგრამ ურმებისაგან კედლები მაინც შემომტვრეოდა. ბოძებზე კრამიტით დახურული კოჭი იყო გადებული, რომელზედაც წითელი ასოებით ეწერა: „ვერნიო, მერძევე“. ამ წარწერის მარჯვნივ და მარცხნივ თეთრად იყო დახატული კვერცხები და ძროხა. ჭიშკარი ღია დაეტოვებინათ. დღისით, ალბათ, ასე სტოვებდნენ. საკმაოდ ფართო ეზოში, ჭიშკრის პირდაპირ, იდგა სახლი, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ პარიზის გარეუბნის იმ შენობას, რომელიც სახსენებელი არ არის სოფლის უუბადრუკეს ქოხთანაცკი. ასეთ სახლს ქოხის სიღარიბე აქვს, პოეზია კი არა. მართლაც, მინდორში ქოხები მიმზიდველნი არიან: წმინდა ჰაერი, სიმწვანე, მინდვრის პეიზაჟი, გორაკი, დაკლაკნილი გზა, ვენახები, ცოცხალი ღობე, ჩალის ბურული, სამიწათმოქმედო იარაღი ალამაზებენ მათ. ოღონ პარიზში სიღარიბე მხოლოდ თავისი საშინელებით ირთვება. თუმცა ეს სახლი ახალაშენებული იყო, მაგრამ ისეთი შეხედულება ჰქონდა, თითქო საცაა დაინგრევაო. არც ერთ მასალას თავისი პირდაპირი დანიშნულება არა ჰქონდა; ეს მასალა ნაშთი იყო იმ სახლებისა, რომლებსაც პარიზში ყოველდღიურად ანგრევენ.

დერვილმა აბრის ფიცრებისაგან გაკეთებულ დარაბაზე წაიკითხა: „ახალი ნივთების მაღაზია“. ფანჯრები ერთმანეთს სრულიად არა ჰგავდნენ, და უცნაურად იყვნენ დალაგებულნი. პირველი სართული, რომელიც, როგორც ეტყობოდა, საცხოვრებელ ბინად ჰქონდათ, ერთ მხარეს აწეული იყო, მეორე მხარეს კი ოთახები მიწაში ჩაფლოდა. ჭიშკარსა და სახლს შორის ნაკელით სავსე წუმპე იდგა, სადაც ნაწვიმარი და ბინძური წყალი ჩადიოდა. კედელი, რომელზედაც ეს უბადრუკი სახლი იყო დაყრდნობილი და, რომელ[illegible] ადგილებზე უფრთ მაგარი სჩანდა, შემოწყობილი იყო ბადიანი გალიებით, სადაც შინაური კურდღლები თავიანთ ურიცხვ ოჯახს ამრავლებდნენ. ჭიშკრის მარჯვნივ ბოსელი იყო, მის თავზე კი — სათივე. ბოსელი სახლს სარძევე ოთახით უერთდებოდა. მარცხნივ იყო საფრინველე, საჯინიბო და საღორე. საღორესა და სახლს სახურავად ჰქონდა ერთმანეთზე დაკრული, ლერწამდაყრილი, თეთრი ხის უვარგისი ფიცრები. როგორც თითქმის ყველა ადგილს, სადაც მზადდება სურსათ-სანოვაგე იმ დიდი სადილისათვის, რომელსაც პარიზი ყოველდღიურად ნთქავს, ისე ამ ეზოსაც, სადაც დერვილმა ფეხი შესდგა, ეტყობოდა სიჩქარის კვალი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ეს სურსათ-სანოვაგე მომხმარებელთან თავის დროზე იქნას მიტანილი.

სარძევე ოთახის წინ აქა-იქ ეყარა რძის გადასაზიდი თუნუქის მუცლიანი ბიდონები და ნაღბის ქოთნები ჩვრის საცობებით. ჭურჭლის გასამშრალებელი, დაფლეთილი ჭინჭები, სარებზე გაბმულ ბაწარზე გადაფენილი, მზეზე ფრიალებდნენ. კარდაკეტილ საჯინიბოს წინ, რამდენიმე ნაბიჯით თავის ურიკას დაშორებული, იდგა წყნარი ცხენი იმ ჯიშისა, როგორიც მხოლოდ მერძევეებს ჰყავთ. ერთი თხა სახლის ყვითელ და დახეთქილ კედელს შემოხვეულ მტვრიან და უბადრუკ ვაზის კლერტებს სჭამდა. კატა, ნაღბის ქოთნებზე დასკუპებული, ნაღებს ლოკავდა. დერვილის მიახლოვებით შეშინებული ქათმები კრიახ-კრიახით გაიფანტნენ. ნავაზმა დაიყეფა.

— ნუთუ აქ ცხოვრობს ის ადამიანი, რომელმაც ეილაუს ბრძოლის ბედი გადასწყვიტა?—სთქვა თავისთვის დერვილმა, როცა ამ საძაგელ ადგილებს თვალი გადაავლო.

ბიბლიოთეკა

სახლის მცველებად სამი ბავშვი დაეტოვებინათ. ერთი ახალმოთიბული ბალახით დატვირთულ ურიკაზე ამძვრალიყო და მეზობელი სახლის ბუხრის მილს ქვებს ესროდა, — უნდოდა ეს ქვები ბუხარში შედგმულ ქოთანში ჩაეგდო. მეორე ცდილობდა ღორი აეყვანა ურიკის იმ ფიცარზე, რომელიც მიწას ეყრდნობოდა. მესამე, ურიკის მეორე ბოლოში ჩამოკიდებული, უცდიდა ურიკაზე ღორის აყვანას, რომ იგი ფიცრის გადაწონვით აეწია. როდესაც დერვილმა იკითხა, ბატონი შაბერი აქ ცხოვრობსო, არც ერთმა ბავშვმა პასუხი არ გასცა და სამივემ მას გონებრივი სიჩლუნგით შეხედა, თუ ამ ორი სიტყვის ერთმანეთთან დაკავშირება შეიძლება. დერვილი კვლავ შეეკითხა, მაგრამ ისევ ამაოდ. ამ სამი სასაცილო ბავშვის სახის დამცინავი გამომეტყველებით მოთმინებიდან გამოსული დერვილი მათ რამდენიმე სახუმარო გინებით გაუმასპინძლდა, რომლითაც ახალგაზრდები ბავშვებს მიმართავენ ხოლმე და ჰგონიათ, რომ ამის უფლება აქვთ. ბიჭებმა დუმილი უხეში სიცილით დაარღვიეს. დერვილი გაგულისდა, პოლკოვნიკმა მისი ხმა გაიგონა, სარძევე ოთახის გვერდით მიდგმულ პატარა დაბალ ოთახიდან გამოვიდა და კარის ზღურბლზე გამოჩნდა აუწერელი მხედრული სიმშვიდით. პირში ედო ერთი იმ ჩიბუხთაგანი, რომელსაც თამბაქოს მწეველები გამოსწვარ ჩიბუხს ეძახიან. ეს უბრალო, თეთრი თიხის ჩიბუხი იყო. შაბერმა საშინლად გაჭუჭყიანებული ქუდის წინაფრა აიწია და დერვილის დანახვისთანავე ნაკელზე გადაიარა, რომ რაც შეიძლება მალე მისულიყო თავის კეთილისმყოფელთან, თან ბავშვებს მეგობრულად გასძახა:

— სიწყნარე რიგებში!

ბავშვები ბაშინვე მორიდებულად დაწყნარდნენ, რაც იმას მოწმობდა, რომ მოხუც ჯარისკაცს მათზე გავლენა ქონდა.

— რატომ არ მომწერეთ? — შეეკითხა იგი დერვილს.—ბოლის გასწვრივ გამოჰყევით, მანდ გზა მოკირწყლულია, — წამოიძახა ძოხუცმა, როდესაც ვეჭილს ყოყმანი შენიშნა, იგი ნაკელში ფეხის დასვრას ერიდებოდა.

ქვიდან ქვაზე ხტომით დერვილმა იმ კარის ზღურბლს მიაღწია, საიდანაც პოლკოვნიკი გამოვიდა. შაბერს არ ესიამოვნა, იძულებული რომ გახდა დერვილი თავის საცხოვრებელ ოთახში მიეღო. დერვილმა იქ მხოლოდ ერთი სკამი დაინახა. პოლკოვნიკის ლოგინი წარმოადგენდა რამდენიმე კონა ჩალას, რაზედაც მის დიანახლისს გადაეფარებინა ორი თუ სამი ნაჭერი, ეინ იცის სად ნაპოვნი, იმ ძველი მატერიისა, რომლითაც მერძევე ქალები თავიანთი ურიკების სკამებს ალამაზებენ. იატაკს დატკეპნილი მიწა წარმოადგენდა, მეტი არაფერი. ობმოკიდებულ, მომწვანო და დახეთქილ კედლებს ისეთი სინესტე ჰქონდათ, რომ იმ კედელზე, რომლისაკენ მიესლობლად პოლკოვნიკი წვებოდა, ლეკვის ჭილობი აეფარებინათ. ბეჯობი ინგლისური სერთუკი ლურსმანზე ეკიდა. ორი წყვილი ულვარგისი ჩექმა კუთხეში ეგდო, თეთრეული არსად სჩანდა. ბალიშად დაჭმულ მაგიდაზე პლანშეს მიერ გადაბეჭდილი, გადაშლილი „დიდი არმიის ბიულეტენები“ ეწყო. როგორც ეტყობოდა, მათ პოლკოვნიკი კითხულობდა. ამ სიღარიბეში შაბერს ნათელი და მშვიდი სახე ჰქონდა. დერვილის დარბაზობამ მას სახის გამომეტ-

ყველება შეუცვალა: მის ნაკვთებში ვექილმა შენიშნა ბედნიერი ფიქრის კვალი, იმედიანი, განსაკუთრებული სინათლე.

— ჩიბუხის ბოლი ხომ არ გაწუხებთ? — ჰკითხა შაბერმა ვექილს ჩატეხილი სკამი მიაწოდა.

— პოლკოვნიკო, თქვენ აქ საშინლად ცხოვრობთ...

ეს ფრაზა დერვილს წამოაცდევინა ვექილებისათვის დამახასიათებელმა უნდობლობამ და სამწუხარო გამოცდილებამ, რაც მათ შესძინეს იმ საშინელმა და უცნობმა დრამებმა რომლებსაც ისინი ესწრებიან.

„აი ადამიანი, — გაიფიქრა ვექილმა, — რომელმაც ჩემი ფული შეალია ამ მხედრულ საღვთისმეტყველო სათნოებას — თამაშობას, ღვინოსა და ქალებს".

— მართალია, ბატონო, ჩვენ აქ ფუფუნებით არა ვბრწყინავთ. ეს ბანაკი შეძლებისდაგვარად მეგობრობით არის მოწყობილი, მაგრამ... (აქ მხედარმა კანონის მცოდნეს თვალი თვალში გაუყარა), მაგრამ, მე არავისთვის მიწყენინებია, არავისთვის ხელი არ მიკრავა და მშვიდად მძინავს.

ვექილმა გაიფიქრა, უხერხული იქნება ჩემ მიერ მიცემული თანხის ანგარიში მოვთხოვოო, და დაკმაყოფილდა იმით, რომ ჰკითხა:

— რატომ არ მოისურვეთ პარიზს გადასვლა? ასევე იაფად იცხოვრებდით იქ და უკეთაც მოეწყობოდით.

— მაგრამ, — უპასუხა პოლკოვნიკმა, — ამ დიდებულმა ადამიანებმა, ვისთანაც ვცხოვრობ, მიმიღეს და მთელ წელიწადს უფასოდ მარჩინეს, როგორ მიმეტოვებინა ისინი მაშინ, როდესაც ცოტაოდენი ფული ვიშოვნე? ძერე ამ სამი ბიჭის მამა ძველი ეგვიპტელია.

— როგორ თუ ეგვიპტელი?

— ასე ვეძახით ეგვიპტის ექსპედიციის მონაწილე ჯარისკაცებს. ამ ექსპედიციაში მეც მივიღე მონაწილეობა. იქიდან დაბრუნებულნი ძმებივით ვიყავით, ვერნიო კი მაშინ ჩემ პოლკში იყო და უდაბნოში სასმელ წყალს ვიყოფდით. ამასთან ვერნიოს ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლება ჯერ არ დამიმთავრებია.

— თქვენი ფულით ვერნიოს შეეძლო უკეთ მოეწყეთ.

— მერე რა! — წამოიძახა პოლკოვნიკმა, — მისი ბავშვებიც ჩემსავით ჩალაზე წვებიან. არც ვერნიოს და მის ცოლს აქვთ უკეთესი საწოლი. ხომ ხედავთ, რა ღარიბები არიან? ისეთ საქმეს მოჰკიდეს ხელი, რომელიც მათ ძალას აღემატება. თუ ჩემი ქონება დავიბრუნე... მაგრამ ეს რა სალაპარაკოა...

— პოლკოვნიკო, მე ამ დღეებში უნდა მივიღო თქვენს შესახებ ჰეილსბერგიდან საბუთები. თქვენი მხსნელი ჯერ კიდევ ცოცხალია.

— წყეული ფული! როგორა ვთქვა, რომ მე ის არა მაქვს! — წამოიძახა შაბერმა და [illegible] ჩიბუხი მიწას დაანარცხა.

გამომწვარი ჩიბუხი მწეველისათვის ძვირფასია. მაგრამ ისეთი ბუნებრივი ჟესტი იყო ეს, ისეთი [illegible]ობილური მოძრაობა, რომ ყველა თაძბაქოს მწეველი და თვით თამბაქოს საააქციზო სამმართველოც აპატიებდნენ მას ამ დანაშაულს მისი უდიდებულესობის თამბაქოს წინაშე. ანგელოზები, ალბათ, ჩიბუხის ნამსხვრევებს შეჰკრებენ.

— პოლკოვნიკო, თქვენი საქმე მეტის-მეტად რთულია, — სთქვა დერვილმა, ოთახიდან რომ გამოვიდნენ სახლის წინ მზეზე გასასეირნოდ.

— მე კი ეს საქმე საესებით მარტივად მეჩვენება, — სთქვა ბარონმა. — მკვდრად მთვლიდნენ, მაგრამ აი აქა ვარ. დამიბრუნეთ ჩემი ცოლი და ქონება. მომეცით გენერლის ხარისხი, რომლის მიღებაც უფლებაც მაქვს, რადგან იმპერატორის გვარდიაში ეილაუს ბრძოლის წინადღეს პოლკოვნიკის წოდებით ჩავირიცხე.

— საქმეები იურიდიულ სამყაროში მაგრე არ მიმდინარეობენ, — განაგრძო დერვილმა. — მომისმინეთ. თქვენ გრაფი შაბერი ბრძანდებით. მაგრამ ეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს იურიდიულად უნდა დავუმტკიცოთ იმ ადამიანებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უარჰყონ თქვენი არსებობა. თქვენს საბუთებს ისინი სადავოდ გაჰხდიან. ეს დავა გამოიწვევს ათს ან თორმეტს წინასწარ განსახილველ საკითხს. ყველა ეს საკითხი სადავო წესით უმაღლეს ინსტანციას მიაღწევს, რაც გამოიწვევს ძვირად დირებულ პროცესებს, საქმის გაჭიანურებას, მიუხედავად ჩვენი აქტივობისა. თქვენი მოწინააღმდეგენი მოითხოვენ გამოძიებას, რაზედაც უარის თქმას ვერ შევძლებთ. შეიძლება საჭირო შეიქნას პრუსიაში მოწმეთა დამკითხავი კომისიის გაგზავნა. მაგრამ ვივარაუდოთ საქმის საუკეთესო მიმდინარეობა, დაეუშვათ, სასამართლომ სწრაფად სცნო, რომ თქვენ, პოლკოვნიკი შაბერი ხართ. განა ვიცით ჩვენ, როგორ იქნება განსჯილი გრაფ ფეროდის მეუღლის სრულიად უდანაშაულო ორქმრიანობის საკითხი? თქვენს საქმეში უფლებრივი მხარე კანონმდებლობის გარეშეა, და მოსამართლეებს მისი განსჯა შეუძლიანთ მხოლოდ სინდისის კანონების მიხედვით, როგორც იქცევა სასამართლო იმ საფრთხილო საქმეების გარჩევის დროს, რომელიც წარმოიშობა რომელიმე კრიმინალური პროცესის საზოგადოებრივი უცნაურობით. ამასთან თქვენს ცოლ-ქმრობაში ბავშვი არა გყოლიათ, გრაფი ფეროდის ხელში კი თქვენს ცოლს ორი ბავშვი ჰყავს. მოსამართლეებს შეუძლიანთ გაბათილება ქორწინებისა, რომელსაც მეტად სუსტი დამაკავშირებელი ძაფები შეუქმნია იმ ქორწინების სასარგებლოდ, რომელიც უფრო მტკიცეა დაქორწინებულთა კეთილსინდისიერების აღიარების შემთხვევაში. ზნეობრივად თქვენი პოზიცია განა ლამაზი იქნებოდა, რომ თქვენს ასაკსა და იმ მდგომარეობაში, რომელშიაც თქვენ იმყოფებით, ყველაფრისთვის ანგარიშგაუწევლად მოგესურვებინათ ქალი, რომელსაც აღარ უყვარხართ? თქვენს წინააღმდეგ იქნება თქვენი ცოლი და მისი ქმარი, ორი ძლიერი პიროვნება, რომლებიც სასამართლოზე გავლენის მოხდენას შესძლებენ. ამნაირად, საქმე შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, თქვენ-კი ამასობაში დაბერდებით მკაცრ წუსარებაში.

— ჩემი ქონება?

— თქვენ ფიქრობთ, იგი ძალიან დიდია?

— განა ოცდაათი ათასი ლივრი რენტი არა მქონდა?

— ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო, 1799 წელს, თქვენს დაქორწინებამდე, დასტოვეთ ანდერძი, რომლითაც ქონების მეოთხედს სამადლო დაწესებულებებს უტოვებდით.

— მართალია.

— აი ასე, თქვენი სიკვდილის გამოცხადების შემდეგ განა არ უნდა შესდგომოდნენ ქონების აღწერას და ლიკვიდაციას იმისათვის, რომ სამადლო დაწესებულებებისათვის მეოთხედი მიეცათ? თქვენი მეუღლე ... ... მოტყუებას არ მოერიდებოდა. აღწერამ, რომელშიც თქვენმა ცოლმა უეჭველად განზრახ არ შეიტანა ნაღდი ფული და ძვირფასეული, რომელშიც ეერცხლეულის მცირე ნაწილი ჩააწერინა, ხოლო მოძრავი ქონება შეაფასებინა ნამდვილი ღირებულების მხოლოდ ერთ მესამედად, და ეს გაკეთდა ან თქვენი ცოლისთვის ხელის შესაწყობად, ან გადასახადის თანხის შესამცირებლად, აგრეთვე იმიტომ, რომ სასამართლოს ბოქაულები თავიანთ შეფასებაში პასუხს აგებენ, — ასე შედგენილმა აღწერამ ექვსასი ათას ფრანკად ღირებული ქონება დაადგინა. თავის მხრივ თქვენს ქვრივს უფლება ჰქონდა ქონების ნახევარზე. ყველაფერი გაიყიდა, მანვე გამოისყიდა, ყველაფრით ისარგებლა. სამადლო დაწესებულებებმა თავიანთი საოცდათექვსმეტი ფრანკი მიიღეს. მერე, რადგან ხაზინა იღებდა თქვენგან მემკვიდრეობას იმიტომ, რომ ანდერძში ცოლი ნახსენები არა გყავდათ, იმპერატორმა თქვენს ქვრივს დეკრეტით დაუბრუნა ის ნაწილიც, რომელიც სახელმწიფოს ხვდებოდა. ახლა რაზე გაქვთ უფლება? მხოლოდ სამასი ათას ფრანკზე ხარჯების გამოკლებით.

— მართლმსაჯულებას თქვენ მაგას ეძახით? — სთქვა თავზარდაცემულმა პოლკოვნიკმა.

— მაგრამ, რასაკვირველია...

— კარგი მართლმსაჯულება ყოფილა!

— ასეთია, ჩემო საბრალო პოლკოვნიკო. ხომ ხედავთ, ის, რაც თქვენ ადვილი გეგონათ, ადვილი არა ყოფილა. ქალბატონ ფეროდს შეუძლიან ის ნაწილიც დაინარჩუნოს, რომელიც იმპერატორმა უბოძა.

— მაგრამ ის ქვრივი არა ყოფილა, დეკრეტი გაბათილებულია...

— თანახმა ვარ. ყველაფერს შეიძლება გამოვედავოთ. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში, ვფიქრობ, პროცესის კვანძის საუკეთესო გახსნა თქვენთვისაც და ქალბატონ ფეროდისათვისაც იქნებოდა საქმის მორიგებით გათავება. ამით მოიგებთ იმ ქონებაზე უფრო მეტს, რაზედაც თქვენ უფლების აღდგენას შესძლებთ.

— ეგ ხომ ცოლის გაყიდვა იქნებოდა?

— ოცდათხი ათასი ფრანკი რენტი გექნებოდათ და ახლანდელ თქვენს მდგომარეობაში გეყოლებოდათ ცოლზე უფრო შესაფერისი ქალი, რომელიც მეტ ბედნიერებას მოგანიჭებდათ. ვფიქრობ, ღღესვე ვინახულო გრაფ ფეროდის მეუღლე ნიადაგის მოსასინჯად. მაგრამ თქვენს გაუფრთხილებლად ამ ნაბიჯის გადადგმა არ მინდოდა.

— ერთად წავიდეთ მასთან...

— ამნაირად, როგორც თქვენა ხართ? — სთქვა ვექილმა, — არა, არა, პოლკოვნიკო, ამით საქმეს სულ წააგებთ. თქვენს პროცესს...

— ჩემი საქმის მოგება შეიძლება?

— ყველა მუხლში, — უპასუხა დერვილმა. — მაგრამ, ჩემო ძვირფასო პოლკოვნიკო შაბერ, თქვენ ერთს გარემოებას არ აქცევთ ყურადღებას: ნუ ნდიდარი არა ვარ, ჩემი თანამდებობა საკმაოთ ვერ უზრუნველმყოფს მე.

თუ სასამართლო მოგისჯით წინასწარ თანხას თქვენი ქონების ანგარიშში, ეს შეიძლება მოხდეს იმის შემდეგ, როდესაც თქვენ გრაფ შაბერად, საპატიო ლეგიონის ორდენის დიდ ოფიცრად გცნობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უყურეთ, მე ვარ ლეგიონის დიდი ოფიცერი, ამაზე აღარც კი მიფიქრია, — სთქვა მან გულუბრყვილოდ.

— დიაღ, მანამდე — განაგრძო დერვილმა, — დავა ხომ უნდა ვაწარმოოთ, გადავუხადოთ ფული ვექილებს, ჩავიბაროთ აღმასრულებელი ფურცლები და მათი ხარჯები გავისტუმრეთ, აქეთ-იქით ვატაროთ სასამართლოს ბოქაულები, თან ვიარსებოთ? ხარჯი მოსამზადებელ ინსტანციებში, ჩემი ვარაუდით, თორმეტი ათას—თხუთმეტი ათას ფრანკს მიაღწევს. მე კი ასეთი თანხა არ მაბადია, განადგურებული ვარ იმ დიდი პროცენტებით, რასაც ვუხდი იმას, ვინც ჩემი თანამდებობის შესაძენად ფული მასესხა, თქვენ კი სად იშოვით ამ თანხას?

საწყალი ჯარისკაცის სხივდაკარგულ თვალებს ცრემლი მოსწყდა და დაღარულ ლოყებზე დაგორდა. ამ სიძნელეების წარმოდგენამ შაბერს გული გაუტეხა. საზოგადოებრივი სამყარო და მართლმსაჯულების სამყარო მას მკერდზე კოშმარივით დააწვა.

— წავალ, — წამოიძახა მან, — ვანდომის მოედნის სვეტის ძირში, იქ დავიძახებ: „მე ვარ პოლკოვნიკი შაბერი, რომელმაც ეილაუში რუსების დიდი კარე[1] გაარღვია!“ ის, ბრინჯაო, მიცნობს მე.

— და თქვენ, ალბათ, საგიჟეთში ჩაგსვამენ.

ამ საშინელი სიტყვის გაგონებამ მხედრის აღტკინება დააცხრო.

— სამხედრო სამინისტრო ხომ დამეხმარება რითიმე?

— სამხედრო სამინისტრო? — სთქვა დერვილმა. — მიდით იქ, მხოლოდ კარგად გაფორმებული სასამართლოს დადგენილებით, რომელიც თქვენი სიკვდილის აქტს გაბათილებულად გამოაცხადებს. სამხედრო უწყებები იმპერიის ადამიანთა მოსპობის შესაძლებლობაზე ოცნებობენ.

პოლკოვნიკი ერთხანს დაბნეული, გაქვავებული იყო. მისი გაშტერებული თვალები ვერაფერს ხედავდნენ, უსაზღვრო სასოწარკვეთილებას მისცემოდნენ. სამხედრო მართლმსაჯულება გულწრფელია, სწრაფი, ერთი დაკვრით გადასწყვეტს და თითქმის ყოველთვის სწორად სჯის. შაბერი მხოლოდ ამ მართლმსაჯულებას იცნობდა. როდესაც დაინახა ამ სიძნელეების ლაბირინტი, სადაც უნდა შეეჭრილიყო, როდესაც გაიგო, რამდენი ფული დასჭირდებოდა იქიდან თავის დასაღწევად, საბრალო ჯარისკაცს სასიკვდილო ლახვარი მოხვდა ნებისყოფაში, რაც ადამიანის განსაკუთრებულ ძლიერებას წარმოადგენს. მას აუტანლად მოეჩვენა სიცოცხლე ამ ჩივილში. მისთვის ათასჯერ მარტივი იქნებოდა დარჩენილიყო ღარიბად, მათხოვრად, მოწყობილიყო სადმე უბრალო ცხენოსნად, თუ კი მისი მიღების მოსურნე პოლკი აღმოჩნდებოდა. ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას უკვე დაეზიანებინა მისთვის ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ორგანო. მისი ავადყოფობა იმ სნეულებათა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელსაც მედიცინაში სახელწოდება

---

[1] კარე — ოთხკუთხედის მსგავსი საბრძოლო წყობილება, რომელიც მტერს ყოველი მხრით უწევს წინააღმდეგობას.

არა აქვს. ეს ავადმყოფობა ნერვულ სისტემასავით მთელ სხეულს აქვს მოდებული. და სწორედ ჩვენი მანქანის ეს ნაწილი, ნერვები, [illegible] ფრო გალახულია. ამ სნეულებას მწუხარების სპლინი უნდა ეწოდებოდეს. [illegible] ეს უჩინარი, მაგრამ უტყუარი ავადმყოფობა, იგი გაიგლიდა, საქმეს რომ კარგი ბოლო ჰქონოდა. ამ მაგარი ორგანიზმის საბოლოოდ დანგრევისათვის საკმარისი იყო რაიმე ახალი დაბრკოლება, რაიმე მოულოდნელი შემთხვევა, და ეს დაამსხვრევდა დასუსტებულ რესორებს, წარმოშობდა იმ მერყეობას, იმ აუხსნელ, დაუსრულებელ მოქმედებას, რომელსაც ფიზიოლოგები ამჩნევენ მწუხარებით განადგურებულ ადამიანებში.

როდესაც დერვილმა თავის კლიენტს ღრმა მჭმუნვარება შენიშნა, უთხრა:

— გამაგრდით, ეს საქმე მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ შეიძლება გადაწყდეს. მაგრამ ასწონ-დასწონეთ, შეგიძლიანთ თუ არა სავსებით მენდოთ და ბრმად მიიღოთ ის შედეგი, რომელსაც მე თქვენთვის საუკეთესოდ ჩავთვლი.

— იმოქმედეთ, როგორც გენებოთ, — სთქვა შაბერმა.

— კეთილი, მაგრამ სასიკვდილოდ მიმავალი ადამიანივით მაბარებთ თქვენს თავს?

— ხომ არ დავკარგავ მდგომარეობას, სახელს? განა ეს ასატანია?

— მე ასე არ მესმის, — სთქვა ვექილმა: — ჩვენ მივაღწევთ მორიგებით სასამართლოს დადგენილებას, რომელიც თქვენი სიკვდილისა და ქორწინების შესახებ არსებულ აქტებს გააბათილებს და ჯეფლებებს აღგიდგენთ. ეგრაფი ფეროდის გავლენით თქვენ შეტანილი იქნებით არმიის სიაში გენერლის წოდებით და თქვენ, ალბათ, პენსიას დაგინიშნავენ.

— კარგი, — უპასუხა შაბერმა, — სავსებით გენდობით.

— მე გამოგიგზავნით ნდობილობას ხელმოსაწერად, — უთხრა დერვილმა. — ნახვამდის, ყოჩაღად იყავით! თუ ფული დაგჭირდეთ, ჩემი იმედი იქონიეთ.

შაბერმა დერვილს ხელი მხურვალედ ჩამოართვა, ზურგით კედელს მიყრდნობილმა. ძალა აღარა ჰქონდა, რომ სტუმარი გაეცილებინა და მხოლოდ თვალი გააყოლა. იგი შეშინდა მოულოდნელი ბრძოლით იმ ადამიანივით, რომელიც სასამართლოს საქმეებში ნაკლებად ერკვევა.

ამ თათბირის დროს ფისკრის ბოძთან რამდენჯერმე გამოჩნდა მოდარაჯებული კაცი, რომელიც დერვილს უთვალთვალებდა. როდესაც დერვილი გავიდა, იგი გვერდში ამოუდგა. ეს იყო მოხუცი. მას ეცვა ლურჯი ქურთუკი, ნაოჭებიანი, თეთრი სამუშაო შარვალი, როგორსაც ლუდის მხდელები ატარებენ. თავზე კი წავის ტყავის ჩიხაქუდი ეხურა. მზემოკიდებული, დაღარული, შავგვრემანი სახე ნაოჭებს დაეფარათ და ყვრიმალის ძვალთან მძიმე შრომას შეეწითლებინა.

— მომიტევეთ, ბატონო, — უთხრა მან დერვილს და მკლავზე ხელი მოჰკიდა გასაჩერებლად, — თავს რომ ნებას ვაძლევ თქვენ დაგელაპარაკოთ, მაგრამ როგორც კი დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რომ ჩვენი გენერლის მეგობარი ბრძანდებით.

— დიაღ, — უთხრა დერვილმა, — რა გაინტერესებთ მის შესახებ? ვინა ბრძანდებით? — ჰკითხა უნდობელმა ვექილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე ლუი ვერნიო გახლავართ, — უპასუხა მოხუცმა, — და მინდა ერთ-ოდე სიტყვა მოგახსენოთ.

— მაშ თქვენა ხართ, გრაფ შაბერი აქე რომ დააბინავეთ?

— უკაცრავად, მომიტევეთ, ბატონო, მას ყველაზე უკეთესი ოთახი აქვს. მე ჩემსას მივცემდი, მხოლოდ ერთიც რომ მქონოდა, თვითონ საჯინიბოში დავწვებოდი. მრავალტანჯული ადამიანი, რომელიც ჩემს ბიჭუნებს წერა-კითხვას ასწავლის, გენერალი, ეგვიპტელი, პირველი ლეიტენანტი, რომლის ხელქვეითად ვმსახურობდი. უნდა გენახათ! სრულიადაც არა, იგი საუკეთესოდ არის დაბინავებული. მასთან ერთად ვინაწილებთ, რაც კი მაბადია. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გვაქვს: პური, რძე და კვერცხი. რა ვქნათ, როგორც გიჟირდეს, ისე გილხინდეს. კეთილი გულით ვექცევით, მაგრამ მან დაგვტანჯა.

— დაგტანჯათ?

— დიაღ, ბატონო, დაგვტანჯა, ძალზე დაგვტანჯა. ისეთ საქმეს მოვკიდე ხელი, რომელიც ჩემ ძალას აღემატება. იგი ამას კარგად ხედავდა. იცით, სწუხდა და ცხენს აურვებდა. მე ვუთხარი: „ჩემო გენერალო!“ „ეჰ!—სთქვა მან. — მე არ მინდა დოყლაპიასავით ვეგდო, დიდი ხანია, შინაური კურდღელს ზურგსა ვვარცხნი“. მე თამასუქი მივეცი ჩემი ბოსლის ფასში ვინმე გრადოს... თქვენ, ბატონო, იცნობთ მას?

— ჩემო კარგო, მე რომ დრო არა მაქვს თქვენს მოსასმენად. მხოლოდ ის მითხარით, პოლკოვნიკმა როგორ დაგტანჯათ?

— მან დაგვტანჯა, ბატონო, დაგვტანჯა ისე, როგორც მე ლუი ვერნიოს მეძახიან. ჩემმა ცოლმა იტირა. მეზობლებისაგან გაიგო, რომ ნასესხები ფულიდან ერთი სუც აღარ დაგვრჩა. მოხუცმა ჯარისკაცმა, ჩვენთვის არაფერი უთქვამს, ისე დააგროვა, რასაც თქვენ აძლევდით, და თამასუქი გამოისყიდა. რომ იცოდეთ, რა ცუდად მოგვექცა. მე და ჩემმა ცოლმა ვიცოდით, რომ ამ საწყალ მოხუცს თამბაქო არა ჰქონდა და იოლად მიდიოდა. ოჰ! ახლა, ყოველ დილას აქვს სიგარები... უმალ მე თავს გავიყიდი... არა, ჩვენ დატანჯულნი ვართ. მაშასადამე, მე მინდოდა თქვენგან, რადგან მან გვითხრა თქვენზე, კარგი კაციაო. სესხად ასიოდე ოქრო მიგვეღო ჩვენი დაწესებულების საწინდრით, რომ გენერლისთვის ტანისამოსი შეგვეკერინებინა და ოთახი მოგვეწყო. მას ეგონა, ვალი გადაგვიხადა, ნამდვილად-კი ხომ ხედავთ, რა ვალში ჩაგვაგდო... და დაგვტანჯა. ასეთი შეურაცხყოფა ჩვენთვის არ უნდა მოეყენებინა. მან ჩვენ დაგვტანჯა. და მეგობრები, კიდევ! პატიოსნებას ვფიცავ, ჭეშმარიტად ისე, როგორც მე ლუი ვერნიო მქვია, მე უფრო ადრე ჯარში წავალ, ვიდრე თქვენ ეს ფული არ გადაგიხადოთ.

დერვილმა ძერძევეს შეხედა და რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, რათა სახლი, ეზო, ნაკელი, ბოსელი, შინაური კურდღლები, ბავშვები ისევ დაენახა.

„ვფიცავ, კეთილშობილების ერთ-ერთი ნიშანი ის არის, რომ მესაკუთრე არ იყო“, — სთქვა თავისთვის დერვილმა.

— კარგი, შენ გექნება ასი ოქრო და უფრო მეტიც,—მიმართა მან მერძევეს. — მაგრამ ამას მე კი არ მოგცემ, მოგცემს პოლკოვნიკი, რომელიც საკმაოდ მდიდარი გახდება და შესძლებს შენს დახმარებას. მე არ მინდა, რომ მას ეს სიამოვნება მოვაკლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ მალე იქნება?

— მალე.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა კმაყოფილი დარჩება ჩემი ცოლი! — და მერძევეს ქარდაკრული სახე თითქოს გაუნათლდა.

„ახლა, — სთქვა თავისთვის დერვილმა, — როდესაც ეტლში ჯდებოდა, — გავწიოთ ჩვენს მოწინააღმდეგესთან. ჩვენს ზრახვებს ნუ გავაგებინებთ, ვეცადოთ მისი ზრახვების დანახვას, და თამაში ერთი დაკვრით მოვიგოთ. ენდა შევაშინო. იგი ქალია, ყველაზე უფრო რისი ეშინიანთ ქალებს? ქალებს ეშინიანთ მხოლოდ...“

მან გრაფის მეუღლის მდგომარეობის შესწავლა დაიწყო და ღრმა ფიქრს მიეცა, ისეთს, როგორსაც ეძლევიან დიდი პოლიტიკოსები, როდესაც თავიანთ გეგმებს ადგენენ და როდესაც მტრის კაბინეტების საიდუმლოების მიხვედრას ცდილობენ. ვექილებიც ხომ ერთგვარი სახელმწიფო მოღვაწენი არიან, რომლებსაც კერძო საქმეები აქვთ დაკისრებული? აქ საჭიროა ერთი თვალი გადავავლოთ გრაფ ფეროდისა და მისი მეუღლის მდგომარეობას, ვექილის გენიოსობის მიხვედრა რომ შევძლოთ.

(დასასრული იქნება)

თარგმანი ფრანგულიდან **ირ. ქავშარაძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ჯაფარიძე

ქამთაბეჩის ასული[1]

პიესა 5 მოქმედებად

მესამე მოქმედება

სასახლის ფართო ფერეფანი, ბაღში გამსვლელი მოაჯირით. შიგნით ლხინია გაჩაღებული. ფარდის ახდისას, ფიქრში წასული მერაბი სვეტს მიყრდნობია. მდიდრულად აცვია. დარბაზიდან ბარძიმი გამოდის.

ბ ა რ ძ ი მ ი — (ოდნავ შეზარხოშებულია) — მერაბ!

მ ე რ ა ბ ი — ბრძანე, ბატონო!

ბ ა რ ძ ი მ ი — მერაბ, მაშ ამიერიდან უპატრონებთ გურიას, არა? ა? სუფრა რათ მიგიტოვებია, ჭაბუკო?

მ ე რ ა ბ ი — სუფრას შენ უფრო ამშვენებდი, ბატონო!

ბ ა რ ძ ი მ ი — რა? ო, რა კვიმატად მიპასუხე!

მ ე რ ა ბ ი — რათა, ბატონო?

ბ ა რ ძ ი მ ი — კი! ასეა! შენ რაღათ მიატოვეო, ამას მეუბნები! არა? მე მეფის სუფრას არასოდეს არ მივატოვებ! გესმის?

მ ე რ ა ბ ი — მე კი მის გონსა და მარჯვენას, ბატონო!

ბ ა რ ძ ი მ ი — ბიჭოს! (შეაჩერდება.) შენ მისმა გონმა და მარჯვენამ მოგიყვანა აქ.

მ ე რ ა ბ ი — ვიცი, ბატონო!

(შემოდის ჩუბინა).

ჩ უ ბ ი ნ ა — მეფემ გაახლოთ ჩემი თავი! სად წაბრძანდაო, გკითხულობთ!

ბ ა რ ძ ი მ ი — ოო... ეხლავე, ეხლავე! შედი ჭაბუკო, მოილხინე, მეფეს არ აწყენინო! მეც აი, ნიავს გავეთამაშები, ეხლავე მოვალ. შედი, ლხინის ბოლოა, არ დაგვჯაბნონ გურულებმა!

(ბაღში გადის).

ჩ უ ბ ი ნ ა — რამ დაგადონა, ბიჭო?. რა გაწუხებს? კაცს სარდლად გაშზადებენ და დარდის დრო გაქვს ახლა შენ?

მ ე რ ა ბ ი — ეხ, ბიძაჩემო! დარდი დროს დაგიდევს? როდის იყო, კაცს რომ დარდის დრო არ ჰქონდა? რაც უნდა უდარდელად იცინოდე, დარდი სიცილის ბოლოს მაინც წამოგეწევა და ოხვრით დაგამთავრებინებს!

ჩ უ ბ ი ნ ა — სწორია, ბიძია, სწორი! კაცის გული ასეთია: სადარდელი რომ შემოაკლდეს, რათ შემომაკლდაო, იმაზე დაიწყებს დარდს! დარდი, შვილო, უნამუსოა, რაც უფრო ნებაზე მიუშვებ, მით უფრო წამოგაწვება და დაგჯაბნის!

მ ე რ ა ბ ი — ეხ, ვერ შევეჩვიე, ბიძაჩემო, სასახლეს, დიდკაცობას, უსაქმურობას!

---

[1]) იხ. „მნათობი", № 7 — 8.

ჩუბინა — უსაქმურობას რათა, შვილო? აკი მოგიჩინა მეფემ სწავლული-ბი! ისწავლე, გაიწაფე!

მერაბი — ჰო, ეგ კი! ეგ ყველაფერი კარგია! ჩემთვის ძალიან კარგია, მაგრამ...

ჩუბინა — ვიცი, ვიცი! შენი გულისყური სულ იქ არი, იქ! მასთან! ვიცი! რა ქენი? წერილი დასწერე? მონასტრიდან მედავითნეა ჩამოსული, მოიტა, გავატან (მერაბი ფრთხილად გადასცემს წერილს, ჩუბინა უბეში ჩაიდებს) — ეგ რა არი, ბიჭო? სასახლეში კალთების აკეცა ვის უნახავს?

(მერაბი მყისვე ჩამოუშვებს ჩოხის კალთებს. შემოდის ბარძიმი).

ბარძიმი — შენ კიდევ აქა ხარ? წამო! ხომ დავათვრეთ გურულები! მეტი რაღა უნდათ?

(შემოდის არჩილი).

არჩილი — ბარძიმ! მამა გეძახის!

ბარძიმი — მოვდივართ! (ხელს მოხვევს მერაბს) წამო! წამო არჩილ!

არჩილი — არ მინდა ქეიფი! ოფლი მომდის!

(გადახტება მოაჯირზე. ბარძიმი და მერაბი გადიან. ჩუბინა თვალს გააყოლებს).

ჩუბინა — ღმერთო, ავარგე ეს ბიჭი ამ დიდ საქმეში!

(აპირებს გასვლას).

არჩილი — ჩუბინა! სად მიდიხარ?

ჩუბინა — რა გნებავს, უფლისწულო?

არჩილი — არაფერი, არა, წადი! (ჩუბინა მიდის) დაიცა! დაიცა!

ჩუბინა — (მობრუნდება) ბრძანე!

არჩილი — რა?

ჩუბინა — რაც გნებავს! რა ვიცი? რისთვისაც დამიძახე!

არჩილი — ეხ, რა გითხრა?

ჩუბინა — რას მაწვალებ შე დალოცვილო, ამ დროულ კაცს? გამიშვი წავიდე!

არჩილი — არა, დაიცა, დაიცა, ჩემო ჩუბინა! მრდი აქ! მოდი! (ხელს გადახვევს) ჩუბინა! სიყვარული იცი რა არი? (ხელის მოხვევის დროს, ხელი უბეზე მოხვდება) ეს რა არი, ჩუბინა? (წერილს ამოსტაცებს) ბიჭოს! (კითხულობს) მღვიმევის დედათა მონასტერში! სად? რუსუდანი რომ არის, იქ? ვის წერ ჩუბინა? (კითხულობს) „ჩემი გულისა და გონების განუყრელო ფიქრო და წუხილო, ჩემო მრავალ ტანჯულო, ძვირფასო ძმაო როსტომ!“ (შეხედავს ჩუბინას) რაო?.. (განაგრძობს კითხვას) „შენი შაკიკის წამალი მასწავლა ერთმა მადლიანმა და აი გწერ: როდესაც მთვარე ცხრა დღისა გახდება, სარკმელი გააღე...“ (შესწყვეტს კითხვას) ვისა სწერ ამას, ჩუბინა?

ჩუბინა — იქ ერთი სიყრმის ძმობილი მყავს, უფლისწულო, შაკიკი არ ასვეწებს საწყალს...

არჩილი — ნეტავი შენ, რომ შაკიკის მეტი არა გაწუხებს რა!

ჩუბინა — შენ, რაღა გაწუხებს, უფლისწულო?

არჩილი — ის, რაც შენ აწი არასოდეს აღარ შეგაწუხებს! შენ ოღონდ თვალსა და ყურს არ დაეკლდეს, სასმელ-საჭმელი არ შემოგელიოს და მეტი არა გინდა რა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუბინა — არა უფლისწულო! რაკი ეგრე ფიქრობ, სჩანს უფრო დიდი სამწუხარო სხვა მქონია!

არჩილი — რა გქონია?

ჩუბინა — აი სწორეთ ეგ, რა აზრისაც ყოფილხარ მოხუცებზე! ეჰეი, უფლისწულო, შენმა აზრმა, ხვალ ქვეყანა როგორ უნდა მართოს, თუ კი...

არჩილი — ოჰ! კარგი ახლა, ვიცი, ვიცი, რომ მოხუცი ხარისა რქანიცა ხნავენო! ჰო, ვიცი! ოხ, როგორ მომბეზრდა ყველაფერი, ყველაფერი!

(შემოდის აგაბო).

აგაბო — რა სეირი გამოგრჩათ, რა სეირი!

ორივე — რა მოხდა?

აგაბო — მერაბია სადღეგრძელოზე მეფემ გურიელს ყანწი გადაულოცა!..

არჩილი — ეეხ!.. მე რაღაცა მეგონა! რათ მინდა ეგ თქვენი სადღეგრძელოები!

(გაეცლება მათ და მოაჯირის ფართე ხარიხაზე წამოწვება).

ჩუბინა — მერე? თქვი კაცო, მაგას რას უყურებ?

აგაბო — ჰო და, გურიელმა, როგორც იცი მისი ამბავი, რომ შეაქო და შეაქო ჩვენი მერაბი, ბოლოს ასე ჩაუკრიმანჭულა: — ვაი რომ ქალიშვილი არ მყავს, თორემ შენისთანა სასიძოს ჭკვიანი კაცი ხელიდან არ გაუშვებსო!

ჩუბინა — ოჰ! მართლა?

აგაბო — აბა! ყველამ ქამთაბერს გადახედა! — შენი ჭკუა განთქმულია გურიელოო!..

ჩუბინა — რას ამბობ? შელაპარაკდენ?

აგაბო — არა, სულ ტკბილად, სულ სიცილით! გურია-იმერეთის შეერთებამო, ჩვენც უნდა დაგვამოყვროსო, ასულს გიქებენ და რძლად უნდა მომცეო!

არჩილი — (წამოხტება) — რაო? მერე, რა უთხრა ქამთაბერმა?

აგაბო — რომ ვათხოვებდე, შენზე უკეთესს ვიღას ვინატრებდიო? — აბა მონაზნობას ხომ არ უპირებო!

ჩუბინა — ოჰ! გაუგია? შეხედე! ხო, ხო, სად ჩაურტყამს! მერე?

აგაბო — რატომო? რა უშავსო? უთხრა ქამთაბერმა, — უშმაკის სამსახურს, ღვთის სამსახური არ ურჩევნიაო?

(იცინიან. შემოდის ქამთაბერი).

ქამთაბერი — ბიჭოს, რა გულიან სიცილში ხართ! მეფე მხიარული, ერი ბრიარული, მტერი რას დაგვაკლებს?

აგაბო — სიცილი გულით უნდა ბატონო, თორემ კბილებით თავის ქალაც კი იცინის!

ქამთაბერი — ეგ რა თქვი კაცო? საფლავიდან რომ ამოაგდებენ ნიჩბით, რომ გაგორდება და იცინია... ოხ, მართლაც... აა? წეთისოფელს დასცინის, კაცის სიბრძნეს, არა?

აგაბო — ეხ, ცოცხლები ნუ დაგვცინებენ, ბატონო, და მკვდრები...

ქამთაბერი — რაზე ამბობ მაგას აგაბო?

აგაბო — საერთოდ, ისე მოგახსენებთ!

ქამთაბერი — არა, აგაბო! შენ სხვას ამბობ! ჩემთან მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი — კამეჩი ხარ?

ჩუბინა — აბა ეგ რა ზრდილობაა უფლისწულო? რას ეგავ — მენი საქციელი?

არჩილი — რატომ? როგორც თქვა, ისე შევეკითხე, ზრდილობა რა შუაშია?

ქამთაბერი — დიახ! კამეჩი ვარ! კამეჩი! ჯერ ჩემდენი გასწიონ და მერე ქედი ისე ასწიონ!

ჩუბინა — აგაბო, საუბარი კარგია, მაგრამ ახლა საქმეს მივხედოთ! (გადიან).

არჩილი — მართლა უნდა გურიელს რუსუდანი? გაწყდა მაგის სახსენებელი! აქედან მოშორდეს, თორემ რომ წავავლებ ხელს იმ გაჩეჩილ საბუდარში, ვასწავლი, როგორც უნდა კრიმანჭული!

ქამთაბერი — რა ვქნა? რა გიყო, არჩილ? რა მოგიხერხო? მონასტრიდან მონაზონის გამოყვანა არ შეიძლება! უფლება არა მაქვს! ასეთია კანონი!

არჩილი — მაშ ვისა აქვს უფლება?

ქამთაბერ — მხოლოდ მამაშენს, როგორც მეფეს!

არჩილი — მეც ხომ მეფე უნდა გავხდე!

ქამთაბერ — ეს, როცა გახდები მაშინ!

არჩილი — მანამდე! მანამდე რა ვქნა?

ქამთაბერ — სთხოვე მამაშენს, იქნებ დაგთანხმდეს!

არჩილი — სულ ერთია, არ იზამს!

ქამთაბერ — რა იცი?

არჩილი — გაიცინა, ხვალ სხვას ნახავ და ის დაგავიწყდებაო!

ქამთაბერ — როგორ? უკვე ელაპარაკე? მერე?

არჩილი — მერე, რაღა უნდა მეთქვა?

ქამთაბერ — ჰო, თუ მართლაც ხვალ სხვა მოგეწონება, მაშინ რას ერჩი მამაშენს? სწორი უთქვამს! ყველაფერი გამორკვეულა!

არჩილი — რას ამბობ? წავალ მონასტერში და წამოვიყვან!

ქამთაბერ — ვინ გამოგატანს? რა უფლებით?

არჩილი — ვინ ეშმაკმა მოიგონა ეგ უფლება? როგორ? ქვეყნად რუსუდანი არსებობდეს, მე მისი სიყვარული მკლავდეს და სადღაც თაროებზე ვიღაცის ნაჯღაბნი, მტვერიანი აბდაუბდის უნდა მეშინოდეს? სულ დავწვავ მაგ კანონებს!

ქამთაბერ — ვერა არჩილ! კანონის მომსპობი კაცი ქვეყანაზე არ დაბადებულა. თუ კი ასე ძლიერ გიყვარს რუსუდანი, სწორეთ ეგ უნდა გეთქვა მამაშენისათვის, მაგაში უნდა დაგერწმუნებია და მოგცემდა დასტურს.

არჩილი — რაო?

ქამთაბერ — მაშ როგორ გგონია?

არჩილი — შევალ, ვეტყვი, და თუ არ დამთანხმდა, მაშინ მოვიტაცებ! (გარბის).

ქამთაბერ — დაიცა, არჩილ! სუფრაზე ეტყვი?

არჩილი — არა დასასვენებლად რომ წამოწვება, მაშინ მივალ!

(შემოდიან ბარძიმი და აგაბო).

ბარძიმი — ა? ხომ დავათვრე გურულები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგაბო — თუ არ მიირთმევდი, რა დაგათრობდა?
ბარძიმ — აა... წვეთი, წვეთი არ დამიკლია!
არჩილი — მამა ადგა სუფრიდან?
ბარძიმი — მამა დასასვენებლად წაბრძანდა!
არჩილი — (ქამთაბერს) — აბა წავალ ახლა!
ქამთაბერ — (არჩილს) — დაიცა! (ბარძიმს) — ნასვამია?
ბარძიმი — არა ფხიზელია, იმანაც შენსავით გვიღალატა სმაში! (ქამთაბერი არჩილს ანიშნებს წადი, არჩილი გარბის) — რათ გამოგვეპეცი? მმ? არაფერია! რაკი მეფემ და გურიელმა ერთმანეთი გადაკოცნეს, აწი არა გვიშავს რა! ხომ! (ბაღისკენ იხედება) — უჰ! ეს რა გიქნიათ კაცო ამ პატიოსანი მუხისათვის? შეხედე ქამთაბერ!
აგაბო — ეგ გუშინ გადავბელეთ, ბატონო!
ქამთაბერი — რათ დაგიუშნოვებიათ ეს მამაპაპის დროინდელი საჩრდილობელი?
აგაბო — ასე გვიბრძანა მეფემ!
ქამთაბერი — რათა კაცო? რა დაგიშავათ ამ საცოდავმა? თორმეტი კაცი ხელს ვერ შემოტევს, იმოდენაა, და დაგეყენებიათ თვალის სახარათ!
აგაბო — გულში ფუღურო გაჩენია, ტოტებს ველარ ერეოდა!
ბარძიმი — ჰოო.. მაშინ კი!
ქამთაბერი — მაშინ სწორია!
აგაბო — საოცარია პირდაპირ! ამდენი საფიქრალი აქვს მეფეს და ამისთანა უბრალო, უბრალო რამეებს ჩვენზე უმალ ამჩნევს!
ქამთაბერი — ამჩნევსო? მეფე უკეთ ამჩნევს ყველაფერს! მეც მეკონა ცდებოდა როცა მერაბი მოყავდა აქ, მაგრამ არა, იცის! მეფემ უკეთ იცის, რაც უნდა გადაბელოს და სად უფრო კარგ ტოტს ამოიყრის!
აგაბო — რა ვიცი ბატონო, ოღონდ ფუღურო არ გაგვიჩნდეს და ისე რა გვიშავს?
(გადის).
ბარძიმი — აქეთ მოიწი! (სიფრთხილისათვის ადგილს ინაცვლებენ) — შეამჩნიე? მეფემ რომ შეგატყო არ სვამდი, ადარც თითონ დალია!
ქამთაბერი — ვითომ ახლა, მაგითი რაო?
ბარძიმი — რა ვიცი! სჯობია საქმეზე ვილაპარაკოთ! რაც უნდა მოხერხებულად მოვაწყოთ, მერაბის სიკვდილი მაინც არ ივარგებს, ჩვენ ამით საქვეყნო იჭვს გამოვიწვევთ! ხალხში მერაბის სახელს ავამაღლებთ, და მერაბების გამოძებნას უფრო გავაძლიერებთ!
ქამთაბერი — მართალი ხარ! არ ივარგებს!
ბარძიმი — გახსოვს, მერაბის სადღეგრძელოში, მაღალ ზნეობაზე როგორ ილაპარაკა მეფემ! ჰო და ყური მიგდე! მერაბმა, რაიმე უზნეო საქციელით, მეფის თვალში, სახელი უნდა გაიტეხოს, სახელის გატეხა დანაშაულიც უნდა იყოს.
ქამთაბერი — ჰო, მაგრამ რა? ან როგორ?
ბარძიმი — ეგეც მოფიქრებული მაქვს. აქ შენი სიმარჯვეა საჭირო! დედათა მონასტერში უცხო მამაკაცის შეპარვა...
ქამთაბერი — ოხ! მივხვდი! შესანიშნავია!

ბ ა რ ძ ი მ ი — მხოლოდ ეს ისე უნდა მოხდეს რომ თითონ მერაბი... (შემოდის მერაბი. სიტყვა პირში შეაშრებათ, მაგრამ ბარძიმი ... მერაბ! მოდი აქ! სწორეთ შენზე ვლაპარაკობდი და კ... ... ! რა კარგი ყოფილხარ სუფრაზე, ჭაბუკო! გცოდნია შეგცევა! ყოჩაღ! ყოჩაღ!

(მერაბი გაიღიმებს, მოშორებით გაიგლის აივანზე და გადის).

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — (თვალს გააყოლებს) — რა კაცი წამართვა მეფემ! რა კაცი!

ბ ა რ ძ ი მ ი — ასეა. კარგი ყველას თავისთვის უნდა! ჰო, იმას გეუბნებოდი, როდესაც მეფე შეიტყობს რომ მერაბი...

(შემოდის მერაბი).

ბ ა რ ძ ი მ ი — ქამთაბერ, წამო ბაღში ჩავიდეთ! ცაცხვებისაკენ გავიაროთ!

(გადიან. მერაბი კვალში გასცქერის მათ. შემოდის არჩილი).

ა რ ჩ ი ლ ი — სად წავიდა ქამთაბერი, მერაბ?

მ ე რ ა ბ ი — ცაცხვებისაკენ, უფლისწულო!

ა რ ჩ ი ლ ი — (გარბის მაგრამ უცბათ მობრუნდება) — მარტოა?

მ ე რ ა ბ ი — არა, ბარძიმს ესაუბრება!

ა რ ჩ ი ლ ი — ჰოო... (მძიმედ მობრუნდება. მერაბი გასვლას აპირებს) — მერაბ! რაზე ლაპარაკობენ, თუ იცი?

მ ე რ ა ბ ი — რა ვიცი, მგონი ჩემზე!

ა რ ჩ ი ლ ი — შენზე? რას ამბობენ?

მ ე რ ა ბ ი — რა ვიცი! ალბათ იმას, ვივარგებ თუ არა ქვეყნისათვის.

ა რ ჩ ი ლ ი — ჩემზე ხომ არაფერს ამბობენ, თუ იცი?

მ ე რ ა ბ ი — რა მოგახსენო, არ ვიცი!

(აპირებს გასვლას).

ა რ ჩ ი ლ ი — მერაბ! დაიცა!

მ ე რ ა ბ ი — ბრძანე, უფლისწულო!

ა რ ჩ ი ლ ი — შენ მამა გყავს?

მ ე რ ა ბ ი — მყავს!

ა რ ჩ ი ლ ი — უყვარხარ?

მ ე რ ა ბ ი — რაღა თქმა უნდა!

ა რ ჩ ი ლ ი — შენც გიყვარს მამაშენი?

მ ე რ ა ბ ი — მამა ვის არ უყვარს, უფლისწულო?

ა რ ჩ ი ლ ი — სიყვარულს გიშლიდა მამაშენი?

მ ე რ ა ბ ი — გააჩნია, ვისას?

ა რ ჩ ი ლ ი — ვინც შენ გინდა, იმისას?

მ ე რ ა ბ ი — თოფით დამედევნა!

ა რ ჩ ი ლ ი — თოფით დაგედევნა? მართლა? მერე? რა უთხარი?

მ ე რ ა ბ ი — ვერაფერი!

ა რ ჩ ი ლ ი — ვერაფერი ხომ! ჰო!.. რას ეტყოდი? (ჩაფიქრდება. მერაბი გასვლას აპირებს) — დაიცა! შენ რუსუდანი გიყვარდა და იმიტომ მოიტაცე, არა?

მ ე რ ა ბ ი — დიახ, უფლისწულო!

ა რ ჩ ი ლ ი — მერე? რათ დათმე, თუ გიყვარდა?

მ ე რ ა ბ ი — მეფემ სასახლეში წამომიყვანა!

ა რ ჩ ი ლ ი — მერე, მაგისთვის დათმე?

მ ე რ ა ბ ი — მე წერეთელს ვემსახურებოდი, მეფემ ჩემი ქვეყნის სამსახური დამავალა, მე იმ ქალის სიყვარულისათვის წერეთლის სამსახური გავექეცი, მაგრამ ჩემი ქვეყნის სამსახურს სადღა გავექცე?

ა რ ჩ ი ლ ი — მაშ გამიგია, რომ სიყვარული ქვეყნისათვის დაგითმია!

მ ე რ ა ბ ი — რუსუდანმა ჩემი სიყვარულისათვის, ამ ქვეყნიური ბედნიერება დათმო და მონასტერში წავიდა!

ა რ ჩ ი ლ ი — ესე იგი, დაგითმიათ ერთმანეთის სიყვარული! ძალიან კარგი, ემსახურე შენ ქვეყანას, რუსუდანს კი მე მივანიჭებ ბედნიერებას, მე ის მიყვარს და მე მას არაფრისათვის არ დავთმობ!

(სწრაფად გადის. შემოდის ჩუბინა).

ჩ უ ბ ი ნ ა — რა იყო ბიჭო? რამ გაგაშტერა?

მ ე რ ა ბ ი — ა?.. ბიძაჩემო, მე ახლა მონასტერში უნდა წავიდე!

ჩ უ ბ ი ნ ა — რას ამბობ? რა ეროს წასვლაა? ღამდება! მეფემ რომ გიკითხოს, რა უნდა ვუთხრა? (მერაბი საჩქაროთ გადის) — დაიცა ბიჭო! დაიცა! ეჰეი!.. გაჭკრა ხელი თექას!

(შემოდის აგაბო).

ა გ ა ბ ო — რა იყო ჩუბინა?

ჩ უ ბ ი ნ ა — კაცის გულს რომ ცეცხლი წაეკიდება, მერე ტყუილია, იმ ცეცხლს წყალწყალა სიტყვით ვეღარ ჩააქრობ!

ა გ ა ბ ო — როგორ? (ბაღის კუთხიდან მობობღავს ვიღაცა) — ეს ვინ არი, კაცო? რომელი ხარ?

(მისკენ მიიწევენ ორივენი).

ხ მ ა — მიშველეთ! თქვენი ჭირიმეთ! დამმალეთ! გადამარჩინეთ!

ა გ ა ბ ო — ოჰ! კირკიტა! კირკიტა!

კ ი რ კ ი ტ ა — კირკიტა კი არა, ნემსის კუნწში გამძვრალი სპილო ვარ, ბეწვზე დაკიდებული აქლემი ვარ! მიშველეთ! ზღვას გადარჩენილი, ცვარმა არ დამახრჩოს!

ა გ ა ბ ო — რამ შეგაშინა? ვინ გახრჩობს?

კ ი რ კ ი ტ ა — ჩ ე ი ყურით გავიგონე ახლა, აგერ, ბაღში... მიშველეთ, როგორმე მეფემდე მიმაღწევინეთ!

ა გ ა ბ ო — რა გაიგონე კაცო? ან მეფესთან რა გინდა?

კ ი რ კ ი ტ ა — მეფესთან ან ჭირი მიგიყვანს, ან ლხინი!

ა გ ა ბ ო — მუდამ ლხინის მაძებარი იყავი და ბოლოს...

კ ი რ კ ი ტ ა — და ბოლოს იმისთანა ჭირს შევეყარე, რომ...

ჩ უ ბ ი ნ ა — რას? შე საცოდავო!

კ ი რ კ ი ტ ა — შენი ძმისწულის ბედნიერება მექცა უბედურებათ!

ო რ ი ვ ე ნ ი — აა?..

კ ი რ კ ი ტ ა — გუშინ წისქვილში გამაფრთხილეს, საწერეთლოში აღარ დაბრუნდე, ენის დაშანთვას გიპირებს ქამთაბერიო...

ო რ ი ვ ე ნ ი — ოჰ! ენის დაშანთვასო?..

კ ი რ კ ი ტ ა — აბა! ეს რომ მითხრეს, მთვრალი ვიყავი და ისე გამოვფხიზლდი, ხელი რომ გამეშალა, ნიავი წამიღებდა!

ა გ ა ბ ო — იქნებ ჭორია, შეგაშინეს!

კ ი რ კ ი ტ ა — არა, ჩემო აგაბო, მეც ბევრი ვიძახე: ღმერთო, იქნება სიზმარში ვარ თქვა, მაგრამ აგერ ბაღში რომ შემოვედი, იმისთანა ცხადი მიეცა შენს მტერს...

ჩუბინა — დაგინახეს?

კირკიტა — არა, დანახვით, არა! მოვასწარი ჩირგვში ჩამალვა. მაგრამ მიგნებული კურდღელივით ამივარდა ცახცახი!

ჩუბინა — მერე?

კირკიტა — კირკიტამო, კირკიტამო! ასე მომესმა უეცრათ!

ორივენი — ოჰ!

კირკიტა — აბა! წავიგრძელე კისერი, მაგრამ იმ სიშორეზე რას გაარჩევ? მონასტერშია, მონასტერია მაგის ხაფანგია, ესეც კარგათ გავიგონე. მაგრამ მერე რომ დამასხა ცივმა ოფლმა...

ჩუბინა — რაო? მონასტერშია? ეგ იქნებ სხვაზე თქვეს კაცო?

კირკიტა — არა, შენი ჭირიმე, აბ! ნეტა მართლა სხვაზე ეთქვათ. სხვას რას დავეძებ, ჯანდაბამდი გზა ჰქონია! მე დავდივარ მონასტერში, რაღაცა ჩემდა საუბედურო ნათესავი მყავს იქ! იცის ახლა ეს ყამთაბერმა და მიმწყვლევას მიპირობს მოსაბეგვი ვირთხასავით! ეს რაკი ჩამეწვეთა ყურში, იქ როგორ გავეკარები, მაგრამ სად წავიდე, კაცო? (უცბათ შეშფოთდება) არიქა მიშველეთ! ყამთაბერი მოდის აქეთ და რაღა ვქნა?

აგაბო — ნუ გეშინია! ჯერ იქ შედი, საჯალაბოში! მოვალ! მოვილაპარაკოთ! გარეთ არ გამოხვიდე, კირკიტა!

(კირკიტა გადის. შემოდის ყამთაბერი).

ყამთაბერი — ჩუბინა! ერთი უთხარი, ცხენები გაამზადონ!

აგაბო — მიბრძანდებით?

ყამთაბერი — ჰო! აბა, ჩქარა თუ კაცი ხარ!

ჩუბინა — ახლავე ბატონო!

(ჩუბინა ვადის).

აგაბო — რაღა დროს გამგზავრება არი? უკვე ღამდება!

ყამთაბერ — მერე რა უშავს? მთვარიანია! სიცხეში სიარულს, ახლა ჯობია! რომ შევყვებით ამ სერებს და ჩაუკიკინებენ მგზავრულს ჩემი ბიჭები... არ მოგისმენია?..

აგაბო — არა, ეგ იცოცხლე! გზაში კი არ მოგაწყენენ, მაგრამ მაინც ღამით სიარული...

ყამთაბერ — ჰო, რა? ბნელი კაცის საქმეა, არა?

აგაბო — არა ბატონო, აბ! მაგას როგორ გკადრებთ!

ყამთაბერ — ვიცი, ენა-ფრთხილი კაცი ხარ, მაგრამ მაინც ასე გამოგივიდა!

აგაბო — ენა ბატონო, სამართებელია, თუ ძალიან მოხერხებულად არ გიჭირავს ხელში...

ყამთაბერ — გაგბასრავს, არა?

აგაბო — ბეწვის ხიდზე გავლა ჯობია! ერთი რომ წაგცდეს სიმართლისკენ ფეხის წვერი, გათავდა! გახურებული შანთით გამოგიდგებიან!

ყამთაბერ — შანთითო?

(გადახედავს).

აგაბო — ჰო ბატონო! მაგრამ სად გაექცევი? სადაც მიგესვლება ყველგან მიგაგნებენ, მონასტერშიც რომ შეხვიდე, იქაც ხაფანგს დაგიგებენ!

ყამთაბერ — ვიზე ამბობ მაგას, აგაბო?

აგაბო — ჩემზე მოგახსენებ! მე რომ წელან თავი არ შემეკავებინა და გურიელისთვის პირში მომეხსენებია, გაჯობა წერეთელმა ბაქრაძეს თქვა, სიმართლეს არ ვეტყოდი? მაგრამ რომ აენთებოდა ნავარგები კვარივით და დამაცხრებოდა ეს ამოდენა დევ-კაცი, დაშანთვას მაკმარებდა?

ქამთაბერ — არა, აგაბო! შენ სხვას ამბობ!.. დაბალ ღობეზე ხტომა გლახაკთა წესია! მაგრამ ყოველ გურიელს თავისი შესაფერი პასუხი ეკადრება და საკადრისს არავის დავაკლებ, თუ ვიცოცხლე!

აგაბო — ეხ! იცოცხლე ბატონო, ყველას თავისი საკადრისი ეკადრებოდეს, მაგრამ სად არის? ზოგს შანთით დასდევენ და ზოგს ხაფანგით!

(შემოდის ჩუბინა).

ჩუბინა — ცხენები მზათ გახლავს, ბატონო!

ქამთაბერი — აბა, კარგათ მენახოთ!

ორივენი — იცოცხლე ბატონო!

(გასასვლელამდე მიაცილებენ და მობრუნდებიან).

ჩუბინა — რაღა ვქნათ, აგაბო, მეფემ რომ ეს ამბავი შეიტყოს, რაღა ვქნათ? რა ვუთხრათ?

აგაბო — რა მოხდა ჩუბინა?

ჩუბინა — უფლისწული გაპარულა სადღაც!

აგაბო — აა?

მეოთხე მოქმედება

(რუსუდანის სენაკი მღვიმეის მონასტერში. მოისმის დაბალი ზარი მწუხრისა. მუხლმოყრილი რუსუდანი გართხმულია ჯვარცმის წინაშე. მწუხრის ზარს ფარავს შორეული გალობა მონაზონთა. რუსუდანი ხელებს აღაპყრობს).

რუსუდანი — გულთამხილავო, მომეცი ძალა, გულიდან ამოვიგდო ყოველი ფიქრი ხორციელი, თორემ სხვაგვარად ვერ ვახერხებ შენდამი ლოცვას! შენ ხომ ყოვლის შემძლე ხარ, ზეციერო, შემაძლებინე განქარვება სიყვარულისა, რომელსაც მოუცავს სული ჩემი.

(უეცრად სარკმელი გაიღება და გადმოხტება მერაბი).

მერაბი — რუსუდან!

რუსუდან — აახ!..

მერაბი — შეგაშინე?

რუსუდან — საიდან გაჩდი? როგორ?

მერაბი — შეგაშინე?

(უნდა მოეხვიოს, მაგრამ რუსუდანი უკან დაიწევს. მერაბი შეჩერდება. რუსუდანი შეძრწუნდება).

რუსუდანი — რა ვქნა, მერაბ? განა მე კი არ მახრჩობს წყურვილი უშენობისა, მაგრამ რა ვქნა, თუ კი არც ღმერთს უნდა და არც კაცს!

მერაბი — არც მაგ გულს?

რუსუდანი — ეს გული ყოველ ჭირს მორჩილებს, ხოლო შე კი ბებერ-ონება. ყველას ჯავრს ჩემზე იყრიან, ძილს მიფრთხობს, ბოსვლებს მი-კარგავს, არ მავიწყებს არც საწუთროს, არც შენ თავს, არც ბაბას, ამ ბაბას, რომელმაც აქ გამომისტუმრა, ეს ჩამაცვა, ქვა მოძაგდო და იმა-საც კი ალარ კითხულობს, ამ ყრუ კედელთა შორის, ცოცხალი ვარ, თუ არა!

(ცრემლი ერევა).

მერაბი — ნუ სტირი, რუსუდან, ცრემლი რომ სატკივარს შველოდეს, ადამიანს ვინ ალირსებდა? (მისწვდება სურას, მაგრამ რაკი იქვე თასი არა სჩანს, მათარას ჩამოხსნის და წყალს ასხამს) აჰა დალიე!.. მე რომ ხრესილში მტრის მახვილს გავეჩეხე, შენ უფრო ბედნიერი იქნებოდი, აქამდე ჩემს გამოგლოვასაც მოასწრებდი და...

რუსუდანი — ეგრე ნუ იტყვი, მერაბ! ქვეყნისთვის შენ უფრო საჭირო ხარ, ვიდრე ათასი ჩემისთანა, მე ქვეყანას მხოლოდ ერთ მონაზონს დავაკლებდი ჩემი სიკვდილით!

მერაბი — არა რუსუდან! ჩვენ ერთი მუჭა ერის შვილები ვართ, ქვეყანა ლოცვაზე მეტს გვავალებს, მონასტერში კი ის მოვიდეს, ვისაც მონა-ზვნობის მეტი არა შეუძლია რა!

რუსუდანი — ეხლა უკვე გვიან არის ყოველივე!

მერაბ — რათა? მეფე მეტად გულისხმიერი კაცია, შევურჩევ დროს, შევთხოვ ნებართვას და წაგიყვან აქედან.

რუსუდან — რას ამბობ? ეგ ხომ შეცოდება იქნება ღვთის წინაშე და ცოდვილთ ბა რა სიკეთე უნდა მოგვენიჭოს?

მერაბ — რათა, რუსუდან? ბა კარგად ჩაუფიქრდი! მე რომ შენი თავი მონასტერმა წამართვას, ამით გულს წამართმევს და უგულო კაცის ხმალი ბა რაღას გასჭრის? არა, რუსუდან! განა ღმერთს სამშობლოსა-თვის უმაქნისი კაცი უნდა? განა ღმერთი კი მიიღებს იმ ლოცვას, რო-მელიც ხმალს დამიჩლუნგებს?

(მოისმის ცხენების ფეხის ხმა, ორივენი სარკმელს მივარდებიან).

რუსუდანი — ეს რა ამბავია? მამაჩემი!

მერაბი — შენ სანახავად მოვიდა?

რუსუდანი — (შემკრთალი, აღტაცებული, დაბნეული) — ჩემ სანახავად? ჰო, მაგრამ... როგორ? აქ რომ გნახოს?.. ვაი! მერაბ!

მერაბი — ნუ გეფიქრება!

(ადის სარკმელზე).

რუსუდანი — ფრთხილად, არ დაგინახონ!

მერაბი — არა, ნახვამდის!

რუსუდანი — როდის გნახავ?

მერაბი — მოგწერ! მოვალ!

(გადახტება).

რუსუდანი — ღმერთო!

(გარედან ქამთაბერის ხმა მოისმის).

ქამთაბერ — რუსუდან! რუსუდან!

რუსუდანი — მამა! (შემოდის ქამთაბერი, გადაეხვევიან) გამიხსენე, მამა? გამიხსენე?

ქამთაბერ — გამიხსენეო? მაგას რათ ამბობ, შვილო? შენს გარდა ვინ-ღა უნდა მახსოვდეს, მაგრამ რა გავაწყო? არა ინდომე რა ჩემმა, დედოფლობას მონაზვნობა არჩია და რა გიყო? იმედი მქონდა სიბერის დღეებს, შვილიშვილით გამახარებდი, მაგრამ შვილის ნაცვლად, ხელში ლოცვანი გიჭირავს და სიხარულის ნაცვლად, მწუხარება მარგუნე!

რუსუდანი — მაკმარე, მამა! მაკმარე! ნუთუ ჩემი ნახვა მარტო ჩემს გასაიცხავად მოგენატრა?

ქამთაბერ — რა ვქნა, შვილო? შენ რომ ჩემთვის დაგეჯერებინა და დედოფალი გამხდარიყავი, მე ტახტის წინ ხმლით დავდგებოდი და ჩემს მიწა-წყალს დავიცავდი ამ სვავთაგან, რომელნიც საწერეთლოს ისე უყურებენ, როგორც ხელში ჩასაგდებ საკბილოს, რათა გაგლეჯონ და თავიანთ ბარტყებს დაუნაწილონ! ეხლა კი ეს სვავები ჩემს სიკვდილს ელოდებიან, რომ საწერეთლო გადაყლაპონ და ჩვენს ნაპარტახალზე ქერი დათესონ თავიანთი ბედაურების გასასუქებლად!

რუსუდანი — ესე იგი, უარი მეთქვა მერაბისათვის და ჩემი სურვილის წინააღმდეგ გავყოლოდი უფლისწულს, არა? მამა, ნუთუ ჩვენი ქვეყანა ნაბიჯს ისე ვერ გადადგამს, რომ გულზე ფეხი არ დამაბიჯოს? თუ ეს ასეა, თუ ჩემი ჭირი ქვეყნის ლხინად გამოდგება, მაშინ, ჩემი თავი ენაცვალოს სამშობლოს! მე მზათა ვარ, თუნდ დღესვე, აი, ეხლავე! მაგრამ ვაი, რომ ეგ წამალი წყლულს ვერ განკურნავს! მე უფლისწული არასოდეს არ მეყვარება და ვერასოდეს ვერ ვიქნებით ერთად ბედნიერნი. გახსოვს, განსვენებული დედაჩემი როგორ მასწავლიდა: — „ოჯახური უთანხმოება კაცს მუდამ გარეთ გაჰყვება, კვალში გასდევს და გზას აურევსო". რაკი სამეფოს ბედი მეფის ნაბიჯით იზომება რად უნდა ვაქციო ჩემი დედოფლობა ჩემი სამშობლოს უბედურებად? რაც შეეხება საწერეთლოს, მერაბი შესძლებდა მის მოვლას, მით უმეტეს დღეს, როდესაც იგი სარდალი ხდება. მაგრამ ეხლა უკვე გვიანლაა ყოველივე, რადგან როგორც შენა სთქვი, მე ლოცვანი მიჭირავს ხელში!

ქამთაბერ — ეგ რომ მცოდნოდა, მაშინ მე თითონ შეგრთავდი მერაბს!

რუსუდანი — რაო? რა სთქვი, მამა?

ქამთაბერ — ჰო! შეგრთავდი! რათ გაიოცე? თუ კი უფლისწულს უარს ეტყოდი და მერაბიც სარდალი გახდებოდა, რატომაც არა? ოღონდ აქედან ჩქარა გამეყვანე და დღესვე გამოვთხოვდი მეფეს ნებართვას, მაგრამ რა ვიცი ეხლა მერაბი რა გუნებაზეა? იქნებ აღარც უნდებხარ!

რუსუდანი — მერაბმა იცის, რასაც მეუბნები?

ქამთაბერ — საიდან? მე ხომ არ ვეტყვი?

რუსუდანი — მაშ როგორ გაიგოს?

ქამთაბერ — მოელაპარაკე!

რუსუდანი — სად? აქ ხომ მისი მოსვლა არ შეიძლება!

ქამთაბერ — ჩუმად რა უშავს? შენ მისწერე და ის მოახერხებს!

რუსუდანი — (რუსუდანი შეფიქრდება. ფრთას აიღებს საწერად) — მე-რე? წერილს ვინ გადასცემს?

ქამთაბერ — გადამცემს გამოვნახავ! (რუსუდანი სწერს) ჩასწერე, რა დღეს მოვიდეს! რა დროს! დილით, საღამოთი...

რუსუდანი — ეგ რაღათ, მამა?

ქამთაბერ — სასახლის კაცია, წინასწარ ისე მოაწყობს, არავინ დაეჭვდეს!

რუსუდანი — მამა! მონაზვნის გათხოვება ღვთის წინაშე რომ ცოდვა გამოდის?

ქამთაბერ — ეგ ცოდვა ჩემზე იყოს! დასწერე! (რუსუდანი წერას განაგრძობს. ქამთაბერი მათარას მოჰკრავს თვალს. დაეჭვდება. მიხვდება. მათარას ჩუმათ ჯიბეში ჩაიდებს. რუსუდანი მოიხედავს.) რა იყო?

რუსუდანი — არაფერი!

(რუსუდანი წერას განაგრძობს).

ქამთაბერ — რა ქენი? დასწერე?

რუსუდანი — ეხლავე! (ქამთაბერი იქაურობას ათვალიერებს. სარკმელშიც გადაიხედავს. რუსუდანი წერას შეაჩერებს) — რას აკვირდები, მამა?

ქამთაბერ — ეს გორაკი ხრესილს მაგონებს!

რუსუდანი — მარცლა?

ქამთაბერ — ასეთ გორაკზე ვიდექი, როდესაც გაოფლიანებული მერაბი მოიჭრა და გამარჯვება მოსილოცა, სწყუროდა, ხახა უშრებოდა, იქვე წყაროზე მათარა ავავსე და მივაწოდე. დალიე, შენი მარჯვენით დაცულია, შეგერგება-მეთქი. გახსოვს, დედაშენის ნახელავი, წითური თალათინის მათარა!

რუსუდანი — მათარა?

(შეკრთება და მაგიდას გადახედავს).

ქამთაბერ — ჰო! რა იყო? მათარა მასვე ვუსახსოვრე მაშინ! არ გაგონდება?

რუსუდანი — როგორ არა, ის მე მაჩუქა მერაბმა!

ქამთაბერ — მართლა? როდის?

რუსუდანი — როდის? საწერეთლოში!

ქამთაბერ — გუშინწინ წელზე ჰქონდა სასახლეში!

რუსუდანი — ა?

ქამთაბერ — რა იყო?

რუსუდანი — არაფერი! აი წერილს ვწერ. თან გელაპარაკები და...

(განაგრძობს წერას).

ქამთაბერ — სარკმლის ჩარჩოზე ტალახს რა უნდა რუსუდან?

რუსუდანი — მე გადავხტი და ალბათ... (შეაჩერდებიან ერთმანეთს) რას მიყურებ?

ქამთაბერ — რა ქენი? დასწერე? მოატა!

რუსუდანი — უკვე მიდიხარ?

ქამთაბერ — ჰო!..

(შუბლზე კოცნის).

რუსუდანი — დაიცა, მამა! ჯერ რა გეჩქარება? რამდენი ხანია არ მინახავხარ!

ქამთაბერ — მალე გნახავ! არა იჯავრო რა!

(რუსუდანი მიაცილებს და გადიან. სარკმელში არჩილი შემოიხედავს და გადმოდის. შემოდის რუსუდანი. გაოცებისაგან უკან იხევს).

რუსუდანი — უფლისწულო! ეს რას ნიშნავს?

არჩილი — რუსუდან! სადა ხარ? ძლივს მოვალწიე შენამდის!

რუსუდანი — შენამდისო? ჩემთან რა გნებავთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი — როგორ მეკითხები, რუსუდან, ნუთუ აქამდის ვერ დარწმუნდი, რომ შენ ჩემი ხარ?

რუსუდანი — მე მონასტერს ვეკუთვნი და უცხო მამაკაცს უფლება არა აქვს აქ შემოსვლისა!

არჩილი — ოო... ვიცი, ვიცი! მაგ უფლებებმა მე სისხლი გამიშრეს, მაგრამ მალე მოვიპოვებ ისეთ უფლებას, რომელიც ყოველგვარ უფლებას ჩამიგდებს ხელში.

რუსუდანი — მჯერა, უფლისწულო, მჯერა! ხელში იმდენი უფლებები გექნება, რომ ხელს ვერ მოაცლი, შენს ნებაზე თუნდ ერთხელ მაინც ზაფხულის წვიმას გაუშვირო გასაგრილებლად!

არჩილი — არა, რუსუდან! მე უფლებებზე ტახტს დავიდგამ და ზედ დავჯდები, ხოლო ხელი კი, მაგ შენი თმების საალერსოდ დამჭირდება.

რუსუდანი — ჩემ თმებს მონაზვნის ბურვილი ფარავს!

არჩილი — დავხევ მაგ ბურვილს და თმებს გვირგვინით შეგიმკობ!

რუსუდანი — ბრეყვიალათი?.. გვირგვინი ქუდია, კაცი თუ ვარგა, რაც უნდა უბრალო ქუდი ქხუროს, მაინც გვირგვინად გამოჩნდება!

(უცბათ შეფიქრდება).

ოიჰ! უფლისწულო, როგორ გავერთე თქვენთან შესიტყვებით! აქ რომ ვინმემ დაგინახოს, დავიღუპები! ეხლავე დასტოვეთ ჩემი სენაკი!

არჩილი — რას ამბობ, რუსუდან! ძლივს ვეღირსე შენს ნახვას...

რუსუდან — არ შეიძლება, უფლისწულო!

არჩილი — ფეხსაც არ მოვიცვლი!

რუსუდანი — გაიგებენ! მეფეს ეტყვიან!

არჩილი — აქ ვინ რა იცის, ვინა ვარ?

რუსუდანი — ნუ მღუპავ! გთხოვ! გეევედრები!

არჩილი — რა უიღბლო კაცი ვყოფილვარ, რუსუდან! შენი პირველი თხოვნა ეს არის, და ისიც განშორებაა! არა, ნუ მთხოვ, არ შემიძლია შეგისრულო!

რუსუდანი — მაშინ აი რა, უფლისწულო! თუ ჩემთან საუბარი აუცილებლად მიგაჩნიათ, აგერ, იქ გავიდეთ, გალავნის ჩამონგრეულ კუთხეში! იქ ვერავინ შეგვამჩნევს!

არჩილი — მართლა? გავიდეთ!

(მიდიან კარებამდე).

რუსუდანი — ერთათ ნუ გავალთ! აბა გაიხედ-გამოიხედეთ, ხომ არავინ არის! (არჩილი გადის თუ არა, რუსუდანი მყისვე კარებს გადარაზავს და გასძახებს) უფლისწულო! წადით, თორემ მეფეს მივწერ, რომ აქაც **არ მასვენებთ!**

არჩილი — (კარებზე არახუნებს) — გამიღე, რუსუდან!

(რუსუდანი სარკმელს მივარდება).

რუსუდანი — ჭიშკრის კაცებო! ჰეი! რომელი ხართ მანდ? უფლისწულს მიხედეთ! სანადიროთ ბრძანებულა, გზა არევია და ჩემი სენაკის კარზე აკაკუნებს, მიხედეთ, გასასვლელი მიასწავლეთ!

(არჩილი სარკმელს მოაწყდება).

არჩილი — მაშ ეგრე? გახსოვდეს რუსუდან! სიცოცხლეთაც რომ დამიჯდე, მაინც ჩემი იქნები!

(იმალება. რუსუდანი სარკმელს მოშორდება).

რუსუდანი — გმადლობ შენ უფალო, რომ ასე იოლად გადავრჩი!... (კარებზე კაკუნი მოისმის. შეკრთება, კაკუნი მეორდება) ვინ! ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ მართლაც მიხუმრა! ვითომ?.. ოი! დედაო, ღვთისმშობელო!.. რა ვქნა ახლა? (შემოდის მამუკა. უყურებენ ერთმანეთს და სდუმან) რათ დაბრუნდა?

მ ა მ უ კ ა — რუსუდან! როგორ გითხრა მამაშენმა?

რ უ ს უ დ ა ნ ი — შენ როგორ გითხრა? შენ?

მ ა მ უ კ ა — როგორ და, რა ვიცი... აბაშიძე მის გასარდლებას ვერ ინელებსო!

რ უ ს უ დ ა ნ ი — აბაშიძეო?

მ ა მ უ კ ა — ჰო! მეშინიაო ჩუმათ არ მოაკვლევინოს სადმეო!.. რა ვქნა ჩემო მამუკაო, შვილივით მყავს გაზრდილი და ვერ ვიმეტებო!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მეფემ იცის ეგ ამბავიო?

მ ა მ უ კ ა — ვერ ვეუბნები მეფესო, არ დამიჯერებსო, აბაშიძის მტრობათ ჩამითვლისო, არა და რა ვუყო აღარ ვიციო, მინდა როგორმე გავარიდო სასახლიდან ვიდრე ხარისხს მიიღებდეს და რუსუდანს შეირთავდესო! ასე მითხრა!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მერე? მერე?

მ ა მ უ კ ა — მერე ბარძიმი რაღას დააკლებს, როცა ხარისხით გაუტოლდება?

რ უ ს უ დ ა ნ ი — ახლა რას უპირებთ?

მ ა მ უ კ ა — ახლა აქ ვითომ საძრახ საქმეზე რაკი შევისწრებთ, ცოტახანს გვეყოლება დაპერილი და მერე მამაშენი გააკეთებს მეფესთან ისე, რომ როგორც საქვეყნო კაცი...

რ უ ს უ დ ა ნ ი — მერაბმა �უ იცის ამის შესახებ?

მ ა მ უ კ ა — არა, ჯერ არა!

რ უ ს უ დ ა ნ ი — რატომ ასე არ მითხრა მამაჩემმა?

მ ა მ უ კ ა — ბავშვი ხარ! საფრთხილოა, არც მე მინდოდა მეთქვა, მაგრამ ისე დამაეჭვე...

რ უ ს უ დ ა ნ ი — მე დაგაეჭვე, თუ მამაჩემში შეგეპარა ეჭვი და იმიტომ დაბრუნდი? მაშ მამაჩემს უნდა, თავის ერთად ერთ ქალს და ისიც მონაზონს, მეძაობა დამწამოს?

მ ა მ უ კ ა — რას აშბობ, შვილო, რას?

რ უ ს უ დ ა ნ — არა მამუკა! მე ვიცნობ ეამთაბერ წერეთელს, ის ამას არასოდეს არ ჩაიდენს, მე რომ გამწიროს, თავის სახელს არ წაბილწავს ასე!

მ ა მ უ კ ა — მაშ რა ვაფიქრებს?

რ უ ს უ დ ა ნ ი — ის, რაც შენ გაფიქრებს და რამაც ახლა შენ დაგაბრუნა!

მ ა მ უ კ ა — ვითომ მერაბს მიღუპავს?

რ უ ს უ დ ა ნ — ოიჰ! ღმერთო, რა ყოფილა ადამიანი? ნუ თუ მართლაც შენი შექმნილია, უბოროტესი სულიერი!

მ ა მ უ კ ა — დაიცა, შვილო! არა მგონია, რომ მამაშენმა...

რ უ ს უ დ ა ნ ი — ეჰეი მამუკა! თითონ მამაჩემს რამდენჯერ უთქვამს შენთვის, რომ შენ, შენავე გულკეთილობა გაბეცებსო! თვალი გაახილე! მერაბს ღუპავენ! მერაბს! გასწი ეხლავე, ორი ცხენი მიშოვნე, შიო მეწისქვილეს შემახვეწე გამომყვეს! ამალამ მთვარე ამოვა თუ არა, გზას უნდა გავუდგე!

მ ა მ უ კ ა — რუსუდან!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანი — გასწი, მამუკა! მეფე უკეთ გაარჩევს მრუდსა და მართალს!
(მამუკა გადის. რუსუდანი ნაბადს წამოავლებს ხელს. სარკმელში უფლისწული გამოჩნდება).

უფლისწული — რუსუდან! არა გცხვენია! მე სიყვარულს გეფიცები და შენ კი გარეთ მაგდებ?

რუსუდანი — წადით! დამეხსენით! მე მონაზონი ვარ!
(არჩილი სარკმელიდან გადმოხტება. დამფრთხალი რუსუდანი კარებს მივარდება, მაგრამ კარი არ იღება).

არჩილი — ვერ გააღებ! გარედან ჩავკეტე!

რუსუდანი — ვაიმე! რატომ?

არჩილი — შენ რატომ ჩაკეტე შიგნიდან?

რუსუდანი — გამეცალე! რა გინდა ჩემგან? ვაი! მიშველეთ!

არჩილი — რა იყო, გენაცვალე? რისი გეშინია? მე აქ არა ვარ?

რუსუდანი — სწორეთ შენი შეშინია!

არჩილი — მერე რათა? ჯერ ხომ არა ვარ მეფე! ჯერ ჩემი არავის არ ეშინია!
(უეცრად კარები გაიღება და რამდენიმე კაცი შემოიჭრება. ზურგით მდგარ არჩილს თავზე ნაბადს გადააფარებენ და ძირს დასცემენ, ნაბადში არჩილი იბრძვის, მაგრამ იმორჩილებენ. შემორბის ყამთაბერი).

ყამთაბერი — გათოკეთ! გათოკეთ! ეგ უზნეო ვიღაცა არი! ვინ გაბედა, ვინ განიზრახა ჩემი ქალის წმინდა სენაკის წაბილწვა? გარყვნილო! საპყრობილეში ამოგალპობ! (არჩილი ნაბადში გახვეული გაუგებრად ღრიალებს) რაო? რაო? რას ბურდღუნებს ეგ ბედისწერისაგან განწირული? დამანახეთ, რომელია ეგ ღვთის გლახა! (მცველები ნაბადს გადახდიან. თავს წამოჰყოფს არჩილი) არჩილ!!.. უფლისწულო!!.. ვაიმე!..

არჩილი — ყამთაბერ! მამაჩემთან არაფერი წამოგცდეს!

მესუთე მოქმედება

(სასახლის ერთი პალატაგანი. ჩუბინა ჭადრაკის ძირს დაყრილ პაიკებს მაგიდაზე ალაგებს. შემოდის მერაბი).

ჩუბინა — რა იყო ბიჭო? რას იკრიჭები?

მერაბი — ოჰოუ!.. რომ იცოდე ბიძაჩემო ვინ შემირიგდა...

ჩუბინა — ყამთაბერი?

მერაბი — გიკვირს?

ჩუბინა — ნეტა რათ დასჭირდა?

მერაბი — რა ვიცი! იქნებ შესწყვიტა ბრძოლა!

ჩუბინა — არა შვილო, კაცი მანამდე იბრძვის, ვიდრე გულისცემა არ შეუწყდება! სულთმობრძავი არ გინახავს? სიკვდილს რომ ებრძვის კაცი! რაღა შორს მიდიხარ, აა, ჭადრაკი, კაცმა მოცალეობის დროს შემაქცევრად მოიგონა, და აქაც კი ბრძოლაა! აბა, ასეა, ხმალმა თუ უმტყუნა, სატევარს იშიშვლებს, თუ სატევარმაც უღალატა, ქვას წამოავლებს ხელს, მაგრამ თუ ისიც გააგდებინე, იცოდე, ერთი იარაღი კიდევ დარჩება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ე რ ა ბ ი — რა?

ჩ უ ბ ი ნ ა — დაგიჩოქებს და ძმობას შემოგფიცავს!

მ ე რ ა ბ ი — ფუჰ! ეგ რა კაცობაა?

ჩ უ ბ ი ნ ა — რას იზამ შვილო? ასეა! მაღალი ზნეობის მტერიც ცოტა შეგხვდება და მოყვარეც!

მ ე რ ა ბ ი — ჩემი გაზრდილი ხარო, მითხრა, საწერეთლოს ძუძუ გიწოვიაო, სამეომრო ფეხი ჩემს კალთაზე აიდგიო!

ჩ უ ბ ი ნ ა — სწორი უთქვამს! ამაგი კაცს წყალში არ უნდა ჩაუყარო, მაგრამ სიფრთხილე კი სწორეთ ეხლა მეტი გმართებს!

მ ე რ ა ბ ი — გაჩუმდი! ქამთაბერი მოდის!

ჩ უ ბ ი ნ ა — მერე რა? მობრძანდეს! ჰო, იმას გეუბნებოდი, სიფრთხილე გმართებს მეთქი! რა იცი ფონი რა ადგილას დაგახრჩობს?

(შემოდის ქამთაბერი).

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — რაო? რომელ ფონზე მსჯელობთ ბიძა-ძმისწული!

ჩ უ ბ ი ნ ა — ჭკუას ვარიგებ, ბატონო! მეომარია და ბრძოლას მაინც მე ვასწავლი!

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — ფონს თუ მიაგნებს, რაღა დაახრჩობს?

ჩ უ ბ ი ნ ა — ფონის იმედით რომ არ ვიხრჩობოდეთ, ბატონო, ახლა ყველა გალმა ვიქნებოდით გასული!

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — ეგ უკვე გასულია! რაღა გინდა? შენ საით მიდიხარ, მერაბ?

მ ე რ ა ბ — მოედანზე მელოდებიან, ბატონო! ხმალში გასვლის ვარჯიში დავუთქვი მხედრებს, სტუმრებს უნდა ვაჩვენოთ!

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — სტუმრებსო? რაჭველებს ვარჯიშით უმასპინძლდებით? რათ უნდათ? ლორის მოთლა დანებითაც კარგათ იციან და საომრად თუ ფიქრობთ, სულ ერთია, ერისთავი თავს მაინც მოიავადმყოფებს.

მ ე რ ა ბ ი — აჩვენეო, მეფემ მიბრძანა!

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — ჰოო... რაკი გიბრძანა, მაშინ სწორია! წადი, წადი, არ დაგაგვიანდეს! ჩუბინა! რაჭველებში ერთი მაღალი ყიფიანი ხომ არ ურევია?

ჩ უ ბ ი ნ ა — გახლავს ბატონო!

ქ ა მ თ ა ბ ე რ — უთხარი, რომ აქა ვარ!

(შემოდის ბარძიმი).

ბ ა რ ძ ი მ ი — კარგია აქა ხარ!

(მერაბი და ჩუბინა გადიან).

ქ ა მ თ ა ბ ე რ ი — როგორ? რაღაც სანიშნოდ იღიმები!

ბ ა რ ძ ი მ — რაჭის ერისთავს შერიგებია მეფე!

ქ ა მ თ ა ბ ე რ — ხო, ხო, ხო! ახლა უყურე ერისთავის „პარპაშს და ულვაშის გრეხას! ჯერ აქამდე გვეუბნებოდა ვინა ხართო და ახლა ხომ...

ბ ა რ ძ ი მ ი — აბა! აბა! არა, რომ ერთიანდება ვისი იმედით? რა იცი ხვალ რა ჭკუაზე დადგება რაჭის ერისთავი?

ქ ა მ თ ა ბ ე რ — ციხე შიგნიდან სწორეთ მაშინ გატყდება, როცა ყველას გაიშინაურებ! თქვე დალოცვილებო, მეფე თუ ჩემ აზრს არაფრად აგდებს, თქვენ ხომ მაინც ახლო ხართ მასთან!

ბ ა რ ძ ი მ ი — ვინ გიჯერებს? ამიტომ არც არაფერს ვამბობ! ეხლა კიდევ, ფაშასთან ელჩად, აგიაშვილს გზავნის!

ქამთაბერი — აგიაშვილსო? ის ბლუსა და გამოყრუებულს? კაცო, ვინა ხართ მადლიანი, ხმა ამოიღეთ, ღუბავს იმერეთს!

ბარძიმი — ხმა თორემ... ეხ! გახსოვს როგორ გადმომკარ... ეს, შენი ხმალი მირჩევნიაო! ხომ გახსოვს? ამას წინად აგიაშვილზე რა თქვა იცი? ამ ყრუ კაცს ჩვენზე მეტი ესმისო და თავისი ჩლუნგი ენით, ჩვენზე მეტს ამბობსო. აშკარად გვეუბნება არ მინდებხართო! რა გინდა რომ ქნა? ჩვენ თავს აგიაშვილები ურჩევნია, მერაბები!

ქამთაბერი — ერთი მეც მკითხოს, ვინ მირჩევნია მეფეთ! (ბარძიმი გულიანათ იცინის) საჭაილოა ჩვენი საქმე?

ბარძიმი — რა ვქნა, ქამთაბერ? შევარდნისათვის მახე გასწავლე, წახვედი და ოფოფი გაბი! მეცინება და რა ვქნა?..

ქამთაბერი — კარგი, თუ კაცი ხარ! მაგას ნულარ მომაგონებ! დაგბერდი კაცი და ამისთანას არას შევყრივარ!

(ბარძიმი იცინის).

ბარძიმი — არა, მაინც როგორ ვერ იცანით?..

(იცინის).

ქამთაბერი — ჰო, იცინე, იცინე! რა ჯობია სხვისი ხელით ნარის გლეჯას და შორიდან სეირის ყურებას!

ბარძიმი — ისე ლაპარაკობ, თითქო მაგ ჭირს მოხდილი ვიყო! წუხელი მთელი ღამე ფიქრში შემომათენდა!

ქამთაბერ — რა ვიცი, სამართებელი ყელში მოგვაბჯინეს და შენ საჭაილოდ არ გყოფნის! თურაშაული წინ გვედო და პანტის საძებრად გამაქცეე!

ბარძიმი — რომელი თურაშაული?

ქამთაბერი — უფლისწული!

ბარძიმი — როგორ?

ქამთაბერი — მეტოქეობაზე უკეთესი გზა, ახლა, მაგ საქმისათვის, ტყუილია!

ბარძიმი — დაიცა! (დაფიქრდება) — დაიცა! (ქამთაბერი შეჰყურებს) — მეტოქეო?

ქამთაბერი — ჰო!.. თქვი, რას ფიქრობ?

ბარძიმი — ქამთაბერ! შენ ხომ არ მომიგზავნე აქ დილით არჩილი?

ქამთაბერ — არა! როგორ?

ბარძიმი — მამაჩემი რუსუდანის შერთვის უფლებას არ მაძლევსო, ამიტომ ტახტი უნდა წავართვა და მომეხმარეო!

ქამთაბერი — ჰეჰ!.. არჩილმა გითხრა?

ბარძიმი — შენი მოგზავნილი იქნებოდა!

ქამთაბერი — არა კაცო, რას ამბობ?

ბარძიმი — ჩატომ? რა არის აქ საოცარი! არჩილი თუ რუსუდანს შეერთავს და გვირგვინს დაიხურავს, მერე მერაბიც ჩვენ ხელში იქნება და იმერეთიც! ა? ჩვენ ნებაზე მაინც ვიქნებით!

ქამთაბერი — ვითომ?

ბარძიმი — რას მიყურებ? მე და შენ იმერეთს ვერ მოუვლით? გავწვრთნათ არჩილი, გამოვჯაგოთ! გვირგვინს შევაზარდოთ და საშვილიშვილო საქ[illegible] გავაკეთებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამთაბერ — თუ გულწრფელი ხარ მაგ საქმეში, შენი ხმალი და ჩემი კისერი!

(შემოდის ჩუბინა).

ჩუბინა — ყიფიანი გელოდებათ, ბატონო!

ქამთაბერი — ეხლავე მოვალ, ბარძიმ!

(გადიან ჩუბინა და ქამთაბერი. ბარძიმი მარტოა).

ბარძიმი — აჰა! ესეც ასე! (ვიღაცას ხელს დაუქნევს) მოდი აქ! მოდი! (შემოდის არჩილი) რას მოგიწყენია, ვაქკაცო? ასე დაგალონა წერეთლიაკ ქალმა?

არჩილი — ოლონდ მომეხმარე, ბარძიმ, და ყველაფერს შეგისრულებ!

ბარძიმი — შენ გამეფება რუსუდანის შერთვისათვის გინდა, რუსუდანი რომ შეგრთო, ქამთაბერს გაასარდლებ! მერე, მე რა?

არჩილი — ხომ გითხარი, რაც გინდა მთხოვე და შენი იყოს!

ბარძიმი — მომეცი ფიცის წერილი, რომ გარდაიცვლება თუ არა ქამთაბერი, შენ როგორც მისი სიძე და მემკვიდრე, მთელს მის ყმასა და მამულს ჩემს უფროს ვაჟს მიუბოძებ და შეგრთავ რუსუდანს!

არჩილი — თანახმა ვარ! მოიტა ხელი!

ბარძიმი — მე ფიცის წერილს გავამზადებ! ეხლავე მოვალ!

(გადის).

არჩილი — (მარტო) — ეხლა ჩემი ხარ რუსუდანო!

(უცბათ საფარიდან გამოდის ქამთაბერი. არჩილი გაოცებისაგან დაიბნევა). ქამთაბერ!.. შენ... შენ სად იყავი?

ქამთაბერი — (ნაძალადევი სიმშვიდით იღიმება) — რამ შეგაშფოთა, არჩილ? მე არ ვღელავ და შენ რა გაწუხებს? მაგან მამულისათვის ქალი მთხოვა და რომ არ მივეცი, ხედავ ეხლა როგორი ხერხით მიპპრებს საწერეთლოს ხელიდან გამოგლეჯას? მაგის გაიძვერობა, მარტო მე კი არა, შენც გწამლავს და ტახტსაც! ღუპავს სამეფოს!

არჩილი — ეგ როგორ?

ქამთაბერ — მთელ სამეფოში, ყველაზე დიდი მემამულე ეგ არი! თუ კი მოსაზღვრე საწერეთლოსაც შეეერთებს, სამეფოს ნამდვილი მფლობელი ეგ გახდება და თუ ნებით არ დაუთმობ ტახტს, თავს გვირგვინიანად წაგაგდებინებს!

არჩილი — მაგას როგორ გამიბედავს? შენ ხომ ჩემი სარდალი იქნები!

ქამთაბერ — მერე რა? მე სხვისი ხელით მომკლავს სადმე, შემდეგ, საქვეყნოდ ცხარე ცრემლებით დამიტირებს, შემდეგ ჩემს მამულს, ფიცის წერილის თანახმად ჩაიბარებს, და კიდევ შემდეგ, გირჩევს შენის ნებითვე დაუთმო ტახტი!

არჩილი — რას ამბობ? მაგას როგორ გამიბედავს?

ქამთაბერ — როგორ უბედავს დღეს მამაშენს? რა დაუშლის? ძალა და გავლენა მაშინ ორმაგი ექნება!

არჩილი — აი, თურმე რა სურს აბაშიძეს! ქამთაბერ! ქამთაბერ! შენ პირდაპირ თვალები ამიხილე! რაკი ეგრეა, აბაშიძე დღესვე უნდა განშორდეს წუთისოფელს!

ქამთაბერი — პირიქით! ბარძიმი ეხლა ჩვენთვის ყველაფერია! მოუწერე ხელი ჩემი მამულის ბოძებაზე!

არჩილი — რას ამბობ? მერე?

ქამთაბერი — კაცო, შენ რა გაწუხებს? შენ ოღონდ გვირგვინი დაიხურე, რუსუდანი შეირთე და შემდეგ ეგ საქმე მე მომანდე. ჩემზე იყოს! მე ჩემ ქონებას ჩემ სიცოცხლეში ვისაც მინდა იმას დავუტკიცებ!

არჩილი — მართლა? ოხ, ქამთაბერ! მადლობელი ვარ, მადლობელი! შენ ნამდვილი მამა ხარ ჩემი, მამა! (შეფიქრდება) მამა?.. ქამთაბერ! სად იქნება მაშინ მამაჩემი?

ქამთაბერი — ბარძიმი მოდის, მე გაგეცლებით, ვითომ არა ვიცი რა! მოუწერე ხელი!

(გადის. შემოდის ბარძიმი).

ბარძიმი — აჰა! მზათ არის! მოაწერე ხელი!

არჩილი — სად იქნება მაშინ მამაჩემი?

ბარძიმი — როდის? მოაწერე! ჩქარა, არავინ შემოგვისწროს!

(ხელს აწერინებს).

არჩილი — მამაჩემი სად იქნება მაშინ?

ბარძიმი — რა ვიცი! სადაც მოისურვებ! გენებება გავაძევებთ! გენებება თვალებს დავთხრით... გენებება და სულ...

არჩილი — რას ამბობ? რას? მამაჩემი ჩემთან უნდა დარჩეს სასახლეში! ეხლა სად არის? ეხლა!

(არჩილი გაიქცევა. ბარძიმი თვალს გააყოლებს).

ბარძიმი — არა, უფლისწულო, მე არც ისეთი სულელი ვარ, მეფეს გვირგვინი მოვხადო და სიძე-სიმავრს დაგახუროთ! რაღა აჯობებს თქვენი სიბრძნით წარმართულ ცხოვრებას! ეხ, რატომ არ იცინი, ძმერთო? რა ქნას საწყალმა ქამთაბერმა? ცდილობს იმაზე მეტად ჭკვიანი იყოს, რაც არის, და არ გამოუდის! ნეტავ შემეძლოს, წინასწარ დაგანახო, რას დაემსგავსება იმერეთი შენს ხელში! ეს რომ შემეძლოს, ამაში რომ დაგარწმუნებდე, ისე შეძრწუნდებოდი, რომ ხმლის მაგიერ, ბარს წაეტანებოდი, საკუთარი სამარის გასათხრელად, მაგრამ ბეცი ხარ საწერეთლოს სავალალო ბატონო, ბეცი! არაფერია!.. ვიჭიდავოთ, ვიჭიდავოთ! რაკი ქეჩოში ხელი წაგაგლე, მალე, უპატრონო საწერეთლოსაც ვუშველი!

(გადის. სხვადასხვა მხრიდან შემოდიან მეფე და არჩილი).

არჩილი — მამა! შენ დაგეძებ! მინდა გელაპარაკო მამა!

მეფე — არა, არჩილ! გიწუნებ სიყვარულს, რადგან ძალადობით ცდილობ მოიპოვო იგი! მაგისთანა სიყვარული, სიძულვილის საფუძველია! სიძულვილი კი ბოროტების წარმომშობია! გაიგე? რა პირი უნდა გექნეს მერაბთან, შენს ხვალინდელ სარდალთან, თუ კი მას რუსუდანს წაართმევ? აბა დაფიქრდი! არა შვილო, სიყვარული ნებაა, იძულებით იგი არ იქნება! სპარსული ანდაზა ამბობს: „გეშინოდეს მისი, ვისაც შენი ეშინიაო“. ძალად შერთვა, ხორციელად დამონება, მის სულს უფრო დაგაშორებს! ერთგულება, არჩილ, სულის სიახლოვით აწყება და ორგული ახლობელი, შხამიან გველზე უარესია, შვილო!

არჩილი — ერთგული თუ ვიქნები, რათ გამეორგულდება?

მეფე — ადამიანს იძულება აორგულებს!

არჩილი — მამა! შენი ერთგული ვინ არი?

მეფე — ჩემი? განსვენებული დედაშენი კუბოს კარამდე ჩემი ერთგული იყო!

არჩილი — არა, დღეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე — დღეს... აი შენ!
არჩილი — (მოულოდნელად შეკრთება) — მე?
მეფე — რას ჩაფიქრდი?
არჩილი — მამა! მე როდის გაკვხდები მეფე?
მეფე — როდესაც ივარგებ სამეფოდ, მაშინ!
არჩილი — და, ეხლა? ვთქვათ... ვთქვათ შენ...
(შეჩერდება).
მეფე — რა? მე, რა? ა? ვთქვათ მოკვდე, არა?.. ოჰ, მაშინ გვირგვინს მართალია დაგხურავენ, მაგრამ სამეფოს უგვირგვინო მეფენი დაუწყებენ მართვას!
არჩილი — მაგის ნებას არავის მივცემ!
მეფე — როდესაც არა გეცოდინება რა, შეეხვეწები კიდეც!
არჩილი — მაშ რა ვქნა? შენ ხომ გიყვარდა დედაჩემი?
მეფე — მეც ვუყვარდი მას! ის ძალადობას მონასტერში არ გაქცევია!
არჩილი — არ ვიცი! მე რუსუდანი მიყვარს!
(თვალზე ცრემლს იწმენდს. წამოხტება).
მეფე — არჩილ! დაფიქრდი! დაუკვირდი, რაც გითხარი! (შემოდის ბარძიმი) გესმის? წადი ახლა!
(არჩილი გარბის. მეფე დაღვრემილი ჩამოჯდება).
ბარძიმი — დალონებას გამჩნევ, ბატონო!
მეფე — დასალონებელს ცოტას ხედავ ჩემს ვითარებაში?
ბარძიმი — ვითარებაში ჭირთა მიზეზი მრავალია, მეფეო, მაგრამ ამჟამად რომელია შენი შეწუხებელი? იქნება არჩილის გამიჯნურება მიიჩნიე შეუსაბამოდ!
მეფე — შენ? შენ როგორ სთვლი მაგას, ბარძიმო?
ბარძიმი — არჩევანი არ არის ცუდი!
მეფე — მაშ შენი აზრით, სადედოფლო მოძებნილი ყოფილა!
ბარძიმი — უკეთესს ვისღა გამოვნახავთ, ბატონო ჩემო!
მეფე — ვითომ? მერე? მერაბთან ამით რა კაცობას დავიმსახურებთ?
ბარძიმი — ეგ არაფერი! მერაბს უკვე სხვებზე უჭირავს თვალი!
მეფე — ოჰ! მართლა?
ბარძიმი — მაშ! ნახაზნაურმა სასახლის ფარვანები და გული ასად გაეყო! ახალგაზრდაა... რა ქნას? მაგაში მე მენდე, მეფეო, არ შევცდები!
მეფე — მაშ დავრთო ნება არჩილს?
ბარძიმი — რაღა თქმა უნდა, თავიდანვე იმას მოგახსენებდი, რომ ქამთაბერს შორებელი ვინმე არ ჩამოესიძებინა და საწერეთლო არ დაეღუპა, მაგრამ მტრობათ ჩამითვალა! მადლობა ღმერთს, ახლა მაინც ხედავთ, რომ პირადი ზრახვები არ მამოქმედებს! ქამთაბერს სარდლობა უნდოდა და სიძე გაასარდლებს!
მეფე — არა, რას ამბობ? არჩილი რომ მეფობას შესძლებს, მაშინ ქამთაბერი სარდლად კი არა სატირლათაც აღარ ივარგებს! (იცინიან) ისე ჩამოსიძების შესახებ მართლაც საგულისხმოა შენი სიტყვა, უცხო და შორებელი კაცი არც მე მომწონს საწერეთლოსათვის!
(შემოდის აგაბო).
აგაბო — მესხები გეახლენ, მეფეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე — ძლივს! წავიდეთ!
აგაბო — სად მიიღებთ?
მეფე — სატახტოში.

(გადიან. გამოჩნდება სვეტს ამოფარებული ქამთაბერი).

ქამთაბერი — ღმერთო, რას სჩადის ეს ქვეშმრომი! როგორ კიბეს იდგამს ტახტზე ასასვლელად! საწერეთლო ჯიბეში ჩაიდო და ეხლა მაჭანკლობას მიწევს! ხედავ, ქამთაბერო, რა მახე დაგიგო აბაშიძემ? რა ხარ ახლა შენ? ერთგულო დარაჯო და ქომაგო იმერეთისავ! სამარცხვინოდ, ქურდულად, სვეტს ამოფარებული მოყურადე თაგვი, სასახლის ფილაქანთა სოროებში გამომწყვდეული! მერე რათა, შე საცოდავო? რამ გაიძულა მატლად ხოხვა სამარცხვინო?.. შენ ხომ შენთვის არას ეძებდი, შენ ხომ ქვეყნის საკეთილოდ გიძგერდა ეგ ბებერი გული! მერე? რით გიშველე, ჩემო ქვეყანავ? რა პირით წარვდგე მამაპაპათა და შვილიშვილთა წინაშე? ბავშვის სათამაშოდ გაქციე. და აბაშიძის ლუკმათ გაგხადე! (შემოდის მერაბი. ქამთაბერი მის დანახვაზე აენთება) არის! ერთი გზა კიდევ არის!

მერაბი — ბატონო?
ქამთაბერი — (გამოერკვევა) — რაო?
მერაბი — ბარძიმი არ გინახავთ? მოედანზე მინდა წავიყვანო!
ქამთაბერი — აქ მოდი მერაბ! შენთან დიდი საქმე მაქვს! მე წამოვალ მოედანზე, მე ვნახავ შენს მეომრებს!
მერაბი — (უახლოვდება) — როგორი სახე გაქვს, ბატონო? ხრესილის ღამე მაგონდება!
ქამთაბერი — ხრესილისო? ჰოო... როგორ გწყუროდა მაშინ!.. ჩემი ნაჩუქარი მათარა სადა გაქვს? რას შეფიქრდი? დაკარგე?
მერაბი — არა, არ დამიკარგავს!
ქამთაბერი — ჩემმა გაზრდილმა ვაუკაცმა...
მერაბი — ტყუილი არ უნდა იკადროს! არა, არ დამიკარგავს, მათარა იქ დამრჩა, სადაც გული დავტოვე!

(ქამთაბერი მათარას ამოიღებს და გადასცემს).

ქამთაბერი — გულში რა გაქვს?
მერაბი — რწმენა, იმედი და სიყვარული!
ქამთაბერი — რის?
მერაბი — რომ ის ჩემი იქნება!
ქამთაბერი — მომეცი ხელი, შვილო ჩემო! (მოეხვევა) ნე და შენ საწერეთლო უნდა ვიხსნათ.
მერაბი — როგორ?
ქამთაბერი — გამიძეხ მოედნისაკენ! ბეტყვი ყოველივეს!

(გადიან).

(შემორბის არჩილი, საკინძე გახსნილი, ნასვამი, ხელში სურა უჭირავს, შემოსდევს ჩუბინა სურაში ხელწავლებული).

ჩუბინა — ვეყოფა უფლისწულო!
არჩილი — თავი დამანებე!
ჩუბინა — მომეცი სურა! რა დროს შენი ღვინიხ სმაა? მეფე შეიტყობს!
არჩილი — შენ მის შეწუხებას ერიდები, ჩემი კი არაფრად მიგაჩნია! შენ მამაჩემი გიყვარს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ უ ბ ი ნ ა — შენ არ გიყვარს და რა ვქნა?

ა რ ჩ ი ლ ი — მე არ მიყვარს მამაჩემი? არ მიყვარს? არა?

ჩ უ ბ ი ნ ა — მაშ, რათ სვამ? რათ აწუხებ?

ა რ ჩ ი ლ ი — მე რომ მაწუხებს? მე რომ მისი სიყვარული მაწუხებს?

ჩ უ ბ ი ნ ა — აი უკვე დათვერი! როგორ შეიძლება მამის სიყვარულმა შეგაწუხოს? მომეცი სურა!

ა რ ჩ ი ლ ი — ხელი გაუშვი! (მოიყუდებს) შენ არაფერი არ გაგეგება! შენ იცი, რომ ერთად ორი ადამიანის სიყვარული არ შეიძლება? მე კი ორივე მიყვარს! შენ იცი ეს რა ძნელია? შენ არაფერიც არ იცი! მაგრამ არასოდეს! გესმის! არასოდეს...

ჩ უ ბ ი ნ ა — რას ამბობ? ვერაფერი ვერ გავიგე?

ა რ ჩ ი ლ ი — ვერც გაიგებ! მაგრამ მე არასოდეს არც ერთს... გესმის?..

ჩ უ ბ ი ნ ა — მომეცი სურა!

(ხელიდან წაართმევს და გაარხევს სურას).

ა რ ჩ ი ლ ი — არ დავთმობ!

ჩ უ ბ ი ნ ა — აჰა! ნუ დათმობ! (სურას უკანვე აწოდებს) შიგ აღარაფერია და ნუ დათმობ!

(შემოდის კირკიტა).

ა რ ჩ ი ლ ი — ეს ვინ არის? შენ ვინა ხარ?

კ ი რ კ ი ტ ა — მე ერთი საწყალი აზნაური ვარ, უფლისწულო, რამდენი ხანია მეფის ნახვა მინდა და ვერ მოვახერხე!

ჩ უ ბ ი ნ ა — (კირკიტას) — ხომ შეგპირდა, კაცო, აგაბო, დაიცადე და გაჩვენებს!

კ ი რ კ ი ტ ა — (ჩუბინას) — წელან ბეწვზე გადავრჩი, კინალამ დამინახა ქამთაბერმა!

ა რ ჩ ი ლ ი — (სურას არხევს) ჩუბინა! ღვინო აღარ არი ამაში!

კ ი რ კ ი ტ ა — (ყელთან თითს გაიკრავს და უფლისწულზე ანიშნებს ჩუბინას) — ყვარებია!

ა რ ჩ ი ლ ი — (ყურს მოკრავს) რაო? მყვარებია? შენ რა იცი?

კ ი რ კ ი ტ ა — გეტყობა უფლისწულო, გეტყობა!

ა რ ჩ ი ლ ი — მართლა? დიახ! მიყვარს და არც დავთმობ არასოდეს!

კ ი რ კ ი ტ ა — მართლაც ძნელი დასათმობია, ბატონო!

ა რ ჩ ი ლ ი — გამოგიცდია?

კ ი რ კ ი ტ ა — მეტი რაღა გამომიცდია, შენი ჭირიმე!

ჩ უ ბ ი ნ ა — ეეხ!.. ეს რას ამბობს, ის რას ამბობს.

ა რ ჩ ი ლ ი — რა არის? (კირკიტას) შენ რა გაწუხებს?

კ ი რ კ ი ტ ა — მე უფლისწულო, ქამთაბერის...

(ჩუბინა ანიშნებს: არ თქვაო, კირკიტა შეჩერდება).

ა რ ჩ ი ლ ი — რა იყო? (გადახედავს ჩუბინას) რათ გაჩუმდი, რა გინდა ქამთაბერთან?

კ ი რ კ ი ტ ა — არაფერი ბატონო, ნეტა იმას არაფერი უნდოდეს ჩემთან, თორემ მე რა მინდა მასთან!

ა რ ჩ ი ლ ი — იმას რა უნდა შენთან?

კ ი რ კ ი ტ ა — რა ვიცი, შენი ჭირიმე?

ა რ ჩ ი ლ ი — მამაჩემთან რაღა გინდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კირკიტა — სათხოვარი მაქვს!
არჩილი — სულ ერთია, არ შეგისრულებს!
კირკიტა — ვაიმე!
არჩილა — რა იყო?
კირკიტა — მეტი რაღა იქნება შენი ჭირიმე! ქათამივით დასაკლავ ჯირკზე მაქვს თავი წადებული! აბა ვიღასთან მივიდე ახლა? მეფეზე მაღლა მარტო ღმერთია საიქიოში, ჰოდა საიქიოში რომ არ მინდა წასვლა, იმიტომ მოვედი მეფესთან.
არჩილი — რა გაუგებრათ ლაპარაკობ, კაცო!
კირკიტა — ეხ! გასაგებათ რომ ვთქვი ყველაფერი, იმიტომ ჩავარდი ამ გაუგებრობაში! რაღა ვქნა ახლა, ჩუბინა?
არჩილი — რა ქენი იცი? ბარძიმთან მიდი!
კირკიტა — ა?
არჩილი — ჰო! მეც ასე მოვიქეცი! მივედი ბარძიმთან, ვუთხარი, შევეხვეწე და... (შეჩერდება) თუმცა, ეს რა თქვენი საქმეა!
კირკიტა — აჰ! არა შენი ჭირიმე, არა!
არჩილი — რატომ?
კირკიტა — ბარძიმმა ქვას რომ ფეხი წამოკრას, თავისთავს ბოდიშს მოუხდის: უკაცრავად შეგაწუხეო, და ჩემთვის შეიწუხებს თავს?
არჩილი — მაშ მოიცადე და მე შეგისრულებ, რაც გინდა!
ჩუბინა — ერიჰაა! რომ პირდები, რას პირდები? იცი რა უნდა?
არჩილი — რაც უნდა იყოს! ყველაფრის უფლება მექნება!
კირკიტა — როდის შენი ჭირიმე?
არჩილი — მეფე რომ ვიქნები!
კირკიტა — აჰ! რა ხნის გგონივარ უფლისწულო? მაგდენ ხანს რა მაცოცხლებს?

(შემოდის ნაბად-მოხურული რუსუდანი).

რუსუდანი — გამარჯობათ!
არჩილი — ოიჰ!
ჩუბინა, კირკიტა — ბატონიშვილო!
რუსუდანი — არ მომელოდით არა?
არჩილი — რუსუდან!

(გაეჭანება მისკენ, რუსუდანი უკან იხევს).

რუსუდან — სალამი, უფლისწულო! (არჩილი შეჩერდება) — ჩუბინა! მეწისქვილე ბერი ჩამომყვა! იქ არის! დაღლილია, თუ კაცი ხარ, მიხედე!
ჩუბინა — ახლავე, ბატონიშვილო, იმასაც და...
რუსუდან — არა, მე არაფერი არ მინდა!
ჩუბინა — ქამთაბერს შევატყობინებ!
რუსუდან — მაგა აქ არის? იყოს! არ მინდა! ჯერ მეფე უნდა ვნახო!
სამივენი — მეფე?!!
რუსუდან — ჰო! მეწისქვილეს მიხედე, ჩემო ჩუბინა!

(ჩუბინა მიდის).

არჩილი — რა გინდა მეფესთან, რუსუდან? თუ სათხოვარი გაქვს, სულ ერთია არ შეგისრულებს, მაგრამ არ დაღონდე, ამ დღეებში დედოფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად დაგსვამ და რაც გინდა ინებე! ჩიტის რძეს გაგიჩენ რუსუდან! ჩემო რუსუდან... ჩემო რუსუდან...

(მისკენ მიიწევს, რუსუდანი წარბს შეიკრავს, ნაბადს მოიხსნის).

რ უ ს უ დ ა ნ ი — თუმცა ფხიზელი არა ხარ უფლისწულო, მაგრამ მაინც მაოცებს ეგ სიტყვები!

ა რ ჩ ი ლ ი — ასეა რუსუდან! გადაწყვეტილია! გინდა მამაშენს კითხე!

კ ი რ კ ი ტ ა — ვაი ჩემს ყოფას! ვაი ჩემს მოსწრებას, ახლა დავღუპულვარ!

(ორივენი კირკიტას მოუბრუნდებიან).

რ უ ს უ დ ა ნ ი — რა ამბავია? რა ხდება? არაფერი არ მესმის!

ა რ ჩ ი ლ ი — მე გეტყვი რუსუდან! რაკი იმაში დარწმუნდენ, რომ უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, ადგენ და გადასწყვიტეს... (შეჩერდება. გადახედავს კირკიტას) — შენ აქ რა გინდა? გადი აქედან?

რ უ ს უ დ ა ნ ი — რას ჩადიხარ უფლისწულო? ძაღლი ხომ არ არის?

ა რ ჩ ი ლ ი — ამასთან ხომ არ გეტყვი ყველაფერს! (ეცემა კირკიტას და ძალად მიათრევს) გადი! გადი აქედან!

კ ი რ კ ი ტ ა — ვაიმე, ნუ მღუპავთ ამ ალალმართალ კაცს, შენი მუხლის ჭირიმე. სხვისას არაფერს დავეძებ, ჩემი უბედურება გამაგონეთ!

ა რ ჩ ი ლ ი — რაღა გინდა? ხომ დაგპირდი შეგისრულებ მეთქი, ჰო და გადი ახლა! (გააგდებს) — რუსუდან! ყური მიგდე, ეს დიდი საიდუმლოა, იცოდე არავისთან წამოგცდეს, მე და შენ ხომ საუკუნოდ ერთმანეთის ერთგულნი უნდა ვიყოთ, ჰო და შენთან დასაფიცავი რა მაქვს? (ფრთხილად, ჩურჩულით) ტახტს ვართმევ მამაჩემს!

რ უ ს უ დ ა ნ ი — რაო?

ა რ ჩ ი ლ ი — ჰო! ასეა, მაგრამ რა უშავს! კი არ გავაძევებ! არც თვალებს დავთხრი! არა, არასოდეს! მე თქვენ ორივე მიყვარხართ! ორივეს ერთგული ვარ!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მამის მოღალატე, რომელ ერთგულებაზე ლაპარაკობ?

ა რ ჩ ი ლ ი — შენც ხომ უღალატე მამაშენს, მერაბმაც, ორივემ ერთათ არ უღალატეთ?

რ უ ს უ დ ა ნ ი — სცდები უფლისწულო, ჩვენ ერთმანეთის ერთგულებისათვის გავიქეცით, შენ კი თითონ ღალატობ მამას!

ა რ ჩ ი ლ ი — არასოდეს! მე ორივეს ერთგული ვარ.

(მისკენ მიიწევს).

რ უ ს უ დ ა ნ ი — იქით გამშორდი!

ა რ ჩ ი ლ ი — რათა რუსუდან?

რ უ ს უ დ ა ნ ი — გამეცალე! მოღალატევ! შენი შემოხედვაც კი არ მინდა!

ა რ ჩ ი ლ ი — ოხ, როგორ ჰგავხარ შენ მამაჩემს, იმასაც შენსავით ეზიზღება ღალატი!

რ უ ს უ დ ა ნ ი — ნაცვლად იმისა, რომ ორგულები აღმოგეჩინა...

ა რ ჩ ი ლ ი — რაო? დაიცა! (რაღაც აზრი გაუელვებს) ორგულები აღმოჩეჩინა?.. ეს რა კარგი რამ მითხარი! დაიცა... თუ კი მამაჩემს არ ინდობენ, მე დამინდობენ? ა? ბიჭოს! ამით მამაჩემის გულსაც მოვიგებ და შენსაც! მამაჩემს პირობას დავუდებ: მომცეს ნებართვა შენი შერთვისა და დავუსახელებ მოღალატეებს! ძომცემს, სხვა რა გზა ექნება! აა? აუ! (სიხარულით შეხტება) შესანიშნავია! დიდებულია! რუსუდან, მაშინაც დამიძახებ მოღალატეს?

რ უ ს უ დ ა ნ ი — ვინ არიან ისინი უფლისწულო?

ა რ ჩ ი ლ ი — ვინ არიან და... (შეჩერდება) უჰ! კინალამ არ წამოგაცდენინე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რ უ ს უ დ ა ნ ი — მერე რა უშავს? მითხარი!

ა რ ჩ ი ლ ი — აჰ!

რ უ ს უ დ ა ნ ი — გთხოვ! ძალიან გთხოვ! არჩილ, არა გრცხვენია? აკი არაფერს დაგიმალავო? (არჩილი ფიქრში შედის, იდიმება, რუსუდანი შეჰყურებს) ჰა, არჩილ! მეტყვი?

ა რ ჩ ი ლ ი — არა!

რ უ ს უ დ ა ნ ი — რატომ?

ა რ ჩ ი ლ ი — (ზღაპარს ყვება) — „შეუჩნდა ცბიერი მზეთუნახავი, მოხიბლა, ათქმევინა და დაღუპა! — ხედავო, — ეუბნება დევი მზეჰაბუკს: იცოდე, ქალს საიდუმლო არ გაანდოვო, დედაც რომ იყოს მაინც გაგცემსო!“

რ უ ს უ დ ა ნ ი — მაშ მე ცბიერი და გამცემი ვარ?

ა რ ჩ ი ლ ი — არა რუსუდან, ეს ზღაპარია, ზღაპარი!

რ უ ს უ დ ა ნ — მაშ მითხარი!

ა რ ჩ ი ლ ი — მაგას როგორ გეტყვი? გეწყინება, იტირებ!

რ უ ს უ დ ა ნ — ვიტირებ?

ა რ ჩ ი ლ ი — ჰო, შაგ ისეთი კაცია, რომ...

რ უ ს უ დ ა ნ — მერაბი?

ა რ ჩ ი ლ ი — მერაბი კი არა... მერაბს ვინ კითხავს? ვინ არი?

რ უ ს უ დ ა ნ — მამაჩემი?

ა რ ჩ ი ლ ი — უჰ! ასე თუ ჩამოთვალე!.

რ უ ს უ დ ა ნ ი — მაშ ვინ?

(ოემოდის ჩუბინა).

ჩ უ ბ ი ნ ა — ბატონიშვილო, საქალებოში გელოდებიან! წამობრძანდი, მოისვენე!

ა რ ჩ ი ლ ი — სად მიგყავს?

ჩ უ ბ ი ნ ა — დაიცა, უფლისწულო!

რ უ ს უ დ ა ნ ი — მეფე სად არის? მამა სად არის? შიო ნახე?

ჩ უ ბ ი ნ ა — მეფე სატახტოშია! მამა მოედანზეა! შიოს მივხედე! წამობრძანდი!

(რუსუდანი გაჰყვება, გასასვლელთან არჩილს მოუბრუნდება).

რ უ ს უ დ ა ნ ი — რომ გამოვალ უნდა მითხრა!

ჩ უ ბ ი ნ ა — რა ბატონიშვილო?

ა რ ჩ ი ლ ი — არაფერი! რა გინდა?

(ხელს წაავლებს, შეანჯღრევს).

ჩ უ ბ ი ნ ა — ვაი, ვაი!

ა რ ჩ ი ლ ი — ოხ, ჩუბინა! ისეთ გუნებაზე ვარ, ისეთ გუნებაზე ვარ, ცხენი უნდა ვაჭენო!

(გაიქცევა).

რ უ ს უ დ ა ნ ი — ჩუბინა! მერაბი სად არის?

ჩ უ ბ ი ნ ა — მოედანზეა, მალე მოვა, ვეტყვი, გაჩვენებ! წამობრძანდი!

(შემოდიან მეფე, ბარძიმი და აგაბო).

მ ე ფ ე — (ლაპარაკით შემოდის) — ხომ ხედავ ბარძიმ, მესხებიც ამბობენ ცალცალკე არ ვარგივართო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდანი — სალამი და თაყვანისცემა, მეფეო!

მეფე — ოხ! რუსუდან! რუსუდან! გამარჯობა, ჩვენო მონაზონო! როგორ ხარ, ქალო?

რუსუდანი — გმადლობთ! იცოცხლეთ! ალბათ გიკვირს ჩემი სტუმრობა, მეფეო, მაგრამ ისეთი დიდი საოხოვარი მაქვს...

მეფე — მიხვედრილი ვარ! ვიცი, ვიცი, რუსუდან, ნუ გეფიქრება, მაგასაც მოვაგვარებ, აბა მითხარი, გისმენ!

რუსუდანი — მეფეო...

მეფე — ბრძანე! (რუსუდანი დამსწრეთ გადახედავს. შეჩერდება) — იქნებ ცალკე გსურს ჩემთან საუბარი?

ჩუბინა — ნამგზავრია, მეფეო!

მეფე — მაშ ჯერ დაისვენე!

(ჩუბინა რუსუდანს გააცილებს და მობრუნდება).

ბარძიმი — რა მწყაზარია! რა კდემამოსილი!

მეფე — ჰოო... ძალიან! ძალიან! თითქოს კიდეც შვენისო, მონაზვნის პალატარტო.

ბარძიმი — მაგას გვირგვინი უფრო მოუხდება!

მეფე — როგორი მოწადინებული ხარ, ბარძიმ!

ბარძიმი — რატომაც არა! მაგას რა უნდა მონასტერში? ქაჯეთის ციხეში!

მეფე — უჰ! მართლა, გუდაროს ციხის შესახებ, სულ გადამავიწყდა მესხებთან, შედი, თუ კაცი ხარ და როგორც გადავწყვიტეთ, ისე ჩააწერინე! (ბარძიმი გადის) — მოდი აქ, აგაბო! როგორ ატყობ მესხებს, კმაყოფილნი არიან?

აგაბო — დიდათ, მეფეო!

მეფე — მართლა? ეხლა თუ აგიაშვილიც კარგ პასუხს ჩამომიტანს, იქნებ გავმართო წელში სამეფო! ა? რას გაჩუმებულხარ?

აგაბო — ჩემი სიჩუმე შენს წინაშე მართებულია, მაგრამ სხვები რომ ჩუმად არიან, ეს არ მომწონს!

მეფე — როგორ? ვითომ ქუხილისათვის ემზადებიან?

აგაბო — არა, იმას კი არ მოგახსენებ, სეტყვის შიშით ვაზი ავჩეხოთ მეთქი! მაგრამ თუ ცა მოწმენდილი არ არის, ისე კალოს არ ჩაადგამენ ხოლმე! დაწვიმული კალოს პატრონი, მეზობელს თუ გაუშვერს ხელს სამოწყალოდ, თორემ სხვა რა გზა აქვს?

მეფე — არა, სეტყვის ღრუბელს ვიცნობ! სიფრთხილე კარგია, ფარია, მაგრამ გამბედაობა ხანდახან ხმალზე უკეთესია! შენ რას იტყვი ჩუბინა?

ჩუბინა — კარგ ფარხმალსა და კარგ თვალს რა ჯობია, შენი ჭირიმე! ბნელშიც გაკვესავ და გაივლი, მარლაც, იცოცხლე, ცაზე ყველაფერი მოსჩანს, მაგრამ მიწაში ფესვებს რომ მახრა გაუჩნდება, ვიდრე სულ არ გადაღრნის ის ოხერი, მანამდე ვერას შეატყობ!

(გაუბედავად თავს შემოჰყოფს კირკიტა).

კირკიტა — ნება მიბოძე, მეფეო, შენი ნახვა მანდა!

(მყისვე აგაბო მივარდება).

აგაბო — დაიცა კაცო! ასე შენს ნებაზე როგორ შეიძლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ი რ კ ი ტ ა — (შემოსასვლელშივე ჩაიჩოქებს)—სული კბილით მიგიერავს მეფეო, შენი მუხლის ჭირიმე!
(მეფე იცინის).

მ ე ფ ე — მოდი, მოდი ჩემო კირკიტა!
(კირკიტა შემოვარდება და დაიჩოქებს).

კ ი რ კ ი ტ ა — თაყვანი და დღეგრძელობა, ქვეყნის იმედო და პატრონო!

მ ე ფ ე — ადექი! ადექი! (ხელს გაუწვდის) — გამარჯობა შენი!

კ ი რ კ ი ტ ა — (ხელზე კოცნის)—შენი ხელების ჭირიმე, მეფეო! სადა ხარო ახლა ჩემო მტრებო? რატომ ვერ უყურებს ამას თქვენი დასავსები თვალები? რატომ მთელი საწერეთლო არ ხედავს ამას? მეფე რომ ხელს გაუწვდის, იმისთანა კაცს ენა უნდა დაშანთონ? სად არის სამართალი?

მ ე ფ ე — ნუ გეშინია, კირკიტა! ვიცი, მითხრა აგაბომ შენი ამბავი! ისე რასა იქმ? როგორა ხარ? ღვინოს აღარ სვამ?

კ ი რ კ ი ტ ა — ეხ, ნეტა იმ დროს, მეფეო, და ვაი იმ დროს!
(იცინიან).

მ ე ფ ე — ნეტაც და ვაიც? ეს როგორ კირკიტა? როგორ?

კ ი რ კ ი ტ ა — გზაზე რომ გაშლილი სუფრით მეფე შემოგეგებება, ნეტარება არ არი?
(იცინიან).

მ ე ფ ე — ვაი რაღათ არი? ნუ სწუხარ! მე მოველაპარაკები ჟამთაბერს!

კ ი რ კ ი ტ ა — მიშველე, ქვეყნის პატრონო! მანამდე მიშველე, ვიდრე არჩილს გაამეფებდე, თორემ მერე, როგორც ორსულს მშობიარობა არ ასცდება, ისე მე ვერ გადურჩები მაგათ!
(იცინიან).

მ ე ფ ე — როგორ? არჩილიც გემუქრება?

კ ი რ კ ი ტ ა — არა, არჩილს კი არ ვუჩივი, არა! ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, ისიც შემპირდა, რაც გინდა მთხოვე და შეგისრულებო, მაგრამ ვინ იცის, ვაი, თუ ჩემი დასაშანთავი რკინა, მე თითონ გამახურებინოს!

მ ე ფ ე — რატომ? რას გერჩის?

კ ი რ კ ი ტ ა — კი, შენი ჭირიმე, ვიცი! ის რომ რუსუდანს შეირთავს, მერე სიმავრის ხათრით მე კი არა...

მ ე ფ ე — რუსუდანს შეირთავსო?.. ეგ ვინ გითხრა კირკიტა?

კ ი რ კ ი ტ ა — თავათ ბრძანა უფლისწულმა, ბატონო, წელან უთხრა რუსუდანს, დედოფლად დაგსვამ ამ დღეებშიო!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (შეიცხადებენ)—რაო? რაო?

კ ი რ კ ი ტ ა — (შეკრთება) ვაიმე!.. რა ვთქვი ამისთანა?

მ ე ფ ე — ამ დღეებშიო?

კ ი რ კ ი ტ ა — ჰო ბატონო! ასე გადაწყვიტესო!

მ ე ფ ე — ვინ გადაწყვიტაო?
(წამოდგება).

კ ი რ კ ი ტ ა — (დაიბნევა)—რა ვიცი... საწყენი ხომ არაფერი მომიხსენებია, მეფეო? შენი მუხლის ჭირიმე! გამიხმეს, მიწა დამეყაროს ამ ენაზე, იქნება უფლისწულს ჩემისთანა ვიგინდარასთან არც კი უნდა წამოცდენოდა ჯერ ეს თქვენი გადაწყვეტილება, მაგრამ გავიგონე და რა ვქნა ახლა? შენი ჭირი შემეყაროს! შემეშინდა, დამწვარზე დუღარე არ დამასხანთქვა, და იმიტომ შეგაწუხე, ჩემო მფარველო ანგელოზო, ნუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამწირავ, შენ სულს ვენაცვალე, აღარც უფლისწულს უთქვამს მეტი არაფერი! რომ შემატყო, ჩემთან არ გაიმხილებოდა, შეწყვიტა ლაპარაკი და გამაგდო გარეთ!

(მეფე სარკმელთან მიდის. სამივენი შეჰყურებენ. სიჩუმე ჩამოვარდება).

მ ე ფ ე — გაჩენილა მახრა ჩვენს ბაღში!

კ ი რ კ ი ტ ა — (მოხუცებს უჩურჩულებს) — მახრაო?

მ ე ფ ე — როგორ მივაგნოთ?

კ ი რ კ ი ტ ა — (მოხუცებს ეჩურჩულება) — მახრამ, კაცო, წვრილი ხვრელის გაკეთება იცის, აქა-აქ უნდა მოთოხნო და წააწყდები!

(კირკიტას ჩურჩულზე მეფე მოიხედავს).

ა გ ა ბ ო — კირკიტა, გვადროვე ახლა ცოტა ხანს!

(კირკიტა მყისვე გარბის).

მ ე ფ ე — ირემს, დასათრგუნად, რქებში წაავლებენ ხელს, არწივს ფრთებში, ადამიანს კი გულს დაუკოდავენ! ხედავთ, როგორ დამლახვრეს?

ჩ უ ბ ი ნ ა — მოგგვრი, მეფეო, არჩილს!.. ათქმევინე!

(მეფე არ უპასუხებს. ფიქრშია).

მ ე ფ ე — საოცარია! თუ ბავშვი გამიბრიყვეს და ტახტს მართმევენ, რუსუდანის შერთვის დასტურს რაღათ მთხოვენ?

ა გ ა ბ ო — იქნებ მაგით თვალს გიხვევენ, ბატონო!

მ ე ფ ე — თვალსო? ვინ იცის?.. შეიძლება! თვალის ახვევამ, ზოგჯერ გონების თვალის ახელა იცის! (ჩაფიქრდება) სარქველს თუ სასულეს არ დაატან, ღვინო ქვევრს გახეთქავს! იქნებ დამავიწყდა სასულე! იქნებ ჯეროვნად ვერ განვსჭვრიტე და ხალხისათვის მართლაც ისე სჯობს, როგორც მაგათ ჰგონიათ! ოღონდ ასე იყოს, ოღონდ ქვეყანა საკეთილოდ წარმართონ, განაზრახი გამისაქმონ! მონაწილი გამიმეფონ და გვირგვინი რაღა ეკლად მინდა? წამართვან! ინებონ! მაგრამ ვაი თუ პირადულს ვერ გასცილდეს მათი ჭირისუფლობა! მაშინ? მაშინ რაღა ქნას ერმა დაცემულმა? როგორ წამოდგეს მისი სული დაკნინებული?

ა გ ა ბ ო — არა, მეფეო, მუხას ვაშლი არ მოესხმება! ყველაზე მეტი პირჯვრის წერა ეშმაკმა იცის!

ჩ უ ბ ი ნ ა — მუდამ იმას მოგახსენებდი, კოპიტი სახრეთ არ გამოდგებამეთქი, და აჰა!..

მ ე ფ ე — ვიცი, ვიცი, მაგრამ სად გახლავს შქმერი და იელი სახრესათვის? სად გამაჩნია საქვეყნო ადამიანები? სად? ოო... რა მძიმეა ჩემი ჭაპანი, რა ვქნა? მარტო ვარ! ერთი ვარ! ერთი!

ჩ უ ბ ი ნ ა — გამაგრდი, შენ სულს ვენაცვალე! გამაგრდი! დიახაც რომ ერთი ხარ! გვირგვინიც ერთია, ულელი ხომ არ არის, ორს დაედგას!

მ ე ფ ე — არც სახრჩობელაა, ერთს წაეჭიროს ყელში! არჩილს მიხმეთ! (შემოდის ბარძიმი) — თუმცა არა, იყოს!

ბ ა რ ძ ი მ ი — ჩავწერეთ, მეფეო, გუდაროს ციხეც!

მ ე ფ ე — რა ჩავწერეთო?.. ჰო! ვიცი! მართლა? კეთილი!

ბ ა რ ძ ი მ ი — მეფეო, შეუძლოთ ხომ არ გახდი, ასე უეცრად?

მ ე ფ ე — არა, ავი ფიქრები შემოშაწვნენ! ისე მეჭიდებიან, ლამის დამცენ!

ა გ ა ბ ო — შენი დამცემი ფიქრები სხვის თავში ნუ გაჩნდებიან და შენსაში ვერას დაგაკლებენ!

(მეფე აგაბოს გადახედავს და თვალს ჩაუკრავს — გაჩუმდიო).

მ ე ფ ე — მაშ შენ მირჩევ შევრთო არჩილს რუსუდანი?

ბარძიმი — მაშ მეფეო, მაშ! ისეთი ქორწილი უნდა გავაჩაღოთ,

„ღვინის ღვარი ზღვას ჯაბნიდეს!
სუფრის სიგრძეს მერიქიფე, სამ დღეს ფეხით ვერ ჩავლიდეს!
ხელხვავი და მოძახილი ცხრა მთას იქით გადასცილდეს,
ბრწყინვალება ქორწილისა, მტერსა ჩვენსა თვალსა სთხრიდეს!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე — მიკვირს! მიკვირს რათა ხარ ასე მოწადინებული? ჯერ შენთვის გინდოდა რძლად, ეხლა მე მირიგებ?

ბარძიმი — რა ვქნა? არ მოვწონვარ ქამთაბერს! მოყვრობას მტრობათ მითვლის და რა ვუყო?

მეფე — იქნებ მეც მწუნობს, რა ვიცი?

ბარძიმი — რას ბრძანებ მეფეო? შენ ოღონდ დასტური ინებე და...

(მეფე მოხუცებს გადახედავს. მოხუცებსაც ენიშნებათ).

მეფე — კეთილი! თუ ინებებს, მე თანახმა ვარ!

(გაუბედავად თავს შემოჰყოფს კირკიტა).

კირკიტა — აგაბო! აგაბო! შემომეშვებ? (აგაბო ხელით ანიშნებს: გადიო) — თუ გიყვარდე, თუ!

მეფე — მოდი კირკიტა, მოდი!

ბარძიმი — ეს ვინ არის? ვისი კაცი ხარ?

კირკიტა — არავის კაცათ აღარ ვარგივარ ახლა, ბატონო!

მეფე — ქამთაბერს გამოქცევია ეს საცოდავი!

ბარძიმი — მერე აქ რა გინდა? მეფეს რათ აწუხებ? ვინც ქამთაბერს გამოექცა, ყველა ჩემთან მოვიდა და შენ რაღა დაგემართა?

კირკიტა — იდიდოს შენი კალთა, ბატონო! უფლისწულმაც სწორეთ აგრე მირჩია, ბარძიმს მიმართეო, გასაჭირში ახლა მეც ის მეხმარებაო!

მეფე — რაო?.. რა გაუჭირდა არჩილს? რაში ეხმარები?

ბარძიმი — რა ვიცი, მეფეო, რა უნდა იყოს? ამას წინად სანადიროთ რომ არ უშვებდი და გთხოვე, ალბათ იმას თუ გულისხმობს!

მეფე — არა, ახლა, ამჟამად რაში ეხმარები?

ბარძიმ — არაფერში, მეფეო, ასეთი რა სჭირს არჩილს? რა ყურს უგდებ ამ ვიგინდარას?

კირკიტა — ვაიმე! კიდე თქვენი საწყენი წამომცდა რამე? აღარ ყოფილა ჩემი საშველი, დამშანთეთ ბარემ ეს ოხერი ენა და ის იქნება! ვაიმე, მიშველეთ! ქამთაბერი მობრძანდება!

მეფე — დაიცა, კირკიტა! მე მოველაპარაკები ქამთაბერს!

(შემოდის ქამთაბერი).

ქამთაბერი — მოვხიბლეთ! გავაოცეთ რაჭველები მეფეო! (შეამჩნევს კირკიტას) — ამას აქ რა უნდა?

მეფე — ეგ კაცი მე მყავს, ქამთაბერ!

ქამთაბერ — ინებე მეფეო!

მეფე — კირკიტა! დარჩი ჩემთან სასახლეში!

(კირკიტა მუხლებზე მოეხვევა მეფეს).

ქამთაბერ — მასახელა მერაბის ხმალმა და უნარმა! გამახარა ჩემმა გაზრდილმა!

ბარძიმი — ეხლა, მე გაგახარებ, ქამთაბერ! მომილოცავს შენი ასულის გაბედნიერება! ბრძანა მეფემ დასტური! არჩილის სიძეობა მიუწვდომელი ოცნება იყო მრავალ სასიმავროსათვის! რას გაჩუმებულხარ?

(იცინის) — შეხედეთ, ქამთაბერს შეხედეთ! როგორ დაამუნჯა მოულოდნელმა სიხარულმა! ელდამ იცის ასე, ელდამ!

ქამთაბერი — ჩემთვის მართლაც განუზომელი ელდაა შენი დასტური, მეფეო! ვაი, რომ მე ბედშავმა დროზე არა ვიცოდი რა!

ყველანი — როგორ? როგორ? როგორ?

ქამთაბერი — მიმძიმს მოგახსენოთ, მაგრამ რა ვქნა? უკვე მივეცი ხელი მერაბს!

(ბარძიმი ხარხარებს).

ბარძიმი — ოოო... რა კაცი ხარ, ქამთაბერ! რა უხიაგს იტყვი ხოლმე! ხუმრობს ბატონო, ხუმრობს! მეფეო, შენ ისა ბრძანე ქორწილი როდისთვის დავნიშნოთ, ქორწილი!

ქამთაბერ — არა მეფეო! მე სიტყვა ძვირად მიღირს!

ბარძიმი — შენ ან ხუმრობ, ან გაგიჟდი! დაფიქრდი რას ამბობ!

ქამთაბერ — დიდათ მიყვარხარ და პატივს გცემ, ბატონო ბარძიმ, მაგრამ მაინც გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ თან მაოცებს და თან სიცილსა მგვრის ეგ შენი გულისწყრომა! საოცარია, რა გაწუხებს? მეფის მოყვრობას მე ვკარგავ, შენ ხომ არა?

ბარძიმი — შენ გონი დაგიკარგავს! საღსაზრისი! დღემდე შენი ცდა და ოცნება სულ ეს იყო და უარსა ჰყოფ! შეიშალე? მე შენი ტიკინა ვარ?

ქამთაბერ — როგორც ხედავ, არც მე ვყოფილვარ შენი ტიკინა, ბარძიმ!

მეფე — ტიკინობას თქვენ მე მიპირებთ, ბატონებო!

ყველანი — (ერთად შეიოცებენ) — მეფეო! მეფეო!

მეფე — მაშ, რას ნიშნავს ყოველივე?

ბარძიმი — სული ამომართვა, არჩილი აგვიგულიანა, შენი თავი შემაწუხებინა და ეხლა კი უარსა გვყოფს!

ქამთაბერი — როდის ბარძიმ? როდის? შენი სიტყვით ისე გამოდის, თითქოს მაჭანკლობა მეთხოვოს, ისე გამწარებული ხარ, თითქოს მაჭანკლობისათვის საწერეთლოს დაგპირებოდე და აღარ გაძლევდე!

ბარძიმ — ვის უბედავ მაგ შეურაცყოფას? გამიშვით!

(ხმალს იძრობს და მიიწევს, ქამთაბერიც ხმალს იშიშვლებს. მოხუცები წაეტანებიან და აზავებენ. მეფე წამოიჭრება).

მეფე — თავხედობთ! კმარა!

(მყისვე ხმლებს დაუშვებენ).

ქამთაბერი — მაპატიე მეფეო! ჩემი ხმალი არასოდეს ისე არ გაკადნიერებულა, რომ შენს წინაშე გაშიშვლებულიყოს, მაგრამ რა ვქნა? — თავს ვიცავ!

ბარძიმი — თავს კი არ იცავ, თავს იკატუნებ! შენ რომ შეგეძლოს, (მეფეზე უთითებს) თავს ამას წააგდებინებდი!

ქამთაბერ — თავი გველს უნდა წავაგდებინო!

(ხმალზე ხელს გაიკრავს, მაგრამ მეფე ხელს დაუჭერს).

მეფე — (წყნარად) — ქამთაბერ!

ქამთაბერ — გემორჩილები, ბატონო, მაგრამ ხომ ხედავ, როგორ დაგვშხამა ამ ქვეწარმავალმა!

(შემორბიან მერაბი და ივლიანე).

მერაბი — მეფეო! მეფეო! ბატონებო!

ყველანი — რა მოხდა? რა ამბავია?

მერაბი — მძიმე ამბავი! კარიბჭეზე მტერი მოგვდგომია!

ყველანი — (შეიცხადებენ) — მტერი?

მერაბი — მტერი, ბატონებო, მტერი! გუდაროზე მოდისა, ... მოგახსენებს!

ბარძიმი — სთქვი, ივლიანე!

(ივლიანე მეფის წინაშე დაიჩოქებს).

ივლიანე — ამ დილით მწყემსები ჩამოცვივდენ, მეფეო! გუდაროს ქედზე მტერი დაბანაკებულა, ნახირი გაუწყვეტიაო! ორი მწყემსი მოუკლავთ და ციხისკენ მიემართებიანო!

მეფე — (თავს ჩაჰკიდებს) — როდესაც მახრამ ფესვების ღრნა დამიწყო, სეტყვაც მაშინ წამომეწია! მერაბ, სადა ხარ? ჰა, ჩემი ხმალი! გნაშნავ სარდლად. აბა შენ იცი ბარძიმ! ქამთაბერ! სამშობლოს სახელით გთხოვთ და მეფის პირით გიბრძანებთ, მისცეთ ხელი ერთმანეთს!

ორივენი — ყოს ნება შენი, მეფეო! (მეფის წინაშე იჩოქებენ და ხელს გაუწვდიან ერთიმეორეს) — ერისათვის! მამულისათვის!

მეფე — აგაბო! ჩქარა კაცები ერისთავთან, გურიელთან, მესხეთში!

(ყველანი სამოქმედოთ დაიძვრებიან. შემორბის რუსუდანი).

რუსუდანი — მეფეო! მოითმინეთ!

ქამთაბერ — შვილო!

რუსუდანი — მამა!

მერაბი — რუსუდან!

რუსუდანი — მერაბ!

ყველანი — რა ამბავია?

რუსუდან — ღალატია, მეფეო! შენს წინააღმდეგ შეთქმულნი არიან!

ქამთაბერ — არა შვილო! რა დროს ღალატია?

მეფე — ვინ არიან მოღალატენი?!

(შემორბის არჩილი).

რუსუდანი — არ გამიმხილა მეფეო, უფლისწულმა! არ ვიცი!

არჩილი — მე ვიცი! მე გეტყვი მამა, ვინც არიან!

მეფე — სთქვი!

არჩილი — არა! ჯერ მომეცი რუსუდანის შერთვის ნებართვა!

მეფე — რას სულელობ? რუსუდანი შენ არ გეკუთვნის! (რუსუდანს მონაზონის ბურვილს მოხდის) მერაბ! ხმალი ისე არ გაგიჭრის, თუ ეს ხელი გულს არ გაგითბობს! (გაუწვდის რუსუდანის ხელს) აჰა! დაიჭი! დაიცავი მაგის სიცოცხლე!

არჩილი — მამა! რას მიშვრები? მოღალატენი არ გინდა, მამა?

მეფე — ჩუმად! აქ არავითარი მოღალატენი არ არიან!

არჩილი — არიან, გამიშვით! (სატევარზე ხელს წაივლებს) ცოცხალის თავით რუსუდანს არავის დავუთმობ!

მეფე — (დაიჭექებს) არჩილ!

(არჩილი შედგება).

არჩილი — არიან მამა, შენ არ იცი!

მეფე — ვიცი!

არჩილი — იცი? მერე მამა? მერე? თუ რუსუდანი ჩემი არ იქნება, საიდან მივცე ბარძიმს საწერეთლო?

ხმები — რაო?

არჩილი — მე ხომ ფიცის წერილი ჩამომართვა ბარძიმშა!

(ყველანი ბარძიმს შეხედავენ).

მეფე — ნუ სულელობ! ეგ მე გამოგცადე! მე ვუთხარი ბარძიმს!

არჩილი — რაო? არაფერი არ მესმის! როგორ? საიდან, როცა ეგენი მეხმარებოდენ, მე ვთხოვე მაგათ, მე მინდოდა შენთვის ტახტი [illegible] მერთმია!

ხმები — რაო? რაო?

მეფე — ტახტის დამხობაში გეხმარებოდენ?

ეამთაბერ
ბარძიმი } — მეფეო! მეფეო!..

მეფე — ვიცი! ეგეც ვიცი! ტყუილია!

არჩილი — ისიც ტყუილია თვალების დათხრას და გაძევებას რომ გიპირებდნენ?

მეფე — თვალების დათხრას?.. გაძევებას?.. (გადახედავს ყველას და თავს შეიმაგრებს) ჰო! არჩილ! ეგეც! ეგეც ტყუილია! ეგეც მე ვუთხარი მაგათ! (პაუზა) აბა! დავიძრათ! მერაბ! მოედანზე! განთიადისას იქ უნდა ვიყოთ! არჩილ! აიღე ხმალი და ჩადექი ლაშქარში, ან ივარგე, ახ განადგურდი!

ბარძიმი — (ივლიანეს) — ცხენები!

ეამთაბერ — (კირკიტას) — ცხენები!

(გადიან ყველანი მეფისა, აგაბოსა და ჩუბინას გარდა).

მეფე — (ხელს მოხვევს მოხუცებს) — ეხლა ხომ ხედავთ, რა მძიმე ყოფილა გვირგვინი, ჩემო მეგობრებო! წავიდეთ აგაბო, ჩემო განუყრელო თანამგზავრო! ჩუბინა, მიხედე სასახლეს, ჩემი გულისა და გონების ერთგულო დარაჯო! ილოცე ჩვენთვის, მართალთათვის!

ჩუბინა — ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! (გადიან. მოისმის ლაშქრული. ჩუბინა მარტო.) რა პატარა ხარ, ჩემო ქვეყანავ, და რა დიდ მსხვერპლს მოითხოვ! მოდის შენი გვირგვინოსანი ყმა, შენს დასაცავად! ავარგე იგი და მიეც ძალა, მტერთა შენთა შესამუსრავად.

დასასრული

თბილისი. 19 მარტი.
1943 წელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. კრილოვი

იგავ-არაკები

მწყემსი და ზღვა

ნეპტუნის ახლოს ცხოვრობდა მწყემსი,
ზღვის პირას ედგა ქოხი პატარა,
იყო მფლობელი მცირე ფარისა,
და მათ მოვლაზე ზრუნავდა მარად.

ის არ იცნობდა განცხრომას, მაგრამ
ცხოვრობდა კარგად, ვით შრომის შვილი.
და დიდ ხანს, იქნებ, მეფეზე მეტად
იყო სვიანი და კმაყოფილი.

ხშირად ხედავდა: ზღვის განაპირას —
იდგნენ გემები, განძით სავსენი.
და ვით სტენიდნენ სიმდიდრით ბეღლებს
მათი მფლობელნი, განცხრომის ძენი.

ამან აცდუნა მწყემსი, მშრომელი,
გაჰყიდა ეზო, ქოხი და ფარა,
მყის შეიძინა მით საქონელი —
გემით წაიღო, შორს გაემგზავრა.

მაგრამ მგზავრობა ხანმოკლე დარჩა,
ზღვის მაცთურობა იგემა ჩქარა.
როგორც კი გემი ნაპირს მიჰფარდა —
ქარმა მიდამო შეაზანზარა.

განძი გემითურთ შთაინთქა იქვე,
და ძლივს გადარჩა მისი მფლობელი.
დაბრუნდა იგი გაწბილებული
და ძველ ხელობას კვლავ მიჰყო ხელი.

ლუკმა პურისთვის სხვის ცხვარს მწყემსავდა,
და დადიოდა გულდარდიანი.
მაგრამ შრომითა და მოთმინებით
რას არ მიაღწევს ადამიანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსმაც ,,ეაზოგვით, მომჭირნეობით
კვლავ შეაგროვა საჭირო ფული,
მყის შეიძინა საკუთრივ ფარა —
იგრძნო სიამე და სიხარული.

ერთხელ ის თავის ნახირთან ახლოს
იჯდა და ზღვისთვის მიეპყრო თვალი,
დამშვიდებულ ზღვას მზე სხივს აფრქვევდა
და ირხეოდა ზვირთი დამცხრალი.

იხილა მისკენ მოჰქრიან გემნი,
„ჰე, მეგობარო, — წარმოსთქვა წყნარად, —
შენ, ალბათ, ისევ ფულები გინდა,
ვერ ელირსები ჩემს ფულებს კვალად.

„სხვა მოატყუე, ჩემგან გეყოფა,
პატივისცემა გულუხვი, წრფელი.
ვნახოთ კვალად ვის მოაჯადოვებ,
ჩემგან გროშსაც კი აწ ნუ მოელი“.

—

აქ განმარტება ზედმეტი არის
თუმც მცირედის თქმა არ მოგვცემს ვნებას,
უმჯობესია, რაც გაქვს დასჯერდე,
ცრუ იმედების გამოდევნებას.

მისგან ხეირი არვის უნახავს
და უამრავს კი ცრემლი სდენია,
სხვამ რაც უნდა სთქვას, მე ვიტყვი ჩემსას,

რაც ბევრჯერ მითქვამს, გულს ჩამრჩენია:
წინ რა ბქნება — ეს ღმერთმა უწყის,
რაც კი უკვე მაქვს — იგი ჩემია.

თარგმანი **ხარიტონ ვარდოშვილისა.**

ფუტკარი და ბუზები

ერთხელ ორ ბუზს თუთიყუშმა
დიდად უქო უცხო მხარე.
და ბუზებმაც იქ გაფრენა
გადასწყვიტეს დი იხარეს.

მათ აქ სტუმრად არ იწვევდნენ,
განიცდიდნენ მხოლოდ დევნას.
და ფუტკარსაც შესთავაზეს
მათთან ერთად შორს გაფრენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზებს სწყინდათ, რომ სდევნიან
ახლოს არვინ არ იკარებს,
მათ საყვარელ ტკბილეულის
თეფშზე ხუფი დააფარეს,
ქოხებში ხომ ობობებმა
მთლად სიცოცხლე გაუმწარეს.

მათ ფუტკარი მიუბრუნდა:
— „გზა მშვიდობის! — უთხრა ასე, —
მე თავს აქაც კარგადა ვგრძნობ,
სამშობლოში, ჩემს მიწაზე.

„ტკბილმა თაფლმა ხალხის გულში
დამიმკვიდრა სიყვარული,
თქვენ გაფრინდით საითაც გსურთ —
და მიილტვის თქვენი სული.

„მაგრამ სადაც აღმოჩნდებით,
ერთნაირი ბედი გელით,
ვის უნახავს ქვეყანაზე
თქვენგან რამე სარგებელი?

„სიყვარულს და დაფასებას
ნუ მოელით უცხო მხარეს,
თქვენი ხილვა მარტოოდენ
ობობებს თუ გაახარებს!“

—

ვინაც იღწვის სამშობლოსთვის
მას ვერ დასთმობს თავის დღეში,
ვინც ზარმაცი-უქნარაა
ის მიილტვის სხვა მხარეში.

იქ მას ვერსად შენიშნავენ
და ნაკლებად იგრძნობს გმობას,
მისი არვის შეაწუხებს
უსაქმობა, ზარმაცობა.

თარგმანი **ხარიტონ ვარდოშვილისა.**

ცრუ

შორეული ქვეყნებიდან
შინ დაბრუნდა მოგზაური —
ერთი ვიღაც თავადი, თუ
შეძლებული აზნაური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობართან სეირნობდა,
ფეხით გაჰყვნენ მინდორს და ბაღს.
სად ყოფილა, რა უნახავს,
უსაშველოს მოჰყვა ტრაბახს.

ტყუილი და მართალი მან
აურია ერთმანეთში.
„არა“, ამბობს: „რაცა ვნახე,
ველარ ვნახავ მას ჩემს დღეში.

აბა რას ჰგავს თქვენი კუთხე?
ხან დაგცხებათ, ხან ვერ თბებით,
მზე ხანდახან სულ არა სჩანს,
ხან ანათებს მოჭარბებით.

იქ კი სწორედ სამოთხეა!
მოგონებით გული სტკბება.
იქ არც ქურქი, არც სანთელი
ადამიანს არ სჭირდება.

არასოდეს ღამის ბინდში
არ ეფლობა იგი მხარე,
მთელს წელიწადს დამდგარია
მაისის დღე მოელვარე.

იქ არავინ არა შრომობს
დასათესად, დასარგავად,
მაგრამ, ღმერთო, რა ამოდის,
რა მწიფდება თავისთავად!

აი, რომში, მაგალითად,
კიტრი ვნახე — ითქმის ენით?!
დამიჯერე, სულ მცირედი
იქნებოდა მთის ოდენი“.

— „საკვირველი რამ ყოფილა“,
ეუბნება მეგობარი:
„ქვეყანაზე სასწაული
გაბნეულა მრავალგვარი.

აი, თუნდაც ერთ სასწაულს
ჩვენ ვიხილავთ აქვე ახლოს.
ნაძლევს დავდებ, თუ შენ სადმე
მისი მსგავსი რამ გენახოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავ, ეგერ მდინარეზე
გადებული არის ხიდი,
გარეგნობით უბრალოა —
არც ლამაზი, არც თუ დიდი;

მაგრამ დახე მის თვისებას
(ცის ქვეშეთში რა არ ხდება)
ცრუ იმაზე ვერ გაიგლის,
იქვე წყალში ჩავარდება.

ხოლო მას, ვინც არ ცრუობს,
ფიქრი ნუ აქვს ნურაფრისა.“
— „როგორია თქვენი წყალი?“
— „ღრმაა იგი საკმარისად.

რას არ ნახავს ქვეყნად კაცი!
თუნდ ის კიტრი რომში... ვგონემ,
მთისოდენა, ასე არ სთქვი?
ცუდად ხომ არ გავიგონე?“

— „მთა არა და, სახლის ტოლა
დამერწმუნე, მაინც არი.“
— „მიკვირს დიდად, მაგრამ ხიდი
უფრო კია საოცარი —

ცრუს არ ინდობს. ამას წინად
მდინარეში გადაყარა
ერთად ორი ჟურნალისტი
და მკერავი მატყუარა.

მესმის, კიტრი სახლის ტოლა
არის დიდი სასწაული...“
— „არც ისეთი, — იქ ხომ სახლი
არ შენდება არსად სრული.

გაჭირვებით შეუძლიან
მხოლოდ ორ კაცს შიგ შეძრომა,
წამოწოლა არ ხერხდება,
საძნელოა ფეხზე დგომა“.

— „აგრეც იყოს, მაშინაც ხომ
სასწაულად ჩაითვლება
კიტრი, ძმაო, რომელშიაც
ორი კაცი მოთავსდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამ მხრით ჩვენი ხიდი
არ დარჩება არვის ვალში:
ცრუ ხუთ ნაბიჯს რომ გადასდგამს,
ყირამალა მიდის წყალში.

რომაული კიტრი...“ ცრუ მას
აწყვეტინებს სიტყვას: „მგონი,
ხიდზე გასვლას აჯობებდა
მოგვენახა სადმე ფონი“.

თარგმანი **კონსტანტინე ჯიჯინაძისა.**

რაინდი

ერთხელ აზრად მოუვიდა
რომელიღაც რაინდს ძველად
ამხედრება ალქაჯებთან
და ლანდებთან საბრძოლველად.

მოუტანეს და ჩაიცვა
მან აბჯარი შუქთა მფენი;
შემდეგ ბრძანა, „რომ კიბესთან
მოეყვანათ მისი ცხენი.

შეჯდომამდე ამნაირი
საუბარი ცხენთან იყო:
„გაიგონე, რასაც გეტყვი,
ბედაურო ჩემო ფიცხო:

გადირბინე ველ-მინდორი,
გადალახე მთა და წყალი,
სულ იქენე უსვენებლივ,
სადამდისაც გიჭრის თვალი,

და ისე ვით სარაინდო
კანონებში არის თქმული,
გამონახე გზა დიდების
ტაძრისაკენ მიმართული!

როცა ბოროტ ყარაჩუნებს
დააწყნარებს ჩემი ღონე,
სახელმწიფოს ორს თუ სამსა
მოვარბევ და დავიმონებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საცოლედ მოვიპოვებ
მე ჩინეთის მეფის ასულს, —
მაშინ სრულად დაგიფასებ
დიდ შრომას და გმირულ წარსულს.

შენ გაგიყოფ სანახევროდ
ჩემს დიდებას, მაღალ სახელს,
აგიშენებ თავლას იმგვარს,
რომ უკვირდეს ყოველ მნახველს.

ახლა შვრიაც თუ გაკლია,
მაშინ ძალგიძს გაიხარო:
ქერი უხვად მოგეცემა
და სასმელად თაფლის წყარო".

რაინდმა რომ ეს წარმოსთქვა,
ძირს კიბიდან ჩააბიჯა,
ფეხი შესდგა უზანგში და
უნაგირზე შეჯდა დინჯად.

ცხენი კი შორს არ წავიდა:
გაიარა ეზოს კარი
და თავლაში მიაბრძანა
ეს ყოჩაღი მეომარი.

თარგმანი **კონსტანტინე ბიბინაძისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოკრის ჩხეიძე

ღიახვის პირას[1]

III

— ქალო, წარბს რატომ არ გაიხსნი,—უსაყვედურა ერთხელ, საღამოთი, ევასიმ ასტღიკს.

იმ დღეს ქალებს თითქოს მოსაწყენად არა ჰქონდათ საქმე. სარფიანი გარიგებები მოახდინეს. პროცენტებიც გამოიანგარიშეს. თითოეულს თერთმეტ-თერთმეტი მანეთი ერგებოდა ნაღდ ფულად. თან საქმეს ხეირიანი პირი უჩანდა. თუ ერთი კვირა მაინც ასე გასტანდა, ათ-ათი თუმანი ექნებოდათ ჯიბეში ბანკში შენახულივით.

— ერთი შენ მდგომარეობაში ვიყო და სულ ვიხარხარებდი! — სთქვა ასტღიკმა და ამოოხვრას გული ამოაყოლა.

— მადლობა ღმერთს, თუ ჩემი მდგომარეობა შესახარბია! — გაიოცა ევასიმ.

— ჩემთვის არის და აგრე? — ახლა ცრემლებიც დააყოლა ასტღიკმა ოხვრას.

— მითხარი მაინც, რა?

— აბა, ახლავე ჩამოგითვლი! — მიუგო ასტღიკმა. — ერთი ქალი გყავდა, გაათხოვე, საკუთარი სახლი გაქვს, სამსახურს და ფულს ხელი გიკიდია. თავისუფალიც ხარ, ჩიტივითა. საითაც გინდა, იქით გაშლი ფრთასა. მე კი დედ-მამის კარზე ვგდივარ, ქვეყნის ყბაში ვარ გაჩრილი, როგორც ძაღლის პირში გაუხრავი ძვალი, უკანონო შვილის პატრონი. ფასი არა მაქვს ჩირისოდენა.

— შვილი, შვილია! — აიმედა ევასიმ.

— იჰ, ერთი შენცა, თითქოს ვერა ხვდებოდე! — შეუტია ასტღიკმა.

— ვხვდები, ვხვდები, გაუქრეს იმას ის ოხერი თავი! ვითომ შენზე უკეთესი ვინ უნდა შეერთო, ან ვის შეირთავს? რაც უნდა გაიჭიმოს, რაც უნდა გაიფუყოს ჭაობის ბაყაყივითა და ქვეყანას ყურები წასჭამოს, მაინც გიგუას ხელზე ნამოსამსახურევია.

— ის თუნდაც მეხს დაურბევია და ქვესკნელში ჩაუტანია, ეგ დარდი მოქარვებული მაქვს, მაგას არა ვჩივი. მაგრამ ერთი შვილი მყავს და ის მეცოდება. ჯერ არც კი მომინათლავს, მირონი არ მიცხია. რა ვქნა, ქალო, მირჩიე რამეი, მთელ დღესა და ღამეს ამაზე ვფიქრობ და ვერა გამირიგებია-რა.

— მერე, როგორი ბიჭი გყავს, შე გასაქრობო, შენა! — გულწრფელის ღიმილით სთქვა ევასიმ და განაგრძო: — მაცა, გორში დავბრუნდეთ, ღმერთი მოწყალეა, იქ ვეცადოთ რამეს.

---

[1]) იხ. „მნათობი" № 7—8.

ასტღიკი მიაშტერდა ევასის. კარგა ხანს უყურა და ხელები გაასავსავა:

— აჰ, არაფერი გამოვა, ვითომ მოელაპარაკები და დაიყოლიებ ანა, არ გამოვა. სჯობს ასე დავრჩე და ვათრიო ჯვარი ჩემს უკანასკნელ ღლეობდე. იმას კი არავის მოვასწრებ, ასტღიკ ქუჩის ქალად დაინახოს. ერთხელ შევცდი, ისიც ახალგაზრდობით მომივიდა. იმ ოხერმა ხელი დამხვია და მეც გაბრუებულივით დავნებდი. ახია, რაც მომივიდა და მომივა. ნათქვამია, ვინც ძაღლი მოჰკლას, მანვე გადაათრიოსო.

— ბიჭისას რასა შვრები, გოგო? — შეეკითხა ისევ ევასი შეძრწუნებულ ასტღიკს.

— ეგა მწვავს, თორემ, ღმერთმანი, ჩირადაც არ მიღირს ჩემი თავი და სიცოცხლეი, რა უნდა ჰქნას ქვეყანაზე უნათესაო ნაბუშარმა, როცა ათას პატრონიანსაც კი გასჭირვებია ბურის ჭამაი.

— ჰო-და, მეც მაგას გეუბნები, ქალო.

— აბა რაღა ვიღონო? ახლა შენ მირჩიე და, აჰა, მე დამჯერებელი, შემსრულებელი ვარ, თუ ჭკუაში დამიჯდა. არა მჯერა კი, რამე ეშველოს არეულ ჩემ საქმესა.

— ეშველება. აბა მომისმინეი. ყველანი ჩავრიოთ საქმეში, შენი მხრით — სუსანა და გიგოი. ჩემის მხრით — კნეინა თეკლეი, ელიზბარი, ჩემი ბიძაშვილები ბარძიმი და იოკიმე. ბარძიმი, გოგო, ბარძიმი! — გაიმეორა რამდენჯერმე ევასიმ. — ერთს ისეთი შეუბღვერს იმ შენს ერასტის, რომ თოხის ყუაში გააძვრენს. ნურც ამაზედ შევჩერდებით: ქართლის ეპისკოპოსი მობრძანდება გორში, მგონი, საყდრის საკურთხევლად და ერთი იმასაც შევთხოვოთ შველაი. ამისთვინაც მყავს კაცი, გორელი მოქალაქეების თვალი და მერე როგორი მოხერხებული, მგონი, ყველას აჯობოს.

— ვინა, ქალო, მაინცა?

— ვინა და — გამძვრა შენი ყურები, რაც შენ მოხერხებისა და მიხვედრის არა გაგეგებოდეს რა! — იაკობი, ქვემოთ, ცარსკზე რომ ცხოვრობს.

— ჰო-დე, ჰო-დე... მართალს ამბობ, მერე იაკობთან შენ მიხვალ?

— მივალ, მაშა, მივალ! — მიუგო ევასიმ და ასტღიკს თავი კალთაში ჩაუდო, ათასი კეთილი სურვილით სავსე თავი, თანაც ეუბნებოდა: — მივალ, მივალ, უარს ვერ მეტყვის.

ევასი სიცილით იგუდებოდა და როცა წამოიწია, თვალებს ვეღარ უსწორებდა ამხანაგს, რამაც აფიქრებინა ასტღიკს: „რად ამხელდი, თუ კი გაწითლდებოდიო“. მაგრამ ამაზე ფიქრისთვის არ ეცალა. ამ მადლიანი დედაკაცის ნალაპარაკევში მზის სხივი მოსჩანდა. ამიტომაც ჰკითხა მოუთმენლად:

— მაინც ისე, ნაღდად, რას გააკეთებდით?

— აი რა, ჩემო კარგო, — საჩქაროდ მიუგო ევასიმ: — ჩავიგდებთ ხელში ერასტის, ყველანი შემოვეხვევით. მოხერხებას, ძალას, ტყუილს და მართალს ერთბაშად დავაყრით. იქ ეპისკოპოსსაც შევიპირებთ და ჯვარს გადაგწერთ.

— იჰ!

— იჰ კი არა, ნამდვილად ასე ვიქმთ. შენ შვილს შუაში ჩაგიყენებთ და მერმე ერთმანეთი თუ გინდა დასჭამეთ და თუ გინდათ გოჭებივით ჩაეხუტენით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასტღიკმა თავი ჩაღუნა.

— ჰო, ასე, მე ევასი ქალი არა ვყოფილვარ, თუ ასე არ მოვექცევ. ... წინ რამე დამიდგეს! შევულოცავ, მოვნუსხავ ყველას. ოღონდ მიდგომა იცოდე და მამაკაცზე ყეყეჩი ბატიც არ არის ქვეყანაზე, ჩემმა მზემ, ჩემმა ქალობამ!

— ქალო, — წამოიძახა ასტღიკმა და ევასის მარჯვენა ხელი აფართხალებულ მკერდიდან გადმოსავარდნად გამზადებულ გულზე მიიკრა.

— ჰო, შე შავო და ეშხიანო, — სთქვა კიდევ ევასიმ, დასწვდა ასტღიკს, ყურთბალიშივით აბურცულ მკერდზე მიიკრა და რამდენჯერმე ისე მაგრად ჩაჰკოცნა, რომ ასტღიკი აყვირდა.

— ოღონდაც ნუ შემჭამ, ჯანდაბას ის ხვლიკიჭამია ერასტი!

— ბავშვის გულისათვის, თორემ ერასტი წყალსაც წაუღია. — კიდევ სთქვა ევასიმ და თვალებში შეხედა ასტღიკს.

ასტღიკ გაოგნებული იყო იმედის, გულკეთილობისა და მზრუნველობის ბანგით, არა ესმოდა-რა.

ბაქრაძის ქვრივი და ასტღიკ ხუთი დღის წინად ჩავიდნენ ელიზბარის სოფელში.

დედამთილის დაკრძალვის შემდეგ ასტღიკმა და სუსანამ ერთ საღამოს გულიანად ილაპარაკეს. ბევრი ცხარე ცრემლი ღვარა ასტღიკმა თავის მდგომარეობაზე. ბევრი საჩივარი მისცა სუსანას სამსჯავროს თავის ავ ბედზე. ასტღიკს ეძნელებოდა თბილისში ცხოვრება, სადაც მას მახლობელი არავინ გააჩნდა. დატრიალდა სუსანა, შეარიგა მამას, აიძულა ქმარი, აეყვანა ასტღიკ სავაჭროში ნოქრად, როგორც ევასი ბაქრაძე, რომელიც ისე დახელოვნდა ჭურჭლეულის ვაჭრობაში, რომ კომივოიაჟორობასაც ეწეოდა ხანდახან.

ასტღიკს ერთი კვირა გაუჭირდა გორში ცხოვრების მიჩვევა. მერე კი, როცა ყური შეაჩვია წამოძახილებს, დამშვიდდა და თავის სახლში ბედნიერად გრძნობდა თავს მშობლებთან ერთად.

ახლა ის ევასიმ წაიყვანა თან მუშტრის საძებრად. ასტღიკმა სომხური იცოდა და ქართლის სოფლებში ზოგჯერ ისიც საჭირო იყო. ასტღიკმა უნარი გამოიჩინა. ხუთ დღეში ქალებმა ათასი მანეთის საქონელი გაასაღეს. უკანასკნელ დღეს, გორში გამგზავრების წინ, პოზუა ქენქაძეს ესტუმრნენ. მის ცოლს, დაბალსა და ჩამრგვალებულ ნენეს, ნიმუშად წაღებული ფაიფურის წყვილი ჭურჭელი მიართვეს. ნენე საკადრისად დაუხვდა ქალებს. იმ ღამეს სუფთად მოასვენა დიდ ოთახში. დილით კი სანამ „ლინეიკები“ ჩამოივლიდნენ, მშვენიერი სუფრა გაუშალა სახლის აივანზე. გვიან გაზაფხულის სიგრილეში ქალები მადიანად შეექცეოდნენ ბატის ჭუჭულის ფერ ღვინოს. სადღეგრძელოებს ამბობდა ნენე და ჭიქას ხან ევასისთან და ხან ასტღიკთან გადადიოდა. ისინიც გემრიელ საჭმელზე შეყოლილნი სცლიდნენ და „ლინეიკების“ ჩამოვლისას საკმაოდ შეზარხოშებულნი აღმოჩნდნენ.

პირველად მოუვიდა ეს თავის სიცოცხლეში ევასის. ადგა მაგიდიდან და ორი ნაბიჯი ვეღარ გადადგა. იქავ წაბარბაცდა. მას ასტღიკი მიეშველა, მაგრამ ის უარესად ნასვამი აღმოჩნდა. მიშველების მაგივრად ევასის თვითონ ჩამოეკიდა, თავათ არ წავიქცეო. ბოლოს ორივენი აივანზე ხალიჩაგადაფარებულ ტახტზე დაგორდნენ. სიცილით და კისკისით იგუდებოდნენ. წასვ-

ლაზე ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ნენემ ოთახები შემოიბაჯბაჯა, ყველგან კარები ჩაჰკეტა და სტუმრებთან ისევ აივანზე გამოვიდა. ევასი და ასტღიკი ერთმანეთს ჩახვევოდნენ და ჰკოცნიდნენ, თან ეუბნებოდ ბტინოდნენ.

შემოვიდა თუ არა ნენე ახლა მას ეცნენ, დააგორეს ტახტზე, გასწიეს და გამოსწიეს, გადააგორ-გადმოაგორეს, გახადეს ზედაწელი და გაუჩეჩეს ჭაღარა თმა.

— მომასვენეთ, თქვე ალქაჯებო! — უყვიროდა ნენე, მაგრამ სტუმრები არას დასდევდნენ, ხელფეხი გაუკავეს მასპინძელს, ზემოდან დააწვნენ:

— ვაა, კაცებად ხომ არ გადაიქეცით თქვე ოხრებო! — შეუტია ნენემ ბღლოს დაღლილმა და ძალზე ნასიამოვნებმა.

— ვითომ რით გვჯობნიან მოღალატე კაცები? — წამოიძახა ასტღიკმა და ზე წამოიჭრა ძუ ვეფხვივით და ევასის და ნენეს თავისი მაგარი მკლავები მოუჭირა, ისე მაგრა, რომ ორივენი ააკივლა.

ვინ იცის, რამდენს ისულელებდნენ შემთვრალი ქალები, რომ შორიდან ერთი ჟივილ-ხივილი არ გაეგონათ. ქალები უეცრად გამოფხიზლდნენ, აივნის მოაჯირს მიადგნენ და შარაზე გადაიხედეს. ზედ სოფლ ს შუაგულში იმერული აჩაჩა ურმის ქარავანი დაინახეს.

— ჭურჭელი! ჭურჭელი! — გაიძახოდნენ იმერლები.

ყოველი მხრიდან მათკენ მოეშურებოდნენ.

— რა ჭურჭელია ნეტა? — ჰკითხეს ერთმანეთს ევასიმ და ასტღიკმა.

— **აჰ,** თვალი მაგ იმერლებსაც დაუდგებათ! თიხის ჭურჭელი იქნება. ჩავიდეთ, ქალებო, ერთი წყვილი დორა მჭირდება. ვნახოთ! — უთხრა მათ ნენემ და ყველანი შარაზე ჩავიდნენ.

შარაზე რვა ურემი იდგა, ქვევრებით, ქოთნებით, დორებით, სურებით და თონეებით დატვირთულნი. გარს სოფლელები ეხვივნენ, ჭურჭელს ხელში იღებდნენ, სახრეებს ურაკუნებდნენ.

— აბა, იაფად, იაფად! წყეო პურად, ორ წყეო სიმინდად, სამ წყეო ქერად, ლობიოს არა ვღებულობთ! — ამბობდა წინა ურმის ზესადგარზე შემდგარი კაცი და თან საქონელს აქებდა: — იფ! იფ! ერთი ნახეთ, რა ჩაფი და ჩაფულაა, რა რკინის ქოცოცებია! ზარივით რეკავს, ერთი ამაში ჩამწნილებული კომბოსტო მანახვა, თუმანი ეღირება!

— გუშინწინ დორას გაუვსებდით და სართად დორას შემოუდგამდნენ, — შეევაჭრა ზესადგარზე შემდგარს ერთი ქალი.

— ჰო, ღმერთმანი!

— ქოცოს კიდევ ჩაფულებსა. — სთქვა სხვამ.

— თონე ტარო სიმინდით აუვსეთ და იმერელი მადლობელიც იყო.

— ჩვენც აგრე, — დაემოწმა მათ ისაკა ბარბაქაძე. — ჩვენც ოჯახი და ცოლშვილი გვყავს დასარჩენი, თორემ ვინ მამაძღლი, ტყუილად არ მოგცემთ ჭურჭელსა. აბა, მაიტათ ჭირნახული, იყოს თქვენი ნება! — დაეთანხმა იმათ ისაკ ბარბაქაძე და მასთან ერთად ყველა სხვა მეურმე.

ევასის და ასტღიკს არაფრად ესიამოვნად ჭურჭლით მოვაჭრე იმერლების დანახვა. იფიქრეს, კონკურენტები გაგვიჩნდნენო. ჩქარა კი დამშვიდდნენ. გაერთნენ კიდევაც სანახაობით. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. სათავადო სახლ-კარიდანაც მოვიდნენ. ნიკალა ჯინიუზაშვილი და აბელ ეზიაშვილიც. ამ უკანასკნელს ვეღარ აეტანა ჭიათურაში მუშაობა. ჭრილო-

ბები გახსნოდა და ისევ სოფელში დაბრუნდა. ახლა ის ნიკალა ჯინიოზა-შვილთან მუშაობდა. საკუჭნაოები ებარა. ქირისა და ბეგრის მუშას სადილ-ვახშამს უმზადებდა, სათესლე ხორბლეულიც მის ხელში იყო და სათბურებიც.

მივიდნენ ისინი და ისაკა ბარბაქაძის აჩაჩასთან გაჩერდნენ. არც მიესალმნენ და არც გამოელაპარაკნენ. ის იყო მხოლოდ, ისაკა ბარბაქაძემ თვალი ჩაუკრა. მერე მესკია ჩიტივით ურმის თვალზე შეცოცდა, იქიდან გვიმრით გატენილ ჯინში ჩახტა. გვიმრა გადასწია, ორი დერგი ამოაძრო კინოთურ წარწაქით აჭრელებული, თავში გვიმრა ჩაუტენა, მისცა და ანიშნა: „ჩქარა წაიღეთო“. იმათაც დერგებს ხელები დაავლეს, ამოიღლიავეს და გასწიეს შინისაკენ. ისაკამ შორიდან დააწია ხმა, დერგი მანქანაში გაწმენდილი ხორბლით ამივსეთო.

ნენემაც ამოირჩია ერთი წყვილი დერგი, სამი დორა, ორი სურა და ხუთი ჩაფული. არჩევაში ასტღიკ და ევასიც მოეხმარნენ. ჭურჭელი გადმოაწყეს, შინისაკენ აპირებდნენ წასვლას, რომ პოზუაც მივიდა. ცოლისა და გორელი ქალების დანახვისთანავე ცხენიდან ჩამოხტა და მეწინავე ურემთან, ისაკა ბარბაქაძესთან გაჩერდა. ჭურჭელი სათითაოდ აიღო ხელში, მათრახის ტარით ხმაზე გასინჯა და იქავ დაალაგა.

ისაკამ რაღაც უკეთური იგრძნო. სანამ პოზუა რამეს იტყოდა, თითონ მოასწრო და უთხრა:

— ჩვენ ჭურჭელს, ბატონო, ზადი არა აქვს, რაც არი, სპილენძივით საიმედოა, მცირეოდენად სანთლით გახიზეთ ხმარების წინ და მისდღეში გეყოფათ. არც მარილი ავნებს რამეს და არც სხვა. ეგ არის ქვას ნუ მოახვედრებთ.

პოზუამ ერთი კამეჩივით შეუბღვირა ისაკას და მოიწია ხელის მოსავლებად და ურმიდან გადმოსათრევად.

— მე შენ გიჩვენებ კარგ ჭურჭელს! — დაუღრიალა.

— იმე, რას მერჩით ბატონო, თუ გნებავთ, იყიდეთ და თუ არა ღმერთმა თქვენი მეუღლიანად გადღეგრძელოთ, ჩვენ ჭურჭელი გაუყიდველი არ დაგვრჩება, — უთხრა ისაკამ და თხუნელასავით ჩაიმალა დერგებსა და ჩაფებს შუა გვიმრის ჯარჯში. პოზუა აყვირდა:

— შენი ცოლი და დედა კი! შენ კიდევ დაძვრები ქართლშია?

— მე რავა, ბატონო, ვინ ამიკრძალა ხელმწიფის შარაზე სიარული საქართველოში, როცა იგი თათარსაც არა აქვს აკვეთილი?

— ხმა გაიწყვიტე მეთქი, თორემ გიჩვენებ შენ სეირს! ერთ წიხლს ჩაგაზელ და ნაწლავებს გაგაყრევინებ!

— რას მერჩი, ბატონო, მითხარი?

— იმას, რომ იმერეთში ახლა საქონლის ჭირია გაჩენილი, ხუზარაი. გაქვს მოწმობა, რომ შენ იმ ჭირგავრცელებულ სოფლიდან არა ხარ?

— ღმერთო... — დაიწყო ისაკამ.

— აი შენი ღმერთიცა და შენი სალოცავიცა! — შეუტია პოზუამ, ნენეს უბრძანა, ჭურჭელი შინ წაეღო, თითონ კი მათრახ-მოღერებული ისაკასაკენ გაეშურა. უცებ ევასი მოსწყდა ადგილიდან, ისაკას წინ ჩამოეფარა, პოზუას გზა გადაუღობა.

— როგორ გეკადრებათ, პოზუა, დაიწი, თუ ღმერთი გწამს, უკან! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხრა და ერთი ისკ შესცინა და ისე ჩააშტერდა თვალებში, რომ პოზუამ უკან დაიხია.

— აგრეა ჰო, მოვლენ, მოიტანენ საქონლის ჭირსა და ძთელი სოფელი ზარალდება.

— ჭირს კი არა, ჭინჭრაქას, — გაუტრიზავა ევასიმ და პოზუა, რომელიც ახლა ულვაშებზე ხელს ისვამდა და მსუნაგად მისჩერებოდა ევასის ღვინითა და ცქრიალით ათამაშებულ დომფალივით თეთრ სახეს, უკვე ლბებოდა ამოსასხმელი საქალამნე ტყავივით. თავისას არ იშლიდა:

— ღმერთმანი, ევასი, ერთ მარცვალსაც არ მივცემ ჭირნახულს, მუქთად წავართმევ!

— ოხრად დაგრჩეს, შე კრიჟანგო, შენა! პური და ქერი ორმოში გილპება და მაგას არაფერს არ მისცემ? აბა ერთი ნუ მისცემ და მერმე გორში გამოჩნდი კიდევ! — დაემუქრა ევასი. — იმერლები რომ არიან და გზას აკრავან, შენ ეგენი მათხოვრები და მაცინცველნი ნუ გგონია, ასეთი ოჯახისშვილები და პატიოსანი ხალხია, რომ შენ არც კი დაგესიზმრება... გასძახე ნენეს, სულ შვინდივით დარჩეული ხორბლით აუვსოს ყველა ჭურჭელი.

მერე ისაკას მიუბრუნდა: — სადაური ხარ, ბიჭო?

— ვაშლევ-ამაშუკეთელი, ბატონო!

— ამაშუკეთელიო?

— კი ბატონო.

— აბა შენ გეცოდინება, თუ მართლა იქაური ხარ, გურამის ოჯახი?

— გურამი, ბატონო? ითხვისელი წერეთლის ქალი რომ ყავს?

— ჰო, ჰო, — გაეხარდა ევასის. — ჩემი მამიდაშვილია იმისი მეუღლე. ხომ კარგად არიან?

— კარგად, ბატონო, ღვთის მადლით. კაი აზნაურიშვილებიც არიან. ზედ აქეთ წამოსვლის წინ სამარგელში დავეხმარეთ თელი სოფელი. სადილი კი ისე, როგორც მუშას შეფერის, გვაჭამა — მჭადი, ლობიო და პრასი, თითოზე ნახევარი ჩარეჭა ღვინოც. ავაგდეთ ყანები თავში სამხრობამდე და კიდევ დაგვრჩა ერთი. საღამომდი იმასაც გავათავებდით, მარა კარგი ოჯახიშვილის ამბავი მოგეხსენებათ. გვითხრა, ერთი აგერ ამ ვენახს გადაუაროთო თოხით, მერე დავსხდეთო და კარგა ვისიამოვნოთ, სამხარიც ეგ იყოს და ვახშამიცო. ჩვენ აქ ვენახს ვთოხნით, იქ ეზოში კი ილიკოს, გურამის ძმას, ერკემალი ჩამოუტყავებია. დიმიტრი მარანშია. სათონედან პურის საფანელის სუნი მოგვივიდა საკმეველივით. მზე ერთი თოხის ტარზე იყო, აგვაშვებინა. დაგვაბანიეს ხელი. მუხის სახლი დიდი ცაცხვის ძირში აქვს. სუფრა აივანზე გაეშალათ. დავსხედით. იმისთანა პატივს ბატონო მექორწილეს ვერ ცემს ზოგიერთი. რა გინდა, სულო და გულო: ცხვრის ხარჩო, ჭყინტლი ყველი, პრასის მწნილი, ქართლური თონეული ხორბლის პური, ბოლოს გოჭიც ჩამოარიგეს. დავჯექით და ვიმხიარულეთ.

— ჩემი მამიდისშვილი როგორ-ღაა?

— ამაშუკელი ამაყი აზნაურია იმ ჩვენ ხევში, ეს ქე მოგეხსენებათ, მარა როცა კაცს ქალი შეხვდება ღვთისნიერი, უკუღმართიც კი წალმა მოტრიალდება. მიწა-წყალიც თუ უვარგა ხომ რაღაა. მარა გურამის ოჯახი მაინც იშ ღვთისნიერ თქვენი ნათესავი ქალის დოლათია.

— გიშველოს ღმერთმა, ნათესავის ამბავი გამაგებინე, — გადაუხადა ევასიმ მადლობა. — შინ ვიყო, მოკითხვის წერილს გაგატანდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისე, ზეპირად გადავცემ, ბატონო, თუ დამაბარებ.

— უთხარი, ბაქრაძის ქვრივმა ევასიმ მოგიკითხათ-თქვა გორიდან.

— ვეტყვი, ბატონო.

ისაკა ახლა წელში გამართული იდგა. დაიხარა, ერთი სურა ამოიღო და მიაწოდა ევასის:

— ეს, ბატონო, მიირთვით საჩუქრად.

— არა, არა, გაჰყიდე, ღმერთმა შენ მოგახმაროს, — იუარა ევასიმ.

— შენ, ბატონო, იმისთანა ხათაბალადან დამიხსენი, რომ მეტი გეკუთვნის, მაგრამ ახლა მეტი არ შემიძლია. ისე კი, თუ როდისმე ჩვენ კუთხეში მოგატანე თვალი, მე ვიცოდე, ღვთის მადლით რამეს მოვახერხებ. მერე რავარი ჭურჭელი წეიღო, ურემი გამინახევრა.

— იმათაც ყველას ავავსებინებ პურით, — დაჰპირდა ევასი.

— პურს არ ვჩივი. რა კი ღა არ დააჭერინეთ ჩვენი თავი და კარახტინს გადაგვარჩინეთ.

ევასიმ მიიხედ-მოიხედა. პოზუა წასულიყო. ასტღიკი ვიღაც გლეხის ქალებს ესაუბრებოდა დერეფანში. მოშორებით ნენე შენიშნა. იგი მაზლს მოუძღოდა, რომელსაც ჭურჭლის საფასური ხორბალი ეკიდა ტომრით ზურგზე. ახლოს მოვიდა.

— მე კი მეგონა, ბატონო, რომ სულ ცარიელს გამიშვებდით, ძალიან გულმოსული იყო თქვენი ქმარი. მარა ღმერთს თურმე არ ვყევარ გაწირული, როცა თქვენისთანა პატიოსანი მანდილოსანი მფარველობს, — შეაქო ნენე ისაკამ და ხორბლით სავსე ტომარა დაუცალა თავის ტომარაში ნენეს მაზლს. მერმე ერთხელ კიდევ მადლობა შესწირა ევასის და ხარებს სახრე გადაჰკრა. აჩაჩა ურმები დაიძრნენ დიდი გზის მიმართულებით, რათა გასცილებოდნენ ამ სახიფათო ადგილს.

*
* *

გაჰკვირდნენ ელიზბარის მამულის ქირის კაცები და მოჯამაგირეები. თვითონ ადრე მოვიდნენ სამუშაოზე დასადგომად. ჩვეულებად გადაქცეოდათ, აგრონომი იქ პირველი დაენახათ. დღეს კი არსად სჩანდა. მუშაობას უწესრიგოდ შეუდგნენ, ეზოს მახლობლად. თვალები შარისაკენ ჰქონდათ. აგრონომი სადილადაც არ გაჩნდა. უფროსი, თავმდეგი მუშებიც არ მოდიოდნენ. „ნიკალა მაინც რაღა იქნა?“ კითხულობდნენ ისინი და ჩრდილოში ისვენებდნენ. ბოლოს, როგორც იყო, აბელ ეზიაშვილი მივიდა ორი ბიჭით, ჯერი მიუტანა მუშებს. დღეს აბელი გულუხვი მასპინძელი იყო. ნახევარი კოკა ღვინო მოიტანა ჩაფებით და ორ-ორი ჩაის ჭიქა გადააკვრევინა ყველას. მერმე ცალგვერდზე დაბეჭდილი ქაღალდებიც დაურიგა, წაიკითხეთ, შინაც წაიღეთ, ცოლშვილსა და მეზობლებშიაც გადაიკითხეთო.

— ისაკას ლავაშებია! — ამბობდნენ მუშები, ჰკეცავდნენ ქაღალდებსა და იდებდნენ ჯიბეებში. აქა-იქ მოფარებულში გროვდებოდნენ და კითხულობდნენ.

„ისაკას ლავაშები“ ჭიათურიდან მოტანილ პროკლამაციებს ერქვა აქაურების ენაზე. შუადღის დასვენებისას ეს ლავაშები ყველას გადაკითხული და დამალული ჰქონდა. ახლა ქირის კაცები და მოჯამაგირეები ჩრდილებ-

ში წამოწოლილი ერთმანეთს უამბობდნენ შინაარს. რაღაც უჩვეულო სიწყნარე იდგა. მინდვრად ჭრია სიცხე ლაპლაპებდა, ვაშლის ფოთოლი არ იძროდა.

ამ სიწყნარეში რაღაც ხმაური შემოიჭრა. იგი შარიდან დაიწყო და თანდათან მოახლოვდა. ყველანი ზეზე წამოიჭრნენ, კისრები წაიგრძელეს. სასახლის ეზოში ცხენით შემოვარდა პოზუა ქენქაძე. კიბესთან ჩამოხტა. მიგებებულ მეჯინიბეს ჭაკი გადასცა აღვირით. მერე საკინძეში სწვდა. წახარა, მარცხენა ხელით კისერი დაუჭირა, მარჯვენით ჩაარტყა და რამდენჯერმე ჩაუნაცვლა. მეჯინიბემ ხელიდან გასხლეტა სცადა; პოზუამ ჩექმის ცხვირი მიაყოლა უკანალში და იქვე დააგდო, თავზე დაადგა.

— დედას გიტირებ, აღარ გაბედო, ჭაკი აღარ შემიკაზმო, თორემ მე შენ ჭაკსაც... — ილანძღებოდა.

შეშინებული მეჯინიბე წამოდგა, ცხენი მიატოვა და მოჰკურცხლა.

— სად მიხვალ? — დასჭყივლა პოზუამ და რიყის ქვა მიაყოლა ფეხებში. კოჭახარში მოხვდა. გულწასული მეჯინიბე ნახნავში გადაგორდა.

— გერის წმინდა გიორგი გარისხებია და შეუშლია კიდევაც, — ამბობდნენ მაყურებლები. ამ დროს საიდანღაც მეეზოვე შინაყმამ გამოიარა. ჭიშკარს მიაშურა დასახურად. პოზუა ახლა იმას გამოუდგა, „მურდალო“ მიაძახა და გამეტებით უშხუვლა მათრახი მოხუცს. იგი საბარლად დაიღმიჭა, უმალვე მუხლებზე დაეცა და შებრალება სთხოვა პოზუას.

— ეს რა არის? შაქარყინულია იმასთან, რაც აწი მოგელის! — დაჰყეფდა აკანკალებულ მოხუცს პოზუა. — შენი თამაშა მაშინ ნახეი, თუ პავლია მეზვრიშვილი მინახავს ამ ეზოში ფეხ-დადგმული. გაიგეთ, მე ვარ თქვენი აგრონომიცა და თქვენი ბატონიც, მე თქვენი მკვდარი და... ახლავე გააბით ხარ-კამეჩი გუთანში, ახლავე!

— გუთნეული სად უნდა გავაბათ?! — შეუბრუნა სიტყვა ერთმა მაღალმა და მოჭიდავესავით მოღერებულმა ქირა კაცმა, რომელიც ვერ შეეშინებინა პოზუას მუქარას. თავიც დინჯად და წესიერად ეჭირა.

— ვაშლის ნამყენის, რუპესტრისა და რიპარიას სადედეში. აბა, ჩქარა, ბევრს ნუღარ აყოვნებთ! — იყო პასუხი.

— მაგასა თუ აგრონომი ან დიდი ხაზეიწი, თავადი არ გვიბრძანებს, ჩვენ ვერ ვიქმთ. აგრე ხელსაბრუნდაოდ ჩვენა მიწაში ვერ შევალთ. შენ კი არა, თუნდაც ღმერთმა გვიბრძანოს. გონს თუ დავკარგავთ, ეგ სხვაა. სადედე ავყაროთ? ეგ რას ეგვანება? კაცია, ქვეყანაა. ჰა, თუ გინდა დაგიჯერეთ, უღალატეთ ადამიანსა. ღმერთსა და ქვეყანას რა პასუხი უნდა გავსცეთ, რომ ნაშრომ-ნაამაგარი, ვისი ბრძანებითაც არ იყო, პირუტყვებივით ამოვაგდოთ?! — გაბედულად შეედავა ისევ ის ქირა კაცი.

— აგრონომს მოეშვით, დაემშვიდობეთ, წავიდა, თავი დაგიკრათ, ჩემი ჭირი წაიღო. ეძებეთ ციმბირში თქვენი აგრონომი, ნაპოვნიც პოზუას შუაზე გაუყავით. დღეის იქით მე, პოზუა ქენქაძე, ვარ თქვენი აგრონომიცა და ხაზეინიცა, პრისტავიცა და მირივოიპოსრენიკიც! — ღრიალებდა პოზუა, თან თვალების ბრიალით აჩქარებდა მეხრეებს გუთანი გაებათ სადედეებში.

„სათავადოში ჩხუბობენო“, ელვასავით გავარდა ხმა სოფელში. აბა შინ ვინ-ღა გაჩერდებოდა, ჭალით-კაციანად სასახლისაკენ გაიქცნენ. ეზო გლეხებით ავსილიყო.

— ახა, ეს კაცი ნეტავ რამ გადარია? — კითხულობდნენ ისინი.

მაგრამ პასუხს ვერავისგან ღებულობდნენ. მარტო პოზუა ლრიალებდა განუწყვეტლად ერთსა და იმავეს:

— აღარ არის თქვენი აგრონომი, მორჩა, წავიდა, გადნა ქონივითა!

— გარკვევით თქვი რამე, შე მუდრეგო! — შეუტია ქირა კაცმა მოურავს და ხელებმომარჯვებული წინ გადაუდგა პოზუას ყელში საწვდენად.

— არ ვიცი, თავის თავსა ჰკითხოს რაც მოუვიდა. მე ის ვიცი მხოლოდ, რომ მე ვარ თქვენი აგრონომი, პოზუა ქენქაძე. ასეა, შვილოსა. წაიხსენით ლაგმები ულაყებივითა, აიშვით. კაცს ვინა ჩივის, ღვთისაც აღარ გეშინიანთ. მოიცათ, შვილონიასა, რამდენიმე დღე, თქვენი ჯერიც დადგება. თქვენც ის მოგელით, რაც კანონის ყოველ ურჩსა და ხელმწიფის ორგულსა. პოზუა იმასაც მოესწრება, ეგ თქვენი თავები მარგილებზე იყოს ჩამოცმული ცხენის ხოკერივითა. დიაღ, ვაი არა აქვს პოზუას. მაგასაც ვნახავ. მე კი, პოზუა, ისევ დავრჩები ღვთის მადლითა.

— კაცო, სწორი რამე სთქვი! იმ კაცს არაფერი მოუვიდეს, თორემ ლამის არის გონება შემეშალოს! — დაიღრიალა სხვებთან ერთად ეზოში შემორბენილმა პავლიამ და ყავარივით ფართო, ნახევარ-საჟნიანი შამილის დროინდელი ხანჯალი ნახევრად გააშიშვლა ქარქაშიდან.

— მე არა ვიცი-რა, რაც მოუვიდა დავითასა, დააბრალოს თავის თავსა. სწორი შენ უკეთ გეცოდინება, შვილიც შენი იყო და მემკვიდრეცა. აბა, მეფე ჩვენი ტრაეინიკი და მამასახლისი ხომ არა გგონია? მეფის ღალატი შენს სახლში ხდებოდა, ახლა ისიც გამოიანგარიშე, როგორ სჯიან ორგულსა და მოღალატესა. შენი ხანჯლისა კი არ მეშინიან. ცოტა მაცალე, შენთვისაც გავსკვნი მარყუჟსა, შე ბებერო მელიავ, შენა. პოზუას ამოდენა ძალა ყოველთვის ექნება, შენი ჯიბრით არ წახდეს. გამოეთხოვე შენ ცინგლიან შვილსა, ციმბირში მოიკითხე! — უყვიროდა ჯავრისაგან გამშრალ მოხუცს პოზუა. მეზობლები იმის შიშით, პავლიას მაინც აღარაფერი დაემართოსო, ოჯახი სულ არ გაუპარტახდესო, წინ გადაუდგნენ მას და არ უშვებდნენ პოზუასაკენ.

— აგერ აგრონომი! — დაიძახა უეცრად ვიღაცამ.

— მოდის!

— ის არის!

იხუვლა ხალხმა და ისეთი იერიში მიიტანა ხის მაგარ ღობეზე, რომ მუხის ბოძები დატყდნენ, ლარტყები მოიღრიცნენ და ჩაწვნენ. მართლაც, სოფლის შარაზე გიტას აჩქარებული ნაბიჯით მოჰყავდა იაბო.

— აგრონომი!

— მოდის!

— ცოცხალია!

ყვიროდნენ შეშლილებივით ყველგან. ელდანაცემი პავლია ეზოში იდგა და ადგილიდან ვეღარ იძვროდა. აღარც ტყუილი სჯეროდა, აღარც მართალი. გიტას ხალხი გარს შემოედო. ცხენიდან გადმოიღეს, ხელით ეხებოდნენ, ელაპარაკებოდნენ, რწმუნდებოდნენ, რომ მართლა მათი აგრონომი იყო და სხვა არავინ.

სიხარულისა და მადლობის გრძნობისაგან შეზარხოშებული გიტა იღიმებოდა და ერთ ადგილზე ჩასობილივით გაჩერებულიყო. მერე როცა ოდნავ სიწყნარე ჩამოვარდა, ხელის ჩაქნევით სთქვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დღეს გადავრჩი!

— რა მოხდა, თქვენ მაინც გაგვაგებინეთ?

— ხალხო, — დაიწყო გიტამ: — მე რაც გადამხდა, ეგ არაფერია, ხედავთ აქა ვარ და იკმარეთ. ეგ არის მხოლოდ მტერი გვიტევს, თქვენც მამაცურად დახვდით, მიწები არავის დაანებოთ. ერიდეთ ჯაშუშსა და გამცემს. გაუმარჯოს ქალაქის მუშებს, რომლებიც თქვენსავით შეწუხებულნი არიან მეფაბრიკისა და ვაჭრისაგან, მეფისა და იმის მოხელეებისაგან და რომლებიც წინ მიგვიძღვიან გლეხებსა თავისუფლების მოსაპოებელ ბრძოლაში! გაუმარჯოს ჩვენს შრომისმოყვარე, ავლსა და კარგის მცნობელ, მიმხვედრ გლეხსა!

— გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს!

დაიგუგუნა ხალხის ხმამ.

— ხალხო! — დაიძახა აბელ ეზიაშვილმაც: — იარაღი მზად იქონიეთ, თუ რამე გაჭირვება დაგვატყდა, საყდრის ზარს დავრეკავთ, როგორც სეტყვის წინა. ყველანი სკოლასთან მოხვალთ უკლებლივ.

— მოვალთ, მოვალთ! — იყო ერთხმივი პასუხი.

აგრონომმა რამდენიმე ნაბიჯი გადადგა სახლის მიმართულებით. ხალხიც უკან დაედევნა, როგორც ურდო. ეზოს შუამდეც არ იყო მისული გიტა, რომ პოზუამ ყვირილით მიირბინა:

— არიქა, ბატონო, უშველეთ რამეი სადედესა, თხრიან, ხის გუთნითა, ამოდენა ნაშრომი გეღუპებათ.

— სადედესა? ვის რა ჯავრი აქვს? — წამოიძახა გიტამ და გაიქცა სადედესაკენ ისეთის გამწარებით, როგორც გაიქცევა დედა ცეცხლწაკიდებული სახლისაკენ უსუსური ბავშვის მისაშველებლად. უკან კი აღარა ხედავდა, რა ხდებოდა. გლეხებიდან გიტას აღარავინ მისდევდა. გარს შემოხვეოდნენ პოზუას, რომელსაც ჩუმად გაეგზავნა სადედის მოსაგუთნავად თავისი უმცროსი ძმა სამი უღელი კამეჩით.

— ვინ აოხრებს სადედესა?! — ჰკითხა მას ისევ ქირის კაცმა, რომელმაც სულ რამდენიმე საათის წინად უარი სთქვა სადედის გადათხრაზე.

— რა შენი ჭკუის საქმეა! — შეუტია პოზუამ და მათრახი მოუქნია.

— მცურავო! — დაიღრიალა ქირის კაცმა.

— მავნე! — კვლავ იხუვლა ხალხმა.

— თავი გაუჭეჭყეთ! — დაიძახა ვიღაცამ. პოზუა მიხვდა, რომ ეს დღე ისე არ დაღამდებოდა, როგორც მას ეგონა. უეცრად ადგილიდან მოსწყდა და სოფლისაკენ გაიქცა. ხალხმა ჭიშკრისაკენ გზა გადაუჭრა. მან ძეძვის ღობეს მიაშურა, აჰა, შედგა კიდევაც ფეხი, გადახტება და თავსაც უშველის, მაგრამ დევისტანიანი ქირის კაცი სწვდა კისერში, ღობიდან გადმოითრია, მერე ასწია და ჯარჯივით გადაისროლა ღობეს იქით.

— არ გაუშვათ!

— ჩააძაღლეთ!

— მოჰკალით!

ისმოდა აქეთ-იქიდან. სხვები გარბოდნენ, რათა ღობეს იქით კვლავ დასწეოდნენ და თითთ წიხლი ჩაეზილათ. გადასროლილ პოზუას საფეთქელი დაეკრა ლიახვის რიყის მრგვალ ქვაზე და იქვე ჩაღრძობილიყო ღორის ნაწოლ წუმპეში გულაღმა გაშოტილი. უცებ მასთან გაჩნდნენ თმაგაჩეჩილი

ნენე, ევასი და ასტღიკი. ქალებმა ცხედარი მშრალზე აათრიეს და იქ დაასვენეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავზარდაცემულ ნენეს აღარა ესმოდა-რა. ასტღიკ ჩუმად დასცქეროდა ცხედარს. თავგამოდებული იყო მარტო ევასი.

— ვაი, ვაი, რა კაცი მოინელეს და მოჰკლეს! ამ საქმეს ჭირისუფალმა რომ დაანებოს თავი, მე ვდევ მთავარმართებლამდე და ხელმწიფე იმპერატორის ტახტამდე. მთელ ქვეყანას შევძრავ და გადავბრუნებ.

აბელ ეზიაშვილი მიუახლოვდა ევასის და ჩასჩურჩულა:

— ქალო, რა გინდა, რატომ უნდა გადაეკიდო სოფელსა?

— რა გინდა, შე მკვლ... — უნდოდა წამოეძახა ევასის, მაგრამ აბელსაც ჰქონდა ენა:

— თუ გინდა შენაც მაგ დღეს დაგაყრით. ვიცით შენი სახლი, მეჯვრისხევის გზაზე დგას სემინარიის გამოსაცდენში.

— ჩემთან რა გინდათ? — შეშინდა ევასი.

— აბა შენ რაღას ჩამოგვეკიდე? ივაჭრე, მორჩი შენ საქმესა და ღმერთმა მშვიდობა მოგცეს.

— მე იმას ვჩივი, კაცი მიდიოდა თავის გზაზე, უცებ გული შეუღონდა, გადავარდა და მოკვდა... — სხვა ჰანგზე დაიწყო ქვრივმა სიმღერა.

— ჰო, აგრე, — დაემოწმა აბელ ეზიაშვილი: — ახლა ჭკუასთან ახლოსა ხარ. ყოჩაღ, დედაკაცო!

IV

ევასიმ და ასტღიკმა აღარ დაუცადეს თავიანთი მეგობრის ნენეს ქმრის პოზუა ქენქაძეს დასაფლავებას. გორში გასწიეს. ევასი ძალზე იყო შეშინებული აბელ ეზიაშვილის მუქარით. ქვრივს ამოწყვეტა ელანდებოდა: სახლთან ახლოს ტრიალებდა, თუ სამსახურში არ იყო, შინ მზის ჩასვლამდე ბრუნდებოდა. გზადაც ცდილობდა მარტო არ ევლო. დაძინების წინ ფანჯრების ჩანგლებს თავისი ხელით სინჯავდა. კარს წიფლის ხის მაგარი ურდული დაადებინა დურგალს. ეზოს მაღალი და წვეტიანი მუხის „დიმაკიას“ ფოლადივით ღობე შემოავლო და ბადესავით დახლართა ეკლიანი მავთულით.

ერთის სიტყვით, ეზო და სახლი პატარა ციხედ გადააქცია. იქ გამაგრებული მტრის შიგნით შეჭრამდე ათჯერ დაკივლებას მაინც მოასწრებდა, მერმე კი, მისი ღრმა რწმენით, მადლიანი ხალხი მიეშველებოდა. შვილისა და სიძისა არ ეფიქრებოდა: ისინი ხაშურში ცხოვრობდნენ რკინიგზის სახაზინო შენობაში. ეს სამზადისი კი ჩაატარა, მაგრამ სინანული არ ანებებდა თავს: რა მრჯიდა, ვინ მეკითხებოდა, ბალი გირვანქა ოთხი კაპეიკია, პოზუასთვის თუნდაც მისი ცოლი ნენეც ზედ დაეკლათო, აღთქმას აძლევდა მღვიმეს ღვთისმშობელს იმერეთში, აწი აღარავის საქმეში აღარ ჩაერიოო.

ამ შემთხვევით დაშინებულმა ევასიმ ასტღიკის დანაპირები საქმის მოგვარებაზედაც-კი ხელი აიღო, თუმცა ამის შესახებ ამხანაგს არაფერს ეუბნებოდა და ტყუილით იღორებდა — მაცა, სანამ ხელსაყრელ დროს ვიხელთებო.

ფაიფურის ჭურჭლით ვაჭრობდა. გაბევება სასურველზე უკეთ მიდიოდა. ევასი ხვეტდა ფულს. კაპეიკს კაპეიკზე ადებდა და შაბათ-ნაშუადღევს მიარბენინებდა ბანკში. საანგარიშო წიგნაკს, სადაც თუმან-ბეთრიანები შეგროვილი ფულის ჯამი სამიათას ხუთას მანეთს უახლოვდებოდა, სასთუმალ ქვეშ მალავდა ღამით, დღით-კი ლიფსა და პერანგს შორის ზედ გულის ფიცართან ინახავდა.

დახედავდა ევასი ამ საყვარელ ციფრს, მოიგონებდა თავის პენსიას, დაათვალიერებდა თავის სახლკარს, წარმოიდგენდა უკვე ორსულ შვილს, მერე ასწონიდა თავის მდგომარეობას საზოგადოებაში და უმალვე სასოებით შეხედავდა ცას, სადაც უსათუოდ იჯდა ყოვლის გამგებელი ძალა, და აღმოხდებოდა: გმადლობ, უფალო, რომ არ გამწირეო. ეს მადლობა ევასიმ ნივთიერადაც კი გამოხატა. ორი დღით გაემგზავრა იმერეთს თავის სოფელ დარკვეთში. ნახევარ-ნახევარი გირვანქა წმინდა სანთელი, თითო ცალი სახარება და თითო თუმანი ფულად მიართვა მღვიმის დედათა და ჯრუჭის მამათა მონასტრებს. მოინახულა ნათესავები და საჩქაროდ დაბრუნდა გორში.

ერთი რამ ჰქონდა მხოლოდ ქვრივს გულში ნაკად და სახვნეშად. ამ წამოწყობილ ხელთან ის არა ჰყავდა გვერდით, ვიზედაც გული შეევარდნოდა, ვინც მწვავედ მოსწონდა. ცოლიანი იყო და აბა რა ექნა? ნაპარავით პირის ჩატკბარუნებას კი ხშირად ვერა ბედავდა. აგერ ასტლიკ რა დღეში იყო ჩავარდნილი უკურთხებელ სუფრაზე ადრე ხელის დაყოფის გამო. გორელებისა ხომ ცეცხლივით ეშინოდა. ხმა დადიოდა, ეჭვობდნენ. მაკრინე ბორტიშვილმა ხომ დაუფარავად ჰკითხა:

— ჰა, გოგო, ეს რა ამბავია, მართლა გაგიწყრა ღმერთი?

ასე იყო თუ ისე, ევასი თავის ციხე-სიმაგრეში თავს ბატონად გრძნობდა. მასთან ხშირად დაიარებოდა ასტლიკი. იგი არ ასვენებდა ევასის. ნუ აყოვნებ, დატრიალდი, ან ყურში არ უნდა ჩაგეწვეთებინა, ან ახლა რჯული გაიგდებინე და მოაგვარე ჩემი საქმეო.

ევასის თავი მოაბეზრა მეგობრის დაჟინებამ და უგუნებოდ შეუდგა მოქმედებას. არ იცოდა კი, საიდან დაეწყო. იოკიმესი და ბარძიმის შეწუხება არ უნდოდა, რადგან იმედი არა ჰქონდა, რომ ისინი ამ საქმეში ჩაერეოდნენ. ამიტომაც სხვა შემთხვევას ეძებდა. და მიაგნო კიდეც, იქ, სადაც არას გზით არ მოელოდა.

იმ დროს გორი დიდ ფაცი-ფუცში იყო. ქალაქში საგასტროლოდ ჩამოსულიყო დრამატიული დასი. ყველა ბილეთისთვის დარბოდა. პატარა დარბაზში ყველას საუკეთესო ადგილი სურდა დაეკავებინა. ევასი ადრევე შეეცადა, ხუთი მანეთი დაუჯდა ბილეთი, მაგრამ არ სწუხდა, მესამე რიგის ბილეთი შეხვდა პარტერში. ამ ადგილს ქვრივი შეჩვეული იყო, აქ იგი არც ძალიან მიგდებული იყო და არც ძალიან გამოჩენილი.

როგორც სხვა დამსწრე ქალები გორში, ევასიც ნაშუადღევს შეუდგა მორთვის სამზადისს. საღამოს შვიდის ნახევარზე პირველად ჩაიცვა ახლადშეკერილი ჩინური აბრეშუმის ქსოვილის შავი ტანისამოსი, ლაიკის ფეხსაცმელი, ინგლისური ჩულქები. მოირგო ყელზე უკრაინელი მეარშიების მიერ ნატიფად ნაქსოვი თეთრი გიპიური, ჩაიბნია თმაში ყალბი ალმასით მოჭედილი სავარცხელი და გარედ გავიდა. დრამატიული დასი იმ ღამეს ცაგარლის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"-ს თამაშობდა. ჭიშკართან ოდნავ

შეჩერდა, დაათვალიერა ეზო, მერე სათითაოდ მოიგონა, რაც სჭირდებოდა, და იმ სიცხეში, ყველას რომ თეთრად ეცვა, გეზი სემინარიის ეზოსაკენ აიღო.

მცირე ხნით შეჩერდა სემინარიის ალაყაფის კარის წინ, საიდანაც ტუსაღებივით ეზოში ჩამწყვდეული მომავალი მასწავლებლების ჟრიამული ისმოდა. „საწყლები", აღმოხდა და დაელოდა ერთ მასწავლებელს, იგი ამ დროს ათავებდა მორიგეობას. იქნება თეატრში გამაცილოსო, ფიქრობდა ევასი და თან არ იცოდა, როგორ შეეთავაზებინა ბილეთი ჯიბეგამოცალიერებულ აშიკისათვის.

მასწავლებელს დიდი ხანია სწვავდა ევასის ეშხი და ახლა ლოგინად მიგდებული ცოლის გარდაცვალებას მოელოდა დღედღეზე.

მასწავლებელი გამოვიდა, მაგრამ ევასიმ ინანა მოცდა. კაცი მოქანცული იყო, არც წვერი ჰქონდა გაპარსული და შინაც მიეჩქარებოდა. ამას კიდევ მოევლებოდა თავს, მაგრამ ევასის გაახსენდა ის, ვინც ქვევით, სამეფო ქუჩაზე, დაიარებოდა და ევასის ლანდს ათვალიერებდა. ამიტომ მასწავლებელს რაღაც შებრალების მაგვარი სიტყვა უთხრა და ისევ ჩქარა წავიდა თავისი გზით. საკმაო დრო გასულიყო. ევასი დარბაზში შევიდა და პირდაპირ თავის რიგს მიაშურა. შეკრთა, ვეებერთელა, ძალზე განათებულ დარბაზში თითქოს სხვა კაბიანი არ ყოფილიყოს, ყველა იმას მიაჩერდა. გასავლელში რაღაცას ფეხი წამოჰკრა. როგორც იყო, თავის ადგილს მიაღწია. დაჯდა. იქ კი, როგორც თავის საკუთარ სახლში, გული დაუარხეინდა. ერთობოდა იმით, რასაც აგონებდნენ ყურში. ამ განაგონში ერთი დასკვნა გამოიყვანა ქვრივმა: მისმა გემოვნებით ჩაცმულობამ და ჯერ კიდევ ხანმიუკარებელი დედაკაცის სილამაზემ ბევრი ქალი დაჩაგრა და გადაამტერა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ევასის პირდაპირ სცენის ნაპირს ორი კაცი მიეყუდა ბეჭებით. ცალი თვალი სულ მისკენ ეჭირათ. ევასიმ ისინი იცნო, ერთი გორელი ექიმი იყო, მეორე საგასტროლოდ ჩამოსული, ოცდაათ წელს მიტანებული არტისტი, ყველას ნაცნობი, მეგობარი და საამური ვაჟკაცი. არტისტი ხან ულვაშის წვერს იგრეხდა, ხან კიდევ შესანიშნავ ხუჭუჭ თმაზე ისვამდა ხელს.

ექიმი და არტისტი სხვა რაღაც ამბავზე საუბრობდნენ. თვალი კი ევასისკენ ეჭირათ. ქალიც ხედავდა მათ. თუმცა იქით არ იცქირებოდა, ყურს კი არ არიდებდა.

— ვინ არის ეს ქალი? — იკითხა ბოლოს არტისტმა.

— არა ღირს, — მიუგო ნაწყენმა ექიმმა, რომელსაც ლაპარაკი შეაწყვეტინეს, — აქაური ქვრივია.

— სჩანს, კარგი ქმარი ჰყოლია, — სთქვა არტისტმა.

— საიდან დაასკვენით? — გაიკვირვა ექიმმა.

— კარგი ქვრივი ქალი კარგ ვაჟკაცს რჩება მხოლოდ, — გაიხუმრა არტისტმა.

— ჰა, გულში ჩაგივარდა?

— არა, კაცო, ისე შევნიშნე, — კვლავ მიუგო ექიმს არტისტმა და დაბალი ბანით გადაიხარხარა.

ევასი ამ რამდენიმე სიტყვამ და ვაჟკაცების ხარხარმა გაამხნევა. ჯერ ვიღაცას გამოესაუბრა, მერე წამოიწია, თეთრი სახე და ბრჭყვიალა თვალე-

ბი ხალხით გაჭედილ დარბაზს მიმოავლო. დაინახა, ლოჟაში [illegible] შევიდა. დამხდურები ახმაურდნენ, წამოდგენ, მიიწ-მოიწიეს, [illegible]

იაკობმაც შეამჩნია ევასი, გულმოსულივით წარბებ ქვევიდან გახედა. „გაუმაძღარი“, გაიფიქრა ევასიმ და აღარ დასცალდა, მესამე ზარს სინათლის ჩაქრობა მოჰყვა. ევასიმ ფარდას მიაპყრო თვალი. ეს პიესა არ ენახა და სწყუროდა ყველაფერი ერთბაშად მომხდარიყო. ამ დროს იგი ერთმა ნაცნობმა ქალიშვილმა ჩაჯლიქვა და ყურში ჩასჩურჩულა:

— გაქრი შენა! გაგვახუნე ყველანი, რას გვერჩოდი?

ევასის ცრემლით ავევსო თვალები, ახალგაზრდა ქალი მიიზიდა და ყურის ძირში აკოცა. ფარდაც აიხადა.

წარმოდგენა შუაღამემდე გაგრძელდა. მომქანცველი იყო გრძელი ანტრაქტები. ქანდარაზე საშინლად აბრახუნებდნენ. ტაშს სცემდნენ, პარტერში ჰედვა, სიცხე და ბუღი იყო. ევასის ფოლში აღარ გაუვლია. სულ თავის ადგილას იჯდა. ნაცნობი ახალგაზრდა ქალები, როგორც დედა ფუტკარს, ისე ეხვეოდნენ გარს. ემუსაიფებოდნენ, ათვალიერებდნენ მის ტანისამოსს. ეკითხებოდნენ, სად იყიდა, ვის შეაკერინა, რა დაუჯდა. ნამეტნავად გიპიური მოსწონდათ, რაც ყელისა და კიმკიბოების შესართავთან ტანისამოსს მოვლებული მხრებს უფარავდა ქვრივს და ზემოდან მკერდს ელამუნებოდა. ევასი ეუბნებოდა, რომ ტანისამოსი ყირმიზოვის ფართლის მაღაზიაში იყიდა, თბილისში შეაკერინა, ხოლო გიპიური სიძის დედამ უსაჩუქრა.

ფინალის წინ მესამე ზარზე ევასისთან ფავლენიანთ გასათხოვარი ქეთო მივიდა.

— ძალო, აქედან ერთად წავიდეთ, დედამ გთხოვა, მოუცადო, მცირე საქმე მაქვსო.

ევასიმ თავი დაუქნია. ქეთევანი აგერ მეორე წელიწადია იოკიმე თუშელიშვილს ეძლევა, დაუთავებელი ლაპარაკი და ვაჭრობაა. ეტყობა ახლა ევასიც უნდათ ჩარიონ შუამავლობაში. ქეთომ და მისმა მშობლებმა ის არ იციან, რაც ევასიმ იცის: იოკიმეს საცოლეც ჰყავს და საყვარელიც. რაც მთავარია, მიწა-წყალი აღარ იზიდავს, მარგანეცს რეცხს ჭიათურაში, საზღვარგარეთ აგზავნის. ახლა მოდი და მიიღე მონაწილეობა ასეთი სხვადასხვა ჯურის საქმრო-საცოლეს შუამავლობაში. არა, არ იქნება, არა გამოვა რა.

არც თუ აღტაცებით მოუცადა ქეთოსა და მის დედას ქუჩის პირად. მიაწყევლა კიდევაც, რადგან მათის მიზეზით შეუბრალებლად მოიცილა თავიდან იაკობი, დამეხსენი, მარტო არა ვარო.

ფავლენიანები ძველ ქართლურ აზნაურის ოჯახს წარმოადგენდნენ. მათ ადგილ-მამული გორის მაზრის სხვადასხვა სოფელში ჰქონდათ. სამოცამდე თავდაუხსნელი ნაყმევი ჰყავდათ. იქ, სოფლებში, მოურავები და მოჯამაგირეები მართავდნენ საქმეს. თვითონ გორში ცხოვრობდნენ.

სახლის აივანი და თალარი გაბრწყინებული დაუხვდათ დაწინაურებულ ქალებს, რომელთაც ფეხდაფეხ სტუმრებიც მიჰყვნენ. კარგა ხანია ევასის ასე ბლომად თავშეყრილი ქართველი აზნაურები და ინტელიგენცია აღარ ენახა. იგი ვახშამზე დაპატიჟებული აღმოჩნდა შესანიშნავ სტუმართა შორის. ამასთან არც დედას, არც ქეთოს მისთვის კრინტი არ დაუძრავთ შუამავლობაზე.

აივანზე ვაზის ფოთლებქვეშ იჯდა ევასი და ერთ ხანშიშესულ მანდილოსანს ესაუბრებოდა, როცა მასთან ნაცნობი ექიმი მივიდა და არტისტი

მიიყვანა, გააცნო. ამ დაფასებამ ქვრივს კინაღამ გული გადმოუტრიალა. მაგრამ იგი უმალვე დაამშვიდა არტისტის ტკბილმა ენამ. არტისტმა ქვრივს ვეებერთელა ხელი იდაყვში მოავლო, აივან-თალარში გაატარ-გამოატარა, თან გააცნო თავისი მოყვარე, სამხედრო სამსახურს გადამდგარი, თმაშეერცხლილი პოლკოვნიკი ბარდღა დადიანი. მერე პოლკოვნიკთან ერთად გორში ჩასული ამ უკანასკნელის სრულიად ახალგაზრდა მეგობარი დიომიდე რეკვავა, რომელსაც ქართულად ლაპარაკი ძალზე უჭირდა. იქვე სტუმრად იყო საგანგებო დავალებებით გორს ჩასული ყაზახთა ოფიცერი ალფტონი. იგი წუთით არა სცილდებოდა ბარდღა დადიანს და წარა-მარა ეკითხებოდა რაღაცას რუსულად. ოფიცერი მოწიწებით ემთხვია ხელზე ევასის.

*
* *

შორეული აღმოსავლეთიდან ბარდღა დადიანი დასავლეთ რუსეთს განლაგებულ ჯარში გადაიყვანეს. მისი ნაწილი ქალაქ სუმში იდგა. იქ ბარდღა რამდენიმე წელიწადს დარჩა. წერილობით, თუ სხვა რიგად, შორეულ აღმოსავლეთში მყოფ თავის თვისტომ ჯვებე რეკვავასთან ერთი თვითაც არ გაუწყვეტია კავშირი.

ჯვებე რეკვავას შვილებმა დიომიდემ და არისტარხმა დაამთავრეს თუ არა შორეულ აღმოსავლეთში გიმნაზია, შიდა რუსეთში გასწიეს უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ყმაწვილები გამოუცდელი იყვნენ, მამის დაჟინებით ბარდღას ესტუმრნენ სუმში. ბარდღამაც ისინი დიდის სიხარულით მიიღო: გაჰყვა კიევს, აღმოუჩინა საცხოვრებელი ბინა კარგ ოჯახში. მოუცადა, სანამ უნივერსიტეტში გამოცდებს ჩააბარებდნენ, ჩააცვა სტუდენტის კიტელები, გამოსამშვიდობებელი ვახშამიც გაუმართა და გასწია სუმში. ექვს თვეში ერთხელ ნახულობდა დიომიდეს და არისტარხს. აფრთხილებდა, არ აჰყოლოდნენ საზრახ ხალხს, მაგრამ ყმაწვილებს არა ჰირდებოდათ ეს ზრუნვა: ჰიანჭველებივით შრომობდნენ შინ და ლაბორატორიებში.

ლანდივით გაირბინა ოთხმა წელმა. ყმაწვილები დავაჟკაცდნენ. დასრულდნენ. დადიანი ძალიან გააკვირვა ერთმა გარემოებამ. დიომიდეს და არისტარხს, რომელთაც ქართული ერთი სიტყვა არ იცოდნენ, ქართული შეესწავლათ და მერმე როგორ: „ვეფხის-ტყაოსანიც“ კი გაეზეპირებინათ, თუმცა მრავალი გამოთქმა და სიტყვა ამ მარადიული ქართული ძეგლისა არ ესმოდათ.

— ეს როგორი სწავლაა? — ჰკითხა ძმებს დადიანმა.

— ის ვისწავლეთ, რისი შესაძლებლობაც კიევში გვქონდა, ახლა საქართველოში ჩავალთ, იქ სამსახურს დავიწყებთ და ღმერთი როგორ გაგვირისხდება, მშობლის სალაპარაკო ენა ვერ ვისწავლოთო.

— საქართველოში აპირებთ სამსახურს? — გაჰკვირდა პოლკოვნიკი.

— უსათუოდ, თუნდაც ყველაზე მცირე სამსახურს. რუსეთს უჩვენოდაც არა უჭირს-რა, სამშობლოს-კი, ვინ იცის, რა აკლია და რაში გამოვადგებით, — იყო მათი გადაწყვეტილი პასუხი.

— წადით, მაშ ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მეც გამოგყვებით, თქვენ ათასჯერ მართალნი ხართ, — დაულოცა გზა დადიანმა რეკვავებს და იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესვე მიართვა რაპორტი სარდლობას სამსახურიდან გადადგომის შესახებ.

მერე დიდხანს ჰკვირობდა: მაჯობეს ბავშვებმაო.

სამშობლოში გამომგზავრებულ ძმებს ოდესის ნავსადგურში დაეწია ტრაპის აწევის ერთი საათის წინ.

მათ ჯერ სენაკი და კოტიანეთი მოინახულეს, მერე ერთადვე გამოსწიეს თბილისში და ერთადვე დაიქირავეს ბინა მესანგრეთა ქუჩის უკან, პატარა სახლში.

პირველად ბედმა არისტარხს გაუღიმა. ბარდღას მეშვეობით ახალგაზრდა ქიმიკოსი სამსახურში აიყვანა ერთმა მეგრელმა კომერსანტმა, თბილისის საპნის მხარშავ „ტოლეს“ ფირმის აქციონერმა. არისტარხს ჩააბარეს საპნის რეცეპტურა და სახარშავი ქვაბები. მეგრელმა კომერსანტმა ბარდღას დასწრებით არისტარხს უთხრა:

— დიდი საქმეებისათვის ვემზადები, შეიძლება მე თვითონ ავაგო საპნის სახარშავი ქარხანა. თქვენ მზად უნდა იყოთ თუნდაც მიწიდან საპნის მოსახარშავად.

ამ წინადადებით დიდად გახარებულმა არისტარხმა ხელი ხელს დაუკრა კომერსანტს.

ეიომიდე კი ჯერ უსაქმოდ დადიოდა. უცდიდა ადგილის განთავისუფლებას სააფთიაქო საქონელით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგების ფირმაში. ფირმას, გარდა ვაჭრობისა, ჰქონდა პატარა ქარხანა კრწანისის ბოლოში, ამუშავებდა ასკილის ნაყოფს, ონტკობას, ზოგიერთ ყვავილს და გლაუბერის მარილს სარფიჭალის მახლობლად.

სათავადაზნაურო ბანკის მიერ გამოცხადებულ საჯარო ვაჭრობის დროს ბარდღამ მცირე მიწა-წყალი შეიძინა თბილისის მახლობლად, ქართლში. ახლა იქ კალატოზები და დურგლები მუშაობდნენ. გლეხები საზვრეს აბრუნებდნენ.

ბარდღას კარგი პენსია ჰქონდა, მეფის მთავრობა დავალებული იყო, რადგან ამ ოფიცრის მიერ ხერხიანად მოწყობილი ექსპედიციის წყალობით რუსეთის იმპერიას შორეულ აღმოსავლეთში შეემატა მანჯურებით დასახლებული საქართველოს ოდენა მდიდარი პროვინცია. ბარდღა ეხლა საცოლეს ეძებდა.

ამ ძებნაში ბარდღა კარგ დროს ატარებდა. მისთვის ყველგან სუფრა იყო გაშლილი. სვამდა საუკეთესო ქართულ ღვინოებს, უსმენდა დუდუკს, ამღერებდა ზედ ძველ ჰანგებს — გრიგოლ ორბელიანის „კიკიხინ კიკო“-ს და ალექსანდრე ჭავჭავაძის „ერთხელ ნოემაც“. მართალია, ამ ნეკრაობაში პოლკოვნიკს დღეები აკლდებოდნენ, შეწათხული თმა უთეთრდებოდა, მაგრამ არა ნაღვლობდა — კბილი დედის ძუძუზე ეკლო.

ლამპებით და ფარნებით განათებულ აივნებსა და თალარებში სეირნობამ, ამ ბრწყინვალე სტუმრებში კვლავ ჩარევამ ევასის ქმარი მოაგონა. გარეგნულად მხიარულს გული სიმწრით დაეთუთქა. იგრძნო, როგორ ძნელი ყოფილა უიმისოდ ყოფნა და როგორ ჰყვარებია ქმარი. დიაღ, ამ საღამომდე არ უანგარიშნია მას ყველაფერი სიცოცხლის ფასის სასწორით.

ახალგაზრდებმა რომ დაფა-ზურნის ამაჟრჟოლებელ ხმაზე ლეკური დაუარეს, ტანში მილიარდმა ნემსებმა უჩხვლიტეს. კინაღამ თოფის წამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივით აფეთქდა, როცა ფორტოპიანოს ჰანგზე ბარდღა დადიანმა მას ხელი გაუწოდა და „პოლკა“ იცეკვეს, ხოლო შემდეგ კი ვალსი.

ევასი თავდავიწყებით აეკრა ბარდღას მკერდს. ოდნავ თვალმოკუტული ძლივს ამჩნევდა გარშემო საგნებს. ბურანში გახვეული ქარიშხალს გაყოლილ ბუმბულივით მიჰყვებოდა ვაჟკაცის მძლავრ სუნთქვას. უეცრად შიშმა შეიპყრო, იგი ტვინიდან წამოვიდა და მიმინოსავით დაეშვა ქვემოთ, მერე მბრძანებელ ხმაურად გადაიქცა ყურებში: „ევასი, შენ თხოვდები, თხოვდები, თხოვდები!“

ევასი ვახშამზე მხიარულად ვეღარ გამოიყურებოდა. ქვრივი გონებაში სწავლობდა და ბჭობდა იმაზე, რასაც მისი ტვინი მის გულს ერუანტელად გადასცემდა. გათხოვდეს? მერმე ვის წაჰყვეს? ვინ თხოულობს? სტუმრებმა მისი დაღვრემა კდემამოსილებად მიიღეს. ფრთხილად ემუსაიფებოდნენ და ევასიც არ იბნეოდა. შემდეგ ქვრივს თვითონ უკვირდა, როგორ შესძლო, რომ სულ სხვა რამეზე ჰფიქრობდა და სულ სხვა რამეზე-კი პოულობდა მოხდენილ პასუხებს.

უეცრად გათხოვებაც დაავიწყდა და მოსაუბრეებიც. ლაპარაკი გაიბა ფულიან და გავლენიან ხალხზე. ახსენეს ერასტი დვალი. ყველამ თავი ჩაჰკიდა. დადიანმა გაიკვირვა მხოლოდ.

— ოქრო, ბატონებო, ციდან არა ცვივა. საიდან უნდა ჰქონდეს ერასტი დვალს ფული, არ ვიცი. შორეული აღმოსავლეთიდან ეგ უკაპეიკოდ წამოვიდა.

— სწორედ იქიდან ჩამოიტანა ოქროები, — განაცხადეს სუფრაზე.

— ვერაფერს დაგიმოწმებთ. — და ბოლოს იკითხა: — იქნებ ეფრემ ნოზაძესთან აქვს რამე ფინანსიური ამხანაგობა.

ყველანი დადუმდნენ, ასეთი კაცი, ეფრემ ნოზაძე, არავის გაეგონა.

— ბატონო, ვინ არის ეგ ნოზაძე? — ჰკითხა ევასიმ.

— აბ ვინ იყო ოქროების პატრონი. შორეულ აღმოსავლეთიდან ნოზაძე და დვალი ერთად წამოვიდნენ, — სთქვა დადიანმა და სხვა ამბავზე გადავიდნენ.

სტუმრებმა შვებით ამოისუნთქეს. გიგო ჩარექაშვილის ხელზე ნამოსამსახურევს რაც ხსენება ერგო ამ გვაროვანთა შეკრებაზე, — ისიც მეტი იყო.

ევასის თავი კი გამომძიებელს დაემსგავსა. მთელი ქართლი და იმერეთი იცის ევასიმ: არავინ ფულიანი ნოზაძე არ არსებობს, გარდა მეზურნე-მედოლეებისა, და არც არავინ ჩამოჰყოლია ერასტი დვალს შორეულ აღმოსავლეთიდან.

— ვისია ერასტის ოქროები?

გავთხოვდი! გავთხოვდი! შენი გულისა!

შინ გათენებისას დაბრუნდა. ლოგინი გაშალა, ტანთ ცივი წყალი გადაივლო, ქმრის ფოტო სასთუმლის მახლობლად სკამზე დაიდო და ქეიფითა და დროსტარებით მოქანცულმა ტკბილი ძილით ჩაიძინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალიო მაშაშვილი

მხოლოდ სიმღერა

ნუ დაუჯერებთ ყრუ სიტყვებით ნაწერ ქალალდებს,
შიგ სულის ღელვა კი არ არის, — მარტო ჩრდილია,
მე, მთელის გულით, რაც ვიმღერე, რაც ვიღალადე —
ცაში, — ვარსკვლავთა ასოებით ალბეჭდილია.

მეც ლექსის ტყვე ვარ, შეპყრობილი ფიქრით, აზრებით,
მეც ვიბრძვი კალმის უკანასკნელ ამოკვნესამდე.
გულიდან ალძრულ ქარიშხლიან ხმით ვიბასრები.
ჩემი სულისთქმაც ალმურივით ადის ზეცამდე.

ჟამი ყველაფრის შემცვლელია და შემრისხველი,
იგი არსებულს არ იკმარებს, არ დაჯერდება,
გაჩნდება ერთი მეოცნებე ვარსკვლავთ-მრიცხველი,
წყვდიად ღამეში ცას ჰოგრიტით შეაჩერდება.

თვალს გარინდებით ცის გუმბათზე შემოატარებს,
ამოიკითხავს ვარსკვლავებით ნაწერ სტრიქონებს,
ხალხში სიმღერად გავრცელებულ ხმას შეადარებს,
და ქართლის ცოცხალ წინაპრებში მეც მომიგონებს.

გახსნის ფოლიანტს, სიტყვის კლავიშს შესძრავს კანკალით,
დროთა ბრუნვისგან ხმაშელახულ სტრიქონს მოარჩენს,
და შიგ, ვით ოქროს საუნჯეში — ძვირფას მარგალიტს, —
ადამიანთა მისწრაფების აზრს ალმოაჩენს.

მხოლოდ სიმღერა! მით სულდგმულობს წუთისოფელი,
ნუ დაუჯერებთ ყრუ სიტყვებით ნაწერ ქალალდებს.
ჩემი გულისთქმა, ვით საერო საგალობელი,
ქვეყნის გუმბათად გადმოხურულ ცას შევღალადე.

თეთრი ქაღნული

ვზიავარ ოთახში მარტოდ-მარტო, ჩაფიქრებული,
ღია სარკმელში იხედება ხეთა კრებული.

ბალში მწუხრი დგას, რტოს ღუღუნით არხევს ნიავი,
ფაქვარდ ფოთლებში მიმალული ბეჟუტავს ქლიავი.

კვლავ ბურანში ვარ და ნიავის ხმა წარმართული,
ხმა უცნაური, ნაღვლიანი, მაგრამ ქართული —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცნობ ქალწულის ხმას მაგონებს, ასე მგონია —
ეს ხმა ოდესმე, შორს წარსულში გამიგონია.

ბინას მოვშორდი... ისევ იმ გზით, ისევ იმ ხევით
მთვარეულივით მოსეირნე ნიავს მივყევი.

ჩვენ მივდიოდით... და ერთმანეთს შეფარებული
მივიმღეროდით, როგორც ორი შეყვარებული.

ვპოვე ტაძარი! — მთაზე მტრედი გაქვავებულა,
ბალი საკმევთა სურნელებით აყვავებულა.

მიველ ჭიშკართან, მივადექი ბჭეს მოქანცული,
სარკმლის ჩარჩოდან მომეჩვენა თეთრი ქალწული.

გახსნა ბაგე და... გავიგონე ხმა ნიავისა,
ყრუდ გამკილავი სიძულვილის და სიავისა.

ქალი იყო თუ — ხორცშესხმული ხატი მიცქერდა,
დატყვევებული ვიდექ მის წინ, გული მიძგერდა,

თითქოს ის არის! ჩემი ფიქრი, ჩემი ოცნება,
ჩემი უკვდავი სიყვარულის გასხივოსნება.

თითქოს, ოდესმე გვიცხოვრია, ისევ მოვედით, —
ისევ გავცოცხლდით მზის სიამით, სიახლოვეთი.

ჩვენ, ალბად, ტრფობის ალმა დაგვწვა, გაჰქრა სხეული,
სული ნიავმა გაიტაცა კვამლად ქცეული.

გამოვიარეთ ბევრი ტანჯვა, ბევრი წვალება,
მაგრამ სიყვარულს არ უგრძვნია ფერისცვალება...

ბალში მწუხრი დგას... და ნიავი ნელა მიმოდის,
თითქოს ერთმანეთს აქ ვხვდებოდით, აქ ვულიმოდით.

თანაც, გვათბობდა როს ყვავილი ბალს დაათოვდა,
ცელქი ნიავიც ჩვენთან ერთად მასლაათობდა.

დრომ დაგვაშორა... და მას შემდეგ სად არ გეძებდი,
გალმა-გამოლმა, ნაღვლით სავსე, თვალს ვაცეცებდი.

გნახე, გიცანი სასოებავ, სათნოვ, კეთილო,
თეთრო ქალწულო — მზის შუქიდან გამოკვეთილო!

განათდა გული, — თვალთა შენთა ეშხის გამტარი.
მე ვარ ტაძარი სიყვარულის, შენ — კელაპტარი.

16/10—44.

ტფილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

წერილი უკრაინელ მეგობარს

ჩახველი უკვე... მშობლიურ ალაგს
სულ სხვა სახე აქვს და სხვა იერი...
ნიავი არხევს შერჩენილ ჩალას
მიდამო დაგვხვდა სულ ცალიერი.

გასცქერი სოფელს... ფერფლია მარტო,
შეხედავ ოჯახს... სად არის, არ სჩანს.
ირგვლივ გაშლილი ველები ფართო
და გაფანტული ქვები-ღა დარჩა.

„არა... აღსდგება სოფელი, სახლი —
იტყვი და ჰაერს შესუნთქავ ხარბად —
მთელია მიწა, დიდია ხალხი,
მისთვის არ ჭირება იმედი ალბად.“

აიღებ ლურსმანს, მოგაწვდით ფიცარს
ააგებ სახლს და დასთესავ მიწას...
მაგრამ შენს სულში დარჩენილ ტრამალს,
ნაუცბათევად ვერ მისცემ წამალს.

მოფრინდებიან ისევ მერცხლები,
ახალ სახლებში დასდგამენ ბინას.
აყვავდებიან კვლავ ნეკერჩხლები
მზე გააცოცხლებს პატარა ჩინარს.

რა გააცივებს მშობლიურ კერას
როცა ხალხია პატრონი მისი,
რა შეაჩერებს „დაძრულ სიმღერას,
თუ კი სიმღერა გულიდან ისმის.

1944 წ.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონ თავაძე

ქართველ მეომრებთან

თბილისიდან კრასნოდარამდის

მაისის ნათელი დღე იყო. აეროდრომზე გრილი ქარი ჰქროდა. დილის ათ საათზე ავფრინდით. ზედაზენს რომ მივუახლოვდით, მტკვრისა და არაგვის შესართავთან მხოლოდ სვეტიცხოველს შვენოდა თავისი დიდებული აღნაგობა, სხვა ყველაფერი უცნაურად დაპატარავებული მოსჩანდა.

მთების კალთებსა და ველებს გაზაფხულის ცხოველი ელფერი ამკობდა, ხოლო ქართლის უბეში მტკვარი მარადისობის უწყვეტი ძეწკვივით მიმოკლაკნილიყო.

სურამის ქედთან აქა-იქ თეთრად დაპენტილი ღრუბლები წამოიშალნენ. თვითმფრინავი სწრაფად შესრიალდებოდა ხოლმე ჩრდილში, ბურუსში გაეხვეოდა, უჰაერო ორმოში დაექანებოდა, შერე უცებ ატივტივდებოდა და სულ რამდენიმე წუთში კვლავ მზის ელვარებაში შეიჭრებოდა.

ასე, ერთი თვალის გადავლებითაც მომჯადოებლად მრავალნაირია მშვენიერება ჩვენი ქვეყნისა!

ოდიშის ზურმუხტოვან ველებს მშვიდი, ლურჯი ზღვა შემოესარკა, ხელმარჯვნივ კი კავკასიონის მწვერვალებს თოვლივით სპეტაკი ღრუბლები ეგრაგნებიან.

ღრმა ხევების გასწვრივ, მდინარეთა შესართავებთან ზღვა მოვერცხლილი ჭალებითაა დაქსელული. თვალს იტაცებენ ულამაზეს ბაღებში გაშლილი ქალაქები და აგარაკები. დაჰყურებ ამ ედემს, ამ გორაკებს, ამ ნუჭუჭა ტყეებს, ამ მშვიდსა და ლაღ მხარეს და შესაფერი სიტყვები ვერ გიპოვნია ჩვენი გმირების სადიდებლად, რომელთაც ჰიტლერელ ავაზაკებს აქით გამოწვდილი ხელები წაჰკვეთეს.

ჩრდილოეთისაკენ შევუხვიეთ. მაღალ თხემებსა და თვალუწვდენელ ხევებს გადავუქროლეთ. ახლა ისეთი გრძნობა გიპყრობთ, თითქო ნაავადმყოფარი მეგობრის სანახავად მიისწრაფოდეთ და გსურდეთ მალე იხილოთ, თუ როგორ გამოიყურება იგი, მწვავე ტკივილებისაგან ხომ არ მოტეხილა?

ბინდდაფენილ ზღვასავით გამოჩნდნენ ყუბანის ვრცელი ველები და მუქლურჯი ტბები. გაზაფხულის მწვანე ფარჩაში გახვეულ მიწას მაღლიდან არავითარი ჭრილობა არ ემჩნეოდა, ისე ბრწყინავდა თითქო სავსებით შემოურეცხიაო დამპყრობელთა სიბილწე, მაგრამ აეროდრომზე რომ დავეშვით, პირველივე სახლი დანგრეული დაგვიხვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომის ნაკვალევი

შედიხარ ქალაქის გარეუბანში და ჰფიქრობ: აქ ყველგან მტრები თარეშობდნენ, თავიანთი მყრალი ფეხებით სთელავდნენ ადამიანის წმინდა უფლებებს. აგერ ეს ფერმკრთალი ბავშვები, ეს ნაჯაფი ქალები გერმანელთა უღელქვეშ გმინავდნენ. მაგრამ ახლა ჩვენი მეომრების ძლევამოსილებას სიცოცხლე ისევ აღუდგენია, გაზაფხულის ელფერით დაუმშვენებია. ეზოებში გულმოდგინედ მოვლილი ბოსტნები გაფურჩქვნილა, სიმინდი, მზისუმზირას, ვაზებს, — ყველაფერს მზრუნველი ხელის მადლი ემჩნევა. ალაგ-ალაგ სახლებიც შეუთეთრებიათ.

ქალაქის ცენტრში კი, ლარივით სწორ ქუჩებს რომ გაჰყვებით, საუკეთესო შენობების სახურავები ჩანგრეულია, კედლები გაბზარულია, კორპუსები ჩახერგილია, აფეთქებათა საშინელ ძალას რელსებიც კი დაუგრეხია.

ისე მოეწყო, რომ ღამე გარეუბანში გავათიეთ. მეტად კეთილმა ხანდაზმულმა ქალმა მიგვიპატიჟა, თავის დაბალჭერიან სადგომში ლოგინი გაგვშალა. მერე მოგვიყვა, თუ რა წამება გამოიარეს...

გაივლის დრო, ომის ნაკვალევი წაიშლება, განახლებული ცხოვრება ახალი ბრწყინვალებით შეიმოსება, მაგრამ მომავალი თაობის გულისყურამდის როგორმე უნდა მიაღწიოს ამ მრავალტანჯული, სულით უტეხი დედების ხმამ, მათი სევდიანი თვალების შუქმა, რომ არსად, დედამიწის არცერთ კუნჭულში აღარ დარჩეს აღმოუფხვრელი სისხლით გაუმაძღარ კაცთმოძულეთა ნასახი.

დილით, მატარებელი რომ დაიძრა, ვაგონის ფანჯრიდან სოფლები, ბაღები და ველები ისე მოსჩანდა, თითქო გაზაფხულს ომგადახდილი ნაავადმყოფარი ახალი სამოსით მოურთავსო, ჭრილობები და იარები მხოლოდ აქა-იქ გამოკრთოდა. მაგრამ კრიმსკაიაში რომ ჩავედით, ირგვლივ მარტოოდენ ნანგრევები ვახილეთ. აქ ფრონტის ხაზი კარგა ხანს იყო. ეს ადგილები ხელიდან ხელში გადადიოდა. არამარტო შენობებია მიწასთან გასწორებული, ხეებიც კი სავსებით დაცხრილულია ყუმბარას ნამსხვრევებისა და ტყვიებისაგან.

სენნაიასაკენ საბარგო მატარებელს გავყევით. მეტად გრძელ ვაგონში ვსხედვართ, შუაზე ფართო კარი ღიაა და ჩვენს თვალწინ თანდათან ღრმავდება უსასტიკესი ბრძოლების კვალი.

გორაკების შეფენებებზე ვაზნარი გადათხრილია ყუმბარებისაგან, ალაგ-ალაგ ისეთი ორმოებია, რომ შიგ კამეჩიანი ურემი ჩაიმალება.

აგერ რა შესანიშნავი ბაღი ყოფილა, ახლა ვაშლის ხეები დაგლეჯილია, გადამხმარი, მხოლოდ აქა-იქ თუ გამოუღიათ ტყვიებით დაცხრილულ ტოტებს მცირეოდენი ფოთოლი.

გზადაგზა უამრავი ნამსხვრევები სამხედრო იარაღებისა, დალეწილი ტანკები, ქვემეხები. ეს გერმანული თვითმფრინავი მიწას დანარცხებია, ახლა ისე მოსჩანს, როგორც გახრწნილი ლეში სვავისა.

რა გულსაკლავად გამოიყურებიან ეს გაპარტახებული სოფლები! ნასახლარების მახლობლად ქალები მუშაობდნენ. ესენი მოწინავენი არიან. ამათ თავიანთი მხრებით ამოაქვთ ნანგრევებიდან ახალი ცხოვრების საძირკველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი ალექსი კოვზირიძე

დაღამდა. ვაგონის კუთხეში ჭრაქი აანთეს. მხედრები იატაკზე მოკალთეს. ზოგი თამბაქოს აბოლებს და ჭერს შესცქერის, ზოგი ამხანაგს თავის თავგადასავალს უყვება.

იატარებელი ნელა მიირხევა, ვაგონი ჭრიალებს.

— გამარჯობა! ქართველები ყოფილხართ! საიდან, კაცო?

ეს ტანადი ჭაბუკი ამდენხანს ჩვენგან მოშორებით იწვა, სთვლემდა, თუ ფიქრში იყო გართული. ჩვენი ქართული საუბარი გაიგონა და მოგვიახლოვდა. მალე დაგვიმეგობრდა, სიმფეროპოლამდის ჩვენი წინამძღოლობა იკისრა. აშკარად ემჩნეოდა, რომ ჩვენთან შეხვედრით დიდათ ნასიამოვნები იყო. რამდენჯერმე გაიმეორა:

— მაშ, თბილისიდან მოდიხართ... სამი წელიწადია შინ არ ვყოფილვარ. ალიან მომენატრა...

უთუოდ დაკვირვებიხართ, მეომრებს არ ეზარებათ თავიანთი თავგადასავლის მოყოლა, მაგრამ მხოლოდ ხანდახან გაგრძნობინებენ, თუ რას განიცდიდნენ მწვავე ბრძოლის ჟამს. ჩვენი წინამძღოლიც — კაპიტანი ალექსი კოვზირიძე გულდანდობილად გვესაუბრება. ალერსიანი ხმა აქვს. სასტიკ ბრძოლებში გამოუვლია, მაგრამ მისი ხმა არ გაბზარულა, კვლავ შერჩენია მოსიყვარულე გულის სილბო. მოგრძო სახე აქვს ალექსის, ფერმკრთალი. ამ სამი წლის განმავლობაში სამჯერ დაჭრილა.

— თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, თუ რა ცეცხლში უნდა მევლო ლეოვთან პირველი ბრძოლების შემდეგ. — (იმერული კილო ოდნავ ემჩნევა ალექსას). — აბა, ვაქკაცობა მაშინ იყო საჭირო, მაგრამ იცით რა? ყველაზე დიდი განსაცდელი ყირიმში შემხვდა ორმოცდაორი წლის გაზაფხულზე... აკი მოგახსენეთ, ტექნიკის შესწავლა სიყმაწვილიდანვე მაინტერესებდა. ამიტომ მოვხვდი ტანკისტებში... ჰო-და, ჩვენ ოთხნი ვსხედვართ ტანკში. წინ მივიწევთ... ქვეითა ჯარს მოვწყდით. მტერმა ალყა შემოგვარტყა. როგორმე უნდა გავაღწიოთ. გზას ბრძოლით ვიკაფავთ. ტანკი დაგვიზიანეს. ქვემეხის ყუმბარები დაგვიშინეს. საცაა უნდა ავფეთქდეთ. ერთმა ამხანაგმა მოიფიქრა: ბამბიან ქურქს ბენზინი დაასხა, ტანკის კოშკურზე აიტანა და ცეცხლი მოუკიდა. გერმანელებმა იფიქრეს — ტანკი იწვისო და სრულა შესწყვიტეს. ტანკიდან გამოვძვერით. ისე ახლოს იყვნენ, რომ შეგვნიშნეს. ტყვიები დაგვაყარეს. მაინც მივხოხავთ. დაღამდა. ბექობთან დავიმალეთ. ამხანაგებმა ორმოში ჩამათრიეს. მითხრეს — მოგიკითხავთო და გზა განაგრძეს... არ ვიცი, რამდენი ხანი გავიდა. სანამ ისინი მობრუნდნენ და წამიყვანეს. მხოლოდ ეს მახსოვს, რომ ცაზე ვარსკვლავები იყო და, არ ვიცი, როგორ უნდა ვთქვა: მაშინ იმ ვარსკვლავებზე უფრო ახლობელი ჩემთვის მთელ ქვეყანაზე არავინ იყო, თუმცა მათი სხივი რომ ჩემამდე ვერ აღწევდა, იცით რა მეგონა? სადღაც ცის დასალიერიდან მოშხუის ცივი წყარო, ჰაერში იფანტება და მე წყურვილი მკლავს...

გზადაგზა

ვაგონის ღია კარებში განთიადის შუქი შემოიღვარა. სავსებით დანგრეულ სადგურში ვდგევართ. ნასახლარების გასწვრივ მაღალ ჯეჯილს ნიავი ალივლივებს. ორთქლმავლის გვერდით მილიდან წყალი მოჩხრიალებს.

ერთი ქართველი კიდევ შემოგვიერთდა — სანინსტრუქტორი გიორგი კვარაცხელია. რომელიღაც ღია ვაგონზე წოლილა. ჩვენი ხმა [illegible] ბანაკონა, სიხარულით მოგვაშურა. ჰოსპიტლიდან მიდის თავის ნაწილში. — [illegible] ბის გამო ლაპარაკი უჭირს. მრავალი დაჭრილი გამოუყვანია ბრძოლის ველიდან. ბევრჯერ ჩაუხედნია სიკვდილის ყინულოვან თვალებში, მაგრამ არ გატეხილა, გამარჯვებისა და სიცოცხლის წყურვილი გაორკეცებია.

ნელა მიირხევა ჩვენი მატარებელი. დილის მზემ წარმტაცად ააელვარა ვრცელი ველები და ზღვის ტალღისებური გორაკები.

რა მდიდარი მიწაა! ვაზები, ჯეჯილი, სიმინდი, მზისუმზირა, ფერადი ყვავილებით სავსე მაღალი ბალახი. შორს კრიალა ტბა მოსჩანს, ისე ფართოა, რომ თვალი ძლივს სწვდება. ამ ტბის ირგვლივ — დაუსრულებელი ბაღნარები და სოფლები. ხელჩართული ბრძოლის ტალღას ამ ადგილებში არ გადაუვლია; ალბათ ჩვენებმა მტერს აქ ალყის შემორტყმის საფრთხე შეუქმნეს და აიძულეს სწრაფად უკან დაეხია.

სენნაიას მივუახლოვდით. კვლავ ნანგრევები, მხოლოდ ნანგრევები. რკინისგზის ლიანდაგის გასწვრივ — ყუმბარებისაგან ამოთხრილი ღრმა ორმოები.

მატარებელი დადგა. აქ თავშესაფარიც არსად დარჩენილა. ირგვლივ მაინც დიდი მოძრაობაა. სამხედრო საჭურველითა და სურსათით დატვირთული მანქანები მიმოჰქრიან.

ალექსიმ ტრაქტორზე მიბმულ საბარგულში ჩაგვსხა. ჩახჩახით გავიარეთ სამოცი კილომეტრი ქერჩის სრუტემდის. აქ მანქანას ალარ დავუცადეთ. გადასასვლელამდის 14 კილომეტრია, ზღვაში შეჭრილ მიწის ვიწრო ზოლზე ფეხით გავყევით. ხელმარჯვნივ რომ სრუტეა — ეს აზოვისა და შავი ზღვის შესართავია. ისე სუფთად ლივლივებენ მოლიბრო ტალღები, თითქო არასოდეს არავითარი მწიკვლი არ შეხებოდეთ. ისე კი, ვინ მოსთვლის, რამდენი ყუმბარა აფეთქდა შიგ, რამდენი სისხლი ჩაიღვარა.

მზე ჩადის. გრილი ნიავი უბერავს. გორაკების გასწვრივ, ჩრდილო-დასავლეთით, ზღვის ნაპირებზე უამრავი ნანგრევები მოსჩანან.

აქ უნდა ქუდი მოიხადო ჩვენი თავდადებული გმირების წინაშე, რომელნიც გრიგალისებურ ცეცხლში შეიჭრნენ, ზღვა გასცურეს და მაღლობებზე რკინაბეტონში ჩამსხდარი მტრის ურდოები ამოჰყარეს, გაელიტეს და ყირიმისაკენ გზა გაიკაფეს!

კატარღა ნაპირს მიადგა. ღრუბლიანი საღამოა. მაინც გარკვევით მოსჩანან კლდოვანი ფერდოები, სალითონო ქარხნიდან გადმოყრილი რკინაწიდები და სახურავჩალეწილი, კედლებჩამონგრეული სახლები.

აი, სამხრეთ-აღმოსავლეთის ყურედან გავცქერით ქერჩს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს ზღვის პირად-გაშენებული ულამაზესი ქალაქი, სუფთა და კრიალა, ახლა მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენს. მივყვებით ქუჩას და ჯერ არც ერთი სახლი არ შეგვხვედრია, რომ დანგრეული არ იყოს.

გაწვიმდა. ბნელდება. მეთევზეთა უბანში რამდენიმე პატარა სახლი შეუკეთებიათ. ალექსიმ კარს დაუკაკუნა. დიასახლისმა შეგვიპატიჟა. ორი ვიწრო ოთახი იყო, შიგ რამდენიმე ქალი შეხიზნულიყო. ერთი ოთახი ჩვენ დაგვითმეს.

— ღმერთმა დაგიფაროთ ისეთი უბედურებისაგან, რაც ჩვენ გადაგვხვდა, — ნაღვლიანი ხმით გვიამბობდა დიასახლისი. — აქედან ქვის საატეხი შორს არაა. იქ მეტად ღრმა გვირაბებია. წყეული გერმანელები რომ შემო-

ვიდნენ, იქ უამრავმა ხალხმა შეაფარა თავი. გერმანელებმა გვირაბებში მახრჩობელა გაზები ჩაუშვეს. სულ ყველანი ამოახრჩვეს, არ დაინდეს არც ბავშვი, არც ქალი... ამას წინად ჩვენმა ქალებმა გაბედეს და შიგ შეიხედეს. ჭკუაზე კინაღამ შეიშალნენ. სულ ჩონჩხები, საშინელი ჩონჩხები...

ალექსიმ იატაკზე თავისი წამოსასხამი გაშალა, თავქვეშ ჩვენი ჩანთები დავიდევით.

...ბურანია ეს თუ იმ გვირაბების მოწამლული ჰაერია, სადაც ადამიანები სულს ღაფავენ, ურთიერთს აწყდებიან! აგერ დედა გულშეღონებულ ბავშვს სულს უბერავს, თვითონაც სული ეხუთება...

შვებით ამოვისუნთქეთ, განთიადისას რომ კარი გამოვაღეთ.

აღარ წვიმს, ზღვიდან გრილი ნიავი უბერავს. ესაა სუნთქვა სიცოცხლისა და თავისუფლებისა! ეს ჩვენი დროშები მიირხევიან წინ და ირგვლივ ამომავალი მზის სხივებსა ჰფენენ, ჩვენი შეუბოვარი ვაჟკაცები მიაღწევენ ბნელეთს, რომ სავსებით გაწმინდონ მშობელი მიწა კაცთმოძულე ქვეწარმავალთაგან.

მსუბუქი ნაბიჯით განვაგრძეთ გზა. ხელმარცხნივ, დაბლობში, ზღვა ისევ კამკამებს, როგორც მაისის დილის ანარეკლით დამშვენებული ფირუზი ცა. აქ კი ირგვლივ ნანგრევები, სულ ნანგრევები, ტანკების, თვითმფრინავების ჩონჩხები, აქა-იქ გზის პირად დაგროვილი ქვემეხთა ყუმბარები, ნაღმები, მაღალი სანგრები, მავთულხლართები. ქერჩის უზარმაზარი მეტალურგიული ქარხანა დალეწილია, კორპუსები დანგრეულია. ვერავითარი მიწისძვრა ვერ შესძლებდა ამას.

გზის პირად, ტყვიებით დახვრეტილ, სახურავგადაგლეჯილ პატარა სახლებს შორის, დედა-ქალს სადგომი შეუკეთებია, ამ დილით შესასვლელს ასუფთავებს. გავესაუბრეთ.

— შვილებს ველოდები, ჩემო კეთილო, არმიაში არიან, იბრძვიან... მინდა სახლი შელესილი დავახვედრო... ჩემი ქმარი აგერ, ამ დიდ ქარხანაში მუშაობდა. უკვე მოხუცი იყო. იმ წყეულებმა წაიყვანეს და ტყვეთა ბანაკში მოჰკლეს წამებით... არ მიმიშვეს, არც საცვლები მიიღეს, არც საჭმელი... ეჰ, რაც მე იქ ვნახე!..

ბარაქა შენს შრომას, კეთილო დედავ! შენ უკვე აგინთია კერა ამ ნანგრევებში. მალე მოგივლენ გამარჯვებული შვილები. აღდგება ეს ქალაქი, მინ ახალ მშვენებაში იელვარებს დიდება იმ ვაჟკაცებისა, რომელთაც მშობელი ქვეყნის განთავისუფლებისათვის თავი დასდეს, ხოლო გულბილწ დამპყრობთაგან არა დარჩება რა, მარტოოდენ სიკვდილი, არარაობა და ემბლემა მათი — დახრული თავისქალები.

საკონტროლო პუნქტთან დიდხანს არ გვილოდინია. ალექსიმ შოფერი დაიანახმა. ფეოდოსიისაკენ მიეჰქრიენართ. გერმანელებს ზღვის ნაპირები ყველგან გამაგრებული ჰქონიათ. რამდენიმე წყება მავთულხლართები და ხშირი ძელმიწურები მოწმობენ, თუ რა შიშით ყოფილან ისინი შეპყრობილი. ამავე დროს ეს ნათესები, ეს მობიბინე ჯეჯილები ცხადყოფენ, რომ მათ ვერ წარმოედგინათ, თუ ასე უეცრად გამოეცლებოდათ ფეხქვეშ ყირიმის მდიდარი მიწა. ვინც ცოცხალი გადარჩა, ისე ზარდაცემული უკუქცეულან სიმფეროპოლისა და სევასტოპოლისაკენ, რომ აგერ გზის ნაპირებზე ოხრად ყრია მათ მიერ მიტოვებული ქვემეხები, მანქანები, საბარგულები.

ზღვის მახლობლად, მოხასხასე ველების სიღრმიდან ამოიმართა კოხტა, ლამაზი ფეოდოსია. ქალაქის ცენტრში საუკეთესო შენობებია ... ...

კვლავ საკონტროლო პუნქტთან ვსხედვართ, მანქანას ველოდებით. ჩვენს მახლობლად თხრილთან ერთი პირმრგვალი ჭაბუკი ზის, უბრალო ხალათი აცვია. ჩვენი ხმა რომ გაიგონა, თვალები გაუფართოვდა:

— ქართველები ყოფილხართ! საიდან? როგორ? — წამოიძახა და ჩვენსკენ მოიწია. ფართო სახე გაუნათდა, ჩვენი ვინაობა რომ გაიგო, წამსვე გაგვეცნო: პარტიზანი შაქრო ერაძე. რაჭველია, თბილისში გაზრდილი. შეხედავ, უბრალო ბიჭი გეგონება, მაგრამ როცა დააკვირდები, როცა მისი თვალებისა და სახის გამომეტყველებას ამოიკითხავ, მაშინ მიხვდები, თუ რა ჭირსა და ბრძოლებში გამოუვლია, როგორ გამობრძმედილა.

ერთობ აჩქარებულად გვიყვება შაქრო თავის თავგადასავალს. ერთი ამბავიდან მეორეზე გადახტება ხოლმე. ეტყობა, ძალიან ბევრი აქვს სათქმელი და ეშინია, საცაა მანქანა გამოივლის, ჩვენ წავალთ და ვეღარ მოასწრებს.

— სად არ ვიყავი, რა არ ვნახე... შარშან აგვისტოში დავუძვერით ხელიდან გერმანელებს. მის მერე ვართ აქ ტყეებში, თოვლში. ხანდახან თვითმფრინავიდან ჩამოგვიგდებდნენ ჩვენები სურსათს, არაყს. ვიტყოდით: გაუმარჯოს ჩვენს მამას, ჩვენს სტალინს, ის არ დაგვივიწყებს... ქართველები ძმად შეფიცულები ვიყავით, თავზე ხელაღებულებიც. ყველაზე უფრო სახიფათო საქმეზე ჩვენ მივდიოდით... ყირიმის მთები და ტყეები ისე შევისწავლე, ღამით რომ მივდივარ, ფეხს დავადგამ, გავიგებ საით მივდივარ... დავესხმებოდით გერმანელებს... აბა, გიყვარდეს, დავაწყვინებდა ტყიპინა ჩემს ავტომატს... ერთხელ კომისარმა მითხრა:

— შაქრო, წადი ატუზაში. ერთი იქაური ცხვარი მოიყვანეო. სამი ბიჭი გამომყვა. ჩავედით. აგერ ვენახს სხლავენ. იქვე სამი გერმანელია. ჩუმად შევეპარეთ. სამივეს იარაღი ავართვით და თათარიანხად ტყვედ წავიყვანეთ.

— ესაა, ბიჭო, ცხვარი? — ვითომ გაიწყრა კომისარი. მერე ფრიცებს გაელაპარაკა. ასე გგონია, პირში ცხელი კარტოფილი უდევთო, ისე ლუღლუღებდნენ...

ამ დროს მანქანამ გამოიარა. შაქროს გამოვეთხოვეთ. ყირიმის ულამაზეს მიდამოებში შევდივართ. მთები, ტყეები, ბაღნარები...

სიმფეროპოლში საღამოს ჩავედით. ალექსიმ თავის ამხანაგთან მოგვაწყო. კერძო ოჯახში. დიასახლისს ეტყობა, რომ მარჯვე ქალია, მშრომელი. ცამეტისა თუ თოთხმეტი წლის ქალიშვილი ჰყავს. ნავახშმევს მოგვიყვა, თუ რა დღეში იყვნენ გერმანელების ხელში. საერთოდ აქ ვისაც გაესაუბრები, ყველა მღელვარედ გიზიარებს გულში დაგუბებულ ვარამს. ამით დიდ სიამოვნებას გრძნობენ, რადგან ერთხელ კიდევ რწმუნდებიან, რომ ეღირსათ ნანატრი თავისუფლება.

— ჩემს გოგოს სახლში ვტოვებდი, კარს გარედან ბოქლომს ვადებდი. სამუშაოდან დაბრუნებული ბოქლომს რომ თავის ადგილას დავინახავდი, თავისუფლად ამოვისუნთქავდი. ასე მყავდა სულ დამწყვდეული, შიშით გული მისკდებოდა, გერმანელებმა არ გაიგონ და არ მომტაცონ-მეთქი. სწავლას ჩამომირჩა, მაგრამ რა გაეწყობა. ზოგიერთი მეშოკოლადის ბედს უსწავლელობა კი არა სიკვდილი სჯობია.

— მეშოკოლადე რას ნიშნავს?

— არ იცით?.. იყვნენ ისეთი ქალები, რომლებიც გერმანელებთან ერთად რობდნენ. ჩვენებმა, განსაკუთრებით ბავშვებმა, ამ სულითა და ხორცით გაყიდულებს მეშოკოლადე შეარქვეს...

დილით ქალაქში რომ გამოვედით, ცა სადაფისფერი ღრუბლის ფოთლებით იყო მოფენილი; ისეთი სუფთა და ნაზი ჰაერი იდგა, თითქო მთელი ეს მშვენიერი ქალაქი, ქუჩების პირად ჩამწკრივებული, გაფურჩქვნილი ხეები და ვრცელი ბაღები სასტიკი ქარტეხილის შემდეგ განცხრომას ეძლევიანო.

უცებ ამ სიწყნარეში მხედრული სიმღერა გაისმა. ომგადახდილი ვაჟკაცები სევასტოპოლიდან მოდიან. რაზმი რაზმს მოჰყვება. დიდების შუქი ამშვენებს ყველას, მომღერლებსა და ჩაფიქრებულებსაც, მეთაურებსა და რიგითი მებრძოლებსაც. აქა-იქ გამობრძმედილ მეომრებს გვერდით მხედარი ქალები მოჰყვებიან, თავდადებული, სულით ძლიერი ქალები.

ქართველი პარტიზანები

გული დაგვწყდა, კაპიტან ალექსი კოვზირიძეს რომ გამოვეთხოვეთ. ალექსი თავის ნაწილში წავიდა, ჩვენ კი წითელარმიული გაზეთის რედაქციაში ვიმყოფებით. აქ არიან ჩვენი მეგობარი მწერლები კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ნიკა აგიაშვილი, მაიორი ვალიკო ესაიაშვილი.

აქ გავიცანით რამდენიმე ქართველი პარტიზანი. აგერ ჩვენთან ზ-ს და გვესაუბრება ყოფილი პედაგოგი აპოლონ მანჯგალაძე. აპოლონი გალის რაიონიდანაა, ამჟამად 30 წლისაა. დამთავრებული აქვს თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი, მუშაობდა საშუალო სკოლაში ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აპოლონს სამი ძმა არმიაში ჰყავს, ხოლო დედა სასოფლო საბჭოს წევრია, მოწინავე კოლმეურნე ქალი. აპოლონს შინ ცოლი და ორი შვილი ჰყავს.

ჰო-და, ყურს უგდებ ამ ჩვენი დროის ინტელიგენტს, მის ხმასა და კილოს, რომელშიაც გამოსჭვივის ხანგრძლივი სწავლით შეძენილი სიდინჯე და აუჩქარებლობა, ცდა იმისა, რომ თავისი აზრი მკაფიოდ გაგაგებინოს. — უგდებ ყურს და ფიკვრობ, როგორ შესძლო მან იმ დახლართული და საბედისწერო გზით სიარული, რომელმაც დღევანდელ გამარჯვებამდე მოიყვანა! აპოლონი არც თავისი აღნაგობითა და არც გამომეტყველებით დევგმირს არა ჰგავს, ჩვეულებრივი ადამიანია, საშუალო ტანისა, მაგრამ მის მიერ გამოვლილი ბრძოლის გზა უთუოდ სულის დევგმირულ სიმტკიცეს მოითხოვდა.

— ბევრიც რომ ვეცადო, ვერ შევსძლებ გადმოგცეთ, რაც ჩვენ გადაგვხდა. ჩვენთან მაიორი პეტრე გვალია იყო. მისი შემწეობით, როგორც იყო, 1943 წლის ივნისში დავუძვერით ხელიდან გერმანელებს. მალე პარტიზანთა რაზმი ჩამოყალიბდა, ამ რაზმს პეტრე გვალია მეთაურობდა.

— კიდევ ვინ იყვნენ თქვენთან?

— აგერ ეს ამხანაგი — ალექსანდრე კაპანაძე, შემდეგ — იოსებ ჩხაიძე, ვალოდია ნუცუბიძე, მიშა აფციაური, სერგო ნატროშვილი, შოთა ბუაძე, მიშა ჯოხაძე, მიშა კაკურიძე, გოგია ეუაშვილი, არისტრახო არლოვი, ამას რუსული გვარი კი აქვს, მაგრამ ქართველი ბიჭია, ხონის რაიონიდან, ჩვენთან იყო აგრეთვე სიღნაღელი ალექსანდრე ბეჟაშვილი...

— წერილები თუ მოგდიოდათ შინიდან?

— როგორ არა. რამდენჯერმე ჩამოფრინდა ჩვენთან ტყეს სიღრმეში ჩვენი თვითმფრინავი, საკვები და წერილები მოგვიტანა, ჩვენც ასწრაფოდ

ვწერდით ხოლმე და ვატანდით. პირველად ძალიან გაგვიჭირდა, განსაკუთრებით პროდუქტის მხრივ. ჩვენ რომ შიმშილობა გამოგვივლია, ეს ერა თუ გამოთქმა, წარმოდგენაც ძნელია.

შარშან დეკემბერში ერთი სოფლიდან, შაკულიდან ცნობა მივიღეთ, რომ გერმანელები მცხოვრებლებს სევასტოპოლსა და ქერჩში აგზავნიან სამუშაოდო, ზოგი კიდევ — გერმანიაში მიჰყავთო. პარტიზანული მოძრაობის გაერთიანებამ დაადგინა — სოფლელები დაღუპვისაგან გადაგვერჩინა, ყველანი პარტიზანთა ბანაკში წამოგვეყვანა. ეს საქმე გვალიას რაზმს დაევალა. ცივი ღამე იყო, წვიმდა, ქარი ჰქროდა. გვალიამ ორი ოცეული გამოჰყო: „აბა, ბიჭებო, ქართველებო, არ შემარცხვინოთო“.—გვითხრა და წინ გაგვიძღვა.

ერთი ოცეული რკინიგზის მახლობლად ჩაასაფრა. აქ გერმანელებს პროექტორებიანი ჯავშნიანი მატარებელი ჰყავდათ. მეორე ოცეული ათეულებათ დაიყო და საქმეს შეუდგა...

ბრძოლა დღითი დღე მწვავდებოდა. ჩვენს წინააღმდეგ გერმანელთა მთელი შენაერთები მოქმედობდნენ. ჩვენ მაინც ვახერხებდით და „მტრის ზურგში ვიჭრებოდით, გზებზე მიმავალ კოლონებს თავს ვესხმოდით, ხიდებსა და რკინიგზის ლიანდაგს ვაფეთქებდით, ყარაულებს ვსპობდით, გერმანელების აგენტებს მუსრს ვავლებდით... თებერვალში მტრის ორი დივიზია და ერთი სამთო ბატალიონი მოგვეძალა, ტანკებით, თვითმფრინავებით... ერთ ხელჩართულ ბრძოლაში, როდესაც უკანდახევა შეუძლებელი იყო და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა გვებრძოლა, ჩვენი მეთაური მაიორი გვალია დაიჭრა...

დინჯად ლაპარაკობს აპოლონი, შავგვრემან სახეზე მღელვარება არ ემჩნევა, მეტად მტკივნეულ ამბებს, ადამიანურ გაჭირვებებს, შიმშილს, მთელი ღამეობით ყინვასა და ქარში ცისქვეშ ყოფნას, ყოველივე ამას გვერდს უვლის. მას უნდა სთქვას მხოლოდ ის, რომ ქართველ პარტიზანებს არავითარი განსაცდელის ჟამს არ დაუკარგავთ საბჭოთა ადამიანის მორალური ძალა — მტერზე გამარჯვების რწმენა.

აგერ აპოლონას გვერდით ზის პარტიზანთა ოცეულის პოლიტხელი შოთა ბუაძე, პირმრგვალი, მკვირცხლი ჭაბუკი. ამან შინაგანი მღელვარება ვერ დამალა, თვალები გაუბრწყინდა და ნატვრით სთქვა:

— ნეტავი მოვესწროთ და... არა, ბიჭო, ერთი საქართველოში ჩავიდეთ და მაშინ გამოჩნდება — საიდან სად ვიარეთ!..

გენერალი ვალერიან ძაბახიძე

კირით შეთეთრებულ ფართო ღუმელიან სახლში, მაგიდასთან იჯდა გენერალი ვალერიან სერგოს-ძე ძაბახიძე. წინ უამრავი ქაღალდები ელაგა. სათითაოდ იღებდა, გულდასმით ჰკითხულობდა, მერე ხელს აწერდა. ზოგს კი განზე გადასდებდა, უკმაყოფილების ნიშნად შავ წარბებს შეჭმუხნიდა.

დღეს დილიდანვე, ამ ქაღალდებს რომ ეცნობოდა, თვალწინ ედგნენ ის მეომრები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სევასტოპოლთან ბრძოლაში. ბევრ მათგანს ძალიან ახლო იცნობდა, იცოდა, რომ ისინი ჯილდოს ღირსნი იყვნენ, ხოლო თუ რომელიმე წითელარმიელზე ან ოფიცერზე რაიმე ვადაჭარბებულს ამოიკითხავდა საბრძოლო დახასიათებაში, იტყოდა ხოლმე: „დახე, დაუვიწყნია, რომ ტყუილს ეოკლე ფეხები აქვს!“

მეტისმეტად არ უყვარდა გენერალს ვისიმე დამსახურების გაზვიადება. სიმართლე, მხოლოდ სიმართლე, აი ეს უნდა ამკობდესო მეომრის სახელს. თუ კაცს ის მიაწერე, რაც მას არ გაუკეთებია, რას იტყვიან მისი თანამებრძოლნი? საბჭოთა მეომრის დიდებას ყალბი სხივი არ სჭირდება, არც მიეკარებაო.

გენერალთან ახალი მისული ვიყავით, რომ შტაბის უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა მიხეილ ხურცილავამ დეპეშა მიუტანა. ვალერიანმა დეპეშა წაიკითხა, იქ მყოფთ თავისი მჭრელი თვალები მოავლო, მზემოკიდებული სახე გაუნათდა:

— ეს მეტად დიდი სიხარულია. ჩვენი ნაწილი წითელი დროშის ორდენითაა დაჯილდოვებული. ამასთანავე მანაგაძისა და ქანთარიას განაყოფებს სევასტოპოლის სახელწოდება მიენიჭათ.

ცოცხლად წამოდგა, ტელეფონის მილი აიღო. ჭაბუკური სიმკვირცხლე შეენოდა მის მოხდენილ აღნაგობას. ეშმაკურად გაეღიმა, ტელეფონით რომ დაელაპარაკა:

— ფურცელაძე, მე შენ პირველსავე ხეზე ჩამოგახრჩობ, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ახლოს არსად ხე არაა... მოგილოცავ — წითელი დროშის ორდენით დაგვაჯილდოვეს... მოიცა, კიდევ ერთი სასიხარულო: თქვენს განაყოფს სევასტოპოლის სახელწოდება მიენიჭა... მალე მანდ ვიქნები...

— დიახ, ეს დიდი სიხარულია, — მოგვმართა კვლავ იქ მყოფთ. — მე პირადათ ჩემს თავს ბედნიერად ვსთვლი კიდევ იმიტომ, რომ აქ ყირიმში, ქერჩსა და სევასტოპოლში გვხვდა წილად ეს გამარჯვება. მე 1942 წელსაც აქ ვიყავი, იმ შავი დღეების ქარცეცხლში გამოვიარე... ახლა ჩვენმა ქართველმა ბიჭებმა მასახელეს, გერმანელებს სამაგიერო მიუზღვეს. ჩვენს ნაწილს ბრძოლის მეტად შორი და მძიმე გზა აქვს გამოვლილი, მაგრამ ბრძოლა ქერჩსა და განსაკუთრებით სევასტოპოლში — ეს ნამდვილი შედევრი იყო... თქვენ უნდა გენახათ ჩვენი მეომრების მარში, ქერჩიდან რომ მტერს დავედევნეთ. ერთ დღეს სიმფეროპოლიდან ჩორგუნამდე 82 კილომეტრი გაიარეს, სევასტოპოლის მისადგომებთან ძალღონე გაიორკეცეს და მტერს შეუპოვრად ეკვეთნენ...

გენერალს მღიმარე სახეზე მცირეოდენმა ჩრდილმა გადაუქროლა, ამ წამს უთუოდ გამოვლილ ბრძოლის ველს მოავლო თვალი:

აგერ სანგარსასვლელი, ქვიან მთის თხემზე ამავალი. თხემზე სათვალთვალო პუნქტია. სიღრმეში, კაცის სიმაღლეზე, გამოთხრილია ქვიშიანი მიწა, სახურავი მუხის ხეებითაა გამაგრებული. ასეთსავე მიწურში ორიოდე მეტრის მოშორებით პოლკოვნიკი ბერუჩაშვილი იმყოფება. გენერალი პერისკოპით გასცქერის ბრძოლის ველს. პირისპირ, სულ ახლოს აღმართულია სევასტოპოლის უდიდესი სიმაგრე — საპუნ-გორა. შუაში გაშლილი ხევია. ამ სავსებით დანაღმულ და მავთულხლართებით გადაღობილ ტაფობში შედიან პოლკოვნიკ მანაგაძისა და პოდპოლკოვნიკ გორგიშვილის განაყოფები, ხოლო პოდპოლკოვნიკ ენუქ ქანთარიას მოიერიშე რაზმები ხელმარცხნივ დგანან რეზერვში. დედამიწას აზანზარებს ჩვენი არტილერიის ცეცხლი, თვითმფრინავებიდან ჩამოყრილი ყუმბარები. მიუვალ სიმაგრეებში ჩამსხდარი გერმანელები განუწყვეტელი ცეცხლით — ქვემეხთა ყუმბარებითა და ნაღმებით ღრღნიან ირგვლივ მიდამოს. თხემზე, სათვალთვალო პუნქტის ირგვლივ ზედიზედ ეცემიან ყუმბარები, ამოთხრილი მიწისა და ქვების ნამსხვ-



რევები ჰფარავს ყველაფერს. ხოლო გენერალი ვალერიანიც ამ მეხთატეხაში განუწყვეტლად ხელმძღვანელობს თავის [illegible] პოლკოვნიკ მანაგაძის მოიერიშე რაზმი მავთულხლართებთან, გრიგალისებურ ცეცხლის ქვეშ ჩაწვა... პოდპოლკოვნიკ გორგიშვილის მოიერიშე ასეულები ტყვიის წვიმაში წამოიმართნენ, დანაღმული არე გადალახეს, მტრის ტრანშეებში შეიჭრნენ... აჰა დაიძრნენ პოდპოლკოვნიკ ენუქ ქანთარიას მოიერიშენი, მოწინავეებს გვერდით ამოუდგნენ, საპუნ-გორას ქედზე აიჭრნენ და უკუქცეულ მტერს მუსრი გაავლეს...

— ჩვენს ნაწილში იშვიათად ნახავ მებრძოლს, რომ დაჯილდოვებული არ იყოს. — განაგრძო ვალერიანმა. — ეს იმიტომ, რომ სახელოვანი ბრძოლის ვზა გამოიარეს. დღეს კი... არა, ეს ჩვენ უნდა აღვნიშნოთ.

კუთხეში მივიდა, ბოთლი მოიტანა, ღვინის ჭიქით არაყი ჩამოგვირიგა.

ეს იყო სადღეგრძელო იმ ქართველი ვაჟკაცებისა, რომელნიც 1942 წლის გაზაფხულზე დარუბანდის კარებთან დაირაზმნენ, თერგის ნაპირებთან ჩაებნენ ბრძოლაში, ყუბანის ველებში ურტყეს მტერს, აზოვის ზღვის ჭაობიან სანაპიროებში იკვლევდნენ გზას, ტამანის ნახევარკუნძულზე მთავარსარდლის მადლობა დაიმსახურეს, ქერჩსა და სევასტოპოლში ბრძოლის სამაგალითო ოსტატობა გამოიჩინეს.

მანქანაში ჩავსხედით. მაისის მზეში ბრწყინავს ჩრდილოეთ ყირიმის თვალუწვდენელი ტრამალი. თავნაყარ ჯეჯილს ნიავი ალივლივებს. მაღალ სათიბები ფერად-ფერად ყვავილებს მოუქარგავთ.

გენერალს პოლკოვნიკი კალისტრატე მანაგაძე გამოეგება.

პირველი ნაცვისთანავე გიზიდავთ ამ ჩასკვნილი, მხრეგანიერი ლეჩხუმელის ქართველური იერი. მის ფართო სახეში ჩვენი წინაპრების სიდარბაისლე გამოსჭვივის. განკარგულებას რომ იძლევა, თითქო მკაცრია, მაგრამ უმალვე რწმუნდებით, რომ თანამებრძოლთა მიმართ მუდამ კეთილია და გულისხმიერი. 23 წელია ჯარშია. სამხედრო მომზადებისა და ბრძოლის მეტად ძნელი გზა აქვს გამოვლილი. ორმოცდა ორი წლისაა, მაგრამ კოხტა ულვაშებში ერთი ღერი ჭაღარა არ გარეულა. თხუთმეტი წლისა დაობლებულა. 5 სული და-ძმა უნდა ერჩინა. ტყიბულში ხეტყის სახერხ ქარხანაში დაუწყია მუშაობა. ჯანი და ღონე ხელს უწყობდა. 1921 წელს პარტსკოლაში გაუგზავნიათ...

გენერალმა კალისტრატეს ჯილდო მიულოცა, მერე კარვებისაკენ გაემართნენ.

ამ ადგილას წინა დღით მოხულ მებრძოლებს ირგვლივ მიდამო გაესუფთავებიათ, კარვები გაეწყოთ, მისასვლელები ცოცხალი ყვავილების თაიგულებითა და წარწერებით მოერთოთ. საბრძოლო ფურცელი გამოეშვათ. კარვების წინ გაწმენდილი იარაღი იყო ჩამწკრივებული.

მკერდშემართულად დაირაზმნენ უფროსის წინ ომგადახდილი ქართველი მხედრები. ყირიმის მზისაგან დამწვარ, ბრინჯაოსფერ სახეებიდან დიდრონი თვალების შუქი გამოკრთა.

გენერალმა მათ ჯილდო მიულოცა.

— ვაშა!.. — შესძახეს სამგზის.

წამოსვლისას პოლკოვნიკმა მანაგაძემ მწერლებს გვითხრა:

— კარგია, რომ მოხვედით. ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს, როგორ იბრძოდნენ მისი შვილები ქერჩსა და სევასტოპოლში... ამ ბიჭმა ჯერ მეტად შორი გზა გამოიარეს, წინა დღეებში კი... ენა ადვილად იტყვის... არა, თქვენ უნდა გენახათ, საპუნ-გორას მისადგომებთან როგორ თავგანწირულად შედიოდნენ გრიგალისებურ ცეცხლში... მაინც ხომ ხედავთ, რა მხნედ გამოიყურებიან. აქ მოსვლისთანავე საბრძოლო წრთვნას შევუდექით. მომავალ ბრძოლაში ქართველი ხალხის სახელს ჩვენ კიდევ უფრო ავამაღლებთ...

პოლკოვნიკის შიკრიკს — უფროს სერჟანტს ივანე ფანცხავას გავესაუბრე. ივანემ გულღიად მომაპყრო თავისი ცისფერი თვალები.

— რაც ჩვენ თავზე გადაგვხდა, იმას ვინ იტყვის. — სთქვა მან. — ისე კი, კაცს თურმე, თუ არ უწერია, ვერაფერი ვერ მოერევა... რამდენჯერ მეგონა დაზვერვაზე რომ ვიყავი, მორჩა, ივანე, შენი საქმე-მეთქი. მარა გაიხედავ და ქე ხარ ცოცხალი... აგერ ეს ჩვენი უფროსი რომაა, კალისტრატე, რაც მაგასთან ცეცხლში გამომიარია... დიდი უშიშარია. მაღალი ხმით გასძახებს ბიჭებს, ამხნევებს. ხშირად წინ არის. ერთი კაცი მაგის მონდურავი არაა. მიდგომა აქვს ისეთი... უკანასკნელ ლუკმას მებრძოლს მიაწოდებს...

გენერალს სახე ულიმოდა, ველზე გაფენილ კარვებს რომ თვალი მოსწყვიტა. ეტყობოდა, კმაყოფილი იყო ნაომარი ვაჟკაცების საბრძოლო დარაზმულობით. მაგრამ მებრძოლებსა და მეთაურებს, როცა მათთან იყო, ხშირად აძლევდა შენიშვნას. წამსვე ამჩნევდა სულ მცირე ნაკლს და მკაცრად მიუთითებდა. ერთ არმიელს ავტომატი კარგად ვერ გაეწმინდა, სასტიკად დატუქსა, შეარცხვინა, მეთაურს საყვედური გამოუცხადა.

* * *

მანქანა სულ მცირედ შემაღლებულ ვაკეზე ასრიალდა. სოფლის თავში 33 მეტრიან ჭასთან აღმართული ფართო გორგალი გამოჩნდა.

აქ გენერალს პოდპოლკოვნიკი ენუქ ქანთარია შეხვდა. აქაც კოხტად გამართულ კარვების წინ ჩამწკრივდნენ სევასტოპოლის გმირები. მხედრული მისალმების შემდეგ გენერალმა მათ ჯილდო მიულოცა. მეომრების ქარდაკრული სახეები სიხარულისა და სიამაყის ელფერმა დაამშვენა.

აგერ გენერლის გვერდით დგას მათი მეთაური პოდპოლკოვნიკი ენუქ ივანეს-ძე ქანთარია, რომელიც სევასტოპოლთან წარმოებულ ოპერაციებისათვის სუვოროვის მეორე ჯარისკის ორდენითაა დაჯილდოვებული. ვალერიან ძაბახიძემ დამკვრელი რაზმების ხელმძღვანელობა პირველად ქანთარიას მიანდო. და ახლა სევასტოპოლის სახელწოდება რომ მიენიჭათ, ამას გენერლის წინ დარაზმული მეომრები სავსებით დამსახურებულად სთვლიან.

პოდპოლკოვნიკი ენუქ ქანთარია ბუნებას თითქო მხედრად გაუჩენია. დინჯი, აუჩქარებელი, შეუპოვარი. მაყვალივით შავი თმა, მაღალი შუბლი, სქელი შავი წარბები; შუბლის ქვემოდან გამომზირალი, ალმასივით ბასრი, შავი თვალები, მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშები; გაიღიმებს და მისი მეტად შავგვრემანი, პირქუში სახის ყოველი ნაკვთი საოცრად განათდება.

ენუქი სამტრედიელი რკინიგზელის ოჯახშია დაბადებული. 19 წლისა იყო, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება რომ დამყარდა. ეშელონი, ეშელონ-შირშა შევიდა, მერე—მოხალისედ წითელ არმიაში. სწავლისა და ბრძოლის მეტად რთული გზა გამოიარა ჯავშნიან მატარებლის რიგითი წითელარმიელობიდან დღევანდლამდის, მაგრამ მის ჭაბუკურ გამომეტყველებას ჩრდილი სრულიად არ მოჰფენია.

მეტის-მეტად მშვიდად მოგიყვებათ ხოლმე ენუქი მის მიერ გამოვლილ ცხარე ბრძოლის ამბავს.

— ქერჩში გადასვლისთანავე დავიწყეთ ბრძოლა პოზიციების გასაუმჯობესებლად... მტერს რომ სამაღლეს წაართმევ, თვალები ეხუჭება, ვეღარ გიცქერის... 50 მეტრზე მოვუშვით, ორასამდე დავაწვინეთ... გმირულად დაეცა ათასეულის მეთაური კვარაცხელია... მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, წინა ხაზზე ვიყავი, კაპიტანი ვასაძე მახლდა. ამ დროს დაიჭრა სამგზის ორდენოსანი კაპიტანი დავითულიანი... ჩემი განაყოფიდან სევასტოპოლში პირველად შეიჭრნენ კაპიტან ძიძავას, კაპიტან როსტომაშვილის, კაპიტან ბარამიძისა და კაპიტან ფურცელაძის რაზმები, ამათ აღმართეს დროშა ქალაქის სამხრეთ ნაწილში...

ყოველივე ამას ისე გიამბობთ, თითქო არავითარი მღელვარება არ განეცადოს; თანაც გრძნობთ, რომ ამ მრავალგზის წრთობილ მეომარს თვალწინ უდგას და იტაცებს ბრძოლის ახალი საფეხური, გამარჯვების მწვერვალზე ამავალი.

ყირიმში ქართველ მეომრებთან ყოფნის დროს კვლავ რამდენჯერმე გვესაუბრა გენერალი ძაბახიძე. თავისი თანამებრძოლი ოფიცრების დახასიათებისას ვალერიანი ძალზე თავდაჭერილი იყო, დიდ სიძუნწეს იჩენდა.

— არა გრიალი და ქუხილი, არამედ საქმე, განუწყვეტელი სწავლა, საბრძოლო ოსტატობის ამაღლება, აი ეს გვესაჭიროება ჩვენ, — ამბობდა გენერალი. — ზოგს ადვილად იპყრობს თავმოწონებისა და კმაყოფილების სენი. ეს არ ვარგა. არც ისაა კარგი, როდესაც ვისმეს ისეთ რაიმეს მიაწერენ, რაც მას არ გაუკეთებია. მხედრის სახელსა და ღირსებას მხოლოდ სიმართლე უნდა ამშვენებდეს... ქართველი ხალხის სახელოვანი ბრძოლის ტრადიციას შესანიშნავად აგრძელებენ ჩვენი რიგითი მეომრები. ესენი არც სწავლის უნარით, არც სიმამაცით და არც თავდადებით არავის არ ჩამორჩებიან...

ვალერიანთან საუბარში ჩვენ ვგრძნობდით, რომ მთელი მისი გონება ახალი ბრძოლებისათვის სამზადისისაკენ იყო მიმართული. ოცდაოდე დღის წინათ სევასტოპოლთან მოპოებული დიდი გამარჯვება, რისთვისაც მან სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენი მიიღო, უკვე წარსულს ეკუთვნოდა.

პოდპოლკოვნიკი იოსებ გოგიშვილი

მოიგონეთ ვაჟას „კაი ყმა“. ამ ლექსში მოსჩანს ქართველი ხალხის მიერ შექმნილი გმირის სახე, მთელი თავისი მიმზიდველობით. ეს გმირი მუდამ შეუდრეკელია, მაშინაც კი, როცა „სიკვდილი დაგელაობს და სუდარაებსა ჰკერავს“. ამასთანავე მან უნდა:

„სხვისა იუბნოს სახელი,
თავის გარჯასა ჰმალავდეს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ გიორგის-ძე გორგიშვილი ამ კაი ყმათა ღირსეული მემკვიდრეა. მფიელთა ჩამომავალს ყრმობა დუშეთში გაუტარებია, ხოლო შემდეგ წითელ არმიაში დავაჟკაცებულა. ამჟამად 40 წლისაა. მაინც ჭაბუკის უტები გამომეტყველება შვენის მის მოგრძო სახეს, შავგვრემანს, ფრიად სანდომიანს. დიდრონი, შინაგანი გზნებით ჩაქუფრებული თვალები, შავად გადაშვილდული წარბები, მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშები, რომელთაც მხოლოდ ხანდახან შეეფინება ღიმილთან ერთად გამომკრთალი შუქი ბროლივით კრიალა კბილებისა. თმა თოვლივით თეთრი აქვს იოსებს, მაგრამ ეს მის გამომეტყველებას ხანდაზმულობის ჩრდილს ვერა ჰფენს.

განაპირა სახლთან იჯდა, ყირიმის მცხუნვარე მზეში მოელვარე ველს გაჰყურებდა. ფართო თემშარის პირად ჩამწკრივებული თეთრი სახლებიც მიღმა პურის ყანები და მაღალბალახიანი სათიბები ბიბინებდნენ; ცხოველი ფერებით მოქარგული ტრამალი, ზღვის ნელ ტალღებივით ოდნავ უსწორმასწორო, ცის დასალიერს უერთდებოდა.

ამ მყუდროებაში დანთქმულ იოსებს აგერ ახლა გადავლილ გრიგალივით თუ აგონდებოდა უსასტიკესი ბრძოლის მეტად შორი გზა, იმ მტკივნეული დღეები, პირველად ბელორუსიაში რომ დაიჭრა.

ყავარჯნები მოიშველია, ოთახში შეგვიძღვა. კარგა ხანს შერჩა სახეზე ჩრდილი მოწყენილობისა, რომელიც თავისთავთან განმარტოებულ კაცს ეწვევა ხოლმე. ერთი თვის წინათ დაიჭრა. ეს მაშინ მოხდა, როცა ქართველმა მეომრებმა წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად სევასტოპოლის კარებში მტერს მუსრი გაავლეს და გმირი ქალაქისაკენ დაეშვნენ. ნაღმი ისე ახლოს აფეთქდა, რომ იოსებს ყურებიდან და ცხვირიდან სისხლი წასკდა, მაინც გადარჩა, მხოლოდ ფეხში დაიჭრა. ჰოსპიტალში წასვლა არ ისურვა. აქაც რამდენიმე დღეს-ღა დარჩება, თავის განაყოფში მიეშურება.

— რომელ ერთზე უნდა მოგიყვეთ? ჩვენი ბიჭები ყველანი ვეფხვებივით იბრძოდნენ. — ამბობს ტახტზე მიწოლილი იოსები. ემჩნევა, მრავალი სახე უდგას თვალწინ და ერთი მეორისაგან ვერ გაუსხვავებია.

— დავიწყოთ ქერჩიდან.

— ჰო... აქ მეტად სასტიკი და ხანგრძლივი ბრძოლა იყო. მთელი ყირიმი და ქალაქი ქერჩის დიდი ნაწილი გერმანელებს ეკავათ. ჩვენ მცირე პლაცდარმს ვიცავდით. უკან გაშლილი ზღვა, წინ — რკინაბეტონის სიმაგრეებში ჩამსხდარი გერმანელები და შეუწყვეტელი ბრძოლა მთელი ასი დღის განმავლობაში. ახლა კიდევ ქარბუქი, ყინვა, თოვლჭყაპი. სანგრებში ხშირად მებრძოლთ წყალი მუხლებამდის სწვდებოდათ. ჩვენმა ბიჭებმა აქ ერთხელ კიდევ დაამტკიცეს, რომ შეუდრეკელობასა და გამძლეობაში თავის თანამოძმეებს არ ჩამორჩებიან.

ჩემმა განაყოფმა 30 იანვარს შესცვალა გვარდიული ნაწილი. ამ უბანში იყო უსახელო სიმაღლე 225,5, — მეტად საპასუხისმგებლო ზღუდე. მტერი არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდა, რომ იგი ხელში ჩაეგდო. იმ დღეებში დამხმარედ ახალი დივიზია მოიყვანეს, შემოტევა გააძლიერეს.

სიმაღლეს იცავდა ასეული, რომელსაც კაპიტანი არჩილ კანდელაკი მეთაურობდა. კაპიტანმა იცოდა, რომ დამხმარე ძალის მიღება ძნელი იყო, რადგან გერმანელებს მისასვლელები გამოთოფილი ჰქონდათ, მაინც არ შედრკა, მტრის გააფთრებულ იერიშს ზედიზედ იგერიებდა. ბრძოლა გამძაფრდა. გერმანელებმა მოახერხეს ჩვენს განლაგებაში შემოჭრა. მაშინ არ-

ჩილ კანდელაკი მტერს პირისპირ ეკვეთა და, ვიდრე გმირულად დაეცემოდა, მის გარშემო 25 ფაშისტი ეგდო.

პოდპოლკოვნიკმა თხრობა შესწყვიტა. მერე თითქო თავისთვის სთქვა:

— რა ყოჩაღი იყო ჩვენი არჩილი!..

სახეზე მწუხრის ჩრდილივით გადაურბინა ბრძოლაში დაღუპული მეგობრის მოგონებამ. მერე მისდა სანახავად მისულ მაიორ ავთანდილ კუციას გადაულაპარაკა:

— ხედავ, რა ადვილად ვყვებით ხოლმე?.. ასე იცის ომმა...

ფანჯრიდან სივრცეს გაჰხედა, მერე დინჯად განაგრძო:

— მეთაური დაეცა, მაგრამ გადარჩენილმა ქართველმა მეომრებმა ბრძოლა განაგრძეს. ამ დროს მათ მიეშველა ლეიტენანტი ნიკოლეიშვილი თავისი მცირე რაზმით. გაჩაღდა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა. ჩვენმა ვაჟკაცებმა ხელყუმბარებითა და ხიშტებით მთლიანად გაჟლიტეს შემოჭრილი ფაშისტები.

მტერს ბევრად უფრო ჭარბი ძალები ჰყავდა, სტრატეგიულადაც უკეთესი ზღუდეები ეპყრა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა იმ პატარა მიწიდან ზღვაში გადმოვეყარეთ.

აქ მრავალმა ისახელა თავი. ზოგი ახლა ჩვენს შორის აღარ იმყოფება, მათი სიცოცხლე ჩვენს გამარჯვებას დაედო საფუძვლად. რა დაგვავიწყებს კაპიტან პაპიჯანოვს. მან შეამჩნია სიღრმეში შემოჭრილი ფაშისტების ჯგუფი. ესენი მაიორ ლასურიას სათვალთვალო პუნქტს ემუქრებოდნენ. გერმანელებმაც თვალი მოჰკრეს მათკენ მიმხოხავ საბჭოთა ოფიცერს და გადმოსძახეს:

— რუსო, დაგვნებდი!

პაპიჯანოვმა მათ საკადრისი პასუხი გასცა: ავტომატი მოიმარჯვა და 7 ფაშისტი სიცოცხლეს გამოასალმა. მან მანამდის განაგრძო სროლა, ვიდრე მრავალმა ჭრილობამ გულის ძგერა არ შეუწყვიტა. იმ მკაცრ ბრძოლებში თავი ისახელა აგრეთვე სამმა ძმამ ბოლქვაძეებმა.

— ეს დღეს გრძელდებოდა განუწყვეტელი ბრძოლა. ქართველი მეომრების სულიერი განწყობილება მაინც მეტად მაღალი იყო, მაშინაც კი, როცა რომელიმე მათგანი თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა. მეტყვიამფრქვეველთა ოცეულის მეთაური გიორგი უტიაშვილი სასიკვდილო განაცდელის ქამს თვითონ მიუჯდა ტყვიამფრქვევს და მოძალებული გერმანელები გაჟლიტა.

გაზაფხულის მზემ შემოიხედა სანგრებსა და მიწურებში. ხელმარცხნივ და ზურგს უკან ზღვის ზედაპირს ნათელი ფერები მოეფინა. ხელმარჯვნივ გორაკების ფერდოები მწვანედ შეიმოსა, ხოლო ბრძოლის ველად ქცეული ქალაქის ნანგრევებმა უფრო შემზარავი გამომეტყველება მიიღეს, რადგან იქ დაუსახიჩრებელი ხეც კი არ დარჩენილა. ზოგან სანგრების გასწვრივ ჩვენ მიერ გამოთოფილ უბნებში მოკლული გერმანელები ეყარნენ და იხრწნებოდნენ.

მოუთმენლად ველოდით 10 აპრილის დილას. ეს იყო გადამწყვეტი იერიშის დღე. ჩვენ უნდა გაგვერღვია მტრის მოგერიების ზოლი, გადაგველახა სამივე ტრანშეი და აგვეღო დასავლეთით აღმართული სიმაღლეები.

დაიწყო საარტილერიო მომზადება. მტრის ბანაკში გრიგალისებური ცეცხლი აზვავდა. ჯერ კიდევ კარგა გათენებული არ იყო, რომ მაიორ კაცაძის

ქვეგანაყოფმა, სერგო ჩხაიძისა და ალექსანდრე ჯიჯიეშვილის მეთაურობით, კაპიტან ხარატიშვილის ქვეგანაყოფმა, მამაცი ოფიცრების ... და ნიკოლეიშვილის ხელმძღვანელობით, მაიტანეს ელვისებური იერიში მტრის პირველ ტრანშეებზე. ვიდრე ზარდაცემული გერმანელები გონს მოეგებოდნენ, ჩვენები შეუპოვრად მიიჭრნენ, ხელყუმბარები დააყარეს, ტრანშეებში ჩაუხტნენ და ხიშტებით ეკვეთნენ. ბრძოლა სასტიკი და ხანმოკლე იყო. სიმაღლე 95,1 — ტრანშეების პირველი რიგი, აღებული იყო. აქედან დაუყოვნებლივ გაეშურნენ მეორე ტრანშეებისაკენ. აქ მოწინააღმდეგემ მოასწრო ორგანიზებული ცეცხლის წარმოება, მაგრამ ჩვენი მეომრების იერიში ისეთი სწრაფი და შეუკავებელი იყო, რომ მალე მეორე ტრანშეებშიაც აღმოჩნდნენ, მტერი გაქცეულ და სულმოუთქმელად ტრანშეების მესამე წყებისაკენ გაემართნენ.

თენდებოდა. ზღვის პირად, კლდოვან ფერდობებზე შეფენილი დიდი ქალაქის ნანგრევები ისე იყვნენ გახვეულნი მქუხარე ბრძოლის ალმურში, რომ მის სიღრმეში ამომავალი მზის სხივი ვერ აღწევდა.

ამ დროს მესამე ტრანშეებში ჩვენი მეომრები ბრძოლას უკვე ამთავრებდნენ. მხოლოდ მარცხენა ფრთაზე კაპიტან აბაშიძის ქვეგანაყოფი წააწყდა მტრის სასტიკ წინააღმდეგობას. ბრძოლა გამძაფრდა, მაგრამ კაცაძისა და ხარატიშვილის რაზმების მიერ მტრის ყველა სიმაგრის აღებამ აბაშიძის ქვეგანაყოფს საშუალება მისცა ცხარე ბრძოლით გადაელახა სამივე ზღუდე.

გამარჯვებულმა ქართველებმა სწრაფად მოიყვანეს წესრიგში თავიანთი ძალები, წასწიეს წინ საცეცხლე საშუალებანი და კვალდაკვალ მიჰყვნენ უკუქცეულ გერმანელებს.

— უნდა გენახათ, რომ წარმოიდგინოთ ჩვენი მეომრების აღფრთოვანება და გამალებული წინსვლა. სამი თვისა და ათი დღის გამუდმებული პოზიციური ომის შემდეგ რომ ჩვენი მებრძოლები გერმანელებს დაედევნენ, მათ თითქო ფრთები გამოესხათ.

— სევასტოპოლი! ეს იყო ახლა ყველას მიზანი, ყველანი ამ ქალაქისაკენ მიისწრაფოდნენ, რომ იქ შეემუსრათ ქვეწარმავალივით საზიზღარი ფაშისტები.

რა შეაჩერებდა ამ ტალღას! მტერმა ფეხი აკმანაის პოზიციებზეც ვერ მოიმაგრა.

— ჩემს განაყოფს, — განაგრძობდა იოსები, — სევასტოპოლის მისადგომებთან მეტად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა ჰქონდა დასმული. ჩვენ უნდა გაგვერღვია მოწინააღმდეგის მოგერიების ზოლი უსახელო სოფლის, კოლმეურნეობა „ბოლშევიკისა“ და საპუნ-გორას სამხრეთ-დასავლეთის კალთების მიმართულებით... 7 მაისს ღამით კაცაძის, საოჩკინისა და აბაშიძის ქვეგანაყოფებმა დაიკავეს გასასვლელი ზღუდეები საიერიშოდ. დაიწყო საარტილერიო მომზადება. მოიერიშე ჯგუფებიც დაიძრნენ, მაგრამ მტრის ძლიერმა საარტილერიო და ნაღმ-ატყორცნების ცეცხლმა ჩვენს რაზმებს წინ წაწევის საშუალება არ მისცეს. მხოლოდ კაპიტან ჯიჯიეშვილის მოიერიშე ასეულმა მოხერხებული მოძრაობითა და ადგილმდებარეობის გამოყენებით შესძლო ნაღმიანი ადგილების გაწმენდა, მავთულხლართების პირველი წყების გაჭრა და სიღრმეში შესვლა. აქ ჯიჯიეშვილის ჯგუფი ჩაწვა და მტერს ცეცხლითი ბრძოლა გაუმართა. ამან კაცაძისა და საოჩკინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯგუფებს საშუალება მისცა—გადაელახათ მავთულხლართები, გაეწმინდათ დანაღმული ადგილები.

მზე ჩავიდა. ჩვენს წინ ალმართულ მთის თხემს, კლდოვან კალთებსა და ფერდოებს გამუდმებული მეხთატეხისაგან ამდგარი ალმური შეჰფენოდათ. ჩვენი რაზმები ნიშნის მიღებისთანავე დაიძრნენ საიერიშოდ. ვერც ნაღმსატყორცნებისა და ვერც ტყვიამფრქვევების ცეცხლმა ვერ შესძლო მათი შეჩერება. ჩვენებმა თვალის დახამხამებაში თავი ამოჰყვეს მტრის პირველ ტრანშეებში და ფაშისტებს თავზე მოახვიეს ბრძოლა გრანატებითა და ხიშტებით.

ქართველი მეომრების მთელი მშვენიერება რომ წარმოიდგინოთ, ისინი ამ ხელჩართულ ბრძოლაში უნდა გენახათ. აქ მათ სწრაფად შემუსრეს მოწინააღმდეგეთა დიდი ნაწილი და განაგრძეს იერიში უსახელო სოფლისაკენ. მალე ტრანშეების მეორე წყებაში გაიმართა ხანმოკლე და სასტიკი ბრძოლა. მტერი აქაც გაექცეს და გასწიეს კოლმეურნეობა „ბოლშევიკისა“ და საპუნ-გორას სამხრეთ-დასავლეთის კალთებისაკენ.

ჯერ კიდევ დღე დამეს არ გაჰყოფოდა, რომ კაცაძისა და აბაშიძის ქვეგანაყოფები, კაპიტან ჯიჯიეშვილისა და უფროს ლეიტენანტ შალვა უშვერიძის მეთაურობით, საპუნ-გორას სამხრეთ-დასავლეთის კალთებზე მოექცნენ.

დაიძრნენ ჩვენი ტანკები, აბობოქრდა გრიგალისებური ცეცხლი.

ვინ მოსთვლის რამდენი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევი და სხვა სამხედრო ტექნიკა დარჩათ აქ გაქცეულ გერმანელებს.

ჩვენმა მოიერიშე ჯგუფებმა სწრაფად დაიკავეს მიცემული უბნები და მოემზადნენ მტრის მოსაგერიებლად, ვინაიდან კარგად ვიცოდათ, რომ იგი ასე ადვილად არ დასტოვებდა ამ გადამწყვეტ უბანს. და მართლაც, დიდხანს არ გაუვლია, რომ გერმანელებმა ტანკებისა და თგეთმავალი ქვემეხების დახმარებით მოიტანეს იერიში საოჩკინის ქვეგანაყოფზე. გერმანელების ურჩხულებს ჩვენი ტანკები შეეგებნენ. ბრძოლა მალე დამთავრდა. მოიერიშე გერმანელებისაგან არც ერთი უკან არ დაბრუნებულა.

9 მაისს დილით მძლავრი საარტილერიო მომზადების შემდეგ ჩვენმა რაზმებმა შეუპოვარი იერიში მიიტანეს საბჭოთა მეურნეობა № 10-ზე. მტერი სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდა, მაგრამ ამაოდ, ჩვენი მეომრების წინსვლის შეჩერება არავითარ ძალას აღარ შეეძლო. ხევი გერმანელთა უამრავი გვამებით მოიფინა. აქედან შეუჩერებლად განვაგრძეთ შეტევა მე-6 ვერსისაკენ. აქაც გაჩაღდა გადამწყვეტი ბრძოლა და სევასტოპოლისაკენ გზა გაიხსნა. საღამოს ჩვენი მოიერიშე ჯგუფები პირველნი შევიდნენ სევასტოპოლის სამხრეთ-დასავლეთის უბანში. ქალაქმა ჩვენს მეომრებს დიდების ნათელი მოჰფინა. ამ ბრძოლაში სახელმოხვეჭილ ქართველთა წარმომადგენელნი არიან ალექსანდრე ჯიჯიეშვილი, შალვა უშვერიძე, ვანო წულაძე, ნესტორ ლუკავა, სერგო ჩხაიძე, გიორგი აბაიაშვილი, სანდრო გვარაძე, ალექსანდრე ლებანიძე, მაიორი ვალერიან ზურაბიშვილი და... შეუძლებელია მათი ჩამოთვლა, ისინი ბევრნი არიან.

ასე დაამთავრა თხრობა იოსებმა. თავის თავზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს, თითქო ამ გმირული ბრძოლების მარტოოდენ მოწმე ყოფილიყოს. „სხვისა იუბნა სახელი“, მაგრამ როცა ყველანი მისი განაყოფის განსაცვიფრებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლებზე მიუთითებენ, განა პოდპოლკოვნიკი გორგიშვილი ... მძღოლი არ არის?

დინჯი, გამობრძმედილი, შეუპოვარი ქართველი ოფიცერი, თავისი საქმით მეტყველი, ერთი იმ მხედართუფროსთაგანი, რომელთაც დიდ სამამულო ომში ჩვენი ხალხის ღრმა სიყვარული დაიმსახურეს, — ასეთია ქართველ კაი ყმათა ღირსეული მემკვიდრე იოსებ გიორგის-ძე გორგიშვილი.

კალაბატკა

წითელარმიული გაზეთის—„სამშობლოს დამცველის" სტამბის გვერდით, ვიწროსა და გრძელ ოთახში ვისხედით. გარეთ ქინქლავდა. ველს ნისლი დაჰფენოდა.

მე და კაპიტანი არჩილ თვალიაშვილი მარტონი დავრჩით. არჩილი „სამშობლოს დამცველის" პასუხისმგებელი მდივანია. 31 წლისაა, ჩასკვნილი, პირმრგვალი. სავსე ღაწვები ყირიმის მზეს კიდევ უფრო გაუშავებია. პედაგოგი, თელავის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილე, საქ. ალკ თელავის რაიკომის პირველი მდივანი, ფიზკულტურელი და ალპინისტი, — აი მისი ცხოვრების გზა ომის დაწყებამდის.

წითელი არმიის ამ ქართულ ნაწილს მისი ჩამოყალიბების დღიდან მოჰყვება. ჯერ ნაღმსატყორცნი ბატარეის კომისარი იყო, შემდეგ ბატარეის მეთაურის მოადგილე პოლიტნაწილში, ხოლო რედაქციის მდივნად 1943 წ. ივნისში დაუნიშნავთ. ტიპიური კახელი ინტელიგენტია, დინჯი, ტკბილად მოუბარი.

— არჩილ, — მივმართე მას, — ჩვენი მეომრები, რომლებიც თავიდანვე ამ ნაწილში იმყოფებიან, ხშირად ამბობენ: ბევრი გაჭირვება გამოგვივლია, მაგრამ კალაბატკა სულ სხვა იყო. მიამბე, თუ ძმა ხარ, როგორ მოხვდით იქ, რა მდგომარეობაში იყავით?

არჩილმა ნადავლ პაპიროსს მოუკიდა. კეთილი თვალები მომაპყრო. შეამჩნია, მოგონებებმა საუბრის ხალისი აღუძრა.

— მე მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს მოგიყვებით, — აუჩქარებლად დაიწყო არჩილმა: — ბრძოლაში ჩვენ პირველად თერგის ნაპირებთან ჩავებით... ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: ნაღმები გველევოდა. დილით ქვეგანაყოფი შეტევაზე უნდა გადასულიყო. გავგზავნეთ ერთი, დაიბნა, გავგზავნეთ მეორე, არც ის გამოჩნდა. ბნელი ღამე იყო, თერგზე სქელი ნისლი ჩამოწვა. უფროსისაგან ნებართვა ავიღე, სამი მებრძოლი გავიყოლიე. და ნაღმების მოსატანად გავსწიე. ტყეებსა და ჭაობებში რაგორც იყო გზა გავიკვლიე. მდინარეზე ერთადერთი გადასასვლელი მოწინააღმდეგეს შესწავლილი ჰქონდა და მეთოდიურ ცეცხლს უშენდა. აქ თერგი ორ ტოტად მოდიოდა. ერთზე სახელდახელოდ გაკეთებული ხიდი იყო, მეორეზე კი — ბორანი. ღამის პირველ საათზე მივაღწიე საწყობამდე, დავტვირთე სამი ხარებშებმული ურემი და ფრონტის ხაზისაკენ გავეშურე. ბორანზე დიდი გაჭირვებით მოვახერხეთ გასვლა, მაგრამ ხიდზე კი... ჩვენ იგი ყოველ შემთხვევისათვის დანაღმული გვქონდა. საჭირო იყო ხარები გამოგვეხსნა და ურემი ხელით გაგვეგორებინა, მაგრამ ეს ჩვენს ძალას აღემატებოდა. თანაც მტერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ დროს აქეთ სროლას მოუხშირა... რა უნდა მექნა? ღამის 3 საათია, დრო აღარ ითმენს. მაშინ მე ასეთი განკარგულება გავეცი:

— ურმები დააცილეთ ერთმანეთს, თქვენ კი დაწექით!

პირველ ურემს რომ მოვაჯექი, მაშინ ერთმა მებრძოლმა ჩაილაპარაკა:

— საწყალი, ნეტა ცოლშვილის პატრონი მაინც არ ყოფილ.

იცით, რა? მაშინ უცებ ჩემი პატარა გოგონა მომაგონდა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა... ძნელია ამის გადმოცემა... ხარებს რომ შემოუძახე, ეს ჩემი ხმა როდი იყო, ცეცხლათ ქცეული გულის ძახილი იყო... ჩემს ბედად ხიდზე მშვიდობით გავედი, ნაღმი არ აფეთქდა... დილის 4 საათზე ადგილზე ვიყავით. 6 საათზე შეტევა დაიწყო...

— მეომარს თავს რა არ გადახდება,—განაგრძობდა არჩილი.—ერთხელ... ჰო, იანვარი იყო მაშინ. თოვლში მივდივართ, სულ მოვდივართ ორი დღეღამის განმავლობაში. ერთ ადგილას გერმანელების მიერ წაქცეულ ბოძზე ჩამოვსხედით. ბარდნიდა. ძალაუნებურად მივწექით, მკვდრებივით ჩაგვეძინა. გამომეღვიძა. მივიხედ-მოვიხედე: ყველაფერი ახალი თოვლითაა დაფარული. სადა ვარ? ნუთუ დამტოვეს ამხანაგებმა?.. ჰეი! — დავიყვირე შეშინებულმა. უცებ შეირხა თოვლი და ამხანაგებმა ნელნელა თავი წამოყვეს...

— ჰო, თქვენ კალაბატკის ამბები გაინტერესებთ... ეს გასული წლის თებერვალში იყო. მტერს პირისპირ შევხვდით სოფელ გრინევსკაიასთან. ერთი სუსხიანი დღე-ღამის ფიცხელი ბრძოლის შემდეგ სოფელი ავიღეთ და მტერი აზოვის ზღვის ჭაობიანი ნაპირებისაკენ გავდევნეთ. გერმანელებს საკმაოდ დიდი ძალები ჰყავდათ. არც ტანკები, ქვემეხები და ავიაცია აკლდათ. ამიტომ მათ მოასწრეს გაყინული გზებით მეთევზეთა სოფლებში შესვლა. აქ ფეხის მოკიდება შეიძლებოდა. ამავე დროს სოფელ პეტროვსკაიასაკენ მიმავალი მთავარი კომუნიკაციები მტრის ხელში აღმოჩნდა. ჩვენი ამოცანა იყო, მოეგვესწრო გაყინულ ლიმანებსა და ჭაობებზე გასვლა და მტრისათვის უკან დასახევი გზები მოგვეჭრა. ღამით დავიძარით მეთევზეთა სოფლებისაკენ. ერთ მათგანს კალაბატკა ჰქვია. ყინულზე მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ გადასვლა, მძიმე ტექნიკის გატანა შეუძლებელი იყო. ქვეითებმა კალაბატკამდე მიაღწიეს.

ჩვენ გაყინულ ჭაობებზე და სოფლის ერთ პატარა უბანზე განვლაგდით, მტერს იქიდან ურტყამდით. გერმანელებს ხელსაყრელი პოზიციები ეკავათ, მშრალზე იყვნენ, სახლებიც საცეცხლე წერტილებად გადაექციათ.

ამ დროს ამინდი ერთბაშად შეიცვალა. თბილ ქარს წვიმა მოჰყვა.. ყინულებმა სწრაფად იწყეს ლხობა და მსხვრევა. მძიმე პირობებში ჩავარდით. სურსათისა და საბრძოლო მასალის მოწოდება შეფერხდა. თანაც გერმანელები გვაწვებოდნენ, გვირტყამდა ავიაცია, არტილერია. ბრძოლა ეთანასწორო იყო, მტერს თითქმის ცალიერი ხელებით ვიგერიებდით.

3 მარტს მოწინააღმდეგემ ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ავიაციისა და ტანკების დახმარებით შეტევაზე გადმოსვლა იწყო. დიდი ზარალი მივაყენეთ, მაგრამ ბოლოს მაინც შესძლეს ჩვენს განლაგებაში შემოჭრა. ჩვენი ბატარეის მეთაური დაიჭრა. იგი მალე გაიყვანეს. ბატარეის სათავეში ჩავუდექით მე და კაპიტანი ალექსანდრე ლანჩავა. მტერმა ჩვენი ბატარეა შენიშნა და სასტიკი ცეცხლი გაგვიხსნა. ჩვენი მეომრები მაინც

მტკიცედ იდგნენ ნალმსატყორცნებთან, უკანასკნელ ნალმამდე. სროლა არ შეუწყვეტიათ. ბოლოს გერმანელებმა ჩვენსკენ ტანკები გამოუშვეს. სწორედ ამ დროს მივიღეთ ბრძანება, რომ ნალმსატყორცნები ახალ პოზიციაზე გადაგვეტანა... ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ლომებივით ტრიალებდნენ მტრის ცეცხლის ქვეშ ჩვენი ბიჭები — გაგნიძე, მტირალაშვილი, ბერიაშვილი, ბიძინაშვილი, უჩიძე, დოლიძე... კიდევ... ჰო: ბუჯიაშვილი, ციხელაშვილი, გაბიტაშვილი...

მტერი ახლოვდებოდა. მე და ლანჩავამ 15-მდე მებრძოლი დავიტოვეთ. კარაბინებისა და ავტომატის ცეცხლით ვცდილობდით მტრის შეჩერებას. ამით ჩვენი ნალმსატყორცნების გადანაცვლებას ვიფარავდით. როგორც იქნა, ნალმსატყორცნები 400 — 500 მეტრის დაშორებით ჭაობებში გაიტანეს. მაშინ ჩვენც თითო-თითოდ ვიწყეთ იმავე მიმართულებით მებრძოლების გაშვება. ბოლოს მე და ლანჩავა დავრჩით. ლანჩავამ მითხრა — წადი, მერე მე მოგყვებიო. არა, შენ უნდა წახვიდე-მეთქი. შევატყვე, არ დამითმობდა. მაშინ მე ისე შოვაჩვენე, თითქოს წავედი, ნამდვილად კი სახლს მეორე მხარეს მოვექეცი და ავტომატით ვდარაჯობდი გერმანელებს. ამასობაში ლანჩავა თვალს მიეფარა....

აგერ მობობღავს გერმანელთა ტანკი. მას სწრაფი სვლა არ შეეძლო, ირგვლივ ჭაობები იყო. ამაღლებული ადგილით მოიწევდა წინ. ზედ გერმანელი მეავტომატეები ისხდნენ და განუწყვეტლად ისროდნენ. ტანკი რომ 300 მეტრზე მოახლოვდა, თავის აწევა აღარ შეიძლებოდა, ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდა, მე უკვე ჯვარედინ ცეცხლში ვიყავი. მაინც შევძელი და მიზანში ამოვიღე ტანკზე მჯდომი ჰიტლერელები, ავტომატის გრძელი ჯერი მივუშვი. სწორედ ამ დროს ჩემს ახლო ნალმი აფეთქდა, მიწითა და ტალახით დამფარა. როდესაც წამოვიხედე, ტანკი მარჯვნივ მიღოლავდა, ზედ გერმანელები აღარ ჩანდნენ. ავტომატში აღარც ერთი ტყვია აღარ აღმოჩნდა.

ახლა როგორმე იქიდან უნდა გავსულიყავი. დავიწყე ხოხვა. იქვე ახლოს წყალ-ყინულით სავსე არხი იყო, ზოგან მუხლამდე, ზოგან წელამდე მწვდებოდა. ამ არხით დავიწყე გასვლა. ჩემს ირგვლივ ყუმბარები და ნალმები სკდებოდა, ტყვიები თავზე ზუზუნით დაჰქროდა. მარცხნივ მტერია, უკან სულ ახლოს და ახლოს ისმის სროლა. გადავწყვიტე მარჯვნივ ჭაობებში გასვლა, რადგან გზა იქით უფრო მოკლე იყო, თუმცა ძნელად გასასვლელი. დავიწყე ცოცვა, მაგრამ ამ დროს გერმანული ავტომატი აკაკანდა. ვხედავ — სამი გერმანელი მეავტომატე მარჯვნიდან წამოსულა და ტყვიებს უშენენ ჩემს მარცხნივ არხის პირზე მკვდარ წითელარმიელს, რომელსაც თოფი ისე დარჩენოდა, თითქო სასროლად ამზადებსო. მე ამ წითელარმიელისაკენ დავიწყე ცოცვა. მართალია, გერმანელები მას უშენდნენ, მაგრამ თოფს ვიგდებ ხელში და მაშინ ვნახოთ რა ბიჭებიც ხართ-მეთქი, გავიფიქრე. არხით მივალწიე, გერმანელთა შეუმჩნევლად გამოვტაცე შაშხანა, მაგრამ დახე ჩემს უბედობას: შიგ ვაზნა არ აღმოჩნდა. მოვუჩხრიკე ჯიბეები. არც ერთი ვაზნა არა ჰქონდა. ამ უცნობ ვაჟკაცს უკანასკნელ ვაზნამდე ებრძოლნა და გმირულად დაღუპულიყო.

რას ვიზამ. მიმართულება კვლავ შევცვალე. ქანცი გამომელია. მრავალი დღის მშიერსა და გატანჯულს მოძრაობა აღარ შემეძლო. ცოტა კიდევ გავხოხდი და პატარა კუნძას ძირას მივეცუცქდი. დღე ილეოდა. ბრძოლაში გარ-

თულს საკუთარი თავი აღარ მახსოვდა, შიმშილიც თითქო არ მაწუხებდა, მაგრამ აი, პატარა შევისვენე და ფიქრები თავის-თავად აღმძრენ. ბატონ-შიმშილი ვიგრძენი, ფიქრით ჩემს სოფელში გადავფრინდი. გამახსენდა ჩემი პატარაობა. დედა ადრე მომიკვდა. ღარიბად ვცხოვრობდით, თანაც დედინაცვალი მყავდა. ამიტომ ხშირად ძალოსთან ვიყავი იქვე მეზობლად. ძალოს ძალიან ვუყვარდი. „ჩემს ბიჭუნა აჩიკოს ქადები უნდა გამოვუცხოო“, იტყოდა ხოლმე და აფუსფუსდებოდა. ძლიერ გემრიელი ქადების გამოცხობა იცოდა. მივუჯდებოდი ბუხრის კალთას და სიამოვნებით ვუცქერდი დაბრაწულ ქადებს. მერე მადიანად ვილუკმებოდი... ჰო-და, იმ კუნძთან რომ ვიყავი მიცუცქული, სწორედ ის ქადები გამახსენდა, თითქო სუნიც ვიგრძენი. აღარაფერს ვხედავდი გარდა ბუხარში მოგუზგუზე ცეცხლისა და ქადებისა...

იმ წყეულებს ეს ზმანებაც შეშურდათ, უცებ ყუმბარამ დაიწივლა და ჩემს ახლო დაიგრგვინა. გამოვფხიზლდი. გაჰქრა ზმანება. ქადის სუნის მაგიერ დენთის სუნი მეცა... უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე, ხელში მაგრა ჩავიბღუჯე ჩემი ერთად-ერთი იარაღი — ჯიბის დანა და ხოხვა განვაგრძე. მერე ლაქაშებში მოვხვდი. ამხანაგები ღამე ვიპოვნე. რამდენიმე დაჭრილი იყო... რაღა გავაგრძელო, ვინც ცოცხალი დავრჩით, ახალი პოზიციებიდან განვაგრძეთ ბრძოლა... იმ ჭაობებში სხვებს ჩემზე მეტი თუ არა, ნაკლები გაჭირვება არ გამოუვლია. ამიტომაა, რომ ჩვენი მეომრები ასე ხშირად იგონებენ კალაბატკას.

არტილერისტები

სოფლის მახლობლად, პურის ყანების პირად ოთხკუთხედებად ამოთხრილ მიწაში გრძელლულიანი ქვემეხები იყო ჩამწკრივებული. იქვე — სუფთად მილაგებული კარვები, ლამაზად მორთული წითელი კუთხე, საბრძოლო ფურცელი.

მზისაგან სახედამწვარი ქართველი არტილერისტები ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყვნენ, მეცადინეობდნენ.

ლეგიონის მეთაურის მოადგილემ პოლიტნაწილში — მაიორმა ავთანდილ კუციამ თავის სამუშაო ოთახში მიგვიწვია. ავთანდილი ჩვენს შორის ისე მოსჩანდა, როგორც მუხა რცხილნარში. ერთობ მაღალია, მხრებგაშლილი, ტანსავსე. ამავე დროს ისე მსუბუქად მოაბიჯებს ეს ვეება ვაჟკაცი, ისე კოხტად აქვს წვივებზე შემოგარსული წაღის მაღალი ყელები, როგორც ცხენოსნობაში გაწვრთნილ ოდიშელს სჩვევია ხოლმე.

ავთანდილს მაგიდაზე ლეგიონის საქმეებთან ერთად აკაკის ლექსთა კრებული ედო. წიგნმა უნებლიედ მიიპყრო ჩვენი ყურადღება.

— ამას დიდი ხანია ვატარებ. ათას უბედურებაში გამოვიარე, მაგრამ... — გვითხრა ავთანდილმა და ღაჟღაჟა სახე წამოეგზნო. შემდეგ განაგრძო: — აკაკი ამბობდა: „გმირებს უყვის, დაეძებს ჩემი დაფი და ნაღარაო“. ჰო-და, ხომ ხედავთ, ქართველმა ხალხმა ამ ძახილზე რამდენი გმირი გამოუშვა... ჩვენს მეომრებს ძალიან უყვართ მწერლობა. ყუბანში იყვნენ ჩვენთან ქართველი მწერლები...

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტილერისტებთან საუბარში მუდამ გრძნობთ, რომ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან იმყოფებით. აქ არიან ინჟინერები, მათემატიკოსები, ეკონომისტები, პედაგოგები. ამავე დროს ესენი სამამულო ომის მქუხარე ცეცხლში წრთობილი სახელოვანი მხედრები არიან.

— ახალი წელი თენდებოდა, ჩვენი ლეგიონი რომ სრუტეზე გადავიდა და ქერჩის მისადგომებთან, სოფელ ბაკსში განლაგდა,—გვიამბობდა დივიზიონის მეთაურის მოადგილე კაპიტანი შალვა ესებუა. — ნისლიანი დილა იყო. მზემ რომ გამოაშუქა, ჩვენ საცეცხლე პოზიციები უკვე დაკავებული გვქონდა, მალე მტერს ცეცხლი გავუხსენით... 10 იანვარს დაიწყო მძლავრი შეტევა. დივიზიონი 500 მეტრზე იყო განლაგებული. ჩვენი არტილერიის ცეცხლს მტრის ბანაკში რისხვა და მეხი მიჰქონდა. უნდა გენახათ, როგორ ენთებოდნენ ჩვენი ბიჭები. ქვემეხის გამტენი ვლადიმერ ხიჯაკაძე მთელი ხმით გასძახოდა:

— შენ გენაცვალე, ყუმბარავ, წადი და იმ წუნკლებს მუსრი გაავლე!.. აბა, ბიჭებო, ჩქარა, ყუმბარა მომაწოდეთ!

მაშინ გმირულად დაეცა ახალგაზრდა ლეიტენანტი ვასილ მამაცაშვილი, იგი წინა ხაზზე იყო და სათვალთვალო პუნქტიდან მტერს ზვერავდა, მეთაურს ზუსტ ცნობებს აწვდიდა. ამ ცხარე ბრძოლაში დაგვეჭრა აგრეთვე ქვემეხის უფროსი, სერჟანტი ვლადიმერ ბარამაშვილი. განკარგულებას რომ იძლეოდა, მაშინ ახლო გასკდა ყუმბარა და ბარამაშვილს ნამსხვრევი წელში მოხვდა. მაგრამ ქვემეხს სროლა არ შეუწყვეტია, ბარამაშვილის ადგილი ხანში შესულმა არტილერისტმა, მემიზნე ქრისტეფორე ჩაფიჩაძემ დაიკავა. მტენავმა კიღურაძემ ბარამაშვილი თხრილში ჩაიყვანა, ამ დროს ჩვენც მივეშველენით, მე და პარტორგი კაპიტანი ვარლამ კირკიტაძე. უცებ იქვე, ერთ მეტრზე დაეცა ყუმბარა და ყველას მიწა გადმოგვაყარა, ბეწვზე გადავრჩით.

თებერვალში წინ წავიწიეთ. სტიქიონთანაც უნდა გვებრძოლა. მეომრები ხშირად მთელი დღეღამის განმავლობაში ქარსა და ყინვაში იმყოფებოდნენ, მტრის ძლიერი ცეცხლის ქვეშ.

ახალი პოზიცია დავიკავეთ, — სიმაღლე 115. ჩვენი მეთაური პოდპოლკოვნიკი ქრისტეფორე გაფრინდაშვილი. სათვალთვალო პუნქტზე იყო და ბრძოლას ხელმძღვანელობდა. გერმანელებმა თვითმფრინავები გამოუშვეს, თანაც არტილერიის ცეცხლი მოაყოლეს. ქრისტეფორეს ხელში დურბინდი ეჭირა, მტრის საცეცხლე წერტებს თვალს არ აშორებდა. ამ დროს მოხვდა ნამსხვრევი და დაიჭრა. წერილი მივიღეთ, უკვე მორჩენილა. მოუთმენლად ველოდებით. საუკეთესო მეთაურია. ჩვენს არტილერისტებს მამასავით უყვართ.

იმ დღეს განსაკუთრებით კარგად შეასრულეს ამოცანა 122 მილიმეტრიანმა ქვემეხებმა. შესანიშნავი საბრძოლო ოსტატობა გამოიჩინეს ბატარეის მეთაურმა გიორგი კაკულიამ, ლეიტენანტმა ბიძინა ქუმსიაშვილმა და კაპიტანმა პაქსაშვილმა....

მეტად მგზნებარე ჭაბუკია კაპიტანი შალვა ესებუა. გატაცებით გვიყვება ქართველი არტილერისტების თავდადებული ბრძოლის ამბებს. გაზეთებშიაც ბეჭდავს წერილებს, უყვარს პოეზია, სწერს ლექსებს.

— ერთხელ, — განაგრძობდა შალვა, — ქვეითელთა ასეულმა მოითხოვა — სწრაფად ჩაგვეხშო მტრის სანალმტყორცნო ბატარეა, რომელიც ჩვე-

ნების წინსვლას ხელს უშლიდა. მაშინ ლეიტენანტმა ა. ჩავლიაშვილმა სწრაფად დაავლო ხელი ტელეფონის აპარატს და ხოხვით გასწია ასეულის საბრძოლო განლაგებაში. იქ დიდ ქვას ამოეფარა და დურბინდით გაჰხედა მტრის პოზიციას. შენიშნა: მარჯვენა ფერდობს იქით კვამლი გუნდ-გუნდათ ამოდიოდა. „ეს უნდა იყოსო“, გადასწყვიტა და გახოხდა წინ მტრის ცეცხლის ქვეშ. მალე გარკვევით დაინახა გერმანელთა ნაღმსატყორცნების პოზიცია. მანძილი გაიანგარიშა და კაპიტან ი. დავითაშვილს აცნობა. წამსვე ყუმბარა ყუმბარაზე გაფრინდა მტრის საცეცხლეებისაკენ. მაკორექტირებელმა მრხვედრის სიზუსტე დაადგინა და კიდევ უფრო ხშირი ცეცხლი მოითხოვა. არ გასულა ხანი, რომ გერმანელებს წელი მოწყდათ და ჩვენმა მოიერიშეებმა წინ გასწიეს...

ოთახში ტანბრგე არტილერისტი შემოიმართა. მხედრულად რომ არ ეცვას, სოფლის მუშაკაცი გეგონებათ.

— ეს სერჟანტი არქიფო გორგაძე გახლავთ, — გაგვაცნო შალვამ. — ხარაგოულელია. 47 წლის კაცია, მაგრამ ხომ ხედავთ, რა ახალგაზრდაა. ეგ თავიდანვე ჩვენს დივიზიონშია, გამოვლილი აქვს მთელი გზა თერგიდან სევასტოპოლამდე.

არქიფოს შავ თმაში ჭაღარა თითქმის არ ურევია, თაფლისფერ თვალებში ალალი გულის შუქი გამოკრთის. მიღებული აქვს მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ და ორდენი „დიდება“.

— საქართველოდან ჩამოსულხართ... რა ამბავია ჩვენში? — იკითხა არქიფომ.

— მშვიდობა. მთელი საქართველო თქვენს გამარჯვებას შეჰხარის.

— კარგი დაგემართოთ... ისე, ქე მიხვდებით ახლა თქვენ, რა ძნელია ჩვენი ამბის მოყოლა... ვართ ცეცხლში, მტერს ვამარცხებთ, სიცოცხლეს ვინარჩუნებთ... ზოგიერთი ბრძოლაში მთლად ცეცხლად იქცევა, მხიარულობს. ერთი ბიჭია ჩვენს ათეულში, ხიჯაკაძე. აბა, იმას უნდა უყურო, ქვემეხს რომ გატენის და შესძახებს, — „გაფრინდი, ყუმბარავ, მოხვდი ჰიტლერს გულში!..“ სევასტოპოლთან ჩვენც რამდენჯერმე დაგვბომბეს, ორი ამხანაგი დაგვეჭრა... ისეთმა ჰაერმა დამკრა, თავი კინაღამ წამაგლიჯა, მარა მერე გიყვარდეს, გავხსენით ცეცხლი, მივადექით სევასტოპოლს, მივედით უკანასკნელ კრიჭაში. ბტერმა იქაც მაგარი ცეცხლი შემოგვაგება, მარა სადღა წაგვივიდოდა, ბოლო მოვუღეთ.

ამ დროს კვლავ შემოგვემატნენ: ლეგიონის შტაბის უფროსი კაპიტანი შოთა ნანიტაშვილი და კაპიტანი ნიკოლოზ საჯაია. შოთა ოცდახუთი წლის ჭაბუკია, მომღიმარ სახეზე ისეთი მიმზიდველი შუქი ადგას, რომ სულ მალე დაგიახლოვებთ. საარტილერიო სასწავლებელი ლენინგრადში დაუმთავრებია. ბრძოლის მეტად შორი გზა გამოუვლია. ჩამოყალიბების დღიდანვე ამ ლეგიონშია. დაჯილდოვებულია მედლით „მამაცობისათვის“ და სამამულო ომის ორდენით. მომზადებული არტილერისტია, კულტურული და საქმიანი ოფიცერი შტაბისა. შოთა მეტად რთულ საბრძოლო ვითარებაშიაც სწრაფად ერკვევა, დაუყოვნებლივ იღებს სწორ გადაწყვეტილებას, და ეს იმიტომ, რომ მამაცია და შეუპოვარი.

— აი, მოგიყვანეთ ჩვენი გმირი, — გვითხრა შოთამ და კაპიტან ნიკოლოზ საჯაიას მიჰხედა ღიმილით.

ნიკოლოზი შოთაზე უფრო ახალგაზრდაა, 1922 წელს დაბადებული. პირველი შეხედვისთანავე შეამჩნევთ, რომ მკვირცხლიცაა და დინჯიც. საბრძოლოების დროს ვეფხვივით სწრაფად შეიჭრება ზვავივით მომსკდარ ცეცხლში, ხოლო საბედისწერო საფრთხის ჟამს აუჩქარებლად ასწონ-დასწონის შექმნილ მდგომარეობას და გამოსავალს უთუოდ იპოვნის.

სევასტოპოლის მისადგომებთან, საპუნ-გორას ფერდობებზე ნიკოლოზ საჯაია მოიერიშე ჯგუფებთან ერთად მიიწევდა წინ. ირგვლივ ყუმბარები თხრიდნენ მიწას, ტყვია წვიმასავით მოდიოდა, ნიკოლოზი კი მშვიდად აკვირდებოდა მტრის სიმაგრეებს, არკვევდა საცეცხლე წერტილებს და ზუსტად გაანგარიშებულ ცნობას აწვდიდა ქვემეხთა მეთაურებს. აგერ მტერმა ახალი ზღუდიდან გახსნა ცეცხლი. საჭიროა ამ ადგილის გამორკვევა. კაპიტანი საჯაია დღისით შედის ცეცხლში, მიდის წინ, არ ჩერდება მანამდის, ვიდრე ჩვენი ქვემეხებას ყუმბარები მტრის ბუნაგს არ ამოსწვავენ.

ნიკოლოზს თავისთავზე ლაპარაკი არ ეხერხება, მხოლოდ შეკითხვებზე თუ გიპასუხებთ. მორცხვობით როდი მოსდის ეს, არა, მისი ტიპიური ქართული სახის გამომეტყველება ამქედავნებს, რომ რაც მოიმოქმედა, იმას დიდათ არა სთვლის, მეტის გაკეთება სწყურია.

ხოლო დივიზიონის მეთაურის კაპიტან კეზერელის მიერ შედგენილ „საბრძოლო დახასიათებაში“ თუ ჩავიხედავთ, იქ ამოვიკითხავთ, რომ საჯაია ბატარეის საუკეთესო და სანიმუშო მეთაურია, რომ საჯაიას მიერ კორექტირებულ ქვემეხთა ცეცხლს ქერჩსა და სევასტოპოლის მისადგომებთან მრავალი ნაღმსატყორცნი და ქვემეხი ჩაუხშვია, გაუელეტია რამდენიმე ასეული ჰიტლერელი.

* * *

მეომრებს ძალიან უყვართ მოსწრებული სიტყვა, ოხუნჯობა. დასვენების დროს შემოკრბებიან ხოლმე რომელიმე იუმორისტის ირგვლივ და გულიანად იცინიან.

აგერ ჩვენთან შემოვიდა უფროსი სერჟანტი ვანო მენთეშაშვილი. არტილერისტებს წამსვე სახე გაუნათდათ, ღიმილი მოერიათ.

ვანო 21 წლისაა, შავი თვალწარბი აქვს, მაღალი ცხვირი, ვიწრო ნიკაპი. ცდილობს სერიოზული გამომეტყველება მიიღოს, ტუჩებს მუწავს, მაგრამ მთელს მის გამომეტყველებაში შეკავებული სიცილი ეონავს.

მენთეშაშვილი სახელოვანი მეკავშირეა. მიღებული აქვს მედალი „მამაცობისათვის“ და ორდენი „დიდება“.

— რა, ერთი წიგნი გინდა რო დაწერო? — მითხრა თავისებური კილოთი და არტილერისტებს მყისვე სიცილი წასკდათ.— ომი რო დაიწყო, თათრის ბაზარში ვიყავი, ვარიები მყავდა გასაყიდათ. გავიხედე, ბაზარში რაღაც ამბავი დატრიალდა. მე და ჩემი ვარიები მარტონი დავრჩით... ამათთან რო მოვედი, პატარა ვიყავი, წინტლიანი. მატარებელში არც კი ვმჯდარვარ. ბუინაქსში დამამთავრებინეს საშუალო მეთაურის სკოლა. მერე დავძვრები ცეცხლში. ე ოხერი, როცა ყუმბარა და ტყვია დედამიწას გლეჯს, სამუშაოც მაშინ მიმრავლდება. გაიხედავ, აგერ ტანკს ხაზი გაუგლეჯია. რას

იზამ, უნდა მიხვიდე, ალადგინო. მეც მივძვრები ობოლ ბატკანივით. დამაყრუებელ ბათქა-ბუთქს ვითომ არაფრად ვაგდებ, მაგრამ ... „ულაპუშკები“ [1] საითაც გავრბივარ, იქით მომსდევენ, რას ეტყვი, ჭკუა ხომ არა აქვს... ერთი ამხანაგი დამეჭრა, ვაშლოვანელი ბიჭი იყო, გიგო რამანოვი, მე ბევრად მჯობდა. მაშინ გავცეცხლდი... რას გავუშვებდი, ან ისინი უნდა ყოფილიყვნენ, ან მე... ერთ ტანკს კილომეტრნახევარზე თექვსმეტი ხაზი გაეგლიჯა... ბლარტივით ვიყავი ტალახში ამოთხუპნილი... მაინც გავძვერი, ხაზი გავიყვანე. ერთ დღეს ჩემს მახლობლად ყუმბარამ ოთხი ცხენი ერთმანეთში აურია, სისხლი სახეზე მომასხა, მგელსა ვგავდი...

ერთხელ ქერჩში პარტორგი კაპიტანი ალექსანდრე ჯიშკარიანი საუბარს ატარებდა. მიწურში ისხდნენ. უცებ იქვე ახლოს დაეცა ყუმბარა. უნებლიედ ყველანი შეჩქვიფდნენ, გაირინდნენ. სიჩუმე ვანო მენთეშაშვილმა დაარღვია:

— ამხანაგო კაპიტანო, ხელახლა დაიწყეთ, რაც სთქვით, იმ ოხერმა ყუმბარამ თავიდან გამაგდებინა.

ყველას გაეცინა: პარტორგმა საუბარი განაგრძო.

•
• •

მომქმედ ქვემეხთან მყოფი არტილერისტი ვერა ხედავს, თუ რა ხდება მტრის ბანაკში, როცა ყუმბარას ყუმბარაზე აგზავნის, ხშირად მაშინაც არა სჩანს ყველაფერი, როცა პირდაპირი დამიზნებით ესვრის. ამიტომ იმყოფება წინა ხაზზე მეთვალთვალე, მაკორექტირებელი. მაგრამ სევასტოპოლისათვის ბრძოლაში, საპუნ-გორას მისადგომებთან, თითქმის მარტოდ დარჩენილმა წითელარმიელმა ვიქტორ ქარსელაძემ საოცარი ნებისყოფა და სიმამაცე გამოიჩინა.

ვიქტორი 26 წლის ჭაბუკია, ლეგბუმელი, სოფელ თაბორის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი. მის მრგვალ, ფეროვან სახეს ქარსა და მზეში თითქო ჟანგი მოდებია; პირველად გეგონებათ, მეტისმეტად კუშტად გამოიყურებაო, მაგრამ როგორც კი მოგაპყრობთ თავის ცისფერ თვალებს, მაშინვე იგრძნობთ, თუ რა დიდი კეთილშობილებითაა დაჯილდოვებული ეს თავმდაბალი მეომარი.

მრავალი ბრძოლის მონაწილეა ვიქტორ ქარსელაძე. ორჯერ დაიჭრა, ორჯერვე ადრე განიკურნა, მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

7 მაისს უსახელო სოფელთან ვიქტორმა პირდაპირი დამიზნებით მოსპო მტრის ქვემეხი, ორი დაზგის ტყვიამფრქვევი და 10 ჯარისკაცი. 9 მაისს კი მქუხარე ცეცხლის ქვეშ, გენერალური იერიშის დროს, კვლავ გამოაგორა ქვემეხი გაშლილ პოზიციაზე, ნაცარტუტად აქცია მტრის ტყვიამფრქვევთა ბუდეები და ჩვენს მოიერიშე ჯგუფებს გზა გაუხსნა. ამ დროს ქვემეხის მეთაურიც თვითონ იყო და მემიზნეც, რადგან დანარჩენი ამხანაგები სულ ახლოს გამსკდარი ყუმბარის ნამსხვრევებისაგან დაიჭრნენ.

---

[1]) ტაცუნა, ჭექანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

— მე თუმცა თავიდან ამ ნაწილში ვარ, მაგრამ ისეთი დაძაბული და კარგშედეგიანი ბრძოლა, როგორიც სევასტოპოლთან იყო, ჯერ არ შემხვედრია.—ამბობს პოდპოლკოვნიკ იოსებ გორგიშვილის განაყოფის არტილერიის უფროსი მაიორი ვალერიან ზურაბიშვილი.

— რითი ხსნით ამას?

— ბევრი რამით. უმთავრესად კი იმით, რომ ჩვენ დიდი გამოცდილება შევიძინეთ. ახლა უფრო აუღელვებლად და წინდახედულად შევდივართ ბრძოლაში. აი ჩემმა საარტილერიო ქვეგანაყოფმა სევასტოპოლთან წარმოებულ გრანდიოზულ ბრძოლაში დაჰკარგა მხოლოდ ერთი მებრძოლი და ორი ოფიცერი. ჩვენი მეომრები ახლა თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან.

* * *

გადახრილი მზე ლურჯ ღრუბლებში იყო გახვეული, ჩვენ რომ მაღლობიდან სევასტოპოლს გადავხედეთ. ამ დიდებული ქალაქის ნანგრევებს თავდადებულ მებრძოლთა ჩაუქრობელი ნათელი მოჰფენოდა.

შორს, ზღვაში ნალმებს აფეთქებდნენ და შხეფებში გახვეული შავი ბოლი ცამდის აღწევდა.

საპუნ-გორას კალთებზე ჩვენ ქართველ მეომართა ორი სასაფლაო გვაქვს, ერთი აქედან რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაა — ქვემო ჩორგუნში, ხოლო პოდპოლკოვნიკი ვ. ი. ნიკურაძე თვით სევასტოპოლის ცენტრში, ისტორიულ ბულვარშია დაკრძალული.

ამიერიდან ისე, როგორც კრწანისის, ასპინძისა და კავკასიონისათვის თავდადებულნი, ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიაში ბრწყინვალე ადგილს დაიჭერენ ქერჩისა და სევასტოპოლის გმირები.

1944 წ. მაისი — ივნისი.

მოქმედი არმია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გაწერელია

ალექსანდრე აბაშელი

ალექსანდრე აბაშელის მიმართ სავსებით მართლდება ბიუფონის თქმა ადამიანისა და სტილის ერთიანობაზე. ჩვენთვის ცნობილია არა მარტო ლექსებში აღბეჭდილი ფიქრები და გრძნობები პოეტისა, არამედ მისი ყოველდღიური საქმიანობა და ისეთი წვრილმანიც კი, როგორიც მისი ხელრთვაა. ვისაც ალექსანდრე აბაშელის ავტოგრაფები უნახავს, უეჭველია ყურადღება მიუქცევია სუფთად გამოყვანილ ასოებზე და სტრიქონთა სიმეტრიულობაზე. პოეტი პასუხისმგებელია ავტოგრაფის გარეგნული სიუფთავის გამოც და, ვფიქრობთ, იგი არასოდეს არ წერს ფანქრით და არასოდეს არ გადასცემს სხვას ხელნაწერს, რომელიც კალმის შეცდომებით იქნება აჭრელებული.

ალ. აბაშელს თითქოს არ უყვარს ნაპირგადალახული, მღელვარე რიტმები, რომელნიც ლექსის ჩარჩოების გაფართოებას მოითხოვენ და ძალზე ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ ერთი Vers libr აქვს დაწერილი (იხ. „წითელი ფრინველები“ კრებულში „ანთებული ხეივანი“). სიტყვები ტაეპში, ტაეპები სტროფში და სტროფები ლექსში მიედინებიან ისე, როგორც მდინარე გრანიტიან კალაპოტში და მათ არ გააჩნიათ საშუალება კიდეების სრული გადალახვისა.

ასეთივეა ალექსანდრე აბაშელი ცხოვრებაშიაც.

რომ არაფერი ვთქვათ შესანიშნავ ტაქტზე და იმ შინაგან კეთილშობილებაზე, რომლითაც აღბეჭდილია პოეტის დამოკიდებულება მეგობრებთან და ნაცნობებთან, საკმარისია აღვნიშნოთ ყოველდღიური შთაბეჭდილება, ჩვეულებრივი საუბრის დროს მისგან მიღებული: მასში არ მოიპოვება ნატამალიც კი რეზონერობისა და პოზის, თვითკმაყოფილებისა და ნაძალადევი პათეტიკის. და თუმცა უფრო ისმენს, ვიდრე ჭირვეულად ამტკიცებს რასმე, — იცის ვნებიანი პაექრობაც და არც ერთხელ არ მიდის კომპრომისზე, თუ საკუთარი რწმენის დაცვის აუცილებლობა უკარნახებს ამას.

ალექსანდრე აბაშელი არა მარტო შესანიშნავი პოეტია, არამედ შესანიშნავი ადამიანიც.

* * *

ა. აბაშელმა მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებითი გზა განვლო. მისი ლექსების პირველი წიგნი „მზის სიცილი“ სინათლისადმი ექსტატიურ ჰიმნს წარმოადგენდა. ამ კრებულში თვითეული ნააზრევი, თვითეული შედარება, სახეების ქსოვილი მთლიანად ასტრალურ ფონზეა გაშლილი, მზე კოსმიურ

ცენტრად არის მიჩნეული და ყველაფერი მისი შუქით ცოცხლობს. ახალ ქართულ პოეზიაში ა. აბაშელი დამამკვიდრებელია სოლარული სახეებისა, სოლარულ ემანაციისა საზოგადოდ.

მაგრამ მზე, ხოტბას საზოგადოებრივი სარჩულიც ჰქონდა, იგი უკეთესი მერმისის ხილვის რწმენით იყო შთაგონებული. ამიტომაც განსაკუთრებული ძნიშვნელობა ენიჭება პოეტის განცხადებას:

მსურს ქარიშხლის მახარობლად
მოვეველინო ჩემს ქვეყანას. („მზის სიცილი").

ხშირად ნანატრი განთიადის მეხოტბედ მოგვეველინა ა. აბაშელი ლექსების მეორე წიგნში „მზე და სამშობლო" (1939); მაგრამ სრულყოფილი სიხარულის მოპოვებამდე მან მოგვცა სხვა წიგნებიც — „ანთებული ხეივანი" (1925) და „გაბზარული სარკე" (1929), რომელნიც მისი პოეტური ცის დრეებით მოლრუბლვას გვიხატავდენ.

„ანთებული ხეივანი" მაღალი პოეტური ოსტატობით აღბეჭდილი კრებულია. მართალია, ამ წიგნშიაც ხშირია კოსმიური სახეები, ერთგვარი პოეტური აბსტრაქცია, მაგრამ არის ავტორისთვის მანამდე უჩვეულო დაახლოვებაც ქართულ ბუნებასთან. „ანთებულ ხეივანში" ყველა შედარება და სახე უშუალოდ უკავშირდება ბუნებას — ზღვას, ბალს, ყვავილებს, მეტწილად — ტყეს. თითქმის ყოველი ლექსი ბუნების ფარულ მისტერიასთან პოეტის სულის თანაზიარობაზე მოგვითხრობს. თითქოს გრძნეულ მხატვარს მოუქარგავს პოეტის შინაგანი ქვეყანა მზისა, მთვარისა თუ ღამის მიერ ტყეში გაშლილ სხივებისა და ფერების გობელენის შესაბამისად.

მჭკნარი ფოთლები ბუმბულივით სცვივოდა ხეებს...
და მე ვფიქრობდი: ჩემი სულიც ტყეს შეედრება. (გვ. 106).

არა მარტო ბუნება, არამედ ფარშავანგის ბოლო თუ პეპელას ფრთებიც — მოლივლივე ფერების ეს მინიატურები — ა. აბაშელის სულიერი მოძრაობის მატერიალურ, ფერადოვან განსახიერებად ქცეულან. ყველაფერს ამ ფონზე ითვისებს პოეტი, საყვარელი არსების ხილვასაც კი:

ჰკავდა საღამოს შენი სახე გაფითრებული
მაგრამ იისფერ აბრეშუმის ხელთათმანებმა
შენი თითების სურნელება არ დამანება (გვ. 76)

ზოგჯერ ასეთი დაახლოვების დროს საგნობრივი პარალელიზმის საზღვრები სავსებით წაშლილია და სახეები რთული გადაჯვარედინების სისტემად ქცეულა:

ორი იისფერ ყურძნის მარცვალი
ან ორი ია რძეში მცურავი,
შავ წამწამებში დასაბურავი
ცისფერ ყვავილზე სხივ-მფინარ ცვარი.
შენს თვალებს გარდა სხვაგან არც არი
შორის ალერსით დასაწურავი,
ორი იისფერ ყურძნის მარცვალი
ან ორი ია რძეში მცურავი.

(ლექსი „იისფერი თვალები").

„გაბზარული სარკე" სკეპსის წიგნია. ამ კრებულის ზოგიერთ ლექსში სამყარო სიზმარეულ ცხადებად არის აღიარებული. გამოთქმულია იქვი საგნების რეალურ არსებობაზედაც კი. ლექსებში „ჩემი" და „მეგობარს" ავტორს ხი-

ლული ქვეყანა საკუთარი ჭვრეტისა და ათვისების სიმბოლოებად [illegible] ზმანებად მიაჩნია. სრულიად უნებლიედ ალ. აბაშელი აქ [illegible] სიმბოლიზმს ქადაგებდა, ხოლო ტაეპები —

> რა პატარაა დედამიწა: სულ მცირე ბაღი
>
> . . . . . .
>
> ყველა ფოთოლზე დასმულია სიკვდილის დაღი—

გარდუვალი, ფატალური კანონის შეგნებით გამოწვეულ შეძრწუნებას ამ-ხელდენ.

მაგრამ თვით ამ წიგნშიაც მკაფიოდ გაისმა სიხარულის ძიების სურვილი და ალ. აბაშელმა იქვე დაუსვა წერტილი თავის ადამიანურ სისუსტეს:

> მშვიდობით ჩემო მელანქოლია
> შენზე უტკბესი მეგობარი მე არ მყოლია
> („მეოცნების დღიური")

ხელახალი აღტაცების მოპოვებაზე ოცნება, ოცნება შეგნებული სიხარულისა, რომელიც გონებისა და გრძნობის ზეიმის გამოხატულება უნდა ყოფილიყო, მალე აუხდა პოეტს და იგი ახალი საქართველოს ტრუბადური გახდა. ალ. აბაშელის შეგნება განიმსჭვალა უსაზღვრო აღფრთოვანებით განახლებული სამშობლოს მიღწევების გამო. და როცა პოეტი თავისი ქვეყნის წყვდიადით მოცულ წარსულს იგონებს, ლექსს იწყებს მდორედ, წინასწარ არ ამ-ხელს შთაგონების ბედნიერ განათებას, საგნებს ნისლიან ლეჩაქში ხვევს და მხოლოდ შემდეგ, უ ც ბ ა დ, ახალი ქვეყნის მოგონებისას, მის ხმაურ ცეცხლ წაეკიდება და სტროფები ფოსფორიულად ინთებიან:

> მახსოვს: თანდათან შუქი შენელდა,
> ქვეყანას ნისლი გადაეფინა,
> ღამე ჩრდილების ქსელს აშენებდა
> თავი დავხარე და გულს ეწყინა.
> მაგრამ უ ე ც რ ა დ მთათა კედელთან
> ქუხილი ქუხილს გადაეზვინა,
> გროვა ისართა აუცდენელთა
> ელვის ღვართქაფად ცას დაედინა
> („ოქტომბრის ქუხილი").

პოეტური მონოლოგის შინაგანი მღელვარებით გადმოცემა ერთგვარ კანონად აქვს ქცეული ალ. აბაშელს. სიტყვებიც „უცებ" ან „უეცრად" ძალიან ხშირია მის ლექსიკონში, ადრინდელ ლექსებშიაც კი:

> უ ც ე ბ აყვავდა ცის კიდეზე ღამის ჭრილობა
> („ანთებული ხეივანი")
> რომ ეგ სიცილი ასე უ ც ე ბ არ მოსულიყო
> (იქვე, 70)
> უ ც ე ბ იცვალა ზეცამ ნიღაბი
> („გაბზარული სარკე", 77)

და მრავალი სხვა.

ყოველი ლირიკული ლექსი — სინათლის ჩქერი — ასეთი უეცარი და მოულოდნელი აღტაცების შედეგია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . . . . .
დიდი ხანია არ ანთებულა
ჩემში სინათლე, ცით გადმოსული
გული კვნესოდა მორიდებულად
ყოველდღიურის ზრუნვით მოცული.
და დღეს უ ე ცრ ა დ და უნებურად
ორსავე მხარზე დამკრა ნათელმა,
და ამატოკა კვლავინდებურად
ლექსების ელვამ და ერუანტელმა.
თეთრი ღრუბელი გაიხსნა თითქო
და ცის ლაჟვარდმა გააჭრო ბნელი,
მოვარდა ღვარად ციური ციმბო
და ელვარება მოულოდნელი.
(„მზე და სამშობლო“ 17—18)

მუდამ, როცა ალ. აბაშელი თავისი ქვეყნის აწმყოზე მღერის, მისი სტროფები იწყებენ როკვას, პოეტის ლირიკული პათოსი ამაღლებულია, ემოციური ნიაღვარი შმაგად აწყდება ლექსის სალტეებს. ამ სიხარულს და აღფრთოვანებას აბაშელში იწვევს ჩვენი ქვეყნის მშენებლობა, აქამდე უნახავი გმირობა მისი სამშობლოს მესვეურებისა. მელანქოლიური ტყეებისა და ტფილისის მისტიური ღამეების ნაცვლად პოეტის ლექსებში აელვარდენ ახალი საქართველოს ლანდშაფტები, ძვირფას ბაღნარად გარდაქმნილი კოლხიდის სანახები, ლავრენტი პავლეს ძე ბერიას მარჯვენით გამშვენიერებული დედაქალაქის სურათები:

სავსეა ქუჩა სხივით, ყვავილით
მზე არის გარეთ და მზეა შიგნით,
ელავს თბილისი ვეფხის ტყავივით
როგორც რუსთველის გაშლილი წიგნი
(„იანვრის მზე“)

ახალია თვითონ ალ. აბაშელის ავტოპორტრეტიც. საკუთარი სულის მწუხრიან პეიზაჟზე დამკვირვებელისა და ვიზიონერის ნაცვლად პოეტი მთელი ხმითაა ამღერებული. მის ბაღებს და ტყეებსაც უცვლიათ ფერი და ხმები. ალ. აბაშელი ჭაბუკური აღტაცებით მონაწილეობს სამშობლოს გაზაფხულის ფერხულში:

ნუშის კვირტები თვალებს ახელენ,
მზე არ ენახოთ თითქოს აროდეს,
თუნდ ერთი ჩიტი დამისახელეთ
აპრილის მოსვლა არ უხაროდეს;
მეც ხომ ამ ბაღის ერთი მწერი ვარ
ყვავილთა მტვერით შრთაშეგლესილი?
მე ჩემი ქვეყნის ცაზე ვწერივარ
შვიდსტრიქონიან ფერად ლექსივით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ შრიალა მწვანის მძებნელი,
მეც ხომ ამ ბაღის ერთი ჩიტი ვარ?
ყელში — გალობა დაულევნელი
ყვავილშემოსილ ტოტზე ვკიდივარ
(1938)

გულწრფელი აღტაცებისა და ოპტიმიზმის ჩანჩქერი სცემდა ალ. აბაშელის ახალ ლირიკაში, როცა ვერაგი მტრის ურდოებმა გადმოლახეს ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვარი. მაშინ პოეტის ხმამ უმალვე გავარვარებული ლითონის ჟღერა შეიძინა: განსაცვიფრებელი მძვინვარებით უგზავნის მტერს მრისხანე სტროფებს,—ზიზღისა, განუსაზღვრელი მძულვარებისა და ულმობელი შურისძიების გრძნობით ავსებულთ. ალ. აბაშელი პირველიხარისხოვანი პოეტი-მოაბჯარეა იმ დიდი არმიის რიგებში, რომელმაც ჩვენს ხალხს თავისუფლება შეუნარჩუნა და ამჟამად ევროპის ერებსაც ანთავისუფლებს. ალექსანდრე აბაშელი უბადლო მომღერალია იმ მხედართმთავრისა, რომელიც ისტორიამ კოლოსალურ მონუმენტად ამოზიდა — იოსებ ბესარიონის ძე სტალინის.

ყველასათვის კარგად ცნობილია ალ. აბაშელის ამ პერიოდის ლირიკა, იგი ბრწყინვალედ რაზმავდა ჩვენი ხალხის შეგნებას სანამულო ომის წლებში, ხოლო ჩვენს ვაჟკაცებს — მტრის შესამუსრად ფრონტზე. ეს საპატიო როლი პოეტი-ტრიბუნისა უნდა შეესრულებინა ალ. აბაშელს, რომელიც ჩვეულებრივი საუბრის დროსაც აინთება ხოლმე თავისივე სტროფებივით. ვუსურვოთ ძვირფას იუბილიარს: დიდხანს სცოცხლობდეს მასში ეს შინაგანი ცეცხლი და ენერგია! ვუნატროთ მისივე ნატვრა:

სცოცხლობდე — გქონდეს ქვეყნის ზიარად
სითბო, ალერსი, მზე და ყვავილი.
არ ჩაგრჩეს გულში სიტყვის იარა
სანამ ბოლომდე შენს გზას გაივლი
მუდამ აღმასვლის იყო მყივარი,
შველოდე მაღლა ვინც ვერ ავიდა,
გქონდეს საქვეყნო გულს სატკივარი
და სიხარულიც რასაც აიტან
სიმღერა ტკბილი, ხან ნაღვლით სავსე
გიმღეროს ჩუმად გულმა მისანმა
მოკვდე — დგგემხოს ლაჟვარდი თავზე
და ელვარებამ დაგწვას მზისამან. *

---

*) სიტყვა, წარმოთქმული პოეტის იუბილეზე 1944 წ. 23 ოქტომბერს რუსთაველის თეატრში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჟღენტი

ნიკო ლორთქიფანიძე

„ვაჟკაცი წლებს შეალევს დედ-მამას, წლებს სამშობლოს, მეცნიერებას, ხელოვნებას, წლებს ცოლშვილს... როცა სიცოცხლის დღენი მიეწურება... იგია გმირი, თუ დინჯის ნაბიჯით გულდამშვიდებული გასწევს სამარისაკენ. გზაზე მთრთოლვარე ხელით კიდევ ეცდება დარგოს ხე, რათა გამვლელმა ხილი იხილოს, ჩრდილი იჩრდილოს“,—ასე სწერდა ნიკო ლორთქიფანიძე ერთს თავის მინიატურაში. ამ სიტყვებით მწერალმა თავისი, როგორც ხელოვანისა და მოქალაქის, იშვიათად რაინდული მორალური სახე გამოხატა.

მრავალი წელი, მთელი სიცოცხლე უანგაროდ შეალია მან მშობელ ხალხს, სამშობლოს, სიტყვის მაღალ ხელოვნებას, და როდესაც ცხოვრების დღენი მიეწურა, განუკურნებელი სენისაგან ათრთოლებული ხელით მან ახალი ფურცლები შემატა თავის სახელოვან შემოქმედებითს ბიოგრაფიას, ახალი ნერგებით გაამდიდრა მარად მწვანე და ნაყოფდაუშრეტელი ბაღნარი შშობლიური ლიტერატურისა.

თავისი ცხოვრებიას მწუხრისას დასწერა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობა „ქედუხრელნი“, სადაც განასახიერა ჩვენი ისტორიის გმირული სული, ჩვენი ხალხის ქედუხრელობა, სამშობლოს სახელისა და ღირსებისათვის რაინდული თავდადების მაღალი გრძნობა. წმინდა სამამულო ომის მრისხანე დღეებში, ამ უმაგალითო საყოველთაო პატრიოტული აღფრთოვანებას ვითარებაში მწერალმა ამ ნაწარმოებით წრფელი და გულის სიღრმეში ჩამწვდომი ჰიმნი მიუძღვნა პატრიოტული თავგანწირულების იდეას.

მოთხრობა აგებულია ძველ ქართულ ლეგენდაზე, რომლის გმირიც დაუზარებლად დასთანხმდა ჩაკირულიყო ციხე-სიმაგრის კედელში, რათა თავისი ძვლებით განემტკიცებინა უცხოელ თავდამსხმელთაგან სამშობლოს დასაცავად აღმართული ციხის გალავანი. დაუვიწყარი ძალის სურათებში გვიჩვენა მწერალმა, თუ როგორის სიყვარულით, მადლიერებით და გულისტკივილით მიაცილებდა ხალხი თავის ღირსეულ შვილს ამ გმირულ გზაზე, ხოლო შემდეგ როგორ უკვდავჰყო იგი ხალხმა საუკუნეთა მანძილზე.

ადამიანის უკვდავების უპირველესი და ყველაზე საიმედო საწინდარი სამშობლოსათვის თავდადებაა. ამ აზრის მხატვრულად დასაბუთებას მოანდომა თავისი სასიცოცხლო და შემოქმედებითი ენერგიის უკანასკნელი მარაგი ნიკო ლორთქიფანიძემ.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში ნიკო ლორთქიფანიძემ გამოაქვეყნა მოთხრობა „ტ ყ ვ ე დ ყ ო ფ ი ლ ი ს დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა“. ჩვენი ხალხის საამაყო წარსულის მატეანედან არის აღებული ამ ნაწარმოების სიუჟეტი. მოთხრობის მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გვიჩვენოს, თუ როგორი გარდაუვალი სიყვარულით მოსავს ყოველთვის ხალხი თავისი სი-

ცოცხლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთ, თუ როგორის მშობლიური მზრუნველობით უხვდება და ეგებება ქვეყანა ბრძოლის ველიდან ვალმოხდილად დაბრუნებულ ვაჟკაცს, თუ როგორის ძლევამოსილებით აღადგენს ხალხის ერთსულოვნება ყველაფერს, რაც დაუცია და დაუნგრევია ომის სტიქიას.

ასე ცხოველმყოფელად ეხმაურებოდა თავისი საყიკვდილო სარეცელიდან ნიკო ლორთქიფანიძე იარაღასხმული საბჭოთა ხალხის უწმინდეს საბრძოლო გრძნობებს და მისწრაფებებს. ეს დამამშვენებელი ეპითეტია მწერლის შესანიშნავი პოეტური ბიოგრაფიისა. მისი შემოქმედებითი ცხოვრების ეს დასკვნითი აკორდი დიდხანს იყოლიებს ჩვენს მეხსიერებაში, როგორც სამშობლოს დიდებისა და უკვდავების წრფელი საგალობელი, მსგავსად იმ გულმხურვალე, ტანჯვით, იმედით და სასოებით აღსავსე ლოცვისა, რომელსაც ნიკო ლორთქიფანიძის ერთი ადრინდელი ნაწარმოების გმირი აღავლენდა იმ დროს დამონებული და უფლება-ახდილი ჩვენი სამშობლოს აღორძინებისათვის: „ღმერთო აღადგინე... ღმერთო მკვდრეთით აღადგინე, ღმერთო, ჯვარცმული აღადგინე ერი და მიეც ძალა და სიმხნე“.

*
* *

ჩვეულებრივ ნიკო ლორთქიფანიძის „დანგრეული ბუდეებისა“ და „გარდასულ ჟამთა“ მხატვარს უწოდებენ. მართლაც, მშობელი ქვეყნის დიდებული, თანაც მკაცრი და სუსხიანი წარსული მისი შთაგონების ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენდა. არა ერთს თავის საუკეთესო ნაწარმოებში დახატა ნიკო ლორთქიფანიძემ თავად-აზნაურული სამყაროს რღვევის სურათები, რომლებიც საერთოდ ძველი, ნიადაგგამოცლილი ცხოვრების წარმავლობის განსახიერებად აქვს გააზრებული მწერალს. მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძის თემებისა და იდეების სფერო სრულიადაც არ ყოფილა შემოფარგლული ძველი სამყაროს სახეებით და ფერებით. ის, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, ღვიძლი შვილი იყო თავისი ეპოქისა და ამასთანავე ორგანულად განმგრძობი და განმავითარებელი მშობლიური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა.

რეაქციის წლებში, რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების მომდევნო პერიოდში, თავისი სამწერლო მოღვაწეობის დაწყებითს საფეხურზე, მწერალი ზიზღითა და გულისწყრომით შესცქეროდა ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულ წყვდიადით მოცულ სინამდვილეს და ამ პროტესტს იგი თავისებურად გამოთქვამდა: „ტკბილია ძილი, უტკბესია გაქვავება ჟამსა საძრახსა და სახელის გატეხისას. არაფერი არ დავინახო, არ ვიგრძნო, — აი ჩემი ნეტარება. მაშ ნუ მაღვიძებ, წყნარად ილაპარაკე. მრცხვენია“. იმ სიტყვებში ცხოვრებისაგან გაქცევის, სინამდვილის წინაშე თვალის დახუჭვის მისწრაფებით გამსჭვალულ ამ აღსარებაში მკაფიოდ მოისმის თავისი ქვეყნის მონური ხვედრით აღშფოთებული ხელოვანის გულისტკივილი.

მაშინ, ახალი სოციალური აზვირთების მოლოდინისა და ნათელი მომავლისაკენ მისწრაფების ხანაში, ნიკო ლორთქიფანიძე თავისი ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებით შემდეგნაირად გამოხატავდა ამ საყოველთაო სახალ-

ხო მისწრაფებას: „კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ უცნობ კერპებს წინ ვდგევართ... ფარდები კართა უკვე ათრთოლდენ და გაშლილთა ... ვინახავთ ნანატრ ბედნიერებას, ან სამარადისო წყვდიადის მსხვერპლნი შევიქნებით“.

თავისი ქვეყნის უკიდურესი სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის ხანაში მწერალი მშობლიური ბუნების ყოველ გამოვლენასაც კი სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გამაღვივებელ მოწოდებად გვისახავდა:

„ჩემი ოთახის ფანჯრიდან სწორად მოსჩანს თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნაზი ქალწულისა: — მოუარეთ საქართველოს!

მთვარიან ღამეში, ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალსავით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ:

მოუარეთ საქართველოს!“

ეს მოწოდება მოისმის მშობლიური მდინარეების გალობა-სიმღერაშიც, შოთას აჩრდილის ბრძანებაშიც, კოკისპირული წვიმის ყოველი წვეთის გაუთავებელ გაბმულ ძახილშიაც. მთელი გარემოცვა გამსჭვალულია ამ განწყობილობით.

ნიკო ლორთქიფანიძეს აქვს პატარა ზომის ერთი ნაწარმოები „გული“. მისი გმირი—ქართველი ახალგაზრდა უცხოეთში გარდაიცვალა, სამშობლოსაგან დაშორებული, მშობლიურ ალერსსა და მზრუნველობას მოკლებული, გულასმკვლელ სიმარტოვესა და უპატრონობაში. პროფესორმა, რომელმაც ცხედარი გასჭრა, საკვირველება აღმოაჩინა: გარდაცვლილს გული აღარა ჰქონდა. „გულის მაგიერ ფერფლი ღა დარჩენილიყო“, და როდესაც შვილის დაკარგვით გამწარებული დედა ქვითინებდა: „სადაა შენი კარგი გული, ამდენი ვაით და უით რომ ჩაგიდგი საგულეში“, „კედლიდან პატარა რუქამ გასცა პასუხი:

— მე დავაჭკნე.

— მე დავწვი, — გახმაურდა სურათი მაგიდაზე.

სიტყვები არავის გაუგონია“.

მწერალი არ გაგვიმარტავს, მაგრამ ჩვენ ადვილად ვხვდებით, რომ ვაჟკაცის გულის დამაჭკნობელ პატარა რუქაზე მისი პატარა და მაშინ უბედური სამშობლო უნდა ყოფილიყო გამოსახული, ხოლო მისი გულის დამწველ სურათზე სატრფიალო ქალის სახება იქნებოდა აღბეჭდილი.

სამშობლოსა და სიყვარულის თემას დიდი ადგილი უჭირავს ნიკო ლორთქიფანიძის ადრინდელ ნაწარმოებებში, რომლებიც უპირველეს ყოვლისა ადამიანის სულიერი ცხოვრების უალრესად ინტიმურ და უკეთილშობილეს მხარეთა გადმოცემისაკენ არიან მიმართულნი.

„სულის დახატვა სხეულის დახატვას არ ჰგავს, სულის დახატვა უფრო ძნელია“, — ამბობს ნიკო ლორთქიფანიძის „სევდის სურათის“ გმირად გამოყვანილი მხატვარი. და თვით ამ ნაწარმოების ავტორსაც თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელს მანძილზე აწორედ ეს უძნელესი და ურთულესი ხელოვნება იზიდავდა — ხელოვნება ადამიანის სულის მხატვრობისა.

ადამიანის უკიდურესი მონობისა და ჩაგვრის ეპოქაში, მისი ყველა უწმინდესი და უწრფელესი მისწრაფის უხეშად გათელვის ხანაში ნიკო ლორთქიფანიძე, როგორც ჭეშმარიტი ჰუმანისტი მხატვარი, მღელვარე სიყვა-

რულით ხატავდა ადამიანის სულს, ერთგვარი რომანტიულ[illegible] მოსავდა მის ყველა სპეტაკსა და კანონიერ გრძნობას. [illegible]ნ-დებსა და რჩეულ ადამიანებს როდი არჩევდა თავის ქმნილებათა პერსონაჟებად. თანაბარის ყურადღებით და გულისხმიერებით ადმოგვიშლის მწერალი ბატარა ადამიანების, ჩვეულებრივი რიგითი ადამიანების სულიერი დრამის სურათებს და მათი მეშვეობით გვიჩვენებს ცხოვრების სიტკბოსა და სიმწარეს, გადმოგვცემს თავის თვალსაზრისს სიცოცხლის აზრზე, ადამიანურ ღირსებაზე, სიყვარულზე, სევდაზე, მხიარულებაზე, ყველაფერზე. რაც ავსებს და ამოძრავებს ცხოვრებას მის განუწყვეტელს მდინარებაში, მრავალფეროვნებაში, წინააღმდეგობებში.

აი სოფლის შარაგზაზე მთვარიან ღამეში მოდის ცხენებისა და ურმების ბატარა ქარავანი. დღეობიდან ბრუნდებიან. ურემზე მჯდომ სოფლელ გოგონას მოკრძალებით ეტრფიალება ვაჟი. როცა ურემი ჩრდილს მიუახლოვდება, ვაჟი მიიწევს გოგოსკენ:

„მეიწვიე აქეთ, ძლაბო!

— გაჩუმდი, დეიდა გეიგონებს.

ვაჟი თავისას არ იშლის.

— აბა, სიტყვა მომეცი, — მიუახლოვდა ისევ ბიჭი.

— რისი? — თითქოს არ იცისო, იცეცლუტა გოგომ.

— რომ არ მიმტყუნებ, ჩემს მეტს არ ინდომებ.

— ჯერ შენ მომეცი, არა, შემომფიცე.

— შენ თუ გიმტყუნო, დამექცეს ოჯახი, წმინდა გიორგის ლახვარი მომხვდეს.

— შენს მეტს თუ გავყვე, ღმერთი გამიწყრეს, დედა წამიწყდეს...

— აბა ნახვამდის. არ დაგავიწყდეს, — და ბიჭი გადუხვევს გზა-ბოძილში.

მთვარიანი ღამის ჩრდილში მზადდება დრამა.

ქალალდზე კი არ დაიბეჭდება, მსახიობები კი არ წარმოადგენენ — ცხოვრების ჭრელ დაფაზე შეეტაკებიან ხასიათები: იქნება ბრძოლა ნებათა, სურვილთა, ძალთა და უფლებათა. დამარცხებული ველარ იხარებს მთვარიან ღამის ჩრდილში“.

და ასეთივე დრამა ხასიათთა, სურვილთა და ნებათა შეჯახებისა არის ასახული ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურების ციკლში: „ხელოვანთა ყავახანა“, სადაც მოქმედებენ არა გულუბრყვილოდ შეყვარებული სოფლელი გოგო-ბიჭები, არამედ ერთის მხრივ რთული და გამძაფრებული გრძნობებითა და წარმოდგენებით დატვირთული, ბოჰემის ფსკერზე დაქანებული ინტელიგენტი, ხოლო მეორეს მხრივ ბედით განებივრებული ახალგაზრდა არისტოკრატი ქალი, რომელთა შორის აღმოცენებული რომანიული ურთიერთობის სარბიელს წარმოადგენს არა ურემი და სოფლის შარაგზა, არამედ „ავტომობილის გიჟური სრბოლა და ოპერის ლოჟა“.

ნიკო ლორთქიფანიძე არასოდეს არ ყოფილა ინდიფერენტულად განწყობილი თავისი დროის მძაფრი სოციალური პრობლემებისადმი. რეაქციის წლებში, როდესაც დროებით გამარჯვებული თეითმპყრობელობა ციხეებით, გადასახლებით და ბორკილებით უსწორებდა ანგარიშს თავისი სოციალური და ეროვნული უფლებებისათვის ახმედრებულ ხალხის შვილებს, როცა მოზეიმე რეაქცია სცდილობდა მთელი ცხოვრება საპყრობილედ გადაექცია, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრულ პროზაში მკვეთრ გამოხატულებას

ბოულობდა ეს ულის შემხუთველი ატმოსფერო საპყრობილედქცეული ცხოვრებისა, სადაც „სიმღერაც აკრძალულია, აქ უსიტყვოდ უნდა [illegible] რაც დაგემართება, გულში უნდა ჩაიმარხო, ადამიანური თვისება — ბოლის, დარდის გამოთქმა უნდა დაივიწყო". ადამიანისთვის არ უკმარებიათ, რომ იგი ბოლმითა და დარდით არის მოცული, მისთვის ამ ბოლმის გამოთქმაც უფლებაც წაურთმევიათ. ასეთი მძაფრი მამხილებელი ფერადებით ხატავდა ნიკო ლორთქიფანიძე მაშინ სოციალური გარემოცვის სურათს.

ბურჟუაზიულ-მეშამულური წყობილების სისასტიკისა და უკუღმართობის შემაზრზენი სურათი დაგვიხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ნოველაში „ტრაგედია უგმიროდ".

უზომოდ დამშეულმა მამამ, რომელიც დამშეული ბავშვების ტანჯვას გაექცა თავის ღარიბულ ქოხიდან და დიდხანს გარეტიანებული უგზოუკვლოდ დაეხეტებოდა, სადღაც ნახევარი ჯამი სიმინდის ფქვილი იშოვნა.

— მამა, ფქვილი მოიტანე? — ახრიალდნენ ბავშვები.

— გვაქმევ?

— კი. შვილო, კი, ბიჭო, — ეუბნებოდა ხან ერთსა და ხან მეორეს".

მაგრამ როდესაც ჭადი გამოცხვა, შიმშილის სტიქიით შეპყრობილ მამას თითქოს გადაავიწყდა მშიერი ბავშვების ტანჯვა:

„ჭადის სუნმა მამა აიტაცა. კეცადან ჭადი აიღო, გასაგრილებლად დაბერა და გასასინჯად ლუკმა პირში ჩაიდვა — მთელ სხეულს განუზომელი მადა აღეძრა... მეორე ლუკმა... სწვავდა ენას და მაინც სჭამდა.

ბავშვები შემოვარდნენ.

— მომეცი, მამა.

— მეც.

— გადით, თქვე გასაწყვეტლებო!

— მამა, მამა!

— მამა, ერთი ლუკმა!"

მაგრამ მამას, შიმშილისაგან მხეცად ქცეულ მამას აღარ ესმოდა შვილების საცოდავი ვედრება. მან მთლიანად შესჭამა მჭადი და შემდეგ, როდესაც შიმშილის ბურანისაგან გამოფხიზლდა, იგი შეეზარა თავისმა საქცელმა.

— „მე შევჭამე... ბავშვებს არაფერი ვაჭამე... ღმერთო, რა მომივიდა!" ამბობს თავზარდაცემული მამა. იგი სირცხვილით, სინიდისის ქენჯნით და შიშით შეპყრობილი უახლოვდება ღონემიხდილ და ხისქვეშ მიყრილ მძინარე ბავშვებს.

„უმცროსს გამოეღვიძა, გაუკვირდა, ჩააჩერდა მამას.

— მამა, — წყნარად დაიწყო ბავშვმა

— რა, შვილო? — ნაზად უპასუხა.

— მთლად შეჭამე?

— !!

— მამა, ცოტა იქნებ დაგრჩა, მომეცი... მუცელი მტკივა. არ გავამხელ... მამას ზლუქუნი წასკდა.

პატარა ბავშვსაც გაეღვიძა „მშია" — „მშიას". ძახილით. მამა წამოიჭრა, ეზო გადაირბინა, ვენახში მოხვდა. გაბმული ცხვარი სძოვდა. ახსნა. გავიდა ხეზე. დაჯდა. ბაწარი ტოტს მაგრა მიაბა. მარყუჟი გამოსკვნა მეორე ბოლოში, გასინჯა — კისერზე თუ მომიჭერსო და..."

განა შეიძლება ამაზე მძაფრად და შემაზრზენად დახატვა შიმშილისა და სიღატაკისაგან გატეხილი ადამიანის ტანჯვისა, მისი სულიერი ტანჯვისა.

ეს რამდენიმე მაგალითი ნიკო ლორთქიფანიძეს ადრინდელ ძეხიატურებიდან, ნოველებიდან, ლეგენდებიდან წარმოდგენას გვაძლევენ მისი შემოქმედების ფართო თემატიური დიაპაზონის შესახებ და ნათლად გვიჩვენებენ, რომ მან მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ღირსეულად გააგრძო ქართული კლასიკური მწერლობის დიდი პატრიოტული და ჰუმანისტური ტრადიცია, ტრადიცია ხალხის წყლულთა გამოხატვისა მწერლობაში, ეპოქის პროგრესიული იდეების მხატვრულად განსახიერებისა, სინამდვილის ჩრდილოვან მხარეთა დაუზოგავად მხილებისა.

ეს ტრადიცია, რომელიც განუწყვეტლივ მოსდევს ქართული მხატვრული პროზის განვითარების მთელს გზას მისი უძველეხი ოსტატებიდან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდ მწერლებამდე, ნიკო ლორთქიფანიძეს გადმოეცა თავისი სამი უშუალო წინამორბედის თუ, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, უფროსი თანამედროვის მეშვეობით. ჩვენ მხედველობაში გვყავს მე-19 საუკუნის მიწურულისა და ჩვენი საუკუნის დამდეგის სამი შესანიშნავი ბელეტრისტი, რომელთაც თავიანთ შემოქმედებით დააგვარგვინეს ქართული კლასიკური რეალიზმის ევოლუცია და გახსნეს პერსპექტივა უახლესი ხანის ქართული მხატვრული პროზის აღმოცენებისა. ესენი არიან დავით კლდიაშვილი, ვასილ ბარნოვი და შიო არაგვისპირელი.

დავით კლდიაშვილთან ნიკო ლორთქიფანიძეს ანათესავებს „დანგრეული ბუდეების“ თემატიკა, ფეოდალური სამყაროს რღვევისა და დაკნინების მოტივები. ვასილ ბარნოვს ნიკო ლორთქიფანიძე უახლოვდება ჩვენი ხალხის წარსულისადმი, ჩვენი საამაყო ისტორიისადმი შეუნელებელი შემოქმედებითი ინტერესით და ყურადღებით. ხოლო შიო არაგვისპირელის ფსიქოლოგიურ ეტიუდებში მის მიერ მღელვარე პროტესტის გრძნობით დახატულ სურათებში სოფლური თუ ქალაქური ცხოვრების სიდუხჭირისა ჩვენ ამკარად ვხედავთ განწყობილებათა და ფერების ერთგვარ მსგავსებას ნიკო ლორთქიფანიძის იმ ნაწარმოებებთან, რომლებშიც მწერალმა თავისი სოციალური მრწამსი გამოავლინა.

ეს ანალოგიები იმას მეტყველებენ, რომ ნიკო ლორთქიფანიძე ღრმა ფესვებით არის დაკავშირებული მშობლიური ლიტერატურის მადლიან ნიადაგთან, რის გამოც იგი ვერ გაიყოლია დასავლეთის დეკადენტური სკოლებისადმი ეპიგონობის ცდუნებამ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სწორეთ ევროპის მოდერნისტული მხატვრული კულტურის მძლავრი ზემოქმედების ვითარებაში იზრდებოდა და გამოსულა სამწერლო სარბიელზედაც ლიტერატურული დეკადანსის ხანაში მოუხდა.

ნიკო ლორთქიფანიძე არა ყოფილა ვისიმე მოწაფე და მიმბაძველი. მან, მშობლიური ლიტერატურის წმინდა ტრადიციათა ერთგულმა მემკვიდრემ, საკუთარი თვალით შეხედა სამყაროს, მოვლენებისა და საგნებისადმი საკუთარი დამოკიდებულება განასახიერა თავის საუკეთესო ქმნილებებში და გამოიმუშავა თხრობისა და ხატვის თავისებური, მკაფიოდ ინდივიდუალური მანერა. იგი, როგორც ყოველი ჭეშმარიტი ხელოვანი, მხატვრული მეტყველების ნოვატორად გვევლინება, რომელმაც ახალი, საკუთარი სიტყვა სთქვა ჩვენს ლიტერატურაში, ამით წინ დასძრა მისი განვითარება და თავისი გარკვეული, ფრიად საპატიო ადგილი დაიმკვიდრა მის ისტორიაში.

საკმარისია შევადაროთ ნიკო ლორთქიფანიძე სამს ზემოთდასახელებულ ბელეტრისტს, რომლებიც ყველაზე ახლოს დგანან მასთან ქრონოლოგიურადაც და თემატიურადაც. ეს შედარება ერთბაშად გვიჩვენებს ნიკო ლორთქიფანიძეს, როგორც საკუთარი შემოქმედებითი გზის, დამოუკიდებელი მხატვრული კონცეპციის მწერალს.

თუ დავით კლდიაშვილმა თავისი განუმეორებელი ძალის ბელეტრისტულ ქმნილებებში ფეოდალური სამყაროს მწუხრი მხოლოდ დაკნინებულ აზნაურთა ცხოვრების ასახვით გამოხატა, ნიკო ლორთქიფანიძემ იმავე პროცესის გადმომცემ სურათებში გვიჩვენა ამ სასიკვდილოდ განწირული სამყაროს წარსული დიდებაც, გარდასული ელვარებაც. ეს გარემოება, ეს კონტრასტული მანერა მეტს შინაგან დაძაბულობას, უშუალო დრამატიზმს ჰბადებს ამ სურათებში.

თუ ვასილ ბარნოვი ისტორიულ დოკუმენტებში პოულობდა სიუჟეტებსა და მთავარ პერსონაჟებს თავისი ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებისათვის, თუ მის ისტორიულ რომანებში ყოველთვის მოქმედებენ ისტორიული პიროვნებანი და სიუჟეტის საფუძვლადაც ისტორიულად ცნობილი სიტუაციებია აღებული, ნიკო ლორთქიფანიძე სულ სხვა გზით მიდის: ქართველი ხალხის წარსულის ამსახველ თავის თხზულებებში იგი არაფოდეს არ მიმართავს ისტორიულ ფაქტოლოგიას და არ გვიხატავს კონკრეტულ ისტორიულ გმირთა ცხოვრებას. მას პირველყოვლისა აღებული ეპოქის სული, მისი შინაარსი, მისი ხასიათი აინტერესებს და ყოველსავე ამას მუდამ შეთხზული პერსონაჟებისა და „გამოგონილი" სიტუაციების მეშვეობით გადმოგვცემს. ეს გარემოება მან ხაზგასმულად აღნიშნა, როცა თავის „მრისხანე ბატონს" „არა ისტორიული ამბავი" უწოდა.

ასეთი მეთოდი გასაქანს აძლევს მწერალს ფართო ისტორიული განზოგადოების მისაღწევად, წარსულის მოვლენების დასანახავად თანამედროვე ადამიანის თვალით, დისტანციის გრძნობით, კრიტიკული ასპექტით.

თუ შიო არაგვისპირელი განზრახ ამუქებს საღებავებს და ჰკუმშავს ატმოსფეროს, რათა მეტი სიმძაფრით გვაგრძნობინოს ნაწარმოების მამოძრავებელი აზრი, იდეა, ნიკო ლორთქიფანიძე ისწრაფვის ნახატის მეტი სიმართლისა და ბუნებრივობისაკენ. იგი არ არის ხაზგასმულად გამოვლენილი ტენდენციის მხატვარი, იგი უმრავლეს შემთხვევაში სურათისა თუ თხრობის სიღრმეში აქცევს ნაწარმოების მორალს, ხშირად ქვეტექსტიდან გველაპარაკება იმის შესახებ, რის თქმაც და დასაბუთებაც უნდოდა მოცემული თხზულებით.

ნიკო ლორთქიფანიძე არ არის საჭირბოროტო თემების, ვიწროდ გაგებული „სადღეისო აქტუალობის" მწერალი. იგი შორსა სდგას შემოქმედებითი მონაფიქრის გადმოცემის პუბლიცისტური მანერისაგან.

მხატვრული სიმართლე წარმოადგენს მისი შემოქმედებითი ცხოვრების უმაღლეს კანონს. მაგრამ იგი არასოდეს არ მისულა თვითმიზნური ესტეტიზმის საშიშროებამდე. ამ მხრივ ის ყოველთვის გამოირჩეოდა იმ დეკადენტურ-მოდერნისტულ გარემოცვისაგან, რომელშიაც მას დიდხანს უხდებოდა ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

იგი სწერს ნათელი და წრფელი საღებავებით. მისი მხატვრული სტილი თავისუფალია ყოველგვარ მანერულობისაგან, ხელოვნურ გართულებისაგან, ბუნდოვანებისაგან.

ხელოვნების მოდერნისტულ სკოლათა ზემოქმედება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში აღინიშნა ფორმისადმი გამძაფრებული ყურადღებით. იგი იუვენალირის გულმოდგინებით ძერწავს სახეებს და ხვეწს ფრაზას. ხანდაზმული პოეტური გზნებით მუშაობს სიტყვაზე. მაგრამ იგი აღწევს ისეთი მაღალი მხატვრული სისადავის დონეს, სადაც ფორმის სტიქია თითქოს შთანთქმულია ნაწარმოებში განსახიერებული აზრისა და განწყობილების მიერ, სადაც სტილი შეუიარაღებელი თვალისათვის საკვებით გაუჩინარებულია, — სტილი, რომელიც იმდენად მაღალია, რომ თითქოს აღარც-კი იგრძნობა.

ზომიერების გრძნობა, მხატვრული ტაქტი, უტყუარი გემოვნება თითქო თანდაყოლილ თვისებებს შეადგენენ ნიკო ლორთქიფანიძისას. მას აქვს კომპოზიციის იშვიათი ალღო, ფერების განაწილებისა და შეხამების ნამდვილი ოსტატობა. ღრმა შინაგანი ხიმშვიდე ახასიათებს მის მიერ დახატულ ყოველ სურათს, მის მიერ მოთხრობილ ყოველ ეპიზოდს. ხშირად იგი გვაღელვებს სწორედ ამ საოცრად თავდაპერილი და დამშვიდებული თხრობის მანერით.

და, რაც მთავარია, ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული სტილის თავისებურების გათვალისწინებისათვის უნდა გავიხსენოთ მისი უაღრესი ლაკონიზმი, მხატვრულ საშუალებათა შეგნებული აიძუნწე და სიზუსტე. მას არ დაუტოვებია ჩვენთვის რომანები, ფართო პლანის ეპიური თხზულებები, — ფართო მხატვრული ტილოები. მინიატურებში, ნოველებში და მოთხრობებში გამოხატა ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი თემებისა და იდეების უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი სამყარო. ამ ჟანრების მოცულობრივს განსაზღვრულებას ხელი არ შეუშლია მწერლისათვის გაეცოცხლებინა და მთელის სისავსით წარმოედგინა მათში მომქმედ პირთა ადამიანური ხასიათები, გადაეშალა ჩვენს თვალწინ თავის გმირთა ცხოვრების ხშირად მთელი ისტორია, მოეცა აღებული ეპოქის შინაარსის ამსახველი მეტყველი პანორამა.

მაგალითისათვის ავიღოთ მისი „თავსაფრიანი დედაკაცი“ — ეს ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი ნიკო ლორთქიფანიძისა და საერთოდ მთელი თანამედროვე ქართული მხატვრული პროზისა.

შვიდი გვერდის მანძილზე ამ მოთხრობაში მწერალმა დაგვიხატა ისეთი მკაფიო და ცოცხალი სახე ნაწარმოების გმირისა, თავსაფრიანი დედაკაცისა, ისეთი მკვეთრად გაპირატული ხასიათი, როგორსაც იშვიათად თუ შეგხვდებით მთელს ქართულს ლიტერატურაში. ხასიათის დასრულებული გამოხატვისა და მისი დიდი განზოგადებითი ძალის მხრივ ის სახე თამამად შეგვიძლია გვერდში ამოვუყენოთ ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივს, ქართული რეალისტური მწერლობის ამ უჭკნობ მშვენებასა და სიამაყეს.

ჩვენს თვალწინ გაივლის ღრმა დრამატიზმით გამსჭვალული, დიდი სიხარულით და მწუხარებით აღსავსე მთელი ისტორია გმირის ცხოვრებისა, იმ დღიდან, როდესაც იგი, ახალგაზრდა ქალი, პირველად დაანახვეს შორიდან მაჭანკლებმა თავისი ცხოვრების მომავალ თანამგზავრს, იმ წუთამდე, როდესაც იგი დიდი ქალაქის ერთ-ერთი მივარდნილი ქუჩის ჩიხში მკვდარი იპოვეს მილიციელებმა.

და ეს ვრცელი და ამაღელვებელი გზა ადამიანის ცხოვრებისა აქ გადმოცემულია არა სქემისა და კონსპექტის სახით, არამედ ჭეშმარიტი მხატვ-

რული განსახიერების გზით: კოლორიტულად დახატულ ყოფაცხოვრებითი სურათების მეშვეობით, დეტალებისა, ნიუანსების დაცვით, [illegible] ლიერი ცხოვრების სიღრმეში ჩაწვდომით. ჩვენ ვხედავთ ხელოვანს [illegible] ცხოვლად დახატულ სცენებს ძველი იმერეთის ყოფისათვის დამახასიათებელი მაჭანკლობისა, გამზითვებისა, ქორწინებისა. ყველაფერი ამ სურათში განათებულია გლეხური, ღარიბული, მაგრამ კეთილშობილური, უანგარო და სიცოცხლის წყურვილის, სიცოცხლის მოყვარეობის სხივით. შემდეგ, ხელსახებად, საოცარი პლასტიური სიცხადით გვიჩვენებს მწერალი გამრჯე და მშრომელი ახალგაზრდა ცოლ-ქმარის მხნეობით ფეხზე დაყენებული ოჯახის ბარაქიანსა და მადლიან ყოველდღიურ ცხოვრებას. მერე — ქმრის ავადმყოფობა, მისი გარდაცვალება, გამოტირილი და ქვრივად დარჩენილი დედაკაცის მწარე და გაუხარელი ხვედრი. აქ მწერალი კალმის ერთი მოსმით გვიხატავს ქართველი ქვრივი დედაკაცის ისეთ დამახასიათებელ სახეს, სადაც ორგანულად ერთმანეთს ავსებენ მისი გარეგნული პორტრეტი და მის სულიერ ღირსებათა გადმომცემი შტრიხები:

„ქართველი ქვრივი დედაკაცი თავსაფრიდან წულებამდის... წინდაც კი შავი... თუ გამოჩნდა, მეტისმეტად ლილიან წყალში გავლებული საცვალი.

თეთრი შუბლი,
შავი მაყვალივით თვალები,
მზეზე გაშავებული ლოყები,
მოქნილი ცხვირი,
სისხლისფერი ტუჩები,
თეთრი, გრძელთითებიანი ხელები. ეტყობა, ბევრს ვეღარ სიქმიანობს — იმატა ობლების მტერმა, იკლო მოყვარემ და იგი დადის

პოლიციაში,
სასამართლოში,
სასწავლებელში,
მეზობელთან,
მამასახლისთან,
თავდაბალი
საჩივარით,
მუდარით,
ისე, რომ ვერ აჩერებს კედელი,
მარკა,
სიშორე, —
გადაიფრენს, იშოვის, გადივლის, გასცურავს, მიიფრენს,
თავისას კი მიაღწევს:
ბავშვებს სამართალს მოუნახავს, დახმარებას გამოითხოვს.
მაგრამ ოჯახს არ უმტყუნებს,
კერიას არ გააცივებს.
ბევრი ეარშიყებოდა... შორიდან.
მაჭანკლებიც მიუგზავნეს —
„როგორ უმტყუნო ობლებსო“.

ასე ძუნწი, მაგრამ ღრმად ეფექტიური საშუალებებით წარმოგვიდგენს მწერალი თავისი გმირის მთელს ბუნებას, მის გარეგან შესახედაობას, მის შინაგან, სულიერ სიმხნევეს და კეთილშობილებას, მის მაღალ მორალურ

ღირსებას. როგორი მხურვალე და მოყვარული გული სძგერს ამ ტანჯული ადამიანის მკერდში! იგი ღრმად განიცდის, მაგრამ არავის [illegible] ებს თავისი გულის ტკივილს. მას აქვს რაღაც თავისებური სიამაყე საკუთარი უბედურებისა და მწუხარებისა. ამიტომაც ყოველთვის განმარტოებული, სხვებისაგან ნამალევად, თითქოს ქურდულად დასტირის თავის უდროოდ დაკარგულ ქმარს. აი როგორ არის გადმოცემული თავსაფრიანი დედაკაცის ეს ჩვეულება მოთხრობის ერთ-ერთ ეპიზოდში:

„შავად მოსილმა ქალმა უკან კარებში გამოიტანა ნაბადი, ეზოს მივარდნილ ცარებში, ჩემს მახლობლად, ბოსტანში, გაშალა და ფეხშიშველა, თმაგაშვებულმა დაიწყო ტირილი... მოთქმა.

წრფელათ, გულამომჯდარი ისეთ ნაზ სიტყვებს, ასეთის მშვენიერის ხმით ამბობდა, რომ მესრის გადმოღმა მე ავტირდი, ტირილი ზლუქუნად გადამექცა... უეცრად მე შემრცხვა... ქალი კი საჩქაროდ ადგა და თავის ნაბდიანად სახლში მიიმალა“...

ვაი-ვაგლახით და ტანჯვა-წამებით დაზარდა ქვრივმა დედაკაცმა თავისი ობლები. გზაზე დააყენა ყოველი მათგანი. მოესწრო შვილიშვილებსაც. მშობლიური მზრუნველობით და დაუღალავად დასტრიალებს თავს და დაჰხარის მათ უზომოდ მოყვარული ბებია. მაგრამ ასევე უზომოდ ამაყი და მედიდური სული ცხოვრობს ამ მრავალტანჯული ადამიანის ბუნებაში. ერთმა უმადურმა რძალმა ოდნავად შელახა, შებღალა მისი თავმოყვარეობა და ეს საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ თავსაფრიან დედაკაცს გადაეწყვიტა:

„აღარავისთვის ვარ საჭირო, სრულიად არავისთვის: ვარ სრულიად ზედმეტი, — დიდი ხანია ჩემ კაცთან უნდა წავსულიყავი...

და გაიხადა, მოიხსნა, მოაგროვა ერთად, ზანდუკში ჩაალაგა ყოველივე ხელსაფები, ფასიანი, გამოსადეგი და კონკებში გახვეული, თითქმის საცვლების ამარა ჩუმად გამოვიდა ნაპირნახულევ ქოხიდან.

თითქოს შემთხვევით ჩაუარა ქმრის საფლავს. დადგანს არ შეჩერებულა, ერთი კი მიუჯდა, ხელი გადაუსვა ბალახში მიმალულ ქვას და მკაცრად უთხრა: — „ჰო, მოვალ, მოვალ, მოვალ, ჩემო ფილიპე“.

ასე თავგანწირულად და უეზო-უკვლოდ წასულ დედაკაცს არ დავიწყნია ზრუნვა ძმისთვის, რომ მის გადაკარგვას ჩრდილი არ მიეყენებინა შვილების ღირსებისათვის, სახელი არ გაეტეხა მათთვის, ხალხში არ შეერცხვინა ისინი და თავის სიცოცხლეში პირველად იცრუა მან: შვილებისათვის გაგზავნილს თავის ნაკარნახევსა და სხვისი ხელით დაწერილ წერილში იგი ამბობდა:

„საყვარელო შვილებო, ნუ მიწყენთ, სალოცავად წავედი. ნუ მეძებთ... შვილიშვილები დამიკოცნეთ. ჩემზე ნუ სწუხართ. მშვიდობით სამუდამოდ“.

როგორ ცხოველად და როგორის სიმრუელით არის დანახული და გადმოცემული მწერლის მიერ თავისი გმირის სულიერი სამყარო. როგორ მკაფიოდ გამოხატა ნიკო ლორთქიფანიძემ ამ პატარა ადამიანის სახეში თავისი მშობელი ხალხის მრავალი უმაღლესი და უწმინდესი ღირსება. სხვა მწერალს შეეძლო მრავალტომიანი რომანი მიეძღვნა ამ თემისათვის.

ნიკო ლორთქიფანიძემ ეს მასალა შვიდგვერდიან მოთხრობაში მოათავსა. ეს მწერლის მხატვრული პოზიციის, მისი სტილის საკითხია.

ჩვენ დაწვრილებით შევჩერდით ამ ნაწარმოებზე. ყოველ მწერალს ქმნილ პოვება ერთი ისეთი ქმნილება, სადაც მეტის სიცხადით არის გამოვლინილი ავტორის მხატვრული ინდივიდუალობა. „თავსაფრიანი დედაკაცი“ ნიკო ლორთქიფანიძის ამგვარი ნაწარმოებია.

რევოლუციამდელი ქართული სოფლის დუხჭირი ცხოვრების მეტყველი სურათი მოგვცა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობაში „კერიასათვის“. ლარიბი გლეხი ბიჭის მინაიას ცხოვრების ისტორია აქ მოთხრობილია იმგვარად, რომ ამ ერთი ადამიანის თავგადასავალში მთელი სოციალური გარემო, ხალხის ცხოვრების, სინამდვილის მთელი ატმოსფეროა ასახული.

არა მარტო აქ დახატული გლეხური ყოფის სურათები, არა მარტო ამ ნაწარმოების სიუჟეტის საფუძვლად აღებული ადამიანური ურთიერთობა გვიჩვენებს ირგვლივ გამეფებულ სიბნელესა და სიღატაკეს, არამედ თვით ბუნების სურათებიც, პეიზაჟებიც ამ სიდუხჭირის მომასწავებელი განწყობილებით არის გამაჟღალული.

ეი როგორ გვიხატავს მწერალი თავის ნაწარმოებში დატრიალებული დრამის სარბიელს, მოქმედების ფონს, პატარა ღატაკ იმერულ სოფელს:

„ხრიოკი, მოწითალო, თიხნარევი სერები... გვიმრა გაყვითლებული... გადაჭრილი, გადაჩეხილი ბუჩქნარი... ფუღურო ბეღლის ხეები... დაჭლექებული, უფოთლო მრავალშტოებიანი მუხა... ღორი ჩიჩქნის ამ უნაყოფო მიწას... ფერდებიალეწილ ვირს ყურები მწუხარედ ჩამოუშვია. გაბურძგვნილი, გამხდარი ძროხა ცდილობს მოიბალახოს... მუწუკებით სავსე მოზუზნული ბავშვი, თითქმის ტიტველი ტირის და ფეხის გულში შენაჯსობ ეკალს ეძებს... მუნიანი ძაღლი ხარბად უყურებს ბავშვის კალთაში ჩამალულ ქადის ნატეხს. ფერდობს ზევით ისლით დახურული ქოხი მოსჩანს. გადახრილია სიბერისაგან, უხმოდ იხვეწება — გამასვენეთო... ბურულიდან ამოდგს კვამლი, ნაზი, თხელი... თითქოს საკმეველია ცაში გაგზავნილი სათხოვნად — ბგშია და გაგვაძღეო...“

ყველაფერი აქ უმწეობის, დაძაბუნებისა და სიღატაკის დაღით არის აღბეჭდილი. ფერადებისა და მოტივების ამ უწესრიგო, თითქოს ქაოტიურ განლაგებაში ამკარად გამოხატულია ხატვის ის იმპრესიონისტული მანერა, რომელიც ხშირად ახასიათებს ნიკო ლორთქიფანიძეს. იგი თითქოს ისწრაფვის შთაბეჭდილების მეშვეობით განგვაცდევინოს გარემოცვის სურათი. მაგრამ როგორ ცხადად, ცხოველად და მძაფრად ისახება ეს სურათი ჩვენს ცნობიერებაში.

ამგვარად წარმოსახულ ფონზე მოქმედებენ მოთხრობის გმირები. ამბავი იწყება სოფლური ცხოვრების ჩვეულებრივი ყოფითი სცენით. ძმებმა გაიყვეს ღარიბი გლეხური მეურნეობა. თითოეული მათგანი ბევრად უფრო ღატაკი ტარჩა ამ აუცილებელი გაყოფის შედეგად. უმცროსმა ძმამ მინაიამ გადასწყვიტა, წავიდეს სამუშაოს საძებრად, ზედის საძიებლად. დაიწყება მისი მოგზაურობის, მშობელ ბუდიდან მოწყვეტილი ადამიანის ცხოვრების თავგადასავალი, ალსავსე მრავალი, გაცრუებული იმედით, სწრაფწარმავალი, წუთიერი ბედნიერებით, გამუდმებული ტანჯვით და მწუხარებით. არა ერთხელ თითქოს ფეხი მოიმაგრა მინაიამ, თითქოს წელში გაიმართა. დაუბრუნდა მშობლიურ კერას, დასახლდა, დაოჯახდა. მაგრამ ცხოვრების გააფთრებულმა ტალღამ, ხან ყოფითი გარემოცვის უკეთესობამ, ხან კანონის უსამართლობამ და უხეშობამ, ხან კიდევ ცხოვრების

გზაზე შეხვედრილ ადამიანთა გაუტანლობამ და მაცდურობამ ისევ და ისევ შორს გადასტყორცნა იგი საკუთარ კერიასაგან და ბოლოს, [illegible] გურა კიდეც იგი, გააცამტვერა მისი კერა.

ადამიანი თავგამოდებით ებღაუჭება თავის დარიბულ კერას. იგი იბრძვის კერიასთვის. მაგრამ ცხოვრების სისასტიკე უწყალოდ ერეკება მას, უნგრევს მშობლიურ ბუდეს, უმზადებს მას ყველა იმედისა და ოცნების, ყველა მისწრაფების კატასტროფას. ეს აზრია განსახიერებული დასახელებულ მოთხრობაში. ამ ნაწარმოებით ნიკო ლორთქიფანიძემ თავისებური ხარკი მისცა მე-19 საუკუნის მიწურულისა და მე-20 საუკუნის დამდეგის ქართული მწერლობის ჰუმანისტურსა და მამხილებელ ტრადიციას, რაც გამოიხატებოდა სინამდვილის წარმოსახვაში მხოლოდ ჩრდილოვანი, ბნელი ფერადებით, უპერსპექტივოდ, ხსნისა და გამოსავლის გაუთვალისწინებლად.

უფრო მეტი განწირულების განცდით არის გამსჭვალული ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „დანგრეული ბუდეები", სადაც უკვე თავადაზნაურული ცხოვრების რღვევისა და დაკნინების ღრმა დრამატიზმით აღბეჭდილი სურათია წარმოდგენილი.

უფრო სწორად რომ ვთქვათ, ეს მოთხრობა კი არა, მინიატიურების ან მცირე ნოველების ციკლია. ფეოდალური არისტოკრატიის უკანასკნელნი ნაშიერნი, ბუდედანგრეული, დასაღუპავად განწირული ადამიანები შეადგენენ ამ ნაწარმოების პერსონაჟებს. მათი ხვედრი მკაფიოდ გამოხატა მწერალმა ამ პატარა ნაწარმოების პროლოგში აღწერილი ნაგვიანევი, შემორჩენილი მერცხლების ანალოგიით.

„პატარა მერცხლები ეპოტინებოდნენ ნაბუდარს, ვერ იკიდებდნენ ფეხს, აჯდებოდნენ აივანზე გაბმულ ბაწარს, თრთოდენ სიცივისაგან, ვარდებოდნენ იატაკზე, ერთმანეთს ეხუტებოდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ.

გავალე ოთახის ფანჯრები, რომ იქ მოეთბოთ თავი, მაგრამ ამაოდ... ისინი როგორღაც ჟღურტულობდენ, რაც მე კვნესად მეჩვენებოდა, და ყოველ მათ ჟრიამულში მე ვკითხულობდი სამდურავს".

ასეთ კვნესად, ბედის მწარე სამდურავად, ჟღერს ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დახატული მთელი სურათი „დანგრეული ბუდეების" წიაღში თავშეფარებულ ადამიანთა ცხოვრებისა. ყველაფერი ნგრევის, გაპარტახების, და გადაშენების ულმობელი სტიქიით არის მოცული ამ სურათში:

„შუაში უზარმაზარი ეზოა. ორსართულიანი, კრამიტით დახურული სასახლე, გამურული, გაშავებული სამზარეულო, კედლებგამონგრეული სამეჯინიბო, საღორე და საქათმე, მარანი, ხულა, საბძელი. ყველაფერი გაშეშებულა, გაკაჟებულა. ბუნების საერთო მეჯლისია ირგვლივ. გალავნის იქით კი ყველაფერი თითქოს გამხმარაო. ეზოში ჩაველი. ცხოველის სულის ჰაჰანება არ ისმის, ერთი ხე არ მოიძებნება, ერთ ბალახსაც კი ვერ ამოუყვია თავი. თითქოს აი ეს არის შტერმა გაანადგურა, ამოწყვიტა აქაურობა — და ეზოც ვერ გამორკვეულა უბედურებისაგანო. ყოველი ქვა თითქოს ვიღაცას ემუქრება მწუხარებისაგან გაოფთრებული — რაც მომივიდა, მომივიდა, მეტს ვერას დამაკლებო. ეგვიპტის პირამიდები უსათუოდ ეგრე დაქცევის სიამაყით გამოიყურებიან".

„დაქცევის სიამაყის" ასეთი დრამაა გამოხატული „დანგრეული ბუდეების", ამ მაღალ პოეტური ქმნილების ყოველ სტრიქონში.

უფრო გვიან, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ნიკო ლორთქიფანიძემ ამავე სამყაროს უკვე მომაკვდავებულ ირონიის თვალით შეხედა. მოთხრობაში „ფეოდალები“ მწერალმა გვიამბო, თუ როგორ დაიღუპა ერთი აზნაურის ოჯახი იმის გამო, რომ ორმა გაღატაკებულმა აზნაურმა ვერ მოახერხა სწორად გაეყო ზიარად ნაყიდი ცამეტკაპიკიანი თამბაქო: გაყოფის მიწევ-მოწევაზე ერთმა მათგანმა წალდით თითი გადაიჭრა. ჭრილობა გამიზეზდა და გადაიყოლა კაცი. განადგურდა ისედაც ღატაკი ოჯახი. როგორი ირონიად გაისმის ამ უმწეო ადამიანთა თავგადასავლის აღმწერი მოთხრობის სათაურად სიტყვა „ფეოდალები“.

ირონია და იუმორი ნიკო ლორთქიფანიძის მხატვრული ნიჭის ორგანიულ თვისებას შეადგენენ. ამ მხრივ მისი „სოფლის არმიყი“, „ეპისკოპოზი ნადიროობაზე“, „ბუმბერაზი“ და მრავალი სხვა ნაწარმოები ახალი ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნიმუშთა წყებას მიეკუთვნებიან.

* * *

ნიკო ლორთქიფანიძის ისტორიული წარსულის მასალაზე დაწერილი „ჟამთა სიავე“ და „მრისხანე ბატონი“ ნამდვილ შედევრებს წარმოადგენენ ახალ ქართულ ლიტერატურაში. ისინი არ მოგვითხრობენ რომელიმე ისტორიულად ცნობილი გმირის ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ. მათში რომელიმე ისტორიულად ფიქსირებული, მართლა მომხდარი ამბავი როდია მოთხრობილი. მწერალი შეთხზული სიტუაციებისა და ტიპიური ადამიანური სახეების მეშვეობით გვიხატავს აღებული ისტორიული ეპოქისათვის დამახასიათებელ ვითარებას ჩვენი ხალხის ცხოვრებისა. იგი არ ათარიღებს ამ მოთხრობებში აღწერილ მოვლენებს, არ მიგვითითებს ნაწარმოებებში გაშლილი მოქმედების დროულსა და სივრცეულს ლოკალზე. მაგრამ თვით აღწერილი სიტუაციები, მომქმედ პირთა მდგომარეობა და ხასიათები მთელის სიცხადით გადმოგვცემენ ეპოქის სულს და გამოავლენენ ავტორის მიერ თავის ნაწარმოებში განსახიერებულ ისტორიულ კონცეფციას.

„ჟამთა სიავეში“ ჩვენს თვალწინ ცოცხლდება საქართველოს ისტორიის ის ხანა, როდესაც მრავალ უთანასწორო ბრძოლებში სისხლისაგან დაცლილი საქართველო დაქუცმაცებულია წვრილ სამეფოებად და სამთავროებად. ქვეყანა ფეოდალური პარტიკულიარიზმის ქაოსით არის მოცული. ტახტის გატაცება, მძვინვარე ფეოდალთა ურთიერთ ბრძოლა, ქვეყნის, ერის სასიცოცხლო ინტერესების უგულებელყოფა ნთქავს ქვეყნის ძალას, დოვლათს.

ასეთ ისტორიულ ფონზეა გაშლილი მოქმედება. იმერეთის ტახტი ნაძალადევად ხელთ ჩაუგდია ტახტის არაკანონიერ მემკვიდრეს, გონებრივად და ზნეობრივად უმწეო მეფეს. ჟამთა სიავე მძვინვარებს სამეფოში და მწერალი იშვიათი ცხოველმყოფელობით გადაშლის ჩვენს თვალწინ ამ სასტიკი და სუსხიანი ეპოქის სურათებს, სადაც სისხლისა და ცრემლის ზღვა ბობოქრობს, სადაც ადამიანთა ცხოვრება უმძიმესი ტანჯვისა და მწუხარების სარბაელად გადაქცეულა.

ამ მოთხრობაში მწერალი იჩენს გარდასულ მოვლენათა, ცხოველად აღდგენისა და წარმოსახვის იშვიათ ძალას. იგი საოცარის ენერგიით გააცოცხლებს შორეული ეპოქის პერსონაჟებს მათი ადამიანური გრძნობებით, ვნებებით, მისწრაფებებით.

ხასიათთა და ადამიანურ ინტერესთა მძაფრ კოლიზიებზე აშენებს მწერალი ღრმა დრამატიზმით გამსჭვალულ სიუჟეტს თავისი მოთხრობისა, სადაც ყველაფერი იმდენად დასაბუთებულია მხატვრულად, იმდენად ლოგიკური და დამარწმუნებელი, რამდენადაც ტიპიური და დამახასიათებელი აღებული ისტორიული ეპოქისათვის.

არა მარტო ისეთი ცენტრალური პერსონაჟები, როგორნიც არიან თავადი იულონი, მისი დედა, არჩილი, არამედ ისეთი ეპიზოდური მომქმედი პირნიც, როგორც მოხუცი მწიგნობარი ოტია, გლეხი გლახუა, და სხვ., რომლებიც მხოლოდ ერთხელ თუ ორჯერ გამოჩნდებიან თხრობის ასპარეზზე, დაუვიწყარად რჩებიან ჩვენს მეხსიერებაში. ეს არის ნიკო ლორთქიფანიძის, როგორც ადამიანურ ხასიათთა მხატვრის, დიდი ღირსება.

მისი კალმის ქვეშ მეტყველად ცოცხლდებიან გარდასული, ჩვენგან დიდის მანძილით დაშორებული ცხოვრების ყოველდღიურობის ყოფითი სცენები.

ყამთა სიავეს გაუბოროტებია და ერთმანეთის წინააღმდეგ აუმხედრებია მოთხრობის გმირები. თავადმა იულონმა საკუთარი ხელით სასიკვდილოდ გასწირა მშობელი დედა. თვით იულონს თვალები დასთხარეს, როგორც მეფის ორგულსა და მოღალატეს. თავადი არჩილი ვერაგულად მოჰკლეს იულონის მიერ მიგზავნილმა მკვლელებმა და ასე ამგვარად სცელავს ერის სახიცოცხლო ძალებს ფეოდალური ტირანიისა და პარტიკულიარიზმის სტიქია.

მაგრამ ამ მკაცრსა და შემზარავ სურათს თავს დასტრიალებს ქართველი ხალხის უკვდავების, მისი გამძლეობისა და მომავალი აღორძინების რწმენით გამსჭვალული ისტორიული კონცეფცია მწერლისა, რომელიც მან მკაფიოდ გამოსთქვა თავისი ერთ-ერთი პერსონაჟის — მთლიანი და ძლევამოსილი საქართველოს აღდგენაზე ფანატიკურად მეოცნებე მოხუცი მწიგნობრის ოტიას სიტყვებში:

„ფინიკიელები ვაჭრები იყვნენ, გვჯობნიდნენ მოხერხებით. დაიღუპნენ, ჩვენ — დავრჩით. ძლიერნი იყვნენ ჯარში რომაელნი, გვძლიეს, მაგრამ ჩვენ დავრჩით. სილამაზის მარად მსახურნი ბერძენნი გადაშენდნენ, ჩვენ კი ვართ, როგორც ჭანდარი სხვა ხეთა შორის... ჩვენ ვაჭრებიც ვართ, მეომარნიც და ქურუმნიც მშვენიერებისა, მაგრამ არაფერში ვაჭარბებთ... ჩვენი დღე დადგება ოდესმე უეჭველია“.

ასეთი ნაციონალური სიამაყის გრძნობით და ოპტიმიზმის სულისკვეთებით არიან გამსჭვალული ნიკო ლორთქიფანიძის მიერ დახატული სურათები ჩვენი სამშობლოს წარსული ცხოვრებისა. ასეთს გამამხნევებელს და შთამაგონებელ სიტყვას ეუბნებოდა თავისი ისტორიული მოთხრობებით ნიკო ლორთქიფანიძე ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის შედეგად უფლებაახდილ და დამონებულ თავის სამშობლოს.

როგორც თემატიკის მხრივ, ისე ისტორიული კონცეფციით და მხატვრულ საშუალებათა ხასიათითაც „მრისხანე ბატონი“ ორგანულს კავშირში იმყოფება „ყამთა სიავესთან“. აქაც ყამთა სიავის მიერ გაბოროტებული, ერთმანეთის დასამხობად აღმდგარი, მაგრამ რაღაც ტიტანური ფიზიკური და სულიერი ძალის ადამიანები მოქმედებენ, რომლებიც მწერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მდიდარ ფანტაზიას და მახვილ მხატვრულ აზრს გაუცოცხლებია და წამოუყენებია შორეულ საუკუნეთა წყვდიადიდან.

მრისხანე ბატონის თავადი ლევანის მონუმენტალურად დანატულს სახეში მწერალმა ღრმა განმაზოგადებელი ძალით გამოხატა ფეოდალური დესპოტის მძვინვარე ბუნება. საკუთარი ძმის დამამხობელი, ობლად დარჩენილი ძმისწულის შესამუსრავად ამხედრებული ლევანი შიშის ზარს სცემს ყოველივეს თავის გარშემო.

როგორის გულქვაობით და უკიდურესი, არაადამიანური სისასტიკით აწამა მან ახალგაზრდა ტყისპირელი გლეხი, . გულუბრყვილო, უდანაშაულო ჭაბუკი. ადამიანის განწირვის ეს სურათი იმდენად შემზარავად გამოიყურება, რომ „თვით აფხაზეთის მთავრის შვილი, რომელიც თხებივით ჰყიდდა ოსმალეთის ბაზარში ტყვეებს და საკუთარ ყმებს, შეძრწუნდა“...

არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ საერთოდ მხატვრულ მწერლობაში იშვიათად თუ შეხვდებით ადამიანის გაბოროტებისა და შურისძიების ისეთ შემზარავ სურათს, როგორიც არის ლევანის მიერ თავისი ძმისწულის ვახტანგისა და თავისი უსაყვარლესი არსების ციცინოს დასჯის ეპიზოდი ამ მოთხრობაში.

ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლო შეჭიდებისათვის მიშვებულ მძვინვარე მოზვრებზე მიკრული ციცინოსა და ვახტანგის მოწამებრივი დაღუპვის სცენა აქ აღწერილია ისეთი სიმძაფრით და ექსპრესიით, რომ შეუძლებელია მოთხრობის ამ სტრიქონების წაკითხვა წრფელი მღელვარების გარეშე, შეუძლებელია ამ სურათის დავიწყება.

ნიკო ლორთქიფანიძე რომ მარტო ამ ეპიზოდის გადმომცემი ორი გვერდის ავტორი იყოს, ის მაინც დარჩებოდა ჩვენს ლიტერატურაში, როგორც მხატვრული სიტყვის პირველხარისხოვანი ოსტატი.

ისტორიულ თემებზე დაწერილ მის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე მოთხრობა „რაინდები“.

* *

ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მისი მსოფლმხედველობა, მხატვრული კონცეპცია სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდში ჩამოყალიბდა. საბჭოთა ეპოქის ამობრწყინებას ის შეხვდა, როგორც უკვე საესებით ფორმირებული ხელოვანი. მიუხედავად ამისა, მან, როგორც რევოლუციამდელი მხატვრული ინტელიგენციის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებმა, მძლავრად განიცადა ახალი ცხოვრების, ჩვენი გმირული ეპოქის ზემოქმედება.

საბჭოთა ეპოქაში დასწერა ნიკო ლორთქიფანიძემ თავისი საუკეთესო ნაწარმოებნი: „თავსაფრიანი დედაკაცი“, „ფეოდალები“, „ეპისკოპოზი ნადირობაზე“ და სხვ.

ჩვენი რევოლუციის წლებში შექმნა მან ვრცელი მოთხრობა „ბ ი ლ ი კ ებ ი დ ან ლ ი ა ნ დ ა გ ზ ე“, სადაც ასახა მონობისა და ჩაგვრის სამყაროს დასამხობად ქართველი ხალხის რევოლუციური ბრძოლის გზა ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟიდან პირველი იმპერიალისტური ომის ქარიშხლის ამოვარდნამდე.

ახალი ადამიანის, საბჭოთა ადამიანის დაბადებისა და ფორმირებისა. ეს-თემას მიუძღვნა ნიკო ლორთქიფანიძემ მოთხრობა „მ ო ქ ა ნ დ ა ".

ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია, თუ როგორ აღამაღლა და მხატვრული შემოქმედების უმაღლესი ოსტატობის, კულტურული ცხოვრების სიხარულს აზიარა ჩვენმა დიდებულმა დროებამ მოთხრობის გმირი — აუწერელ სილატაკესა და სიბნელეში აღზრდილი ობოლი ბიჭი.

ნაწარმოები გამსჭვალულია მადლიერებისა და სიყვარულის საყოველთაო-სახალხო გრძნობით იმ უდიდესი მოქანდაკისადმი, რომლის გენიაც აყალიბებს და სამშობლოს სადიდებლად ზრდის ჩვენი ეპოქის ადამიანთა ბედნიერ თაობებს.

* * *

ფლობერმა როგორღაც ხელოვანი ღმერთს შეადარა, რომელიც არა სჩანს, მაგრამ ყველგან კი არის, თავის ყოველ ქმნილებაში, თავისი შემოქმედებითი ცხოვრების ყოველ გამოვლინებაში. ეს მხატვრული ობიექტივიზმი, ამ ცნების უფართოესი და უკეთესი გაგებით, განხორციელებულია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში. იგი თავისუფლად, ბუნებრივად, ძალდაუტანებლივ ამოქმედებს თავის პერსონაჟებს, თავზე არ ახვევს მათ რაიმე წინასწარ გამზადებულ ტენდენციებს. მაგრამ იმავე დროს მის ყოველ სტრიქონში ჩვენ აშკარად ვგრძნობთ მხატვრული სახეების მაღმა მდგარი მწერლის ნათელ პიროვნებას, მის კეთილშობილურ გრძნობათა და განცდათა სამყაროს, მის მგზნებარე პოეტურ გულს, აღსავსეს მხურვალე სიყვარულით ადამიანისადმი, ხალხისადმი, მშობელი ქვეყნისადმი. და ამ სიყვარულით, ამ მაღალი ჰუმანიური გრძნობებით ამღელვარებს იგი ჩვენს აზრსა და გულს.

ეს არის ნიკო ლორთქიფანიძის დიდი ღირსება და დამსახურება, როგორც ხელოვანისა და მოქალაქის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲜᲘᲜᲝ ᲜᲐᲙᲐᲨᲘᲫᲔ

ᲚᲔᲕ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘᲡ ᲐᲮᲚᲝᲡ[1]

14

შემოდგომაზე, 5 სექტემბერს, ლევ ტოლსტოი ყირიმში წაიყვანეს ავადმყოფი და დასუსტებული. თან წაჰყვნენ ცოლი, ქალიშვილები, მარია და ალექსანდრა, მათი მეგობარი მხატვარი ი. გუმნოვა და ერთი მახლობელი თანამოაზრე და მეგობარი პ. ა. ბულანჟე.

მოსკოვში დარჩენილი, თითქოს დაობლებული მეგობრები მოუთმენლად ელოდნენ ამ მგზავრობის ამბავს. ბულანჟესაგან თითქმის ყოველდღე მოსდიოდათ წერილები. შეიკრიბებოდნენ და მხოლოდ ტოლსტოის ირგვლივ იყო ლაპარაკი. ბულანჟე დაწვრილებით იწერებოდა ამ საოცარი მგზავრობის ამბავს. შემდეგ დაბეჭდა კიდევაც. მინდა აქ შემოკლებით მოვიყვანო რამდენიმე ადგილი ბულანჟეს წერილებიდან.

„ბნელ ცივ საღამოს, ჩავაცვით ქურქი ლევ ნიკოლოზის ძეს და იასნაია პოლიანადან გავსწიეთ ტულაში, 15 ვერსის მანძილზე. გზა საშინელი იყო. ცოტაოდენი მანძილი მამულიდან გზატკეცილზე გასვლამდის, ეინეღილებით მოგვიხდა მგზავრობა. ათ საათზე ჩავედით სადგურზე და მაშინვე გადავიყვანეთ ლევ ნიკოლოზისძე მისთვის მომზადებულ ვაგონში. იქვე დაგვხვდნენ ლევ ნიკოლოზისძის გამოსამშვიდობებლად მოსული დანარჩენი შვილები. მატარებელი სამ საათზე უნდა გასულიყო. მგზავრობისაგან ლევ ნიკოლოზისძე უარესად გახდა. სული ეხუთებოდა. ისევ სიცხე მისცა. არ ვიცოდით, რა გვექნა, გაგვებედა და წაგვეყვანა ავადმყოფი ამ მდგომარეობაში თუ არა. გადავწყვიტეთ, გამოგვეწვია ექიმი ქალაქიდან. ექიმმა გასინჯა და გადაჭრით ვერაფერი გვითხრა. რაღაც იდუმალი რწმენა მქონდა, რომ თუ ავადმყოფისათვის საჭირო სითბო და მზე, მაშინ ხომ ხვალ, როდესაც კურსკს გავცილდებით, წვიმისა, სიცივის და ჯანყის მაგიერ, ნათელი მზე გამოანათებს, სითბო იქნება და ავადმყოფი მოიკეთებს. მგონია, ყველას გადაედვა ეს ჩემი განწყობილება და ვიფიქრეთ, უკან დაბრუნებას და 15 ვერსის საშინელი გზის გავლას, სჯობია 500 ვერსი თბილი ვაგონით მგზავრობა. ვარჩიეთ წასვლა.

თითქმის არავის არ დაგვიძინია მთელ ღამეს. შიშით ვადევნებთ თვალყურს ავადმყოფის ყოველ გაფაჩუნებას. დილით ათ საათზე უკვე კურსკ-

---

[1]) იხ. „მნათობი" № 7—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ვიყავით. თბილოდა. მზე აშუქებდა. ავადმყოფმა ძალიან მოიკეთა და ყველანი გავმხიარულდით.

გამხნევებულნი, მხიარული სულიერი განწყობილობით, ყოველივე კარგის მოლოდინში მივუახლოვდით ხარკოვს. მატარებელი იქ 20 წუთს უნდა გაჩერებულიყო. იმედი გვქონდა, დავნაყრდებოდით. როლები გავინაწილეთ, ვის რა უნდა გაეკეთებინა: ვინ უნდა წასულიყო სადგურში სანოვაგის მოსატანად, ვინ უნდა დარჩენილიყო ვაგონში ლევ ნიკოლოზის ძეს თან და სხვ. მივუახლოვდით სადგურს და გავშტერდით: ბაქანზე აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ყველაზე უფრო გამაცვიფრა იმან, რომ არა თუ ბაქანზე, ბაქანის ფარდულის ხარიხებზედაც შეეტუტყულიყო ხალხი და დაძაბული ყურადღებით მოსჩერებოდა ჩვენ მატარებელს.

უცებ აზრმა გამიელვა თავში.

— ლევ ნიკოლოზის ძევ, — ვუთხარი მე, — ეს ხალხი თქვენ შესახვედრად არის მოსული სადგურზე.

— რას ამბობთ, შეუძლებელია, — მიპასუხა მან. ცოტათი დაფიქრდა და მითხრა. — ყოველ შემთხვევაში ჩამოაფარეთ ფარდა ფანჯარას. ეგ რომ მართალი გამოდგეს, ხომ საშინელება იქნება!

შევატყვე, რომ შეშფოთდა და დასუსტდა კიდეც.

გარეთ კი ხალხის გუგუნში გაისმოდა ხმები: „ტოლსტოი“, „ტოლსტოი“, „ამ მატარებელშია“, „ბოლო ვაგონში“ და სხვ. გამოვედი, მინდოდა ბაქანზე გამეცლო, მაგრამ შეუძლებელი აღმოჩნდა: კარებთან, ვაგონის შესავალში და კიბეებზე, ბაქანზე მოჯარებული იდგა აღელვებული ხალხი. ვიღაც სტუდენტი ეეედრებოდა სოფიო ანდრიას ასულს, გაეშვა ლევ ნიკოლოზის ძეთან დეპუტაცია სალამის გადასაცემად. სტუდენტთან იდგა ვიღაც მოხელე, ისიც სტუდენტთან ერთად ლაპარაკობდა. უკან მოსჩანდა ოფიცრის ფიგურა და ისიც ცდილობდა რიღაცის თქმას. სოფიო ანდრიას ასული ეხვეწებოდა მათ, დაწყნარებულიყვნენ, ეუბნებოდა, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ძალიან ავად არის, სუსტად გრძნობს თავს და რომ მიიღოს ვინმე, აღელდება, ყოველი აღელვება-კი მისთვის სასიკვდილო იქნებაო.

მე მებრალებოდა ეს მღელვარე ხალხი, მას წრფელი გულით უნდოდა ამ ადამიანის ნახვა, რომელსაც უზომო პატივს სცემდა.

ლევ ნიკოლოზის ძე ძალიან აღელვებული იყო.

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! — ამბობდა ის, — რა მოხდა, რატომ მოვიდნენ? იცით რა, იქნებ მოხერხდეს და ჩქარა გაუშვან მატარებელი?

ვუთხარი, ეგ შეუძლებელია-მეთქი. ვუთხარი ისიც, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა მიეღო ისინი, ვინც ასე თხოულობდნენ მის ნახვას.

— აჰ, რისთვის რისთვის, რა საჭიროა, სულ მეტია ახლა ეგ. არ შემიძლია! — ამოიკვნესა როგორღაც უმწეოდ და უფრო მოიკუნტა სკამლოგინის კუთხეში.

ათი წუთი-ღა რჩებოდა მატარებლის წასვლამდის, ეს აუარებელი თავმოყრილი ხალხი როგორღაც დაბნეულად აყურებოდა ჩვენი ვაგონისკენ. ისმოდა ხმები: „ავად არის“, „უიმედო ავადმყოფია“, „წევს“. ბოლოს ლ. ტოლსტოი დათანხმდა და დეპუტაცია შეუშვეს. დაბნეულად, აჩქარებით წარმოსთქვა დეპუტაციამ რამდენიმე სიტყვა: მოვიდნენ, როგორც პატივისმცემელი ხალხის წარმომადგენლები, რათა გადასცენ წრფელი სალამი. ლევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზის ძე ყველასათვის ძვირფასია, ყველა აღელვებულია მისი ავადმყოფობით და ყველას სწყურია ჩქარა გაიგონ მისი განკურნება, ეროვნული მთელი ქაცობრიობის საკეთილდღეოდ და სხვ.

ლ. ტოლსტოიმ იკითხა, ვინა ხართო. როდესაც გაიგო, რომ ერთი სტუდენტი იყო, უსურვა მას, შერჩენოდა წმინდა ახალგაზრდური სულასკვეთება, რომლითაც აღგზნებულია ახლა ის, და სთხოვა, მადლობა გადაეცა ყველასათვის, ვინც ის გამოგზავნა.

გავიდნენ თუ არა ისინი, რამდენიმე კაცმა კიდევ ითხოვა შეეშვათ. შეუშვეს ისინიც. როდესაც ისინი წავიდნენ და ხალხმა მოისმინა მათი შთაბეჭდილებანი, გაისმა ხმები: „ვთხოვოთ ლევ ნიკოლოზის ძეს, ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით გვეჩვენოს ფანჯარაში“.

ლევ ნიკოლოზის ძე დავითანხმეთ. დასუსტებული და აღელვებული ადგა, დაეყრდნო ფანჯარას და სალამი მისცა. უცებ სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ ქუდი მოიხადა, ყველა მოწიწებით და დიდი პატივისცემით შეჰყურებდა ამ სუსტ, ავადმყოფ, უმწეო ადამიანს, რომელიც ასე ტიტანურად აღვიძებდა ყველას გულში საუკეთესო გრძნობებს“.

შემდეგ ბულანჟე სწერს, ამ შემთხვევის მერე როგორ ცუდად გახდა ტოლსტოი, მაგრამ როგორ თანდათან მომჯობინდა გზაში. სევასტოპოლში კვლავ მანიფესტაციით შეხვდნენ პატივისმცემლები. იქ მან ინახულა სევასტოპოლის მუზეუმი, სადაც მისი სურათიც ეკიდა. ტოლსტოიმ იცნო ის ადგილები, სადაც 45 წლის წინად იყო. აგვიხსნა სად და როგორ იყო განლაგებული ჯარი, სიმაგრეები და სხვ.

ერთ კურიოზულ შემთხვევაზედაც იწერებოდა პ. ა. ბულანჟე:

„ბაიდარის კარების შემდეგ, სანამ ცხენებს გამოსცვლიდნენ და ახლებს შეაბამდნენ ეტლში, ლევ ნიკოლოზის ძემ მოისურვა ცოტა ფეხით გაევლო გზატკეცილზე. მეც თან გავყევიო. მივდიოდით. ლევ ნიკოლოზის ძე იგონებდა ადგილებს, მაგრამ ზოგი ადგილი ვერ იცნო. ამ დროს შეგვხვდა ერთი ახალგაზრდა კაცი, უფრო ნოქარს თუ წვრილად მოვაჭრის ჰგავდა. ლევ ნიკოლოზის ძე გამოელაპარაკა, ჰკითხა იმ ადგილების შესახებ. კაცმა აათვალ-ჩაათვალიერა ტოლსტოი. უნდა გენახათ, რა ამაყად და ზიზღით აძლევდა პასუხს ამ უბრალო, გრძელხალათიან, ღარიბულად ჩაცმულ მოხუცს. ამ ლაპარაკში ეტლები უკვე შეებათ და სოფიო ანდრიას ასული წამოგვეწია. ლევ ნიკოლოზის ძემ მადლობა გადაუხადა კაცსა და ეტლში ჩაჯდა. როდესაც ეტლი წავიდა, კაცმა მკითხა:

— არ იცით, ვინ იყო ის ბერიკაცი?

— გრაფი ტოლსტოი, — ვუთხარი.

— როგორ, გრაფი ტოლსტოი? აი ის ტოლსტოი? მწერალი?

— სწორედ.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! — დაიყვირა მაშინ, — რა საზიზღარი (подлец) ვარ, რა ვქენი! — რატომღაც თავზე ქუდი მოიგლიჯა და გზატკეცილზე მტვერში დაანარცხა: — როგორ ველაპარაკე. როგორ! მთელ ჩემ სიცოცხლეში ვნატრობდი მენახა და რომ ვნახე... აჰ, რა საზიზღარი ვარ! როგორ ველაპარაკე! ვიღაც სალოცავად მიმავალი ბერიკაცი მეგონა...

„მეორე ეტლიც მოვიდა, მეც ჩავჯექი და წავედი, რომ მოვიხედე, კაცი ისევ ისე იდგა იმავე ადგილას და უყურებდა ლევ ნიკოლოზის ძის მიმავალ ეტლს“.

ყველას ახარებდა, რომ ტოლსტოიმ ჯერ კიდევ გზაში მოიკეთა. ყირიმის მშვენიერმა ჰავამ და მზემ განკურნა ტოლსტოი ციებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსკოვში დარჩენილი მეგობრები დაძაბული ყურადღებით ელოდნენ მის ამბავს და ყოველთვის იცოდნენ რა მდგომარეობაში იყო იგი. ორი დიდი ავადმყოფობა—ფილტვების ანთება და მუცლის ტიფი გადაიტანა მან ყირიმში.

15

1902 წლის ივნისის პირველ რიცხვებში მე ბავშვით რამდენიმე კვირით სოფ. ავსიანიკოვოში წავედი, იასნაია პოლიანას მახლობლად, სადაც საზაფხულოდ გაემგზავრნენ ჩვენი მეგობრები გორბუნოვები.

მატარებელი გაჩერდა სადგურ კაზლოვკა-ზასეკაზე. გადმოვხტით. იქ ეტლი უნდა დაგვხვედროდა და წავეყვანეთ. მაგრამ არც ეტლი და არც მეეტლე არსად სჩანდა. ვიხედებოდი აქეთ-იქით და ვფიქრობდი, რა ლამაზი ადგილებია და როგორ ჰგავს რუსეთის ადგილმდებარეობა ერთმანეთს: ვაკე, ვაკე, თეთრი ამოლტილი ხრეები, თმაგაშლილი ტირიფები, ფართო ფოთლებიანი კანკალა ვერხვები, ხოლო ყვავილებით ამოქარგულ მინდორს იქით, შორს, მუქი ტყე. ბაქანზე აქა-იქ ჩილარტნიანი გლეხები და თავწაკრული დედაკაცები მოსჩანდნენ. სიწყნარე იდგა ირგვლივ. არც ხილი, არც სხვა რამ გასაყიდი სადგურზე არ იყო. ეტლის მოლოდინში ჩემოდანზე ჩამოვჯექით.

— თქვენ ხართ, ნინო იოსების ასული? — მომესმა ხმა.

მივიხედე. ჩემ წინ იდგა (უცებ შემეშინდა კიდევაც, რომ შევხედე) მოხუცი, გამხდარი ქალი, ისე გამხდარი, რომ ჩვეულებრივი სახის მაგიერ ერთმანეთზე დაფენილი ორი პროფილი გეგონებოდათ.

— დიახ, მე გახლავართ, — ვუთხარი.

— გამარჯობა, სულიკო, გამარჯობა! ჩვენთან მოდიხართ? ეს თქვენი გოგონაა? აბა, გავსწიოთ.

— ეტლი არ მოსულა...

— ჰოი, სულიკო, ეტლი აქ არის. მე მარია ალექსანდროვნა ვარ.

— მარია ალექსანდროვნა შმიდტი? ტოლსტოის მეგობარი?

— სწორედ ის.

მან ჩემოდანს ხელი წამოავლო. შემეშინდა, არ წაეცეულიყო და მაშინვე გამოვართვი ჩემოდანი.

— რაკი თვითონ გსურთ, სულიკო, წამოიღეთ, — მოჰკიდა ბავშვს ხელი და დავიძარით ვერხვისაკენ, სადაც ჩრდილოში პატარა ძველი შარაბანი იდგა.

— აბა, წყნარად, პიატაჩოკ, ჩემო სულიკო, — უთხრა მან ცხენს და თავზე ხელი გადაუსვა.

პიატაჩოკი ისე წყნარად იდგა, რომ სულაც თუ დაიძვროდა, არ მეგონა, იმდენად დაბერებული ჩანდა. თუმცა გამხდარი არ იყო, მაგრამ სიბერისაგან თითქოს დამოკლებულიყო და კოჭები დასიებოდა.

— თქვენს მეტი არავინ ჩამომხდარა სადგურზე, — მეუბნებოდა გზაში ის — აბა ლევ ნიკოლოზის ძე ყოფილიყო აქ, რამდენი ხალხი ჩამოვიდოდა!

შარაბანზე დასდო ჩემოდანი, ბავშვიც დასვა და მითხრა:

— ჩვენ, სულიკო, ფეხით წავიდეთ, აქ ახლოსაა, 5 ვერსი ან ცოტა მეტი თუ იქნება. არ გაგვიძნელდება. პიატაჩოკი უძლური არ გეგონოს, ჩვენი წაყვანაც შეუძლია, მაგრამ ტყუილად რაზე შევაწუხოთ პირუტყვი, — ამბობდა ის გაბმით, სასიამოვნო ხმით, თითქოს მღერისო.

უცებ შევკრთი, ბავშვის ჩამოყვანაც განვიზრახე, მაგრამ არ დამანება.

— არა, არა, ბავშვი იყოს, ჯერ კიდევ საკმაოდ ლონიერია, ყოველდღე ტულაში დავდივარ, რძეს და ბოსტნეულს ვყიდი. აქ საგარაჟო ადგილი როდია, აქ არაფერი არ იყიდება. ახლა ცოტა ფეხები სტკივა, — მეუბნებოდა გზაში, ხელში აღვირი ეჭირა, წინ მიუძღოდა ცხენს, რომელიც ყურების ფართხუნით დინჯად მოაბიჯებდა.

ოვსიანიკოვო ტოლსტოის ქალიშვილის ტატიანას მამული იყო. დიდი სახლი დამწვარიყო და გადარჩენილ ოთხ თუ სამთვალა, ჩვენებური ოდის მსგავს ფლიგელში ცხოვრობდნენ საგარაჟოდ ჩამოსული გორბუნოვები. მიწურ სამზარეულოში, რომელიც ახლა ორად იყო გაყოფილი, ზამთარზაფხულ ცხოვრობდა შმიდტი.

მარია ალექსანდრეს ასული შმიდტი, ტოლსტოის მეგობარი, ნამდვილი მიმდევარი იყო ტოლსტოის მოძღვრებისა. მოხუცი, სუსტი, ავადმყოფი ქალი თავის შრომით ცხოვრობდა. უვლიდა ცხენს, ძროხას და ძაღლს, უვლიდა მათ, ეალერსებოდა როგორც ბავშვებს და ცალკე უმზადებდა საჭმელს. ჰქონდა მშვენიერად დამუშავებული ბოსტანი.

ჩვენ რომ მივედით, პირველი, რაც თვალში მეცა, ეს იყო ხენდროს „პლანტაცია", როგორც თვითონ უწოდებდა, რასაკვირველია ხუმრობით, იმ პატარა ადგილს, სადაც ხენდროს კვლები იყო გაშენებული.

თავისუფალ დროს ის ამ „პლანტაციაში" ტრიალებდა, სწმენდდა, ასუფთავებდა და აცლიდა მეტ ულვაშებს და ფოთლებს, რწყავდა. როდესაც ხენდრო შემოდიოდა ღამღამობითაც (ის და ძაღლი პლანტაციასთან იძინებდნენ) ყარაულობდა, რომ სოფლის ბიჭებს არ შოეცარათ. რასაკვირველია, ხშირად არა, მაგრამ მაინც ჰპარავდნენ. იცოდნენ, რომ კეთილი „ბებია" არავისთან არ დაბეზღებდა მათ. გლეხებში დიდი პოპულარობა ჰქონდა მოპოვებული შმიდტს. დახმარებას უწევდა რჩევა-დარიგებით, წამლებით და ტოლსტოის საშუალებით ებრძოდა იმ ჩაგვრას, რასაც ისინი იტანდნენ მეფის მოხელეებისგან. განსაკუთრებით ქალები ეცოდებოდა. დიდი შრომა დასჭირდა, რომ სწორედ ქალებს დახმარებოდა და სოფელში „მონოპოლია" არ გაეხსნათ. ამისათვის სოფლის ქალებმა მარია ალექსანდროვნას საშუალებით ფული ისესხეს და 400 მან. ქრთამიც კი გაიღეს, ტოლსტოიც ჩაერია ამ საქმეში და სოფელი გადაარჩინეს ლოთობას.

მარია ალექსანდროვნა შმიდტი ქალთა ინსტიტუტში იყო გაზრდილი. კურსის დამთავრების შემდეგ მასწავლებლად იყო. ძალიან მორწმუნე ვიყავი და როდესაც პირველად გავიგე, ტოლსტოიმ ახალი სახარება დასწერაო, — კინაღამ გადავირიეო, — მიამბობდა ის. — აღვშფოთდი, როგორ გაბედა ამისთანა მკრეხელობა მეთქი. მძულდა ტოლსტოი. მაგრამ მაინც მინდოდა გამეგო, რას სწერდა ისეთს, რომ ბევრი ჩემი ნაცნობი აღტაცებული იყო. დიდხანს ვებრძოდი ფიქრს ამ სახარების შესახებ, ვერიდებოდი მისი სახელის ხსენებასაც. მაგრამ ბოლოს ვიფიქრე, მასწავლებელმა, რომელსაც ამდენი ბავშვი აბარია აღსაზრდელად, უნდა იცოდეს მოწინააღმდეგის აზრი, რათა ებრძოლოს მას. ამ მიზნით წავედი ამ „სახარების" სასყიდლად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიარე მთელი წიგნის მაღაზიები, ბიბლიოთეკები. და ვერ ვიშოვე. ერთმა წიგნი აკრძალული იყო და იმიტომ მიყურებდნენ გაკვირვებულნი, თუ-საც ვკითხულობდიო.

შემდეგ თვითონ ტოლსტოისთან წავედი და რომ მივედი, ტოლსტოი უნდობლად შემხვდა. მაშინ, სულიკო, ასე კი არ ვიყავი უბრალოდ ჩაცმული, კორსეტში და არშიებში ვიყავი გამოწყობილი. დიდი მუდარის შემდეგ მათხოვა ლევ ნიკოლოზის ძემ წიგნი, რადგან მასაც ერთი ცალი ჰქონდა. ამ სახარებამ მთლად შესცვალა ჩემი მსოფლმხედველობა. სახარებას მოჰყვა სხვა აკრძალული წიგნების წაკითხვა და გადავწყვიტე, მასწავლებლობისათვის თავი დამენებებინა, დავსახლებულიყავი მიწაზე და ჩემი შრომით მერჩინა თავი.

მე რომ ვნახე, შმიდტი, 60 წელზე მეტი იქნებოდა, მაგრამ ენერგიით სავსე იყო, მხიარული, ალერსიანი. ყველას, ვინც კი მას იცნობდა უყვარდა ეს სტუმართმოყვარე, კეთილი დედაბერი. ტოლსტოი ძალიან აფასებდა და პატივს სცემდა მას. ეს სჩანს მასთან მიწერ-მოწერიდან. ბევრი მეგობარი და თანამგრძნობი ჰყავდა. ხშირად მრდიოდა ვინმე და დახმარებას უწევდა: დაუბარავდა ბოსტანს, დაუმზადებდა თივას საქონლისათვის. სწორედ ჩვენს მისვლამდე იყო მასთან ტოლსტოისა და მისი საერთო მეგობარი, საზღვარგარეთ განათლება-მიღებული, მდიდარი ფაბრიკანტის აბრიკოსოვის შვილი, ხრისანთ ნიკოლოზის ძე აბრიკოსოვი, რომელიც ეხმარებოდა მას თივის დამზადებასა და ბოსტნის დამუშავებაშიც, აგრეთვე დადიოდა ტულაში შარაბანით და რძესა და ხაჭოს ჰყიდდა, ტულიდან კი მოჰქონდა საჭირო სანოვაგე. აბრიკოსოვი მოსკოვს წავიდა და დაჰპირდა, ხენდრო რომ დამწიფდება, ისევ მოვალ და გაგიყიდიო.

ვინც კი მოვიდოდა ოვსიანიკოვოში, მარია ალექსანდრეს ასული პირველად თავის ხენდროს „პლანტაციას“ აჩვენებდა.

— რა მშვენიერია, რა მოვლილია, რა დიდრონი ხენდროები გამოუსხამს (მაშინ უკვე შეწითლებული იყო), — ამბობდა ყველა.

— ეს რა არის, სულიკო, — გვითხრა ერთხელ მარია შმიდტმა, — შარშანწია ერთი ხენდრო გაიზარდა, ასეთი დიდი, წითელი და ლამაზი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. იზრდებოდა და იზრდებოდა ეს ხენდრო. ჩამოიწია ძირს, ნაფოტი შეუდევი, რომ მიწაზე არ გაფუჭებულიყო. დამწიფდა. ვფიქრობ, როგორ უნდა გავყიდო ასეთი მშვენიერი რამ, ვინ იცის, იქნებ ვინმე არაშზადამ შეჭამოს, ვუყურებ და ვნატრობ, რა კარგი იქნება, ლევ ნიკოლოზის ძე მოვიდოდეს... აკი მართლა არ მოვიდა საღამოთი ცხენით, ისეთი მხიარული. მაშინვე სამოვარი დავდგი, ჩაი მოვამზადე, და სწორედ ჩემს „პლანტაციასთან“ მივართვი. ხენდრო მოვწყვიტე, ლამბაქით დავდგი მაგიდაზე და ვუყურებ. ლევ ნიკოლოზის ძემ ერთხანს უყურა, მერე ჯიბის დანა ამოიღო, ცოტა-ცოტას სჭრიდა, ჩაის ატანდა და ამბობდა თავის ქნევით: „რა კარგია, აჰ, რა გემრიელია! აბა, რომელი შაქარი შეედრება ამას? რა მშვენიერია, სურნელოვანი!“ აი სულიკო, ხენდრო ის იყო, მთელ დედამიწის ზურგზე ცნობილ, უპირველესს ადამიანს მოაწონა თავი...

1902 წელს ოვსიანიკოვოში ხშირად მოდიოდა ლევ ტოლსტოის ამბავი. ამბობდნენ, ჩქარა ჩამოვალ, მაგრამ ღაბეჯითებით არ იცოდნენ, როდის უნდა ჩამოსულიყო. გორბუნოვებასა ხშირად მოდიოდნენ სტუმრები მოსკოვიდან და, როგორც ყოველთვის, ტოლსტოის შესახებ იყო ლაპარაკი. დუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხობორები უკვე დაბინავებულნი იყვნენ კანადაში. უმეტესობა, ვინც ესენი გააცილა, უკვე დაბრუნდა რუსეთში.

იანე გორბუნოვის მეუღლე, ელენე ევგენის ასული, სწორედ იმ დროს ადგენდა სკოლებისათვის რუსული ენის სახელმძღვანელოს და მთელი დღეობით ეჯდა თავის წიგნებს და მუშაობდა. იმავე დროს პაწია ძუძუთა ბავშვი ჰყავდა. მის დაღლილ მშვენიერ ლურჯ თვალებს რომ ვუყურებდი, მებრალებოდა, თანაც მშურდა მისი მოღვაწეობა. მეც ვოცნებობდი მაშინ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე.

ჩვენს იქ ყოფნის დროს გორბუნოვებს ესტუმრა ექიმი ქალი ვერა მიხეილის ასული ველიჩკინა, ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩის მეუღლე. ორივე ცოლქმარი კანადაში იყო. ვ. მ. ველიჩკინა 1899 წ. წაჰყვა როგორც ექიმი დუხობორების მეოთხე გემს, დარჩა დუხობორებთან კანადაში ერთ წელიწადს, სანამ რსენი დაბინავდებოდნენ და მოეწყობოდნენ.

ველიჩკინა ძალიან საინტერესო ადამიანი იყო. სოც-დემოკრატი იყო, მაგრამ ძალიან მეგობრობდა ტოლსტოის, ჰქონდა მასთან მიწერ-მოწერა. უწინ ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ტოლსტოისთან შიმშილობის დროს. ერთხანს კიდევაც ცხოვრობდა ტოლსტოის ოჯახში და ეხმარებოდა, როგორც მდივანი. ტოლსტოს ცხოვრების შესახებ ხშირად მოგვითხრობდა სხვადასხვა ამბებს. მას აკვირვებდა ტოლსტოის უბრალოება, თავდაბლობა, ნამდვილი დემოკრატობა, გულკეთილობა.

თავის ნაცნობებში (თავისი მეუღლის ბონჩ-ბრუევიჩის ჩათვლით) ყველაზე მაღლა აყენებდა ტოლსტოის და ლენინს. ეს ორი კაცია ამჟამად ქვეყნიერებაზე საინტერესო და ამ ადამიანების დროს ცხოვრება ბედნიერებაა თანამედროვე ხალხისათვისო. რასაკვირველია, ლენინი ახალგაზრდაა, მაგრამ დიდ გავლენას მოახდენს ცხოვრებაზეო.

ტოლსტოის მახლობლად ცხოვრებას საუკეთესო დროდ სთვლიდა თავის სიცოცხლეში. დიდ უბედურებად მიაჩნდა, რომ პირად ცხოვრებაში ტოლსტოი ბედნიერი არ იყო. ტოლსტოის ცოლი ქსანტიპაზე[1]) უარესიაო, — ამბობდა.

სხვათა შორის, მან გვიამბო, როგორ ერიდებოდა ლევ ნიკოლოზის ძე აურზაურს და წყენას ოჯახში.

— როდესაც სოფიო ანდრიას ასული შინ არ იყო, ჩვენთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ლევ ნიკოლოზის ძე გვაერთებდა ყველას და არავითარ სოციალურ განსხვავებას არა ვგრძნობდით, — გვიამბობდა ველიჩკინა. — ერთხელ საღამოთი ვისხედით იასნაია პოლიანაში მუშამბა-გადაფარებულ მაგიდაზე და ჩაის შევექცეოდით. ლაქიაც, მზარეულიც და ბურჭლის მრეცხავიც ჩვენთან ისხდნენ, ყველანი მხიარულად ვიყავით. ლევ ნიკოლოზის ძე საცილით მოგვითხრობდა რაღაცას. სოფიო ანდრიას ასული მოსკოვს იყო წასული რამდენიმე დღით და იმ საღამოთი სრულიად არ ველოდით. უცებ გაისმა ზარის წკარუნი. ვიღაცამ დაიძახა, გრაფინია მობრძანდაო. ყველანი წამოვცვივდით. ყველაზე უწინ ლევ ნიკოლოზის ძე წამოხტა და დაფაცურდა. აბა, ჩქარა სუფრაო, — დაიძახა. მაშინვე გაჩნდა სუფრა, სამოვარი თავის ადგილას წამოიჭიმა, ფინჯნები წესიერად დალაგდა და როდესაც გრაფინია შემოვიდა, ყველაფერი რიგზე დახვდა. მოსამსახურეები ყველანი გაქრნენ და თეთრხელთათმანიანი ლაქია ჩაის ასხამდა.

---

[1]) ქსანტიპა ბერძენ ფილოსოფოსის სოკრატეს მეუღლე იყო, ძალიან კაპასი ქალი.

სოფიო ანდრიას ასულმა კრიტიკულად გადაგვავლო თვალი, კმაყოფილი დაჯდა და მოგვიყვა მოსკოვის ამბებს.

ველიჩკინა სოფელში დადიოდა, ექიმობდა ავადმყოფებს და ყოველთვის შეწუხებული ბრუნდებოდა. ასეთი სიღატაკე და სიბნელეა და ეს ხდება ტოლსტოის მახლობლად, რაც პირდაპირ გაუგებარია. მღვდლისა და დიაკვნის გარდა, ყველას საქათმის შესგავსი ქოხი აქვს, ყველანი კვამლში იხრჩობიანო.

ერთხელ დამიძახა და აღშფოთებულმა მითხრა:

— აბა, ერთი მოუსმინეთ, რას ამბობს ეს ქალი. აბა, მოჰყევი, — მიუბრუნდა ის ხანშიშესულ ქალს, რომელიც იჯდა და ელოდა მას, ველიჩკინას სოფელში ავადმყოფთან წასაყვანად.

— რა უნდა გიამბო, ჩემო მტრედო, — დაიწყო ქალმა გაჭიანურებულ წამღერებული ხმით, — ჩვენ რანი ვართ, გლეხობა ღმერთს კი არ გაუჩენია, ეშმაკმა, სატანამ გააჩინა, ჩემო მტრედო. თავად-აზნაურები — აი ისინი ყოფილან ღვთის გაჩენილები. სამღვდელო წოდებაც ღვთის ნებით არის თურმე შოვლენილი... ამიტომ.

— არა, შენ ისა სთქვი, ვინ გითხრა ეგ აბდაუბდა.

— ჩვენმა ფოფოდიამ გვიამბო, ის ხომ ნასწავლია. ამბობს, ასე სწერია წმინდა წიგნებშიო. წმინდა წიგნები კი ანგელოზების დაწერილია და ამიტომ სარწმუნოა.

— შენს მეტს, ალბათ არავის არა სწამს ეგ.

— რას ამბობთ, მთელ სოფელს სწამს, ჩვენ კი არა, კრაპივენსკის მაზრაში ვიყავი, იქაც იციან, რომ ჩვენ, გლეხობა, სატანას ხვედრი ვართ და არასოდეს არ გაგვიშვებს ბრჭყალებიდან.

— თქვენ ლევ ტოლსტოის სახელი არ გაგიგონიათ?

— ოჰ, როგორ არა, ჩემო მტრედო, — გაიღიმა ქალმა, — კაი ბატონი იყო, მაგრამ ის ხომ შეაჩვენეს ჩვენმა არქიელებმა. ფოფოდია ამბობს, იმის სახელის ხსენებაც დიდი ცოდვაა, არაფერი დაეჯერებაო.

— არა, მე არ წამოვალ თქვენი ავადმყოფის სანახავად, — გაჯავრდა ველიჩკინა, — ფოფოდიას უჯერებთ სისულელეებს და ჭკვიან, გენიოს ტოლსტოის არ უჯერებთ, არა, არ წამოვალ...

— შენი ნებაა, ჩემო მტრედო. თუ სატანას ნება არ იქნება, ვერაფერი წამალი ვერ მოარჩენს, სულ ერთია.

— ჰო-და არ მოვდივარ!

ამ დროს მარია ალექსანდრეს ასულმა მოირბინა.

— რას ამბობ, სულიკო, უთუოდ წაჰყევი. განა ლევ ნიკოლოზის ძემ არ იცის ეს ამბავი? მაგრამ მისი ყოვლის მოყვარე, ბრძენი გული განა არ იბრძვის ბნელი ხალხისთვის? ასეთი ბნელი ხალხია აქ. არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე არ არის სოფელში და ის პატარა ბიჭები, ჩემთან რომ დადიან ჩუმად და ანბანს სწავლობენ, განა ლევ ნიკოლოზის ძე არ მაძლევს ქაღალდს და წიგნებს მათთვის?

მოსკოვიდან ჩამოვიდნენ გორბუნოვი და ილიკო. ძალიან გახარებულნი იყვნენ, რომ ლევ ნიკოლოზის ძე ჩქარა უნდა დაბრუნდეს ყირიმიდანო. ეს იყო ივნისის ბოლო რიცხვებში. სწორედ ივნისის ბოლო რიცხვებში ჩვენ, ე. ი. მე და ბავშვი, წამოვედით საქართველოში და მხოლოდ სექტემბერში დავბრუნდით მოსკოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16

როგორც უკვე მოვიხსენეს, ილიკო გადასახლებული იყო ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან 5 წლით. ეს ხუთი წელი მან მოსკოვში დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი თვით ჩამოვიდა თბილისში ჩუმად. მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოი და მისი მეგობრები გულით უყვარდა და მათ მსოფლმხედველობას იზიარებდა, ძალიან ემძიმებოდა ცივ, ხანგრძლივ თოვლით დაბურულ მოსკოვში უმზეოდ ცხოვრება და სწყუროდა სამშობლოში დაბრუნება.

ეუბნებოდნენ, ნებართვა უნდა ითხოვო და იქნება დაგაბრუნონო. ნებართვის თხოვნა ილიკოს არ უნდოდა და გადავწყვიტეთ უნებართვოდ წამოვსულიყავით.

1903 წლის თებერვალში გამოვსწიეთ თბილისისკენ. გადაწყვეტილი გვქონდა შეგვეარნა დიდი მოხუცის სანახავად და გამოსამშვიდობებლად იასნაია პოლიანაში, სადაც ის მთელ ზამთარს ცხოვრობდა, ავადმყოფობის შემდეგ ყირიმიდან დაბრუნებული.

ჩამოვხტით სადგურ ყაზლოვკა-ზასეკაზე, დავიქირავეთ მარხილი და გავსწიეთ იასნაია პოლიანაში.

თოვდა, ბარდნიდა, ირგვლივ გადათეთრებული მიდამო იყო გადაშლილი. აქა-იქ თოვლით დატვირთული დადრეკილ-ტოტებიანი ხეები ამართულიყვნენ. შორს, თეთრ ბურუსში მოსჩანდა გატიტვლებული ტყე. არა ჰყინავდა. მეეტლე იქაური სოფლელი ყმოჩნდა, ლაპარაკის მოყვარული. ლანძღავდა ზამთარს, რომ ასე ადრე დათბა და ზამთარი ზამთარს არა ჰგავსო. გზაში სულ ტოლსტოის შესახებ გველაპარაკებოდა: კარგი კაცია, ყველას გვიყვარს, ძალიან ებრალება საწყალი ხალხი და ეხმარებაო ძალიან. უწინ სკოლა ჰქონდა ბავშვებისათვის. მამა ჩემი მისი მოწაფე იყო. მთავრობამ დახურა სკოლა, მაგრამ მისი მეოხებით ჩვენს სოფელში ყველამ იცის წერა-კითხვა და ყველა ეკითხულობთ მის დაწერილ წიგნებს. ზღაპარი „ივანე სულელი“ ჩვენთვის დასწერა თურმე. რა ხალხი გინდა, რომ მის სანახავად არ მოდიოდეს. ამას წინედ ამერიკელები მოვიყვანე, უფრო ადრე ჩინელები იყვნენ, სპარსეთიდანაც მოვიდნენ. მოდიან და კითხულობენ: სად ცხოვრობს აქ თქვენი ბრძენი წინასწარმეტყველი და ჩვენც ვიცით, რომ ლევ ნიკოლოზის ძეს კითხულობენ. თქვენ უნდა ნახოთ ზაფხულობით: დილით გამოვა თუ არა სახლიდან, აუარებელი ხალხი ელის ხის ქვეშ. მოდიან სხვადასხვა რჩევისათვის, ნუგეშისათვის, ჭკუის სასწავლად. ყველას მოუსმენს, ყველას დაამშვიდებს.

ამ ლაპარაკში მივაღწიეთ ტოლსტოის ეზოს, ფართოდ გაღებულ კომკებიან ჭიშკარს. სახლამდის კარგა დიდი მანძილი გავაარეთ ხეივნით.

იასნაია პოლიანას სახლი ძალიან ჰგავდა მოსკოვის სახლს. ისიც ორსართულიანი იყო, მიშენებული ნაწილებით. შევედით ქვემოთ დერეფანში და პირდაპირ მეორე სართულში ავედით. მთელი ოჯახი თავმოყრილი იყო. ის-ის იყო სადილი გაეთავებინათ და სუფრას ალაგებდნენ. ლევ ნიკოლოზის ძე ჭადრაკის სათამაშოდ ჯდებოდა.

ტოლსტოიც და სოფიო ანდრიას ასულიც ალერსიანად მოგვეგებნენ. გამაცვნეს თავიანთი შვილები, რომელთაც მე არ ვიცნობდი. უფროსი შვილი ილია, რომ შევხედე, ლევ ნიკოლოზის ძე მეგონა, სახის მოყვანილობით ისე ჰგავდა მამას, უკვე ჭალარა გრძელ წვერიანი კაცი იყო, მხოლოდ უფრო მოსული და მხარბეჭიანი. მეორე — ლევ ლევის ძე კი ცოტა გამხდარი, სუსტი, მაღალი კაცი იყო. სულ არა ჰგავდა თავისიანებს.

მაშინვე მაგიდასთან დაგვსვეს და ვეგეტერიანული სადილი მოგვიტანეს: წვენი და ბრინჯით და სოკოთი დაგუფთული კომბოსტო. ლევ ნიკოლოზის ძე გვერდით მიუჯდა ჩვენს ბავშვს და სულ აცინებდა. როდესაც კომპოტი მოუტანეს ჩქარ-ჩქარა დააყარა კითხვები:

— მაკა, მოგწონს კომპოტი? კარგია, ცუდია...

ბავშვმა პასუხი ვერ მოასწრო.

— ჰო, არა, ჰო, არა — მიუგო მან.

— აი, სონია, — უთხრა ცოლს ტოლსტოიმ სიცილით, — შენი კომპოტი არ მოეწონა მაკას.

— არა, არა, მომეწონა! — წამოიძახა სწრაფად მაკამ.

— აი ხედავ, მოეწონა, — სთქვა სოფიო ანდრიას ასულმა, გადუსვა ბავშვს თავზე ხელი და კუთხის მაგიდას მიუჯდა ხელსაქმით.

სუფრა აალაგეს და სანამ ჩაის მოამზადებდნენ, შიგნით ოთახიდან გამოვიდა ორი მოხუცი მოლოზანი. ლევ ნიკოლოზის ძემ გამაცნო ისინი: ერთზე, რომელიც უფრო მოხუცი იყო, მითხრა, ჩემი და მარია ნიკოლოზის ასულიო. მას კი უთხრა, — ილია პეტრეს ძეს ხომ იცნობ, ეს მისი მეუღლეა.

— აჰ, რა მიხარია, ძალიან გულით მინდოდა კავკასიელი ქალის ნახვა და ამისრულდა სურვილი...

— კავკასიელი კი არა ქართველი, მაშა, ქართველებს არ უყვართ, როდესაც კავკასიელებს ეძახიან. ქართველები ძალიან ძველი ხალხი ყოფილა. გახსოვს, მაშა, გიამბე ალექსანდრე ნიკიფორეს ძის მეგობრებმა, სტუდენტებმა გადმომცეს მეთქი, რომ ორი ათასი წლის წინად საქართველოს რომის სარდალი პომპეუსი შესევია თავისი ჯარით და ქართველებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ მეთქი, რადგან ძალიან შეიარაღებულნი ყოფილან და ომის წესებიც კარგად სცოდნიათ. ერთი ისეთი მაგარი ციხე ჰქონიათ, — ლევ ნიკოლოზის ძე ცოტა შეჩერდა, — ილია პეტრეს ძევ, — დაუძახა ილიკოს, — ის რა ქალაქი იყო საქართველოში, თანაგრძნობის დეპეშა რომ ვაუგზავნეს გარიბალდის ოჯახს გარიბალდის გარდაცვალების გამო?

— გორი.

— დიაღ, დიაღ, გორი. ყველამ იცოდა, რომ ეს გორი სადღაც რუსეთშია, მაგრამ არსად რუკაზე აღნიშნული არ იყო და არავინ იცოდა, სად იყო. არც მე ვიცოდი, რასაკვირველია. ჰო-და, აი ეს გორის ციხე ვერ აუღია პომპეუსს თავისი ახალ-გამოგონებული დიდი მანქანითაც კი... ხედავ, მაშა, ქართველები რომაელებივით განათლებულნი ყოფილან მაშინ. ჩვენში კი იმ დროს მეფე დოდონის ზღაპარიც კი არ იყო დაბადებული, — უთხრა სიცილით დას, და დაუმატა, — ციხე ახლაც სდგას თურმე. გინახავთ ეს ციხე, ნინო იოსების ასულო? არა? — გაუკვირდა. — ჩვენი მეგობარი, ე. ი. ჩემი და დუნაევის მეგობარი სტუდენტები, ყველანი ყოფილან გორში და ეს შესანიშნავი ციხეც უნახავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, აქეთ დაბრძანდით, მელაპარაკეთ, — მითხრა ტოლსტოიმ. ... ლო თვითონ მაშინვე ტოლსტოის შესახებ დამიწყო ლაპარაკი.

ლაპარაკის მანერით ძალიან ჰგავდა თავის სახელოვან ძმას.

— ვერ წარმოიდგენთ, — მითხრა მან: — რა ჭკვიანი და კარგი ჩემი ძმა. ყოველთვის ასეთი იყო. ჩვენი დედ-მამის შვილებში ყოველთვის ირჩეოდა: რა საუცხოვო წიგნებს სწერდა და სწერს. ხომ გაქვთ წაკითხული „ბავშვობა და ყრმობა", მოთხრობა? იქ რომ პატარა გოგონაა აწერილი, ლიუბოჩკა, ის მე ვარ. შემდეგ კიდევ რამდენი რა დასწერა. მთელ ქვეყნიერებაზე გაითქვა სახელი. მაგრამ... მაგრამ რაც მთავარია, — ამბობდა ის გულის ტკივილით, — ჩვენ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე ხელი აიღო. ეკლესიაში არ დადის. ამბობს, იესო ქრისტე ღმერთი არ იყო, ისეთი კაცი იყო, როგორც ყველა, მხოლოდ ჭკვიანი და დიდებული... მე არაფერს მიჯერებს... ახლა სულ მისთვის ვლოცულობ... მაგრამ რას ვამბობ... — უცებ შემომხედა, ცოტა არ იყოს, შემკრთალმა, — იქნება თქვენ მისი თანამოაზრე ხართ... თქვენთვისაც ვილოცებ...

ლევ ნიკოლოზის ძე ილიკოს ელაპარაკებოდა. ბავშვიც მასთან იდგა ხელჩაკიდებული.

— დიაღ, უთუოდ გესტუმრებით საქართველოში, ვნახავ კიდევ საქართველოს მზეს. ავდგები და წამოვალ, აი როგორ მოვიქცევი, — ამბობდა სიცილით — აი, სონია, — მიმართა მან მეუღლეს, — ილია პეტრეს ძე მეპატიჟება თავის ქვეყანაში.

— მე კი არ მეპატიჟება?

— თქვენც, რასაკვირველია, — უთხრა სწრაფად ილიკომ.

— ახლა უკვე გვიანაა, წამოვიდეს მარტო ლევ ნიკოლოზის ძე, — სთქვა მან, თუმცა ხუმრობით, მაგრამ როგორც მომეჩვენა, უკმაყოფილოდ.

შემოიტანეს ჩაი. ისევ მოიყარა ყველამ თავი. ლევ ლევის ძემ გაზეთი გამოიტანა და ჰკითხა თავის მამას:

— წაიკითხე, მამა, მენშიკოვის[1] წერილი?

ლევ ნიკოლოზის ძე ოდნავ შეიჭმუხნა.

— წავიკითხე, შესამჩნევად იცვლება მისი აზრები. თანდათან უარჰყოფს, რაც უწინ სწამდა.

— მე მგონია, ბევრ რამეში მართალია მენშიკოვი.

— მაგრე ფიქრობ? თვითონ უთუოდ ფიქრობს, რომ ყველაფერში მართალია, — სთქვა ტოლსტოიმ ღიმილით.

ყველანი გრძელ მაგიდას შემოვუსხედით.

მე ლევ ლევის ძის გვერდით მოვხვდი, ჩვენ პირდაპირ, მეორე მხარეს, იუსხდნენ ლევ ნიკოლოზის ძე, ილიკო, ჩვენი ბავშვი, ტოლსტოის და მარია ნიკოლოზის ასული და სხვები. სუფრის თავში სოფიო ანდრიას ასული იჯდა.

ჩაის დროს ლევ ნიკოლოზის ძეს წერილების გროვა მოუტანეს. მან მაშინვე დაიწყო გახსნა: ზოგს რომ გახსნიდა, წაიკითხავდა ერთ-ორ სტრიქონს და გადასდებდა იქით, ზოგზე კი ამბობდა:

---

[1]) მენშიკოვი, პუბლიცისტი-მწერალი. პირველ ხანებში ტოლსტოის ეთანხმებოდა ბევრ საკითხში, შემდეგ კი ჩამოშორდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს უთუოდ უნდა წავიკითხო...

— ყველაფერი ეს კომედიაა, — მითხრა ლევ ლევის ძემ. — ეს გაკვირვებით შევხედე. — კომედიაა ეს ბერიკაცი, ეს წერილების კითხვა, თქვენ ასე არ ფიქრობთ?

— რასა ბრძანებთ, მაგისთანა ფიქრი როგორ გამივლის თავში?

— მე კი გეუბნებით, მასეა. მე, მადლობა ღმერთს, შვეიცარიაში მივდივარ საცხოვრებლად. საკვირველი ხალხია ეს ტოლსტოველები ან, როგორც ეძახის, ბნელი ხალხი, ყველაფერში ეთანხმებიან ტოლსტოის.

— ტოლსტოიმ მათ ღმერთი მიაგნებინა, — ვუთხარი მე.

— ღმერთი მიაგნებინა? კი არ მიაგნებინა, გააბათილა, მოსპო ღმერთი. არ მეგონა, თუ უღმერთობა ასე მოეწონებოდა ხალხს. მაკვირვებს თქვენი მეუღლე ილია პეტრეს ძე. მე საუბარი მქონდა მასთან.

ძალიან ღვარძლიანად ლაპარაკობდა ლევ ლევის ძე, ეტყობოდა მამის წინააღმდეგ იყო განწყობილი.

ჩვენი წასვლის დრო დადგა. მარხილმა მოგვაკითხა. გამოვესალმეთ ყველას და წამოვედით. ლევ ნიკოლოზის ძემ ქუდი დაიხურა, პლედი მოისხა და გამოგვაცილა. გამომშვიდობებისას ილიკოს აკოცა და უთხრა:

— უთუოდ, უთუოდ გესტუმრებით თქვენს მზიურ საქართველოში. — მაკასაც აკოცა და ჰკითხა: — მაკა, გინდა რომ გესტუმრო თბილისში? ჰოო? მაშ შევჯდები ველოსიპედზე და ჩიკ, ჩიკ, ჩიკ — ჩამოვალ...

ჩავედით კიბეს და მივიხედეთ, გვინდოდა, ერთხელ კიდევ შეგვეხედა დიდი ადამიანისათვის, რომლის სიახლოვესაც ვცხოვრობდით ხუთ წელიწადს და ახლა გვენანებოდა მისი დატოვება. განსაკუთრებით უმძიმდა ეს ილიკოს. ტოლსტოი ზემოთ იდგა, კიბის თავზე, თეთრ წვერ-გაშლილი. ერთი ხელი ქამარში ჰქონდა, მეორე ილიკოს დაუქნია და სიცილით გადმოგვძახა:

— უთუოდ გნახავთ, ილიკო (მახვილი პირველ „ი"-ს დაუსვა), საქართველოში. მელოდეთ... ავდგები და წამოვალ თქვენთან, — გავიგონე მისი უკანასკნელი სიტყვები...

მას შემდეგ ტოლსტოი აღარ მინახავს. მაგრამ ამ გამომშვიდებამ გამახსენა ტოლსტოის სიტყვები: ადამიანებს უნდა უხაროდეთ ერთსა და იმავე დროს ცხოვრება ამ ქვეყნად. უნდა უყვარდეთ ერთმანეთი და ხელი-ხელჩაკიდებულნი განვლონ ცხოვრების გზაო.

ჩამოვედით თბილისში.

გაგვიტაცა ადგილობრივმა ცხოვრებამ, ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობამ, საბავშვო ჟურნალის დაარსებამ, საქმემ, სახალხო თეატრმა და უმთავრესად იმ სოციალურმა მოძრაობამ, რომლითაც აღფრთოვანებული იყო მშრომელი ხალხი.

1905 წლის დასაწყისში გურიაში მთავრობამ გაგზავნა ნამესტნიკის მოადგილე სულთან კრიმ-გირეი იმ მოძრაობის გამოსარკვევად, რომელმაც გურიაში იჩინა თავი. ხალხი გაიფიცა, არ დადიოდა არც პოლიციაში, არც სასამართლოში. მთავრობის დაწესებულებები დაცარიელდნენ და გაუქმდნენ. წყურდობა, დავიდარაბა და ჩავილი მოისპო. ხალხი თვითონ განაგებდა თავისი ცხოვრების საქმეებს. კრიმ-გირეის მოგზაურობის დროს „სახალხო გა-

ზეთმა“ კორესპონდენტად გაგზავნა ილიკო, რომელმაც დაწვრილებითი შეტყობინება წაიღო ხალხის მოთხოვნები. ამ მოძრაობის შესახებ ილიკომ წერილი მიწერა ტოლსტოის. გაატანა იგი ცნობილ რევოლუციონერ-ხალხოსანს მიშო ყიფიანს, რომელიც მაშინ პეტერბურგში მიდიოდა. მიშო ყიფიანის სიტყვით, ტოლსტოი აღტაცებული იყო გურულების მაშინდელი მოძრაობით და ცხოვრებით. მან ილიკოს გამოუგზავნა გურულებისათვის ის წერილი, რომელიც ახლა საქართველოს მუზეუმში ინახება.

ილიკომ ტოლსტოის წერილი მიტინგებზე წაუკითხა გურულებს. ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაშინ მათზე.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ ტოლსტოიმ ვერ შეაფასა შორიდან გურულების მოძრაობის მოტივები. ილიკო 1905 წლის ზაფხულში იყო მოსკოვში. მან ნახულა ტოლსტოი იასნაია პოლიანაში. გურულების შესახებ ეთქვა ტოლსტოის:

— რასაკვირველია, სავსებით ქრისტიანული რწმენით შეიძლება გურულები არ მოქმედებდნენ, მაგრამ ის ცხოვრება, როგორსაც ისინი ეწევიან, თვითონ რომ განაგებენ თავიანთ ცხოვრებას, ქრისტიანული არის.

1937 წელს მოსკოვში ვიყავი. დავათვალიერე ტოლსტოის მუზეუმი კროპოტკინის ქუჩაზე და ტოლსტოის სახლი ხამოვნიკში, რომელიც ტოლსტოის მუზეუმის განყოფილებად ითვლება, ისევე, როგორც იასნაია პოლიანას სახლი.

როდესაც ხამოვნიკის სახლში შევდიოდი, ჩემს თვალწინ მთელი სახლი გაცოცხლდა, ამოძრავდა, ახმაურდა და გაიცინა. თითქოს გავიგონე კიდეც ლევ ნიკოლოზის ძის მოსალმება, მისი სიცილი, დავინახე როგორ ადიოდნენ და ჩადიოდნენ კიბეზე დუნაევი, რუსანოვი, გე, დუხობორები, კუნძულიავიდან ჩამოსული იავის გუბერნატორი, ყოფილი ფრანგი ჯარისკაცი სინ, იარცევი, ტატიანა ლევის ასულის ნათელი სახე და სოფიო ანდრიას ასულის სწრაფი სიარული, უკმაყოფილო სახე... და ერთ წუთს წარმოვიდგინე, რომ აქ, ამ სახლში, არის დიდი ტოლსტოის გული, ის ყველას გვანუგეშებს და გვასწავლის იმ დიდ სიყვარულს კაცობრიობისადმი, რომელიც ამ დიდ გულში ღვიოდა.

მომინდა მენახა იასნაია პოლიანაც, მაგრამ ვერ ვნახე. ის იასნაია პოლიანა, რომლის შესახებაც შემდეგში, 1942 წ. სწერდა რუსეთის შესანიშნავი თანამედროვე მწერალი ალექსი ტოლსტოი:

„აქ, ე. ი. იასნაია პოლიანაში შლიდა ფრთებს ლევ ტოლსტოის გენია, რომლისთვისაც ვიწრო იყო თავის უსამართლობით, სიცრუითა და უკანონობით აღსავსე მთელი ქვეყნიერება. აქ სძგერდა სიყვარულით მისი მგზნებარე გული საუკეთესო კაცობრიობისადმი და თავის აღმაფრენას ასახავდა სტრიქონებში. აქ აღელვებდა მის სინიდისს ყოველგვარი უსამართლობა და ცხარედ ამხილებდა დამნაშავეთ. აქ იწერებოდა ის თხზულებები, რომლების კითხვაც გვაცინებდა, გვატირებდა და გვასწავლიდა გავმხდარიყავით იმაზე უკეთესი, ვიდრე ვართ“.

იასნაია პოლიანა ვერ ვნახე.

როგორ მწყინს ახლა!

იასნაია პოლიანა, რომელიც ასე ძვირფასია წერა-კითხვის მცოდნე ყველა ადამიანისთვის, 1941 წ. გაანადგურა და დაანგრია გერმანელმა ჯარმა. ბარ-

ბაროსულად დასწვეს და გაანიავეს აგრეთვე სახლის ავეჯი, წიგნები, ძვირფასი მიწერ-მოწერა. იქ, სადაც „ფრთებს შლიდა ტოლსტოის ბერი“ და აწერებოდა დიადი აზრები კაცთა შორის ძმობის განმტკიცების შესახებ, იმ კაბინეტის თეთრ კედლებზე დასწერეს და დახატეს უწმაწური სიტყვები და სურათები...

ვის არ აშფოთებს ამგვარი ველური საქციელი, ვის გულში არ აღძრავს მოძალადე გერმანელების წინააღმდეგ ზიზღსა და სიძულვილს!

ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვსწერ, ჩემი გული სავსეა უსაზღვრო სიყვარულით და მადლობით წითელ არმიისა და მისი დიდი მხედართმთავრისადმი, რომელთაც ჩვენი დიდი სამშობლოს სხვა სათაყვანებელ ადგილებს შორის გაანთავისუფლეს და აღადგინეს იასნაია პოლიანაც. და მე თითქოს ახლაც ნათლად ვხედავ იასნაია პოლიანას კიბის თავზე გადმომდგარ დიდ მოხუცს, დიდ ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოის, უკანასკნელად რომ გვემშვიდობებოდა ხელის ქნევით და სიცილით გვეძახდა: „ნახვამდის, უთუოდ მოვალ თქვენს მზიურ საქართველოში და გნახავთო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ“.

Стихи грузинских поэтов 1941 — 1944 г. г. под редакцией П. Скосырева и С. Чиковани. Советский писатель. Москва, 1944 г.

სარეცენზიო კრებული გამოცემულია ქართული ლიტერატურის საღამოებთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩატარდა მოსკოვში. კრებული შეიცავს ქართველი პოეტების მიერ სამამულო ომის წლებში დაწერილ რჩეულ ლექსებს. კრებულში წარმოდგენილნი არიან შემდეგი პოეტები: ა. აბაშელი, გრ. აბაშიძე, �რ. აბაშიძე, შ. აფხაიძე, ხ. ბერულავა, ხ. ვარდოშვილი, ვ. გაბესკირია, რ. გვეტაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ისიანი, კ. კალაძე, ა. ქუთათელი, გ. ქუჩიშვილი, გ. ლეონიძე, მარიჯანი, ალიო მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, სიმ. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე და ს. ეული.

კრებულს წამძღვარებული აქვს ბესო ეღენტის მოკლე შესავალი წერილი „ქართველი პოეტები სამამულო ომის დღეებში“. მართებულად აღნიშნავს ავტორი, რომ სარეცენზიო კრებულში შესულია „მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი იმ ნაწარმოებთა, რომელიც შექმნილია ქართველი პოეტების მიერ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, მაგრამ ამ პატარა წიგნითაც რუსს მკითხველს შეუძლია წარმოდგენა იქონიოს იმ დაუცხრომელ მუშაობაზე, რომელსაც ეწევიან ქართველი პოეტები თავისი სამშობლოსა, თავისი ხალხისა და დიდი მეგობრის ს ტ ა ლ ი ნ ი ს სადიდებლად“.

პატარა რეცენზიის ფარგლები საშუალებას არ იძლევა არსებითად შეეხოთ ლექსთა თარგმანების ღირსება-ნაკლოვანებებს. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ საერთოდ თარგმანები, მცირეოდენის გამოკლებით, დამაკმაყოფილებლად არის შესრულებული. მთარგმნელთა შორის უნდა აღინიშნონ ლექსის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორც ნიკ. ტიხონოვი, პ. ანტოკოლსკი, ვლ. დერუაგინი, ს. სპასსკი. კარგია თარგმანები ვ. ზვიაგინცევისა, ა. ადალისის, მ. სვეტლოვის, გ. ზენკევიჩის. შესანიშნავად აქვს თარგმნილი ნ. ტიხონოვს გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „ყველას ერთი რამ აქვს სახსოვარი“, აგრეთვე სიმონ ჩიქოვანის „ვინა სთქვა“. ვლ. დერუაგინის თარგმანებში, როგორც რუსული ორიგინალები, ისე ქეღერენ გრ. აბაშიძის „ძლევის ქედი“, სიმონ ჩიქოვანის ლექსების ციკლი დავით გურამიშვილზე, ალიო მაშაშვილის „წყევლა“. კარგია ი. სელვინსკის მიერ თარგმნილი ალიო მაშაშვილის „გორი“. არის სუსტი თარგმანებიც. უმეტეს შემთხვევაში მკრთალია და ორიგინალისაგან დაშორებული (თავისი მხატვრული ღირსებით) ლ. პენკოვსკის თარგმანები (რ. გვეტაძის „შალამბერიძე“, გრ. აბაშიძის „დროშები“ და სხვ.).

სარეცენზიო კრებულში კარგად და რჩეულ ლექსებით არიან წარმოდგენილნი გალ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ალიო მაშაშვილი, ი. გრიშაშვილი, ირ. აბაშიძე, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, გრ. აბაშიძე. სამწუხაროდ, სუსტი თარგმანებით არის მოცემული ზოგიერთი მათი საუცხოო ლექსი.

საერთოდ კრებულის რედაქციას (პ. სკოსირევიდა ს. ჩიქოვანი) სათანადო შრომა გაუწევია იმისათვის, რომ რუსი მკითხველისათვის მიეცა საერთო წარმოდგენა ქართველი პოეტების შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებზე, რაც მათ შექმნეს ომის წლების მანძილზე. ამ მხრივ კრებულის გამოცემა სავსებით დროულსა და მიზანშეწონილ მოვლენას წარმოადგენს, რადგან მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ლიტერატურის ფართო პოპულარიზაციისათვის არა მარტო რუს მკითხველთა შორის, არამედ საერთოდ ჩვენი კავშირის მოძმე ხალხებში. კრებულის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ იქ სრულიად არ არის წარმოდგენილი ჩვენი პოეზიის ახალგაზრდა თაობა. ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნეს ამ ახალგაზრდების ცალკე კრებულის გამოცემით.

წიგნის სახელწოდება სავსებით შეეფერება იმ ნათელ ოპტიმიზმსა და გმირულ სულს, რომლითაც გამსჭვალულია ქართველი პოეტების შემოქმედება სამამულო ომის მრისხანე დღეებში.

ნ. ᲘᲘ.

გრიგოლ ცეცხლაძე — „ახალი ლექსები“

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი, 1944 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

88

სარეცენზიო კრებული რამდენიმე თავისაგან შესდგება. პირველი — „ომიანი წლები“. აქ თავმოყრილია ავტორის მიერ სამამულო ომის. წლებში დაწერილი ლექსები. შემდეგ თავში — „სიმაგრეები“, მოთავსებულია ლექსები, მიძღვნილი ქართველი ხალხის გმირული წარსულისადმი, ხოლო წიგნის უკანასკნელი თავი — „ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფელი“ ასახავს ჩვენი ქვეყნის ყოველდღიურობას:

„მე მინდა სიტყვის ყოველმა ბგერამ
მოძმეთა გულში ადგილი ჰპოვოს,
მე მინდა ჩემი წრფელი სიმღერა
მშობელ ბუნებას გადაექსოვოს“.

ცალკეულ ლექსებში „წერილი დედას ფრონტიდან“, „გმირის ხსოვნა“, „დედა“, „გმირი მეზობლებთან“, „მოგვიწოდებს დღეს ქვეყანა“ და სხვ. ავტორი გვიხატავს სამამულო ომის მრისხანე დღეებში ჩვენი ქვეყნის ფრონტისა და ზურგის გმირობასა და თავდადებას სამშობლოსადმი. ხალხი უმღერის ქებას, გულში ინახავს მათ ხსოვნას, ვინც მამულისათვის თავი გასწირა. მომავალი ააღორძინებს მათ მონუმენტებს შარავანდედით, „დაღვრილი ცრემლი იქნება ტკბილი“, ხოლო მარადისობა არ დასთმობს დასავიწყებლად გმირთა სახელებს:

„ამინდი შესცელის უამინდობას
დრო დაივიწყებს ვერაგ ჯალათებს,
მაგრამ არ დასთმობს მარადისობა
ხსოვნას გმირისას, ლამპრად ანანთებს“.

დიდი მხედართმთავრის, ხალხთა ბელადის ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ი ს წინამძღოლობით წითელ არმიის მამაცური ბრძოლები მტერთან აღაფრთოვანებენ პოეტს:

„მინდა სიტყვები ბრწყინავდნენ ისე,
ვით ვარსკვლავები კრემლის მაღალის“.

სამამულო ომის გრანდიოზულ ბრძოლებში, ვერაგ მტერთან შებმაში, ავტორს სურს ჩვენი სახელოვანი გმირები წარსულის გმირულ ტრადიციას აღადგენდნენ, იყვნენ საკაძის თუ მეფე ერეკლეს, სამასი არაგველის თუ ბახტრიონის ვეფხვების ღირსეული შთამომავალნი. ახლაც ავტორის თქმით:

„იმ მამულიშვილთ ჰბაძავდეს
უნდა ვაჟკაცი ყოველი,
მათი გმირობის ნათელი
დგას, როგორც სვეტიცხოველი“.

შედარებით ნაჩქარევ შთაბეჭდილებას სტოვებს საკმაოდ მოზრდილი ლექსი „ბათუ“.

ნაზი ლირიკული ემოციურობით ხასიათდება ლექსები „აძინებს მიწას საღამო გრილი“, „მე შევაცურე ტალღებში ნავი“ და სხვ. ბევრია მათში დასამახსოვრებელი სტრიქონები.

სარეცენზიო კრებულში ვხვდებით ლექსებსაც, რომელთაც აკლიათ სრულყოფა და ემოციური სიმძაფრე. ასეთია ლექსები: „წერილი დედას ფრონტიდან“ და „გმირი მეზობლებთან“.

ფრიად აქტუალური თემა თუ მხატერულად სრულყოფილი არ არის, ნაკლებ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ აგრეთვე ლექსი „დედისერთა“, რომელიც შედარებით სხვებთან სქემატიურია და ვერ ხატავს მთავარი გმირის ზაალის დასრულებულ სახეს.

გრ. ცეცხლაძეს საკმაოდ ხანგრძლივი შემოქმედებითი გზა აქვს გამოვლილი, იგი ითვლება პუშკინის „ევგენი ონეგინის“ პირველ და კარგ მთარგმნელად. ეს ყოველივე საფუძველს გვაძლევს მეტი მოვთხოვოთ ავტორს.

კრებულში არის უთუოდ საყურადღებო ლექსები: „ვარძია“, „სიმღერა“, „ვეფხვები ბახტრიონისა“, „ზღვაზე“, „სოფელში“, „თმოგვის ციხე“ და სხვა. საერთოდ გრ. ცეცხლაძის ლექსების წიგნი იმის დამადასტურებელია, რომ სამამულო ომის მრისხანე დღეებში პოეტი თავის შემოქმედებით ხალხთან, თავის სამშობლოსთან ერთად იბრძოდა ვერაგი მტრის წინააღმდეგ. გრიგოლ ცეცხლაძის ლექსების წიგნი გამოსულია დიმიტრი ბენაშვილის რედაქციით.

დ. შამათავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ხელოვნური ლიტერატურა

		გვ.
ალ. აბაშელი	— ჩემი მადლობა (ლექსი)	3
ი. გრიშაშვილი	— აბაშელს (ლექსი)	5
გ. ნატროშვილი	— დასავლეთის ფრონტზე (მოთხრობები)	6
ალ. საჯაია	— უკანასკნელი ლექსები	14
ჰონორე ბალზაკი	— პოლკოვნიკი შაბერი (მოთხრობა, თარგ. ირ. ქავჟარაძისა)	18
მ. ჯაფარიძე	— ქამთაბერის ასული (პიესა, დასასრული)	47
ი. კრილოვი	— იგავ-არაკები (თარგმ. ხარიტონ ვარდოშვილის და კონსტ. ჭიჭინაძისა)	80
ბ. ჩხეიძე	— ლიახვის პირას (მოთხრობა. გაგრძელება)	87
ალიო მაშაშვილი	— „მხოლოდ სიმღერა“, „თეთრი ქალწული“ (ლექსები)	104
ნიკოლოზ ჩაჩავა	— წერილი უკრაინელ მეგობარს (ლექსი)	106

ქართველები ბრძოლის ველზე

სოლომონ თავაძე	— ქართველ მეომრებთან (ნარკვევი)	107

კრიტიკა

აკაკი გაწერელია	— ალექსანდრე აბაშელი	132
ბესარიონ ჟღენტი	— ნიკო ლორთქიფანიძე	137

მეომარები

ნინო ნაკაშიძე	— ლ. ტოლსტოის ახლოს (დასასრული)	153

ბიბლიოგრაფია

ნ. ი.	— „Гамарджвеба“ — Стихи грузинских поэтов	167
დ. ზ[illegible]ავა	— გრიგოლ ცეცხლაძე — „ახალი ლექსები“	168

ფასი 16 მან.

137/48

Журнал
Метод. кабинет

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ